

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სამოქალაქო-სამეწარმეო და სხვა კატეგორიის საქმეებზე

2012, №8

კერძო საჩივარი

საძიებელი

კერძო საჩივრის შეტანის ვადა
კერძო საჩივრის შეტანის ვადის გაგრძელება
საპროცესო ხარჯები
დავის საგნის ფასის განსაზღვრა
სასამართლო ხარჯების გადახდისაგან
გათავისუფლების საფუძვლები
სასამართლო ხარჯების გადახდის გადავადება
სასამართლო ხარჯების განაწილება მხარეთა შორის
წარმომადგენლობა სასამართლოში
წარმომადგენლობის უფლებამოსილება
წარმომადგენლის საქმიანობის შეზღუდვა
წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეწყვეტა მარწმუნებლის მიერ
საპროცესო უფლებამონაცვლეობა
დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის მქონე პირები
სასამართლო უწყების ჩაბარება და უსწრებელი გადაწყვეტილების
გაუქმების საფუძვლები გადაწყვეტილების განმარტება
საქმის წარმოების შეჩერება
საქმის წარმოების შეჩერების საფუძვლები
საქმის წარმოების შეწყვეტა

კერძო საჩივრის შეტანის ვადა

განჩინება

№ას-382-355-2010

7 მაისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
მოსამართლე ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: საქმის წარმოების განახლება

აღწერილობითი ნაწილი:

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 9 ოქტომბრის განჩინებით ე. ბ-ძის განცხადება ამავე სასამართლოს 2009 წლის 27 მაისის განჩინების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ დარჩა განუხილველად განცხადებაზე დადგენილი ხარვეზის გამოუსწორებლობის გამო.

ე. ბ-ძემ განცხადებით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს, ამავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 9 ოქტომბრის განჩინების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 24 თებერვლის განჩინებით ე. ბ-ძის განცხადება სამოქალაქო საქმეზე №2/ბ-656-2009 ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 9 ოქტომბრის განჩინების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ე. ბ-ძემ, მოითხოვა მის განხილვამდე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 162-ე მუხლის საფუძველზე ექსპერტიზის დანიშვნა, ამავე კოდექსის 31-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «დ» ქვეპუნქტის შესაბამისად მოსამართლე ი. პ-ძის საქმის განხილვისაგან ჩამოშორება, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 134-ე მუხლის მეორე ნაწილისა და 109-ე მუხლის 1-ელი ნაწილის შესაბამისად მოსამართლე ი. პ-ძის მიერ ი. ა-შვილისა და ენერგოკომპანიის საქმეზე მიღებული განჩინების გამოთხოვა, კერძო საჩივრის ზეპირი მოსმენით განხილვა და მოწმეთა დაკითხვა.

კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, 2010 წლის 24 თებერვლის განჩინება მის შვილს – გ. ბ-ძეს პირადად ჩაბარდა 2010 წლის 17 მარტს, ხოლო ფოსტით – 19 მარტს. გ. ბ-ძე იმყოფებოდა თბილისში, რის გამოც ადრესატისათვის განჩინების გადაცემა 2010 წლის 2 აპრილამდე ვერ მოხერხდა. აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით ე. ბ-ძემ კერძო საჩივარი შეიტანა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 416-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი საპროცესო ვადის დაცვით. ე. ბ-ძემ განსახილველ კერძო საჩივარს ასევე დაურთო საქართველოს სახალხო დამცველის, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციისადმი მიმართვების რეგისტრაციაში გატარების ქვითრები, რომლებითაც დასტურდება, რომ №0777-06/9 განცხადება საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში რეგისტრირებულია 2010 წლის 1 აპრილს, ამავე რიცხვითაა რეგისტრირებული №7818 განცხადება საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში, ხოლო ე. ბ-ძის მიერ წარმოდგენილი №76 ავტობუსის ბილეთი დათარიღებულია 2010 წლის 3 აპრილით. კერძო საჩივრის ავტორმა სასამართლოს წინაშე იშუამდგომლა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების თაობაზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ ე. ბ-ძის კერძო საჩივარი განუხილველად უნდა იქნას დატოვებული შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრის განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 401-ე მუხლის 1-ლი მუხლის 1-ლი წინადადების მიხედვით, საკასაციო საჩივრის შემოსვლიდან 10 დღის ვადაში მომხსენებელმა მოსამართლემ უნდა შეამოწმოს, შეტანილია თუ არა საკასაციო საჩივარი ამ კოდექსის 396-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით. მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის შემოტანიდან 10 დღეში იხილავს მისი დასაშვებობის საკითხს, რა დროსაც სხვა გარემოებებთან ერთად ამოწმებს კერძო საჩივარი შეტანილია თუ არა კანონით დადგენილ ვადაში.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 416-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრის შეტანის ვადაა 12 დღე. ამ ვადის გაგრძელება ან აღდგენა დაუშვებელია. იგი იწყება მხარისათვის განჩინების გადაცემის მომენტიდან ან მხარისათვის სასამართლო სხდომაზე მისი გამოცხადებიდან, თუ განჩინების გამოცხადებას ესწრებოდა კერძო საჩივრის შეტანის უფლების მქონე პირი. განჩინების გადაცემის მომენტად ითვლება განჩინების ასლის მხარისათვის ჩაბარება უშუალოდ სასამართლოში ან ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად. ამდენად, დასახელებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, განჩინების გასაჩივრებისათვის კანონი ადგენს 12-დღიან ვადას, რომლის გაგრძელება ან აღდგენა დაუშვებელია და მხარეს უფლება ეძლევა, კერძო საჩივარი შეიტანოს განჩინების კანონით დადგენილი წესის შესაბამისად ჩაბარების ან გამოცხადების მომენტიდან.

აღნიშნული ნორმა იმპერატიული ხასიათისაა და ამ ვადის აღდგენა თუნდაც მხარის მიერ საპატიო მიზეზით გაშვების შემთხვევაშიც კი არ დაიშვება.

განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით უდავოდ დასტურდება, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 24 თებერვლის განჩინება ე. ბ-მის შვილმა – გ. ბ-მემ პირადად ჩაიბარა 2010 წლის 17 მარტს, ხოლო ე. ბ-მემ სასამართლოს კერძო საჩივრით მიმართა ამავე წლის 7 აპრილს.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს ე. ბ-მის მითითებას, რომ რადგანაც გასაჩივრებული განჩინება მას პირადად ჩაბარდა 2010 წლის 2 აპრილს კერძო საჩივრის შეტანის ვადის დენა სწორედ აღნიშნული მომენტიდან დაიწყო და მას დაცული აქვს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 416-ე მუხლით იმპერატიულად დადგენილი 12-დღიანი ვადა, რადგანაც ამავე კოდექსის 70-ე მუხლის 1-ლი ნაწილი ადგენს იმ გარემოებებს, როდესაც სასამართლო შეტყობინება ადრესატისათვის ჩაბარებულად მიიჩნევა. დასახელებული ნორმა მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლზე, რომელიც განსაზღვრავს სასამართლო შეტყობინების მიღებაზე უფლებამოსილ სუბიექტთა წრეს, მათ შორისაა ოჯახის სრულწლოვანი წევრი. ამასთან, აღნიშნულ სუბიექტთაგან ერთ-ერთისათვის სასამართლო შეტყობინების გადაცემა განიხილება უშუალოდ შეტყობინების ადრესატისათვის ჩაბარებად და აღნიშნული საკმარისი საფუძველია კანონმდებლობით თუ სასამართლოს მიერ განსაზღვრული საპროცესო ვადის ასათვლელად. დასახელებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, გასაჩივრებულ განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანის ვადის დენა დაიწყო ე. ბ-მის ოჯახის სრულწლოვანი წევრისათვის განჩინების გადაცემის დღის მომდევნო კალენდარული დღიდან – 2010 წლის 18 მარტიდან და ამოიწურა ამავე წლის 29 მარტს, საქმის მასალებით კი ასევე დასტურდება, რომ ე. ბ-მემ სასამართლოს კერძო საჩივრით მიმართა 2010 წლის 7 აპრილს, განჩინების გასაჩივრებისათვის დადგენილი საპროცესო ვადის დარღვევით, რაც კერძო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 416-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

ე. ბ-მის კერძო საჩივარი დარჩეს განუხილველად.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

კერძო საჩივრის შეტანის ვადა

განჩინება

№ას-461-432-2010

21 მაისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
მოსამართლე თ. თოდრია

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 6 ნოემბრის გადაწყვეტილებით სს «ჰ-ის» სარჩელი დაკმაყოფილდა. ლ. ლ-მეს სს «ჰ-ის» სასარგებლოდ დაეკისრა 9 230 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა.

ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა ლ. ლ-მემ და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სს «ჰ-ის» სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 9 მარტის განჩინებით ლ. ლ-მის სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 6 ნოემბრის გადაწყვეტილებაზე დარჩა განუხილველად დაუშვებლობის გამო. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ ლ. ლ-მემ სააპელაციო საჩივარი საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით შეიტანა კანონით დადგენილი საპროცესო დარღვევით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 9 მარტის განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ლ. ლ-მემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა კერძო საჩივრის დასაშვებობის საკითხი და მიაჩნია, რომ ლ. ლ-ძის კერძო საჩივარი განუხილველად უნდა დარჩეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 416-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრის შეტანის ვადაა 12 დღე. ამ ვადის გაგრძელება ან აღდგენა დაუშვებელია. იგი იწყება მხარისათვის განჩინების გადაცემის მომენტიდან ან მხარისათვის სასამართლო სხდომაზე მისი გამოცხადებიდან, თუ განჩინების გამოცხადებას ესწრებოდა კერძო საჩივრის შეტანის უფლების მქონე პირი. განჩინების გადაცემის მომენტად ითვლება განჩინების ასლის მხარისათვის ჩაბარება უშუალოდ სასამართლოში ან ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თუ სასამართლო უწყების ჩამბარებელმა სასამართლოში გამოსამახებელი პირი ვერ ნახა მხარის მიერ მითითებულ მისამართზე, იგი უწყებას აბარებს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე სრულწლოვან წევრს, რომელიც ვალდებულია, უწყება დაუყონებლივ ჩააბაროს ადრესატს. მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით ირკვევა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 9 მარტის განჩინება, რომლითაც განუხილველად იქნა დატოვებული ლ. ლ-ძის სააპელაციო საჩივარი, საქმეში მითითებულ მისამართზე კერძო საჩივრის ავტორის მეუღლეს – მ. შ-მეს პირადად ჩააბარდა 2010 წლის 16 აპრილს. ლ. ლ-ძეს კერძო საჩივრის შეტანის ვადა ჰქონდა 2010 წლის 28 აპრილის ჩათვლით, კერძო საჩივარი კი შეტანილია 2010 წლის 30 აპრილს, ე.ი. კერძო საჩივრის შეტანის 12-დღიანი ვადის დარღვევით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველად დარჩება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში დარღვეულია კერძო საჩივრის შეტანის კანონით განსაზღვრული 12-დღიანი ვადა, რის გამოც ლ. ლ-ძის კერძო საჩივარი განუხილველად უნდა დარჩეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე, 70-ე, 284-ე, 416-ე, 420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

ლ. ლ-ძის კერძო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 9 მარტის განჩინებაზე, დარჩეს განუხილველად;
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

კერძო საჩივრის შეტანის ვადა

განჩინება

№ას-490-459-2010

28 მაისი, 2010 წ., ე. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
მოსამართლე თ. თოდრია

დავის საგანი: სამსახურში აღდგენა

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილებით ი. ჭ-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა ი. ჭ-შვილმა და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადააწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 24 მარტის განჩინებით ი. ჭ-შვილის სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილებაზე დარჩა განუხილველად დაუშვებლობის გამო. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ ი. ჭ-შვილმა სააპელაციო პალატის მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზი არ შეავსო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 24 მარტის განჩინებაზე ი. ჭ-შვილმა შეიტანა განცხადება, რომელიც თავისი შინაარსით წარმოადგენს კერძო საჩივრს და მოითხოვს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა კერძო საჩივრის დასაშვებობის საკითხი და მიაჩნია, რომ ი. ჭ-შვილის კერძო საჩივარი განუხილველად უნდა დარჩეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 416-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრის შეტანის ვადაა 12 დღე. ამ ვადის გაგრძელება ან აღდგენა დაუშვებელია. იგი იწყება მხარისათვის განჩინების გადაცემის მომენტიდან ან მხარისათვის სასამართლო სხდომაზე მისი გამოცხადებიდან, თუ განჩინების გამოცხადებას ესწრებოდა კერძო საჩივრის შეტანის უფლების მქონე პირი. განჩინების გადაცემის მომენტად ითვლება განჩინების ასლის მხარისათვის ჩაბარება უშუალოდ სასამართლოში ან ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თუ სასამართლო უწყების ჩამბარებელმა სასამართლოში გამოსამახებელი პირი ვერ ნახა მხარის მიერ მითითებულ მისამართზე, იგი უწყებას აბარებს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე სრულწლოვან წევრს, რომელიც ვალდებულია, უწყება დაუყონებლივ ჩააბაროს ადრესატს. მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით ირკვევა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 24 მარტის განჩინება, რომლითაც განუხილველად იქნა დატოვებული ი. ჭ-შვილის სააპელაციო საჩივარი, საქმეში მითითებულ მისამართზე კერძო საჩივრის ავტორის შვილს – ვ. ჭ-შვილს პირადად ჩააბარდა 2009 წლის 30 აპრილს. ი. ჭ-შვილს კერძო საჩივრის შეტანის ვადა ჰქონდა 2009 წლის 13 მაისის ჩათვლით, კერძო საჩივარი კი შეტანილია 2010 წლის 24 თებერვალს, ე.ი. კერძო საჩივრის შეტანის 12-დღიანი ვადის დარღვევით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველად დარჩება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში დარღვეულია კერძო საჩივრის შეტანის კანონით განსაზღვრული 12-დღიანი ვადა, რის გამოც ი. ჭ-შვილის კერძო საჩივარი განუხილველად უნდა დარჩეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე, 70-ე, 284-ე, 416-ე, 420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

ი. ჭ-შვილის კერძო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 24 მარტის განჩინებაზე, დარჩეს განუხილველად;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

კერძო საჩივრის შეტანის ვადა

განჩინება

№ას-625-586-10

2 ივლისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
მოსამართლე პ. ქათამაძე

საკასაციო სასამართლომ საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მ. კ-ძის, ნ. და ზ. კ-ძეების წარმომადგენლის – გ. ხ-იანის კერძო საჩივრის დასაშვებობის საკითხი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 27 მაისის საოქმო განჩინებაზე.

პალატამ გამოარკვეია:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 25 მარტის გადაწყვეტილებით მ. კ-ძის, ნ. და ზ. კ-ძეების სარჩელი დაკმაყოფილდა, და მათი კუთვნილი უძრავი ნივთი, კერძოდ, ქ.თბილისში, ... №8 გამოთხოვილ იქნა თანამოპასუხეების – თ. დ-იასა და ნ. ბ-იას უკანონო მფლობელობიდან და გამოთავისუფლებულ მდგომარეობაში გადაეცა თანამოსარჩელებს.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს თ. დ-იამ, ნ. ბ-იამ და მოითხოვეს მისი გაუქმება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 27 მაისის საოქმო განჩინებით აპელანტების შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და სამოქალაქო საქმის წარმოება შეჩერდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის წარმოებაში არსებულ საქმეზე მიღებული საბოლოო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე. ამავე განჩინებით მხარეებს განემარტათ გასაჩივრების წესი, კერძოდ, გასაჩივრების ვადის დენა დაიწყო განჩინების გამოცხადების მომენტიდან.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანეს მ. კ-ემ, ნ. და ზ. კ-ძეების წარმომადგენელმა გ. ხ-იანმა.

საკასაციო სასამართლოს საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიაჩნია, რომ მ. კ-ძის, ნ. და ზ. კ-ძეების წარმომადგენლის – გ. ხ-იანის კერძო საჩივარი განუხილველად უნდა დარჩეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

ამავე კოდექსის 401-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივრის შემოსვლიდან 10 დღის ვადაში მომხსენებელმა მოსამართლემ უნდა შეამოწმოს, შეტანილია თუ არა საკასაციო საჩივარი ამ კოდექსის 396-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო საჩივარი არ არის შეტანილი კანონით დადგენილ ვადაში, საკასაციო საჩივარი განუხილველი დარჩება.

ზემოაღნიშნულ ნორმათა შინაარსიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის დასაშვებობის შემოწმებისას, სხვა წინაპირობებთან ერთად არკვევს შეტანილია თუ არა კერძო საჩივარი კანონით დადგენილ ვადაში.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 416-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრის შეტანის ვადაა 12 დღე. ამ ვადის გაგრძელება ან აღდგენა დაუშვებელია. იგი იწყება მხარისათვის განჩინების გადაცემის მომენტიდან ან მხარისათვის სასამართლო სხდომაზე მისი გამოცხადებიდან, თუ განჩინების გამოცხადებას ესწრებოდა კერძო საჩივრის შეტანის უფლების მქონე პირი. აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, განჩინების გასაჩივრებისათვის კანონი აღგენს 12-დღიან ვადას, რომლის გაგრძელება ან აღდგენა დაუშვებელია და მხარეს უფლება ეძლევა კერძო საჩივარი შეიტანოს განჩინების კანონით დადგენილი წესის შესაბამისად ჩაბარების ან მისი გამოცხადების მომენტიდან. აღნიშნული ნორმა იმპერატიული ხასიათისაა და ამ ვადის შეცვლა არ დაიშვება.

მოცემულ შემთხვევაში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 27 მაისის დასაბუთებული საოქმო განჩინების გამოცხადებას ესწრებოდა როგორც მ. კ-ძე, ასევე ნ. და ზ. კ-ძეების წარმომადგენელი გ. ხ-იანი, რომელსაც ამ უკანასკნელთა მიერ გაცემული მინდობილობების საფუძველზე მინიჭებული აქვს სასამართლო გადაწყვეტილებათა გასაჩივრების უფლებამოსილება. ამდენად, გასაჩივრებული განჩინების გამოცხადებას ესწრებოდნენ კერძო საჩივრის შეტანის უფლების მქონე პირები, რომელთათვისაც კერძო საჩივრის შეტანის 12-დღიანი ვადის დენა დაიწყო 2010 წლის 28 მაისს და ამოიწურა 2010 წლის 8 ივნისს. საქმის მასალებით დადგენილია, რომ კერძო საჩივარი მათ შეიტანეს 2010 წლის 15 ივნისს, ე.ი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 416-ე მუხლით დადგენილი გასაჩივრების 12-დღიანი საპროცესო ვადის დარღვევით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ მ. კ-ძის, ნ. და ზ. კ-ძეების წარმომადგენლის გ. ხ-იანის კერძო საჩივარი დაუშვებელია და იგი უნდა დარჩეს განუხილველად გასაჩივრების ვადის გაშვების გამო.

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე, 401-ე, 416-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

მ. კ-ძის, ნ. და ზ. კ-ძეების წარმომადგენლის – გ. ხ-იანის კერძო საჩივარი დარჩეს განუხილველად.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

განჩინების ასლი გაეგზავნოთ მხარეებს.

კერძო საჩივრის შეტანის ვადის გაგრძელება

განჩინება

№ა-1610-10

28 სექტემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
მოსამართლე ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: ანდერძის ბათილად ცნობა, სამკვიდრო მოწმობის გაუქმება, სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელება, მემკვიდრედ ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

კ. ყ-შვილმა სარჩელი აღძრა სასამართლოში თ. მ-ელის, მესამე პირის – ქ.თბილისის ნოტარიუს ნ. გ-ძის მიმართ ანდერძის ბათილად ცნობის, სამკვიდრო მოწმობის გაუქმების, სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელებისა და მემკვიდრედ ცნობის მოთხოვნით.

ქ.თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა კ. ყ-შვილმა.

აღნიშნული საქმე არაერთხელ იქნა განხილული ზემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ.

სააპელაციო ინსტანციის წესით საქმის განხილვისას – 2008 წლის 29 დეკემბერს მხარეებმა წარმოადგინეს მორიგების აქტი, იშუამდგომლეს მისი დამტკიცებისა და საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 29 დეკემბრის განჩინებით დამტკიცდა მხარეთა მიერ შეთანხმებული მორიგების პირობები.

2010 წლის 12 აპრილს კ. ყ-შვილმა კერძო საჩივარი შეიტანა სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე, მოითხოვა სამოქალაქო კოდექსის 62-ე, 55-ე, 81-ე-82-ე, 98-ე მუხლების საფუძველზე მორიგების პირობების მე-6 პუნქტის გაუქმება და სადავო პირობის ნაცვლად მითითება: «ვადების ამოწურვისა და პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში ბინა დარჩეს კ. ყ-შვილისა და თ. მ-ელის საკუთრებად, ხოლო თუ მხარეები კვლავ ვერ შეთანხმდებიან, მაშინ ბინა გაიყიდოს სააღსრულებო ბიუროს მეშვეობით აუქციონზე და თანხა მხარეთა შორის განაწილდეს თანაბრად». კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 29 დეკემბრის განჩინების მე-6 პუნქტზე მას ხელი მოტყუებით მოაწერინეს, რადგანაც არ არის იურისტი და მოწინააღმდეგე მხარემ ისარგებლა მისი გამოუცდელობით. ამასთან, განჩინებაში მითითებული პირობების შესრულების მიზნით, კ. ყ-შვილმა მოიძია სადავო უძრავი ნივთის შემძენი, რომელიც თანახმა იყო გადაეხადა 60000 აშშ დოლარი. თ. მ-ელმა შეპირებული თანხის ნაცვლად კი მოითხოვა 45000-ის გადაცემა, რასაც შედეგად მოჰყვა შემძენის მიერ გარიგების დადებაზე უარის თქმა. მოგვიანებით თ. მ-ელი უარს აცხადებდა ბინის შეძენის მსურველებთან შეხვედრაზე და არც ტელეფონს პასუხობდა, რადგანაც განზრახული ჰქონდა სადავო ბინის მხოლოდ მის საკუთრებაში დატოვება. მხარის არაკეთილსინდისიერებაში კ. ყ-შვილი დარწმუნდა 2010 წლის აპრილის თვეში, რის გამოც იგი იძულებული გახდა მორიგების პირობების დამტკიცების შესახებ სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე კერძო საჩივარი შეეტანა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 3 მაისის განჩინებით კ. ყ-შვილის კერძო საჩივარი დარჩა განუხილველად იმ საფუძველით, რომ მხარეს დარღვეული ჰქონდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 416-ე მუხლით დადგენილი კერძო საჩივრის შეტანის 12-დღიანი ვადა. ამავე განჩინებით განემარტა კ. ყ-შვილს, რომ კერძო საჩივრის შეტანის გზით განჩინების გასაჩივრებისათვის დადგენილი ვადის დენა იწყება დასაბუთებული განჩინების გამოცხადებიდან თუ მის გამოცხადებას ესწრებოდა გასაჩივრების უფლების მქონე სუბიექტი ან მხარისათვის ამავე კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით განჩინების ადრესატისათვის გადაცემის დღის მომდევნო დღიდან.

კ. ყ-შვილმა განცხადებით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს, მოითხოვა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 66-ე მუხლის შესაბამისად კერძო საჩივრის შეტანისათვის დადგენილი ვადის გაშვების საპატიოდ მიჩნევა და კერძო საჩივრის საფუძველიანობის არსებითად განხილვა. განმცხადებლის განმარტებით, მისი კერძო საჩივრის განუხილველად დატოვების შემდეგ, მან მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა კერძო საჩივრის შეტანის ვადის აღდგენა. სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული განჩინებით კი კ. ყ-შვილს უარი ეთქვა განცხადების წარმოებაში მიღებაზე და განემარტა, რომ აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა უწყებრივად საკასაციო სასამართლოს ექვემდებარება. განცხადების დასაბუთების მიზნით, მხარემ წარმოადგინა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 29 დეკემბრისა და ამავე სასამართლოს 2010 წლის 20 მაისის განჩინებების ასლები, ასევე საკასაციო სასამართლოს მიერ განუხილველად დატოვებული კერძო საჩივრისა და საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 3 მაისის განჩინების ასლი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო განცხადების საფუძვლიანობის შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ კ. ყ-შვილის განცხადება კერძო საჩივრის შეტანის ვადის აღდგენის შესახებ არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემული განცხადების შესწავლით დასტურდება, რომ მხარე მოითხოვს კერძო საჩივრის შეტანისათვის დადგენილი საპროცესო ვადის საპატიო მიზეზით გაშვებულად მიჩნევასა და ამ ვადის აღდგენას. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სასამართლოს იმ განჩინებების მიმართ, რომლებზეც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 414-ე მუხლის შესაბამისად დაიშვება კერძო საჩივრის შეტანა, თავად კერძო საჩივრის შეტანისათვის დადგენილი ვადის დენისა დაწყების საკითხი რეგლამეტირებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 416-ე მუხლით. დასახელებული ნორმა აწესებს, რომ, კერძო საჩივრის შეტანის ვადაა 12 დღე. ამ ვადის გაგრძელება ან აღდგენა დაუშვებელია. იგი იწყება მხარისათვის განჩინების გადაცემის მომენტიდან ან მხარისათვის სასამართლო სხდომაზე მისი გამოცხადებიდან, თუ განჩინების გამოცხადებას ესწრებოდა კერძო საჩივრის შეტანის უფლების მქონე პირი. განჩინების გადაცემის მომენტად ითვლება განჩინების ასლის მხარისათვის ჩაბარება უშუალოდ სასამართლოში ან ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად. ამდენად, განჩინების გასაჩივრებისათვის კანონი აღგენს 12-დღიან ვადას, რომლის გაგრძელება ან აღდგენა დაუშვებელია და მხარეს უფლება ეძლევა, კერძო საჩივარი შეიტანოს განჩინების კანონით დადგენილი წესის შესაბამისად ჩაბარების ან გამოცხადების მომენტიდან და არა მხარის არაკეთილსინდისიერებისა თუ მხარისათვის არახელსაყრელი რაიმე შედეგის შეტობიდან. აღნიშნული ნორმა იმპერატიული ხასიათისაა და მასში მითითებული ვადის აღდგენა არ დაიშვება. ამასთან საპროცესო კანონმდებლობა კანონით იმპერატიულად დადგენილი კერძო საჩივრის შეტანის ვადის აღდგენის შესაძლებლობას არ ითვალისწინებს.

ამდენად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ კ. ყ-შვილის განცხადება კერძო საჩივრის შეტანის ვადის აღდგენის თაობაზე უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 414-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

კ. ყ-შვილის განცხადება კერძო საჩივრის შეტანის ვადის გაგრძელების შესახებ არ დაკმაყოფილდეს. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საპროცესო ხარჯები

დავის საგნის ფასის განსაზღვრა

განჩინება

№ას-1454-1468-2011

24 ოქტომბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

ბ. ალაფიძე

დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

აღწერილობითი ნაწილი:

2010 წლის 30 ივლისს გურჯაანის რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართა ლ. ხ-მა მოპასუხე ი. უ-ის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხისათვის მის სასარგებლოდ აღიმენტის დაკისრება არასრულწლოვანი შვილების – გ. უ-ისა და მ. უ-ის სარჩენად, თითოეულ ბავშვზე ყოველთვიურად 30 ლარის ოდენობით.

გურჯაანის მაგისტრატი სასამართლოს 2010 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილებით ლ. ხ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა შვილების – გ. უ-ისა და მ. უ-ის სარჩენად აღიმენტის გადახდა თითოეულისათვის 25 ლარის ოდენობით, სარჩელის აღძვრის მომენტიდან მათ სრულწლოვანებამდე.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ი. უ-მა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 22 ივლისის განჩინებით ი. უ-ის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლზე, რომლის თანახმად, სააპელაციო საჩივარი დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ მისი ღირებულება აღემატება 1000 ლარს. ეს ღირებულება განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების რა ზომით შეცვლაზე შეაქვს საჩივარი მხარეს.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით მოპასუხე ი. უ-ს მოსარჩელე ლ. ხ-ის სასარგებლოდ არასრულწლოვანი შვილების – გ. უ-ისა და მ. უ-ის სარჩენად დაეკისრათ ალიმენტის გადახდა თითოეულისათვის თვეში 25 ლარის ოდენობით, სარჩელის აღძვრის მომენტიდან (2010 წლის 30 ივლისი) მათ სრულწლოვანებამდე. ი. უ-ის სააპელაციო საჩივრის ღირებულება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «გ» ქვეპუნქტის დანაწესიდან გამომდინარე შეადგენდა 600 ლარს (25+25=50X12 თვეზე), რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლით გათვალისწინებულ 1000 ლარზე ნაკლებია. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ სახეზე იყო სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების პროცესუალურ-სამართლებრივი საფუძველი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის 1-ლი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, თუ სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ესა თუ ის პირობა არ არსებობს, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ, რომელზედაც შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ სააპელაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დატოვა განუხილველად.

სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გასაჩივრა ი. უ-მა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

კერძო საჩივრის ავტორი არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ მისი სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვებას იმ მოტივით, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით მისთვის დაკისრებული ალიმენტის ოდენობა შეადგენს წელიწადში 600 ლარს, ხოლო საქმის განხილვა მოხდებოდა იმ შემთხვევაში, თუ გადასახდელი თანხა იქნებოდა 1000 ლარი. კერძო საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ იღებს მხოლოდ ინვალიდობის პენსიას და მითითებული ოდენობის ალიმენტის გადახდას ვერ ახერხებს. როდესაც 1000 ლარზე მტი თანხა დაუგროვდება, მაშინ საჩივრის შეტანა დაგვიანებული იქნება. შვილები თვეების განმავლობაში მასთან იმყოფებიან და იგი მთელ თავის პენსიას მათზე ხარჯავს. აღნიშნულს ადასტურებენ ი. უ-ის მეზობლები თავიანთი განცხადებით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ ი. უ-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 22 ივლისის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე დადგენილია, რომ ლ. ხ-ის სარჩელის მოთხოვნას წარმოადგენდა მოპასუხისათვის მის სასარგებლოდ ალიმენტის დაკისრება არასრულწლოვანი შვილების – გ. უ-ისა და მ. უ-ის სარჩენად, თითოეულ ბავშვზე ყოველთვიურად 30 ლარის ოდენობით. გურჯაანის მაგისტრატის სასამართლოს 2010 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილებით ლ. ხ-ის აღნიშნული მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, კერძოდ, ი. უ-ს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა შვილების – გ. უ-ისა და მ. უ-ის სარჩენად ალიმენტის გადახდა თითოეულისათვის 25 ლარის ოდენობით, სარჩელის აღძვრის მომენტიდან მათ სრულწლოვანებამდე. დასახელებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრა ი. უ-მა და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება. აქედან გამომდინარე, ნათელია, რომ აპელანტი სრულად ასაჩივრებს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომლითაც მას დაეკისრა თითოეულ შვილზე 25 ლარის (მთლიანობაში ყოველთვიურად 50 ლარის) ოდენობით ალიმენტის გადახდა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივარი ქონებრივ-სამართლებრივ დავაში დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დავის საგნის ღირებულება 1000 ლარს აღემატება. ეს ღირებულება განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების რა ზომით შეცვლაზე შეაქვს საჩივარი მხარეს. ამავე კოდექსის 41-ე მუხლის «გ» ქვეპუნქტის შესაბამისად, ალიმენტის გადახდევინების შესახებ სარჩელის დავის საგნის ფასი განისაზღვრება ერთი წლის განმავლობაში გადასახდელი თანხების ერთობლიობით.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ სწორად განსაზღვრა ი. უ-ის სააპელაციო საჩივრის დავის საგნის ღირებულება, ვინაიდან გასაჩივრებული გადაწყვეტილებით აპელანტს დაკისრებული ჰქონდა ალიმენტი ყოველთვიურად 50 ლარის ოდენობით, რაც 12 თვეზე შეადგენს 600 ლარს. აქედან გამომდინარე საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ ი. უ-ის სააპელაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლით განსაზღვრულ დასაშვებობის პირობას, რაც სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს ი. უ-ის კერძო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე-420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ი. უ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 22 ივლისის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

დავის საგნის ფასის განსაზღვრა

განჩინება

№ას-1452-1466-2011

2 ნოემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. სულხანიშვილი,
ბ. ალავეძე

დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

აღწერილობითი ნაწილი:

2010 წლის 23 აპრილს ნ. წ-ემ, გ. ბ-მა და სხვებმა რუსთავის საქალაქო სასამართლოში გაზეთ «რ. ა-ის» წი-ნაადმდეგ სარჩელი აღძრეს სახელფასო და საკონორარო დავალიანების ანაზღაურების, ასევე, დამსაქმებლის ინიციატივით შრომის ხელშეკრულების მოშლის გამო, 1 თვის შრომის ანაზღაურების დაკისრების მოთხოვნით.

2010 წლის 7 ივლისს მ. ლ-მა ასევე აღძრა სარჩელი გაზეთ «რ. ა-ის» მიმართ სახელფასო დავალიანების ანაზღაურების შესახებ.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 13 გავისტოს განჩინებით ზემოაღნიშნული ორი სარჩელი ერთ წარმოებად გაერთიანდა.

იმავე სასამართლოს 2011 წლის 22 მარტის გადაწყვეტილებით გ. ბ-ისა და თ. ვ-ის სასარჩელო მოთხოვნე-ბი არ დაკმაყოფილდა, ნ. წ-ის, გ. ბ-ისა და სხვათა სარჩელი დაკმაყოფილდა, შპს «რ. ა-ს» დაეკისრა:

1. ნ. წ-ის სასარგებლოდ 1000 ლარი;
2. გ. ბ-ის სასარგებლოდ 600 ლარი;
3. მ. ჯ-ის სასარგებლოდ 600 ლარი;
4. ი. გ-ის სასარგებლოდ 600 ლარი;
5. ნ. ა-ის სასარგებლოდ 600 ლარი;
6. მ. ლ-ის სასარგებლოდ 600 ლარი.

აღნიშნული გადაწყვეტილება მოპასუხემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 22 ივლისის განჩინე-ბით, შპს «რ. ა-ის» სააპელაციო საჩივარი განუხილველად დარჩა. სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივრის ღირებულება 1000 ლარს არ აღემატებოდა.

აღნიშნული განჩინება შპს «რ. ა-მა» კერძო საჩივრით გაასაჩივრა. მისი მითითებით, ვინაიდან პირველი ინსტანციის სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილებით შპს «რ. ა-ს» ჯამში 4000 ლარი დაეკისრა და აღნიშნული გადაწყვეტილება მის მიერ სრულადაა გასაჩივრებული, სააპელაციო საჩივრის ღირებულება 4000 ლარით უნდა განსაზღვრულიყო.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ შპს «რ. ა-ის» კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრის განხილვა ზემდგომ სასა-მართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

იმავე კოდექსის 410-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩი-ვარს, თუ კანონის მითითებულ დარღვევას არ აქვს ადგილი.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მტკიცებას, რომ მოცემულ საქმეზე სააპელაციო საჩივრის ღირებულება 4000 ლარით უნდა განსაზღვრულიყო.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლის მიხედვით სააპელაციო საჩივარი ქონებრივ-სამართლებრივ დავაში დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ დავის საგნის ღირებულება აღემატება 1 000 ლარს. ეს ღირებულება განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების რა ზომით შეცვლაზე შეაქვს საჩივარი მხარეს.

დავის საგნის ღირებულების განსაზღვრის წესი დადგენილია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლით. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის «ა» ქვეპუნქტის თანახმად, ფულის გადახდევინების შესახებ სარჩელზე დავის საგნის ფასი განისაზღვრება გადასახდელი თანხით.

იმავე კოდექსის 40-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით კი, თუ ერთ სარჩელში რამდენიმე სხვადასხვა მოთხოვნა ჩამოყალიბებული, მაშინ ეს მოთხოვნები უნდა შეჯამდეს და ამის შემდეგ განისაზღვროს სადავო საგნის ღირებულება. აღნიშნული ნორმიდან ნათლად გამომდინარეობს, რომ, თუ ერთი მოსარჩელე რამდენიმე სასარჩელო მოთხოვნას აყენებს, აღნიშნული მოთხოვნები უნდა შეჯამდეს, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ რამდენიმე მოსარჩელე დამოუკიდებელ სასარჩელო მოთხოვნებს აყენებს, მათი შეკრება არ ხდება და დავის საგნის ღირებულება თითოეული ამ მოთხოვნის ღირებულების შესაბამისად განისაზღვრება. ანალოგიურად, სააპელაციო საჩივრის ღირებულება უნდა განისაზღვროს თითოეული მოსარჩელის დაკმაყოფილებული სასარჩელო მოთხოვნის ღირებულების მიხედვით. განსახილველ შემთხვევაში კი, პირველი ინსტანციის სასამართლოს არც ერთი მოსარჩელის სასარგებლოდ 1000 ლარზე მეტი თანხა მოპასუხისათვის არ დაუკისრებია, რაც სააპელაციო სასამართლომ სწორად შეაფასა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ შპს «რ. ა-ის» კერძო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე, 410-ე, 365-ე, 40-ე, 41-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

შპს «რ. ა-ის» კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 22 ივლისის განჩინება;
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სასამართლო ხარჯების გადახდისაგან გათავისუფლების საფუძვლები

განჩინება

№ას-43-37-2010 7 მარტი, 2011 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: საქმის წარმოების განახლება

აღწერილობითი ნაწილი:

2010 წლის 11 აგვისტოს ზუგდიდის რაიონულ სასამართლოს განცხადებით მიმართა მ. მ-მემ. განმცხადებელმა მოითხოვა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 7 ივნისის განჩინებაზე საქმის წარმოების განახლება.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 12 აგვისტოს განჩინებით მ. მ-მეს უარი ეთქვა განცხადების მიღებაზე.

ზემოაღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა მ. მ-მემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 13 ოქტომბრის განჩინებით მ. მ-მის კერძო საჩივარი დარჩა განუხილველად.

2010 წლის 15 ნოემბერს მ. მ-მემ განცხადებით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა ამავე სასამართლოს 2010 წლის 13 ოქტომბრის განჩინების გაუქმება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო და საქმის წარმოების განახლება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 20 დეკემბრის განჩინებით მ. მ-ძის განცხადება დატოვებულ იქნა განუხილველად.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ 2010 წლის 1 დეკემბრის განჩინებით მ. მ-ძის განცხადებას დაუდგინდა ხარვეზი, კერძოდ, მის ავტორს დაევალა განჩინების ასლის ჩაბარებიდან 5 დღეში გადაეხადა 100 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟი და გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი წარედგინა სასამართლოში. ამასთან, განმცხადებელს განემარტა, რომ დანიშნულ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩებოდა განუხილველად. ხარვეზის შესახებ განჩინების ასლი მ. მ-ძეს გაეგზავნა და პირადად ჩაბარდა კანონით დადგენილი წესით 2010 წლის 8 დეკემბერს. შესაბამისად, მას ხარვეზის შევსებისათვის ვადა ჰქონდა 2010 წლის 13 დეკემბრის ჩათვლით. აღნიშნულ ვადაში განმცხადებელს ხარვეზი არ შეუვსია, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე, 374-ე მუხლების საფუძველზე წარმოადგენდა განცხადების განუხილველად დატოვების წინაპირობას.

ამასთან, სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, მ. მ-ძის მიერ ხარვეზის შევსების მიზნით 2010 წლის 17 დეკემბერს წარდგენილი განცხადება არ შეიძლებოდა მიჩნეულიყო ხარვეზის შევსებად. მითითებული განცხადება შეიცავდა შუამდგომლობას სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების თაობაზე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე და 228-ე მუხლების საფუძველზე. დასახელებული საპროცესო ნორმები სრულიად არ შეეხება სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების საკითხს და კონკრეტულ შემთხვევაში მათზე მითითება სასამართლოს მოსაზრებით გაუგებარი იყო. შუამდგომლობაზე თანდართულ სოციალური მომსახურების სააგენტოს ზუგდიდის მომსახურების ცენტრის 24.11.2010წ. №... ცნობასთან მიმართებით კი სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა შემდეგი: ამ ცნობით დგინდება, რომ მ. მ-ძე რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში, მაგრამ არ არის დაანგარიშებული მისი სარეიტინგო ქულა, რაც განხორციელდება კანონმდებლობით დადგენილ ვადაში. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, დასახელებული დოკუმენტი არ შეიძლებოდა გამხდარიყო განმცხადებლის სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების საფუძველი, რამდენადაც მხარის სარეიტინგო ქულის წინასწარ განსაზღვრა, ბუნებრივია, რომ გამოირიცხებოდა.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მ. მ-ძეს 2010 წლის 1 დეკემბრის განჩინებით დადგენილი ხარვეზი არ შეუვსია, განმცხადებელს არ აღმოუფხვრია ის გარემოებები, რაც სასამართლოს საშუალებას მისცემდა განცხადება საქმის წარმოების განახლებაზე დასაშვებად ეცნო.

სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 20 დეკემბრის განჩინება მ. მ-ძემ კერძო საჩივრით გაასაჩივრა. მან მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების დაკმაყოფილება.

კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, ხარვეზის შეუვსებლობის (სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობის) გამო მისი განცხადების განუხილველად დატოვების საფუძველი არ არსებობდა, ვინაიდან იგი განთავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46.1 მუხლის «გ» და «დ» ქვეპუნქტების, «სახელმწიფო ბაჟის შესახებ» საქართველოს კანონის 5.1 მუხლის «ა» და «მ» ქვეპუნქტების თანახმად, ასევე არსებობდა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან მისი განთავისუფლების საფუძველი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47.1 მუხლის მიხედვით, რაც არ გაითვალისწინა სააპელაციო სასამართლომ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძველების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მ. მ-ძის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად უნდა დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 20 დეკემბრის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

გასაჩივრებული განჩინებით მ. მ-ძის განცხადების განუხილველად დატოვებას საფუძველად დაედო ის გარემოება, რომ განმცხადებელმა არ შეავსო სასამართლოს მიერ დანიშნული ხარვეზი, კერძოდ, არ გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 425-ე მუხლის თანახმად, გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანა და მისი განხილვა წარმოებს საერთო წესების დაცვით, იმ გამონაკლისების გათვალისწინებით, რომლებიც ამ თავშია დადგენილი.

ამავსე კოდექსის 38-ე მუხლის «კ» ქვეპუნქტისა და 39-ე მუხლის პირველი ნაწილის «ვ» ქვეპუნქტის თანახმად, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადებაზე სახელმწიფო ბაჟის ოდენობა შეადგენს – თუ განმცხადებელი ფიზიკური პირია 100 ლარს, ხოლო თუ განმცხადებელი იურიდიული პირია – 300 ლარს.

ამდენად, საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების დასაშვებობის ერთ-ერთი წინაპირობაა სახელმწიფო ბაჟის წინასწარ გადახდა. იმ შემთხვევაში, თუ საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადებაზე არ არის გადახდილი სახელმწიფო ბაჟი, სასამართლო განმცხადებელს უნიშნავს ვადას ხარვეზის შესავსებად. თუ დანიშნულ ვადაში ხარვეზი არ შეივსება, განცხადება აღარ დაიშვება (სსსკ-ის 427-ე მუხლი).

მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 1 დეკემბრის განჩინებით მ. მ-ძის განცხადებას დაუდგინდა ხარვეზი, კერძოდ მას დაევა-ლა 5 დღის ვადაში 100 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადახდა. დადგენილია ასევე, რომ განმცხადებელს ხარვეზი არ შეუვსია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ მართებულად დატოვა განუხილველად მ. მ-ძის განცხადება, ვინაიდან სასამართლოს მიერ დანიშნული ხარვეზის შეუვსებლობა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 427-ე და 429-ე მუხლების მიხედვით, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების განუხილველად დატოვების საფუძველია.

კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, მის განცხადებაზე ხარვეზის დადგენის საფუძველი არ არსებობდა, ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «გ» და «დ» პუნქტების თანახმად, იგი გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის ავტორის ხსენებულ მოსაზრებას არ იზიარებს და აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46.1 მუხლის თანახმად, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან თავისუფლდებიან: გ) მოსარჩელები – დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურების სარჩელებზე; დ) მხარეები უკანონო მსჯავრდების, სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის, აკვეთის ღონისძიებად დაპატიმრების უკანონოდ გამოყენების ან გამასწორებელ სამუშაოთა სახით ადმინისტრაციული სახდელის უკანონოდ დადების შედეგად მოქალაქისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურებასთან დაკავშირებულ სარჩელებზე. მოცემულ შემთხვევაში განმცხადებელი საქმის წარმოების განახლებას მოითხოვს საქმეზე, სადაც მისი სარჩელის დავის საგანი იყო სს «მ-ის» დირექტორის 2009 წლის 4 მარტის და 3 სექტემბრის ბრძანებების ბათილად ცნობა, რომლებითაც განმცხადებელს ჯერ შეუჩერდა შრომითი ურთიერთობა გარკვეული ვადით, ხოლო შემდეგ გაუგრძელდა შრომითი ურთიერთობის შეჩერების ვადა. ამდენად, მ. მ-ძის სარჩელი არ მიეკუთვნება იმ სარჩელთა კატეგორიას, რომლებიც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46.1 მუხლის «გ» და «დ» ქვეპუნქტების თანახმად გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან. შესაბამისად, არც საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადებაზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან მისი გათავისუფლების საფუძველი არ არსებობს.

კერძო საჩივრის ავტორი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების საფუძველად უთითებს ასევე «სახელმწიფო ბაჟის შესახებ» საქართველოს კანონის 5.1 მუხლის «ა» ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან თავისუფლდებიან ფიზიკური პირები – სარჩელებზე ხელფასის გადახდევინების შესახებ და სხვა მოთხოვნებზე შრომის ანაზღაურების თაობაზე, რომლებიც გამომდინარეობს შრომის სამართლებრივი ურთიერთობიდან.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არც მითითებული კანონის მიხედვით არსებობს მ. მ-ძის სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების საფუძველი, ვინაიდან მისი სარჩელის დავის საგანი არ არის ხელფასის გადახდევინება ან სხვა მოთხოვნები შრომის ანაზღაურების თაობაზე, რომლებიც გამომდინარეობს შრომის სამართლებრივი ურთიერთობიდან.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს ასევე კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ იგი გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან «სახელმწიფო ბაჟის შესახებ» საქართველოს კანონის 5.1 მუხლის «მ» ქვეპუნქტის თანახმად, რომლის დამადასტურებელი მტკიცებულებაც მან წარუდგინა სააპელაციო სასამართლოს.

«სახელმწიფო ბაჟის შესახებ» საქართველოს კანონის 5.1 მუხლის «მ» ქვეპუნქტის მიხედვით, სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან თავისუფლდება სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული პირი, რომლის ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებელი ტოლია ან ნაკლებია საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ ზღვრულ ქულაზე.

«სოციალური დახმარების შესახებ» საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის №145 დადგენილების მე-7 მუხლის თანახმად, საარსებო შემწეობის მისაღები ზღვრული ქულა არის 57001.

ზემოაღნიშნულ ნორმათა მიხედვით, სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან თავისუფლდებიან ის პირები, რომელთა ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებელი საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი ზღვრული ქულის – 57001-ის ტოლია ან ნაკლებია მასზე.

მოცემულ შემთხვევაში განმცხადებლის მიერ სააპელაციო სასამართლოში წარდგენილი იყო ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის შესახებ, რომლის თანახმად, განმცხადებლის ოჯახის სარეიტინგო ქულა (სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებელი) შეადგენდა 66200-ს. შესაბამისად, იგი არ ექვემდებარებოდა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებას «სახელმწიფო ბაჟის შესახებ» საქართველოს კანონის 5.1 მუხლის «მ» ქვეპუნქტის მიხედვით.

აღნიშნული მსჯელობის საწინააღმდეგოდ, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მითითებას «სახელმწიფო ხარჯზე იურიდიული დახმარების მისაღებად ზღვრული ქულის განზღვევის შესახებ» საქართველოს მთავრობის 2008 წლის 24 ოქტომბრის №212 დადგენილებაზე, რომლის 1-ელი პუნქტის თანახმად, «იურიდიული დახმარების შესახებ» საქართველოს კანონის მე-2 მუხლის «ზ» ქვეპუნქტის საფუძველზე, პირი გადახდისუუნაროდ ითვლება და სახელმწიფოს ხარჯზე იურიდიული დახმარე-

ბით სარგებლობის უფლება ენიჭება, თუ იგი არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრი, რომლის სარეიტინგო ქულა ტოლია ან ნაკლებია **70000**-ზე.

მითითებული დადგენილების შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ ამ დადგენილების საფუძველზე გადახდისუუნაროდ მიჩნეულ პირს უფლება ენიჭება ისარგებლოს იურიდიული დახმარებით სახელმწიფოს ხარჯზე. იურიდიული დახმარების სახეებს, რომლებითაც სარგებლობის უფლება ენიჭება გადახდისუუნარო პირს, განსაზღვრავს «იურიდიული დახმარების შესახებ» საქართველოს კანონის მე-3 მუხლი. კერძოდ, ამ ნორმის თანახმად, ამ კანონის მიზნებისათვის, იურიდიული დახმარების სახეებია: ა) სამართლებრივი დოკუმენტების შედგენა; ბ) ბრალდებულისა და მსჯავრდებულის ინტერესების დაცვა სისხლის სამართლის პროცესში; გ) დაზარალებულის დაცვა სისხლის სამართლის პროცესში საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ, სახელმწიფოს ხარჯზე დაცვის განხორციელების შემთხვევებში; დ) წარმომადგენლობა სასამართლოში ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებით; ე) წარმომადგენლობა ადმინისტრაციულ ორგანოში. ამდენად, ხსენებული კანონის მიხედვით, იურიდიული დახმარება სახელმწიფოს ხარჯზე არ გულისხმობს ამ კანონის მიზნებისათვის გადახდისუუნაროდ მიჩნეული პირის გათავისუფლებას სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან. შესაბამისად, უსაფუძველოა კერძო საჩივრის ავტორის მითითება საქართველოს მთავრობის ზემოაღნიშნულ დადგენილებაზე, ვინაიდან იგი არ ადგენს გადახდისუუნარო პირის სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების საფუძველებს.

გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი ვერ გახდება ის გარემოება, რომ კერძო საჩივარს ერთვის ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის შესახებ, რომლის თანახმად, განმცხადებლის ოჯახის სარეიტინგო ქულა (სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებელი) შეადგენს **48630**-ს. მართალია, ასეთი სარეიტინგო ქულა პირს ათავისუფლებს სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან «სახელმწიფო ბაჟის შესახებ» საქართველოს კანონის **5.1** მუხლის «მ¹» ქვეპუნქტის მიხედვით, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მ. მ-მეს აღნიშნული სარეიტინგო ქულა მიენიჭა **2010** წლის **24** დეკემბერს, მისი განცხადების განუხილველად დატოვების შემდეგ, ამ დრომდე კი მისი სარეიტინგო ქულა შეადგენდა **66200**-სს, რაც არ იძლეოდა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან განმცხადებლის გათავისუფლების შესაძლებლობას.

კერძო საჩივრის ავტორს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში არსებობდა საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადებაზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან მისი გათავისუფლების საფუძველი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **47**-ე მუხლის მიხედვით.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო სამართალწარმოების დაწყებისათვის, მოცემულ შემთხვევაში საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების წარმოებაში მიღებისათვის, სახელმწიფო ბაჟის გადახდა კანონითაა გათვალისწინებული. კანონი განსაზღვრავს ასევე, თუ რა შემთხვევაში შეუძლია სასამართლოს მხარის გათავისუფლება სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან. აღნიშნულ საკითხს აწესრიგებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **47.1** მუხლი, რომლის თანახმად, სასამართლოს, მოქალაქის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, თუ მოქალაქე დაასაბუთებს სასამართლო ხარჯების გადახდის შეუძლებლობას და სასამართლოს წარუდგენს უტყუარ მტკიცებულებებს, შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ გაათავისუფლოს იგი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე კოდექსის **102**-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს, ხოლო ამავე კოდექსის **103**-ე მუხლის **1**-ლი ნაწილის თანახმად, მტკიცებულებებს სასამართლოს წარუდგენენ მხარეები. სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა არ განსაზღვრავს, თუ რომელი კონკრეტული მტკიცებულების წარდგენა შეიძლება გახდეს სასამართლო ხარჯების გადახდისაგან მხარის გათავისუფლების საფუძველი. სასამართლო ხარჯების გადახდისაგან გათავისუფლების თაობაზე შუამდგომლობის აღმძვრელმა პირმა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, თავად უნდა უზრუნველყოს სასამართლოსათვის იმ უტყუარი მტკიცებულებების წარდგენა, რომლებიც მის გადახდისუუნარობას დაასაბუთებს. მხარის მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **105**-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სასამართლო აფასებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. მოცემულ შემთხვევაში, განმცხადებლის გადახდისუუნარობის დასაბუთებლად საპალატო სასამართლომ საკმარისად არ მიიჩნია ამ უკანასკნელის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები (ცნობა მეუღლის ავადმყოფობის შესახებ; ცნობა სს «მ-იდან» **68** ლარის ოდენობით ხელფასის მიღების თაობაზე), რასაც იზიარებს საკასაციო სასამართლოც, ვინაიდან ეს მტკიცებულებები არასაკმარისია განმცხადებლის რეალური ქონებრივი მდგომარეობის დასადგენად, ისინი სასამართლოს არ უქმნიან რწმენას, რომ განმცხადებელს მძიმე ქონებრივი მდგომარეობის გამო არ შეუძლია გადაიხადოს სახელმწიფო ბაჟი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი დაუსაბუთებელია, რის გამოც გასაჩივრებული განჩინება უცვლელად დატოვებას ექვემდებარება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე-420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მ. მ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 20 დეკემბრის განჩინება.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სასამართლო ხარჯების გადახდისაგან გათავისუფლების საფუძველები

განჩინება

№ას-1209-1229-2011

3 ნოემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: **ბ. ალავეძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**

ვ. როინიშვილი,

პ. ქათამაძე

დავის საგანი: სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანების ანაზღაურება, იპოთეკით უზრუნველყოფილი ქონების რეალიზაცია

აღწერილობითი ნაწილი:

სს «... ბანკმა» სარჩელი აღძრა სასამართლოში თ., გ., თრ. გ-ების, ნ. ბ-ისა და გ. ს-ის მიმართ გ. გ-ისა და გ. ს-ისათვის 12 000 ლარის სოლიდარულად, გ. გ-ისათვის 26 246.08 ლარის დაკისრების მოთხოვნით, დავალიანების დაფარვის მიზნით, მოსარჩელემ ასევე მოითხოვა ქარელის რაიონის სოფელ რ-ში მდებარე, იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების (სკადასტრო კოდი - ...) რეალიზება, ხოლო იპოთეკის საგნის რეალიზაციით მიღებული თანხით მოთხოვნის არასრულად უზრუნველყოფის შემთხვევაში, სს «... ბანკმა» ასევე მოითხოვა გ. გ-ისა და გ. ს-ის სხვა უძრავ-მოდრავი ქონების რეალიზაცია.

მოპასუხეებმა ფაქტობრივ გარემოებებს დაეთანხმნენ და სარჩელი ნაწილობრივ ცნეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილებით სს «... ბანკის» სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხეებს: გ. გ-სა და გ. ს-ს სს «... ბანკის» სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ კრედიტის ძირითადი თანხის - 4 236,46 ლარის, დარიცხული პროცენტის - 4 474,55 ლარისა და ჯარიმის - 295,3 ლარის გადახდა, დავალიანების დასაფარად სარეალიზაციოდ მიექცა ქარელის რაიონის სოფელ რ-ში მდებარე, იპოთეკით დატვირთული გ. გ-ის, თ. გ-ის, თრ. გ-ის, ნ. ბ-ის კუთვნილი მიწის ნაკვეთი და საცხოვრებელი სახლი (უძრავი ქონების რეგისტრაციის ნომერი №...), დანარჩენ ნაწილში მოსარჩელეს უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სარგებლის - 4 475.55 ლარისა და ჯარიმის - 295.3 ლარის, ასევე სასამართლო ხარჯების მოსარჩელის სასარგებლოდ დაკისრების ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მოპასუხეებმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 21 ივლისის განჩინებით თ., გ., თრ. გ-ების, ნ. ბ-ისა და გ. ს-ის სააპელაციო საჩივარი დატოვებულ იქნა განუხილველად შემდეგი დასაბუთებით:

სასამართლომ მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ სააპელაციო პალატის 2011 წლის 10 ივნისის განჩინებით სააპელაციო საჩივრის ავტორებს, დაუდგინდათ ხარვეზი და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნის შესაბამისად, განესაზღვრათ გონივრული ვადა განჩინების ასლის ჩაბარებიდან 10 კალენდარული დღე მის შესავსებად. ამავე სასამართლოს 2011 წლის 5 ივლისის განჩინებით აპელანტებს ხარვეზის აღმოსაფხვრელად გაუგრძელდათ ვადა 5 დღით. ზემოაღნიშნული განჩინება ადრესატებს გაეგზავნათ და ჩაბარდათ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით 2011 წლის 9 ივლისს, ხოლო მათ მიერ ხარვეზი არ იქნა შევსებული საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. პალატამ მიუთითა 2011 წლის 13 ივლისს გ. გ-ის მიერ ხარვეზის შევსების მიზნით წარმოდგენილ თ. გ-ის ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანის №... მოწმობაზე და განმარტა, რომ მოცემული დავის საგანს წარმოადგენს რა დავალიანების გადახდა და იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზა-

ცია, «სახელმწიფო ბაჟის შესახებ» საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის «რ» ქვეპუნქტის შესაბამისად აპელანტები სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან ვერ გათავისუფლდებიან.

სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 368-ე მუხლის მე-5 ნაწილით და ჩათვალა, რომ თ., გ., თრ. გ-ების, ნ. ბ-ის და გ. ს-ის სააპელაციო საჩივარი დატოვებულ უნდა იქნეს განუხილველად სასამართლოს მიერ განსაზღვრულ საპროცესო ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის გამო, რადგანაც სახეზე არ არის სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის პროცესუალური წინაპირობა.

სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანეს თ., გ., თრ. გ-ებმა, ნ. ბ-ემ და გ. ს-მა, მოითხოვეს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ხელახლა შესამოწმებლად საქმის იმავე სასამართლოსათვის დაბრუნება შემდეგი დასაბუთებით:

სააპელაციო სასამართლომ სახელმწიფო ბაჟის გადახდის დაკისრებისას არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ მხარეები დაზარალებული არიან რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად, მათ ვერ მიიღეს მოსავალი, რის გამოც სს «... ბანკიდან» აიღეს სესხი. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ნ. ბ-ე ონკოლოგიური დაავადებითაა დაავადებული, ხოლო თ. გ-ი – მეორე მსოფლიო ომის მონაწილე ვეტერანია. ამ გარემოებითაა გათვალისწინებით, სასამართლოს აპელანტები სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან უნდა გაეთავისუფლებინა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 26 სექტემბრის განჩინებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და 416-ე მუხლის შესაბამისად, კერძო საჩივრის შეტანისათვის დადგენილი 12-დღიანი საპროცესო ვადის დარღვევის გამო ნ. ბ-ისა და გ. ს-ის პრეტენზიის ნაწილში მოცემული კერძო საჩივარი დატოვებულ იქნა განუხილველად, ხოლო ამავე პალატის 2011 წლის 18 ოქტომბრის განჩინებით თ., გ. და თრ. გ-ების პრეტენზიის ნაწილში მიღებულ იქნა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების ანალიზის, საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ თ., გ. და თრ. გ-ების კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

საქმის მასალების შესწავლით დასტურდება შემდეგი გარემოებები: სააპელაციო საჩივრის წარდგენისას აპელანტებმა განმარტეს, რომ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებული არიან «სახელმწიფო ბაჟის შესახებ» საქართველოს კანონით, რადგანაც თ. გ-ი ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანია, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 10 ივნისის განჩინებით სააპელაციო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი და აპელანტებს დაევალიათ სააპელაციო საჩივრის საგნის ღირებულების 4%-ის – 190.79 ლარის სახელმწიფო ბიუჯეტში ჩარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა. აღნიშნული საპროცესო მოქმედების შესრულების ვადა 10 დღით განისაზღვრა.

2011 წლის 5 ივლისის განჩინებით პალატამ არ გაიზიარა თრ. და თ. გ-ების მოსაზრება, რომ თ. გ-ი ინვალიდია და «სახელმწიფო ბაჟის შესახებ» საქართველოს კანონით სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებულია, ამასთან, ვინაიდან სადავო სამართლებრივი ურთიერთობა სოლიდარულია თ. გ-ის სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლება სხვა აპელანტების გათავისუფლების საფუძველიცაა. აღნიშნული მოსაზრების საპირისპიროდ სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ საქმის მასალებით დასტურება არა თ. გ-ის ინვალიდობის, არამედ ომის ვეტერანობის ფაქტი, რაც განსახილველი დავის საგნის გათვალისწინებით, «სახელმწიფო ბაჟის შესახებ» საქართველოს კანონის «რ» ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების საფუძველს არ წარმოადგენდა, აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ აპელანტებს კვლავ გაუგრძელა საპროცესო ვადა სააპელაციო საჩივარზე დადგენილი ხარვეზის გამოსწორებისათვის. დადგენილ ვადაში სასამართლოს განცხადებით მხოლოდ გ. გ-მა მიმართა და კვლავ წარადგინა თ. გ-ის ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანის, ასევე თ. გ-ის პირადობის მოწმობის ასლები.

საკასაციო პალატა სავსებით ეთანხმება გასაჩივრებული განჩინების მსჯელობას, რომ სასამართლომ ხარვეზი სააპელაციო საჩივარს სწორად დაუდგინა მხარეებს მისცა საკმარისი ვადა მისი გამოსწორებისათვის. ასევე სწორია სასამართლოს მსჯელობა «სახელმწიფო ბაჟის შესახებ» საქართველოს კანონის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის «რ» ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებაზე უარის თქმის თაობაზე.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 52-ე მუხლით დადგენილია სასამართლო ხარვეზის შეტანის ვალდებულება და კანონდებელმა დააწესა შემდეგი: სასამართლო ხარვეზი (სახელმწიფო ბაჟი და საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარვეზი), კანონით გათვალისწინებული შემ-

თხვევების გარდა, წინასწარ შეაქვს მხარეს, რომელმაც შესაბამისი საპროცესო მოქმედების შესრულება მოითხოვა. თუ ასეთი მოქმედების შესრულება სასამართლოს ინიციატივით ხდება, მაშინ ეს თანხა ორივე მხარეს შეაქვს თანაბარწილად.

დასახელებული ნორმიდან გამომდინარე, სასამართლო ვალდებულია, საქმის განხილვა დაიწყო მხოლოდ სარჩელის, სააპელაციო საჩივრის თუ საკასაციო საჩივრის კანონთან სხვა ფორმალური შესაბამისობის დადგენის საკითხის გადაწყვეტასთან ერთად, გამოიკვილოს არის თუ არა გადახდილი სახელმწიფო ბაჟი, ამ მოთხოვნათა დაკმაყოფილების შემდეგ, საქმის არსებითად გადაწყვეტისას, სასამართლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით საბოლოოდ გაანაწილებს სასამართლო ხარჯებს მხარეთა შორის მოთხოვნის დაკმაყოფილების პროპორციულად.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის საფუძველს, რომ სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა ის გარემოება, რომ აპელანტები რუსეთ-საქართველოს ომით დაზარალებული პირები არიან და გაეთავისუფლებინა ისინი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, რადგანაც, სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გაეთავისუფლების საკითხის განხილვისას, თუ საქმის მასალებით არ დასტურდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლითა და «სახელმწიფო ბაჟის შესახებ» საქართველოს კანონის მე-5 მუხლით განსაზღვრული წინაპირობების არსებობა, სახელმწიფო ბაჟის წინასწარ გადახდასთან მიმართებაში სასამართლო ყოველთვის ხელმძღვანელობს მხარის შუამდგომლობის საფუძველიანობითა და ამ შუამდგომლობის დასაბუთებულობით, კერძოდ, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს, ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით. საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით (სსკ 102-ე მუხლი). ამასთანავე, სასამართლო მხარის ქონებრივი მდგომარეობის გამო სასამართლო ხარჯებისაგან გადახდის გაეთავისუფლების საკითხს წყვეტს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, რომლითაც დადგენილია, რომ სასამართლოს, მოქალაქის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, თუ მოქალაქე დასაბუთებულ სასამართლო ხარჯების გადახდის შეუძლებლობას და სასამართლოს წარუდგენს უტყუარ მტკიცებულებებს, შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ გაათავისუფლოს იგი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან, რის თაობაზეც მოსამართლეს გამოაქვს მოტივირებული განჩინება, კანონის მითითებული ნორმა მოიცავს იმ ელემენტებს, რომელთა ერთობლიობა უზრუნველყოფს სასამართლოს ხელმისაწვდომობასა და მართლმსაჯულების სამართლიან განხორციელებას. პირის უფლების შეზღუდვა ამ უფლებასა და სახელმწიფო ინტერესებს შორის დასაშვებია სამართლიანი ბალანსის შემთხვევაში. ამგვარი ბალანსი საქართველოს კანონმდებლობით დაცულია, კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსით, დაშვებულია რა კონკრეტული შეზღუდვა სამოქალაქო სამართლებრივი უფლებების სასამართლო წესით დაცვისას (სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულება), ასევე გათვალისწინებულია სამართლებრივი მექანიზმები ყველა კატეგორიის პირებისათვის სასამართლოსადმი მიმართვის უფლების უზრუნველსაყოფად. აღნიშნულს ადასტურებს სასამართლოს უფლება, ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯებისაგან გაათავისუფლოს მოქალაქე (სსკ 47-ე მუხლი), აგრეთვე, მხარეს შეუმციროს ასეთი ხარჯები ან გადაუვადოს მისი გადახდა (სსკ 48-ე მუხლი). სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლება არ არის სრული და შეიძლება ექვემდებარებოდეს შეზღუდვას, ვინაიდან ხელმისაწვდომობის უფლება თავისი მრავალფეროვანი ბუნებით მოითხოვს სახელმწიფოს მხრიდან რეგულირებას, ამავდროულად, სასამართლო დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ამ უფლების არსი არ იქნება გაუარესებული და რომ გამოსაყენებელი ფარგლები არ ზღუდავს და არ ამცირებს ფიზიკური პირების ხელმისაწვდომობის უფლებას. ამასთან, კანონმდებლობით დადგენილი და გათვალისწინებული გამონაკლისები (სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლება, მისი ოდენობის შემცირება ან გადახდის გადავადება) დასაშვებია მხოლოდ ქონებრივი მდგომარეობის უტყუარად დადასტურების შემთხვევაში, კერძოდ, შუამდგომლობის ავტორი მხარე ვალდებულია, სასამართლოს წინაშე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით, სათანადო მტკიცებულებების წარდგენის გზით დაადასტუროს მისი მძიმე ქონებრივი მდგომარეობა, რათა სასამართლოს გაუჩნდეს მყარი შინაგანი რწმენა, რომ მხარეს არ შეუძლია გადაიხადოს სახელმწიფო ბაჟი და კანონით გათვალისწინებული შეღავათების გამოყენებლობა გამოიწვევს მხარის სადავოდ ქცეული უფლების სასამართლო წესით დაცვის მიღმა დატოვებას.

საქმეში წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის შესწავლის საფუძველზე, პალატა ასკვნის, რომ მხარეებს სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლება ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით არ მოუთხოვიათ და ამ მიმართებით რაიმე მტკიცებულება, რაც მათ რთულ ეკონომიკურ მდგომარეობას დაადასტურებდა, არ წარუდგენიათ, რის გამოც სასამართლო კერძო საჩივარში მითითებული მხარის ქონებრივი მდგომარეობის საკუთარი ინიციატივით გამოკვლევას ვერ განახორციელებდა. ის ფაქტი, რომ თ. გ-ი ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანია, თანახმად «სახელმწიფო ბაჟის შესახებ» საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის «რ» ქვეპუნქტისა, როგორც უკვე განიმარტა, სახელმწიფო ბაჟის წინასწარ გადახდის ვალდებულებისაგან აპელანტთა გათავისუფლების საფუძველს არ წარმოდგენდა, საწინააღმდეგო შემთხვევაშიც

კი, თუ ერთ-ერთი მათგანი კანონით ან სასამართლოს ინიციატივით ისარგებლებდა გარკვეული შეღავათით, აღნიშნული ფაქტი სხვათა გათავისუფლებისა და სხვა აპელანტთა პრეტენზიის ნაწილში სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების წინაპირობად არ იქნებოდა მიჩნეული რადგანაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ასეთ შესაძლებლობას არ ითვალისწინებს, უფრო მეტიც, ამავე კოდექსის 47-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ერთი მხარის განთავისუფლება სასამართლო ხარჯების გადახდისაგან მეორე მხარის სასამართლო ხარჯების გადახდის ვალდებულებებზე გავლენას არ ახდენს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ თ., გ. და თრ. გ-ების კერძო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს, ამასთან გასაჩივრებული განჩინებით სააპელაციო სასამართლომ სწორად განმარტა კანონი, რის გამოც არ არსებობს მისი გაუქმების წინაპირობები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. თ., გ. და თრ. გ-ების კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 21 ივლისის განჩინება დარჩეს უცვლელად.
3. კერძო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.
4. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სასამართლო ხარჯების გადახდის გადავადება

განჩინება

№ას-1305-1150-2010 14 თებერვალი, 2011 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა სს «... ბანკმა» მოპასუხეების – შპს «ვ-სა» და მ. ა-ძის მიმართ და მოითხოვა: ა. შპს «ვ-სათვის» მის სასარგებლოდ 147725 აშშ დოლარის დაკისრება, მათ შორის: საკრედიტო დავალიანების ძირითადი თანხა – 95000 აშშ დოლარი, ერთი თვის სარგებელი – 1425 აშშ დოლარი, მიუღებელი შემოსავალი – 51300 აშშ დოლარი; ბ. გადაწყვეტილებით დაკისრებული თანხის ანაზღაურების განხორციელება მ. ა-ძის კუთვნილი იპოთეკით დატვირთული ქონების, თბილისში, ... ქუჩის №40 კორპუსში მდებარე №65 ბინის აუქციონზე რეალიზაციის გზით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილებით სს «... ბანკის» სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, შპს «ვ-ს» მოსარჩელის სასარგებლოდ გადასახდელად დაეკისრა: ა. საკრედიტო დავალიანების ძირითადი თანხა – 95000 აშშ დოლარი; ბ. სარგებელი – 1425 აშშ დოლარი; გ. მიუღებელი შემოსავალი – 1081.4 აშშ დოლარი, მთლიანობაში 97506.4 აშშ დოლარი. ამასთან, დადგინდა, რომ გადაწყვეტილებით დაკისრებული თანხის ანაზღაურება განხორციელებულიყო მ. ა-ძის კუთვნილი იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების, თბილისში, ... ქუჩის №40 კორპუსში მდებარე №65 ბინის (წილობრივი მონაცემებით 32,00/3163,00) აუქციონზე რეალიზაციის გზით. დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

დასახელებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს შპს «ვ-მ» და მ. ა-ძემ, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება. აპელანტებმა იშუამდგომლეს სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების თაობაზე, რაც იმით დაასაბუთეს, რომ შპს «ვ.» იყო შემოსავლების არმქონე, მ. ა-ძე კი უმუშევარი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 5 ნოემბრის განჩინებით შპს «ვ-სა» და მ. ა-ძის შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების თაობაზე არ დაკმაყოფილდა, სააპელაციო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი, კერძოდ, აპელანტებს დავალათ: დაეზუსტებინათ მოთხოვნა და ამ განჩინების ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში განემარტათ ახალი გადაწყვეტილების მიღებით რა მოთხოვნის დაკმაყოფილება სურდათ მათ, აგრეთვე, გადაეხადათ სახელმწიფო ბაჟი დავის საგნის ღირებულების 4%-ის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 150 ლარისა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 29 ნოემბრის განჩინებით შპს «ვ-სა» და მ. ა-ძის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად ხარვეზის შეუვსებლობის გამო.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმის მასალების თანახმად 2010 წლის 5 ნოემბრის განჩინება სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის დადგენის შესახებ შპს «ვ.-ს» ჩაჰბარდა 2010 წლის 10 ნოემბერს, ხოლო მ. ა-ძის მეუღლე ე. წ-ულს – 15 ნოემბერს. აღნიშნულის გათვალისწინებით, აგრეთვე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 60.2 მუხლიდან გამომდინარე, ხარვეზის შევსების 5-დღიანი ვადის ათვლა შპს «ვ.-სათვის» დაიწყო 2010 წლის 11 ნოემბრიდან, ხოლო მ. ა-ძისათვის – 2010 წლის 16 ნოემბრიდან, რომელიც პირველ შემთხვევაში ამოიწურა 2010 წლის 15 ნოემბერს, ხოლო მეორე შემთხვევაში – 2010 წლის 22 ნოემბერს.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მე-5 ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი არ პასუხობს ამ მუხლით დადგენილ მოთხოვნებს ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი აღარ მიიღება და დარჩება განუხილველი.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ვინაიდან აპელანტებმა სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზი არ გამოასწორეს, ამიტომ მათი სააპელაციო საჩივარი განუხილველად დატოვებას ექვემდებარებოდა.

სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა მ. ა-ძემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის განსახილველად სააპელაციო სასამართლოსათვის დაბრუნება.

კერძო საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ სასამართლოსადმი მიმართვის უფლება გარანტირებულია და მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლზე. კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, სასამართლომ კონსტიტუციით უნდა იხელმძღვანელოს და მხარეს უნდა მისცეს შესაძლებლობა განიხილოს მისი საქმე. კერძო საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს შეეძლო მისთვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადება, მაგრამ ეს არ გააკეთა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ მ. ა-ძის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 29 ნოემბრის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია, რომ სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 5 ნოემბრის განჩინებით აპელანტ მ. ა-ძის სააპელაციო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი, კერძოდ, აპელანტს დაევალა სააპელაციო მოთხოვნის დაზუსტება და სახელმწიფო ბაჟის გადახდა. აღნიშნული განჩინება კანონით დადგენილი წესით ჩაბარდა აპელანტს, რომელსაც დადგენილ ვადაში ხარვეზი არ შეუვსია და არც რაიმე შუამდგომლობით მიუმართავს სასამართლოსათვის.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ განსახილველ შემთხვევაში სწორად გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მე-5 ნაწილი, რომლის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი არ უპასუხებს ამ მუხლში ჩამოთვლილ მოთხოვნებს, ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს, შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი აღარ მიიღება. მითითებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ სააპელაციო საჩივრის ხარვეზის არსებობისას სასამართლო საჩივრის ავტორს განუსაზღვრავს ვადას და დაუდგენს იმ საპროცესო მოქმედებებს, რომლებიც აღნიშნული ხარვეზის გამოსწორებისთვის უნდა შესრულდეს. სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველია. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან აპელანტმა სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში არ შეავსო ხარვეზი, ამიტომ მისი სააპელაციო საჩივარი მართებულად იქნა დატოვებული განუხილველად.

კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა მისი შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების თაობაზე, თუმცა არსებობდა ამ შუამდგომლობის დაკმაყოფილების საფუძველი.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო სამართალწარმოების დაწყებისათვის, მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღებისათვის, სახელმწიფო ბაჟის გადახდა კანონითაა გათვალისწინებული. კანონი განსაზღვრავს ასევე, თუ რა შემთხვევაში შეუძლია სასამართლოს მხარისათვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადება. აღნიშნულ საკითხს აწესრიგებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლი, რომლის თანახმად, სასამართლოს, მხარეთა ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, შეუძლია ერთ ან ორივე მხარეს გადაუვადოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდა ანდა შეამციროს მათი ოდენობა, თუ მხარე სასამართლოს წარუდგენს უტყუარ მტკიცებულებებს. ამავე კოდექსის 102-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს, ხოლო 103-ე მუხლის 1-ლი ნაწი-

ლის თანახმად, მტკიცებულებებს სასამართლოს წარუდგენენ მხარეები. მოცემულ შემთხვევაში აპელანტმა ვერ უზრუნველყო თავისი შუამდგომლობის შესაბამისი მტკიცებულებებით დასაბუთება, კერძოდ, იგი სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადებას მოითხოვდა იმ საფუძველით, რომ იყო უმუშევარი, თუმცა აღნიშნული გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულებები მას სასამართლოსათვის არ წარუდგენია.

კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადებაზე უარის თქმით, მას წაერთვა უფლების სასამართლო წესით დაცვის შესაძლებლობა, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლს. აღნიშნულ მოსაზრებას საკასაციო სასამართლო არ იზიარებს და მიიჩნევს, რომ სამოქალაქო სამართალწარმოების დაწყებისათვის კანონით გათვალისწინებული ხარჯების გადახდის მოთხოვნა არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს სასამართლოზე ხელმისაწვდომობის უფლების შეზღუდვად და საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლთან შეუსაბამოდ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი დაუსაბუთებელია, რის გამოც გასაჩივრებული განჩინება გაუქმებას არ ექვემდებარება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე-420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მ. ა-ძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 29 ნოემბრის განჩინება.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სასამართლო ხარჯების გადახდის გადავადება

განჩინება

№ას-122-120-2010

7 მარტი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

აღწერილობითი ნაწილი:

2010 წლის 1 ივლისს ბათუმის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა სს ბანკმა «...მ» მოპასუხეების: ინდემწარმე დ. ყ-ძის, ნ. ყ-ძისა და ამირან შერვაშიძის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა: ა. სს ბანკ «...სა» და ინდემწარმე დ. ყ-ძეს შორის 2008 წლის 23 აპრილს დადებული კრედიტების, ოვერდრაფტებისა და საბანკო გარანტიების გაცემის შესახებ გენერალური ხელშეკრულების შეწყვეტილად აღიარება; ბ. ამავე მხარეებს შორის 2009 წლის 28 ნოემბერს დადებული №... საკრედიტო ხელშეკრულების შეწყვეტილად აღიარება; გ. მოპასუხეების – ინდემწარმე დ. ყ-ძისა და ნ. ყ-ძისათვის სს ბანკ «...» სასარგებლოდ 69087.69 აშშ დოლარის, მოსარჩელის მიერ წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 3910.43 ლარის და იურიდიული მომსახურებისათვის გაწეული ხარჯის (დავის საგნის ღირებულების 4% – 5213.91 ლარი) გადახდის დაკისრება; დ. დავალიანების თანხის გადახდევინების განხორციელება იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონებების: ა. შ-ძის საკუთრებაში არსებული, ხელვაჩაურში, ...-ის მეურნეობაში მდებარე 1268.00 კვ.მ მიწის ნაკვეთისა და დ. ყ-ძის საკუთრებაში არსებული, ხელვაჩაურში, სოფელ მდებარე უძრავი ქონების იძულებით აუქციონზე რეალიზაციის გზით.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 21 სექტემბრის გადაწყვეტილებით სს ბანკი «...» სარჩელი დაკმაყოფილდა: შეწყდა სს ბანკ «...სა» და ინდემწარმე დ. ყ-ძეს შორის 2008 წლის 23 აპრილს დადებული კრედიტების, ოვერდრაფტებისა და საბანკო გარანტიების გაცემის შესახებ გენერალური ხელშეკრულება, აგრეთვე, ამავე მხარეებს შორის 2009 წლის 28 ნოემბერს დადებული №... საკრედიტო ხელშეკრულება; მოპასუხეებს – ინდემწარმე დ. ყ-ძესა და ნ. ყ-ძეს სს ბანკი «...» სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრა 69087.69 აშშ დოლარის გადახდა, მათვე მოსარჩელის სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრა 1955.21 ლარის გადახდა ამ უკანასკნელის მიერ წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის სანაცვლოდ; გარდა ამისა, ინდემწარმე დ. ყ-ძესა და ნ. ყ-ძეს სს ბანკ «...» სასარგებლოდ სოლიდარულად დაე-

კისრათ 1000 ლარის გადახდა ბანკის მიერ წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეული ხარჯის ასანაზღაურებლად. გადაწყვეტილებით დადგინდა დავალიანების თანხის გადახდევინება ინდემწარმე დ. ყ-ძისა და ა. ყ-ძის ქონების და იპოთეკით დატვირთული შემდეგი უძრავი ქონების აუქციონზე რეალიზაციით: ა. შ-ძის საკუთრებაში რეგისტრირებული, ხელვაჩაურის რაიონში, ...-ის მეურნეობაში მდებარე 1268.00 მიწის ნაკვეთი (ქონების მახასიათებლები: ზონა – ხელვაჩაური ..., სექტორი – ..., კვარტალი – ..., ნაკვეთი – ..., დაზუსტებული ფართობი – 1268.00 კვ.მ, ნაკვეთის საკუთრების ტიპი – საკუთრება, ნაკვეთის ფუნქცია – სასოფლო-სამეურნეო, ნაკვეთის წინა ნომერი – ..., მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №...); დ. ყ-ძის საკუთრებაში რეგისტრირებული, ხელვაჩაურის რაიონში, სოფელ მდებარე უძრავი ქონება (ქონების მახასიათებლები: ზონა – ხელვაჩაური ..., სექტორი – ..., კვარტალი – ..., ნაკვეთი – ..., დაზუსტებული ფართობი – 4430.00 კვ.მ, ნაკვეთის საკუთრების ტიპი – საკუთრება, ნაკვეთის ფუნქცია – სასოფლო-სამეურნეო, შენობა-ნაგებობ(ებ)ის საერთო ფართი – 239.60, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი – №...).

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ინდემწარმე დ. ყ-ძემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 8 დეკემბრის განჩინებით ინდემწარმე დ. ყ-ძის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად.

სააპელაციო სასამართლომ სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების ფაქტობრივ საფუძველად მიუთითა შემდეგ გარემოებებზე:

საქმის მასალების თანახმად, ინდემწარმე დ. ყ-ძის სააპელაციო საჩივარი სააპელაციო სასამართლოს წარედგინა ხარვეზით, კერძოდ, აპელანტს არ ჰქონდა გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 2763.48 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის ოდენობით;

სააპელაციო სასამართლომ 2010 წლის 3 ნოემბრის განჩინებით აპელანტს დაავალა აღნიშნული ხარვეზის შევსება, რისთვისაც მას განუსაზღვრა განჩინების ასლის ჩაბარებიდან 5 დღის ვადა. ამასთან, ხარვეზის განჩინებით მხარეს განემარტა, რომ დანიშნულ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის შემთხვევაში სააპელაციო საჩივარი დარჩებოდა განუხილველად;

ხარვეზის შესახებ განჩინების ასლი ინდემწარმე დ. ყ-ძეს გაეგზავნა და ჩაჰბარდა კანონით დადგენილი წესით;

2010 წლის 15 ნოემბერს სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართა ინდემწარმე დ. ყ-ძემ და სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადება მოითხოვა;

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 17 ნოემბრის განჩინებით აპელანტს გადაუვადდა სახელმწიფო ბაჟის ნაწილის, კერძოდ, 1763 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა, ხოლო ხარვეზის შევსებად დაევალა 1000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადახდა; ამ შემთხვევაში ხარვეზის შესავსებად ინდემწარმე დ. ყ-ძეს განესაზღვრა განჩინების ასლის ჩაბარებიდან 5 დღის ვადა, მასვე განემარტა, რომ დანიშნულ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის შემთხვევაში სააპელაციო საჩივარი დარჩებოდა განუხილველად;

2010 წლის 30 ნოემბერს ინდემწარმე დ. ყ-ძემ განცხადებით მიმართა სააპელაციო სასამართლოს და სახელმწიფო ბაჟის მთლიანი ოდენობის გადავადება მოითხოვა.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აპელანტის შუამდგომლობა დაუშვებლობის გამო განხილვას ვერ დაექვემდებარებოდა, რამდენადაც ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 17 ნოემბრის განჩინებით მისი ანალოგიური შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის მთლიანი ოდენობის გადახდის გადავადების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე, 374-ე მუხლებზე, რომელთა თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი არ პასუხობს ამ მუხლის მოთხოვნებს, ასევე არ არის გადახდილი სახელმწიფო ბაჟი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს, თუ ამა ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი არ მიიღება. თუ არ არსებობს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის პირობა, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ხარვეზის შეუვსებლობა, კერძოდ, ინდემწარმე დ. ყ-ძის მიერ სახელმწიფო ბაჟის ნაწილის (1000 აშშ დოლარი) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის სასამართლოსათვის წარუდგენლობა, იძლეოდა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველს.

სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 8 დეკემბრის განჩინება დ. ყ-ძემ კერძო საჩივრით გაასაჩივრა, რომლითაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

კერძო საჩივრის ავტორი ყურადღებას მიაქცევს მის მიერ სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობის (რასაც შედეგად მოჰყვა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვება) მიზეზზე. საჩივარში საუბარია იმაზე, რომ დ. ყ-ძეს გააჩნია სათევზე მეურნეობა. იმისათვის, რომ ოთხი თვის შემდეგ მან აღნიშნული მეურნეობიდან მიიღოს სარგებელი, ამჟამად უწევს გარკვეული თანხების გაღება. აღნიშნულიდან გამომდინარე, კერძო საჩივრის ავტორი ითხოვს სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადებას სწორედ 4 თვით, რის შემდეგაც შეძლებს ამ თანხის ანაზღაურებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ ინდემწარმე დ. ყ-ძის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად უნდა დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 8 დეკემბრის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალების თანახმად, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 3 ნოემბრის განჩინებით ინდემწარმე დ. ყ-ძის სააპელაციო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი, კერძოდ, აპელანტს დაევალა 2763.48 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის სააპელაციო სასამართლოში წარდგენა. ხარვეზის გამოსასწორებლად აპელანტს მიეცა 5 დღის ვადა განჩინების ასლის ჩაბარებიდან.

2010 წლის 15 ნოემბერს დ. ყ-ძემ სააპელაციო სასამართლოში წარდგენილი განცხადებით იშუამდგომლა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების თაობაზე. აღნიშნული განჩინებით აპელანტი სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების საფუძვლის არსებობას ასაბუთებდა იმ გარემოებით, რომ იგი აპირებდა მისი კუთვნილი ქონების გასხვისებას, აქედან მიღებული თანხით კი გადაიხდიდა ვალს და დაფარავდა სასამართლო ხარჯებს.

სააპელაციო სასამართლომ 2010 წლის 17 ნოემბრის განჩინებით ზემომითითებული შუამდგომლობა ნაწილობრივ დააკმაყოფილა, აღნიშნული განჩინებით აპელანტს დავის საბოლოოდ გადაწყვეტამდე გადაუვადდა სახელმწიფო ბაჟის ნაწილის – 1763 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა, ხარვეზის შესავსებად მას დაევალა დარჩენილი 1000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა და გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის სასამართლოსათვის წარდგენა. განჩინებით ხარვეზის გამოსწორების ვადად დადგინდა აპელანტის მიერ განჩინების ასლის ჩაბარებიდან 5 დღე. ამავე განჩინებით აპელანტს განემართა ხარვეზის შეუსრულებლობის შედეგები.

საკითხს იმის შესახებ, თუ რა შემთხვევაშია შესაძლებელი სასამართლოს მიერ მხარისათვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადება, პასუხობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლი. ამ ნორმის თანახმად, სასამართლოს, მხარეთა ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, შეუძლია ერთ ან ორივე მხარეს გადაუვადოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდა ანდა შეამციროს მათი ოდენობა, თუ მხარე სასამართლოს წარუდგენს უტყუარ მტკიცებულებებს. ამავე კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს, ხოლო 103-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, მტკიცებულებებს სასამართლოს წარუდგენენ მხარეები.

სააპელაციო სასამართლომ 2010 წლის 17 ნოემბრის განჩინებით მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში არსებობდა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების შესახებ აპელანტის შუამდგომლობის ნაწილობრივ დაკმაყოფილების საფუძველი. საკასაციო სასამართლო სააპელაციო სასამართლოს აღნიშნულ შეფასებას კანონშესაბამისად მიიჩნევს.

2010 წლის 30 ნოემბერს ინდემწარმე დ. ყ-ძემ სააპელაციო სასამართლოში ახალი განცხადება წარადგინა, რომლითაც კვლავ იშუამდგომლა სახელმწიფო ბაჟის (ამჯერად დარჩენილი ნაწილის) გადახდის გადავადების თაობაზე. შუამდგომლობა მოტივირებული იყო იმით, რომ აპელანტი ვერც 1000 აშშ დოლარის გადახდას ვერ ახერხებდა, იგი ამას მას შემდეგ შეძლებდა, რაც კუთვნილი ქონების რეალიზაციას განახორციელებდა.

გასაჩივრებული განჩინებით სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვებას საფუძვლად დაედო სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობა. სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საკითხის გადაწყვეტისას სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ინდემწარმე დ. ყ-ძის 30.11.2010წ. შუამდგომლობა განხილვას ვერ დაექვემდებარებოდა, რამდენადაც აპელანტის ანალოგიური შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის მთლიანი ოდენობის გადახდის გადავადების შესახებ სასამართლომ ერთხელ უკვე განიხილა და არ დააკმაყოფილა.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ მოცემულ შემთხვევაში არსებობდა ინდემწარმე დ. ყ-ძის შუამდგომლობის განხილვაზე უარის თქმის საფუძველი. აპელანტის მიერ 2010 წლის 30 ნოემბერს წარდგენილ განცხადებაში შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების თაობაზე ემყარება იმავე მოტივებს, რაც სააპელაციო სასამართლომ 2010 წლის 17 ნოემბრის განჩინებაში უკვე შეაფასა და მიიჩნია შუამდგომლობის მხოლოდ ნაწილობრივ დაკმაყოფილების საფუძვლად.

იმის გათვალისწინებით, რომ ინდემწარმე დ. ყ-ძეს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზი არ შეუვსია, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლისა და 374-ე მუხლის თანახმად, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 8 დეკემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი სწორად იქნა დატოვებული განუხილველად.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მას 4 თვით უნდა გადაუვადდეს სახელმწიფო ბაჟის გადახდა, რადგან ამ დროისათვის იგი მოახდენს თევზის რეალიზაციას კუთვნილი სათევზე მეურნეობიდან და შეძლებს სახელმწიფო ბაჟის გადახდას.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლი სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების საფუძველად მიიჩნევს პირის მძიმე ქონებრივ მდგომარეობას, რის გამოც მას არა აქვს შესაძლებლობა წინასწარ გადაიხადოს სახელმწიფო ბაჟი. აღნიშნულის დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულებების სასამართლოსათვის წარდგენის ვალდებულება შუამდგომლობის აღმძვრელ პირს ეკისრება. მოცემულ შემთხვევაში, კერძო საჩივრის ავტორის მიერ არ ყოფილა წარმოდგენილი ისეთი მტკიცებულებები, რომლებიც მის მძიმე ქონებრივ მდგომარეობას და აქედან გამომდინარე სახელმწიფო ბაჟის დარჩენილი ნაწილის გადახდის გადავადებას დაასაბუთებდა.

ამდენად, ინდემწარმე დ. ყ-ძის კერძო საჩივარი დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ინდემწარმე დ. ყ-ძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 8 დეკემბრის განჩინება.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სასამართლო ხარჯების გადახდის გადავადება

განჩინება

№ას-1062-1092-2011

19 სექტემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
ბ. ალავეიძე

დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 17 მარტის გადაწყვეტილებით უ. დ-ის სარჩელი მოპასუხე სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის მიმართ, რომლითაც იგი მოითხოვდა 5000 ლარის ოდენობით მორალური ზიანის ანაზღაურებას, არ დაკმაყოფილდა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა უ. დ-მა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მისი სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 22 ივნისის განჩინებით უ. დ-ის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დაადგინა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 13 მაისის განჩინებით აპელანტს დაევალა ამ განჩინების ასლის გადაცემიდან 7 დღის ვადაში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში წარედგინა სახელმწიფო ბაჟის – 200 ლარის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის დედანი; ამავე სასამართლოს 2011 წლის 6 ივნისის განჩინებით უ. დ-ის შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების შესახებ არ დაკმაყოფილდა და აპელანტს გაუგრძელდა სასამართლოს მიერ დადგენილი საპროცესო ვადა 7 დღით; მითითებული განჩინება აპელანტ უ. დ-ის მეუღლეს 2011 წლის 8 ივნისს ჩაჰბარდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის მიხედვით ითვლება ადრესატისათვის ჩაბარებად.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ხარვეზის შევსების შვიდდღიანი ვადის დენა მოცემულ შემთხვევაში დაიწყო 2011 წლის 9 ივნისიდან და ამოიწურა 2011 წლის 15 ივნისს, რომელიც იყო სამუშაო დღე – ოთხშაბათი. ამდენად, აპელანტს ხარვეზი უნდა შეევსო 2011 წლის 15 ივნისის ჩათვლით. საქმის მასალების თანახმად, უ. დ-ს დანიშნულ ვადაში ხარვეზი არ შეუვსია.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ დანიშნულ ვადაში აპელანტის მიერ ხარვეზის შეუვსებლობა, სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველს წარმოადგენდა. აღნიშნულ საკითხზე მსჯე-

ლობისას სასამართლომ მხედველობაში მიიღო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე, 63-ე მუხლების, აგრეთვე ამავე კოდექსის 368-ე მუხლის მე-5 ნაწილის შინაარსი.

სააპელაციო სასამართლომ განჩინებაში იმსჯელა ასევე საქმის განმხილველი მოსამართლის აცილების შესახებ აპელანტის შუამდგომლობაზე. მოცემული შუამდგომლობა ემყარებოდა იმ გარემოებას, რომ სახელმწიფო ბაჟის გადავადების საკითხის განხილვისას მოსამართლემ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მოთხოვნა. სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ შუამდგომლობა არ უნდა დაკმაყოფილებულიყო, რამდენადაც დასახელებული არგუმენტი არ წარმოადგენდა მოსამართლის აცილების კანონით გათვალისწინებულ საფუძველს.

სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 22 ივნისის განჩინება უ. დ-მა კერძო საჩივრით გაასაჩივრა, რომლითაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

კერძო საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ არის პენსიონერი, მისი საარსებო წყარო შემოიფარგლება მხოლოდ საპენსიო თანხით, რასაც იღებს ხოლმე ყოველი თვის შუა რიცხვებში. აპელანტს ხარვეზის განჩინების ჩაბარების დროისათვის წინა თვის პენსია მთლიანად ჰქონდა დახარჯული. ამიტომ, 30 მაისს მან განცხადებით მიმართა სასამართლოს, რა დროსაც წარადგინა შესაბამისი მტკიცებულებები და იშუამდგომლა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადებაზე. სასამართლომ მხარის ეს შუამდგომლობა უსაფუძვლოდ არ დააკმაყოფილა. ამავდროულად, სასამართლომ განჩინებაში არასწორად მიუთითა იმაზე, რომ თითქოს აპელანტმა ვერ წარადგინა მისთვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების დამადასტურებელი დოკუმენტი.

კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, მას შემდეგ, რაც ის დარწმუნდა, რომ საქმის განმხილველი მოსამართლე მიკერძოებას გამოიჩენდა, მოითხოვა მისი აცილება, თუმცა სასამართლომ არც ეს შუამდგომლობა .

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ უ. დ-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 22 ივნისის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალების თანახმად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 13 მაისის განჩინებით აპელანტ უ. დ-ს დაევალა განჩინების ასლის გადაცემიდან 7 დღის ვადაში სააპელაციო სასამართლოსათვის წარედგინა 200 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი. სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში აპელანტმა სააპელაციო სასამართლოში წარადგინა განცხადება, რომლითაც იშუამდგომლა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების შესახებ. შუამდგომლობის დასასაბუთებლად აპელანტმა იმ გარემოებაზე მიუთითა, რომ იგი პენსიას იღებდა ყოველი თვის შუა რიცხვებში, ხოლო ბაჟის გადახდის ვალდებულების შესრულების დროისათვის, წინა თვის პენსიის თანხა დახარჯული ჰქონდა. ამდენად, აპელანტმა აღნიშნა, რომ მითითებული დროისათვის მას არ გააჩნდა სახელმწიფო ბაჟის გადახდის შესაძლებლობა, ამასთან, შუამდგომლობას თან დაურთო ამონაწერი სს «... ბანკში» არსებული მისი საპენსიო ანგარიშიდან. სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 6 ივნისის განჩინებით უ. დ-ს გაუგრძელდა სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის შევსების ვადა. აღნიშნულ განჩინებაში სააპელაციო სასამართლომ იმსჯელა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების შესახებ აპელანტის შუამდგომლობაზე და მიიჩნია, რომ აპელანტმა ვერ დაასაბუთა დაკისრებული ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადახდის შეუძლებლობა. ამავდროულად, სასამართლომ აპელანტს განუმარტა, რომ სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის შემთხვევაში, სააპელაციო საჩივარი დარჩებოდა განუხილველად.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო სამართალწარმოების დაწყებისათვის სახელმწიფო ბაჟის გადახდა კანონითაა გათვალისწინებული. კანონი განსაზღვრავს ასევე, თუ რა შემთხვევაში შეუძლია სასამართლოს მხარისათვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადება. აღნიშნულ საკითხს აწესრიგებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლი, რომლის თანახმად, სასამართლოს, მხარეთა ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, შეუძლია ერთ ან ორივე მხარეს გადაუვადოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდა ანდა შეამციროს მათი ოდენობა, თუ მხარე სასამართლოს წარუდგენს უტყუარ მტკიცებულებებს. ამავე კოდექსის 102-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს, ხოლო 103-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მტკიცებულებებს სასამართლოს წარუდგენენ მხარეები. სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა არ განსაზღვრავს, თუ რომელი კონკრეტული მტკიცებულების წარდგენა შეიძლება გახდეს სასამართლო ხარჯების გადახდისაგან მხარის გათავისუფლების ან მისთვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების საფუძველი. სასამართლო ხარჯების გადახდის გადავადების თაობაზე შუამდგომლობის აღმძვრელმა პირმა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, თავად უნდა უზრუნველყოს სასამართლოსათვის იმ უტყუარი მტკიცებულებების წარდგენა, რომლებიც მის გადახდისუუნარობას დასაბუთებს. მხარის მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სასამართლო აფასებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელო-

ბის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. მოცემულ შემთხვევაში, აპელანტის გადახდის სურუნარობის დასაბამებლად სააპელაციო სასამართლომ საკმარისად არ მიიჩნია ამ უკანასკნელის მიერ წარდგენილი მტკიცებულება, კერძოდ, ამონაწერი სს «... ბანკში» არსებული მისი საპენსიო ანგარიშიდან, რის გამოც 2011 წლის 6 ივნისის განჩინებით აპელანტს ხარვეზის შევსების ვადა 7 დღით გაუგრძელა. აღნიშნულს იზიარებს საკასაციო სასამართლოც, ვინაიდან მითითებული მტკიცებულება არასაკმარისია აპელანტის რეალური ქონებრივი მდგომარეობის დასადგენად, იგი სასამართლოს არ უქმნის რწმენას, რომ მას მძიმე ქონებრივი მდგომარეობის გამო არ შეუძლია გადაიხადოს სახელმწიფო ბაჟი. საგულისხმოა, რომ დასახელებული მტკიცებულების მიხედვით, უ. დ-ს ყოველთვიურად ერიცხება პენსია 560 ლარის ოდენობით, ხოლო მის მიერ სააპელაციო საჩივარზე გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის თანხა შეადგენდა 200 ლარს. ამასთან, აპელანტმა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადება მოითხოვა იმ გარემოებაზე მითითებით, რომ პენსიას იღებდა ყოველი თვის შუა რიცხვებში, ხოლო ბაჟის გადახდის ვალდებულების შესრულების დროისათვის წინა თვის პენსიის თანხა დახარჯული ჰქონდა. გარდა იმისა, რომ მითითებული გარემოების არსებობა საქმის მასალებით არ დასტურდება, ამ გარემოებას, დადასტურების შემთხვევაშიც, პალატა ვერ მიიჩნევს აპელანტისათვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების საკმარის საფუძვლად. სააპელაციო საჩივრის შეტანის დროს (2011 წლის 19 აპრილი) აპელანტისათვის ცნობილი უნდა ყოფილიყო, რომ მას სააპელაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის გადახდა მოუწევდა. შესაბამისად, მას ჰქონდა შესაძლებლობა 2011 წლის 17 მაისს პენსიის სახით აღებული 560 ლარიდან სახელმწიფო ბაჟი გადაეხადა და არ დალოდებოდა სასამართლოს მიერ ხარვეზის დადგენას. ამდენად, კერძო საჩივრის ავტორმა ვერ დაუდასტურა სასამართლოს, რომ მას არ შეეძლო დაკისრებული ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადახდა. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ 2011 წლის 6 ივნისის განჩინებით აპელანტს კანონშესაბამისად უთხრა უარი სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ განსახილველ შემთხვევაში სწორად გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მე-5 ნაწილი, რომლის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი არ უპასუხებს ამ მუხლში ჩამოთვლილ მოთხოვნებს, ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს, შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი აღარ მიიღება. მითითებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ სააპელაციო საჩივრის ხარვეზის არსებობისას სასამართლო საჩივრის ავტორს განუსაზღვრავს ვადას და დაუდგენს იმ საპროცესო მოქმედებებს, რომლებიც აღნიშნული ხარვეზის გამოსწორებისთვის უნდა შესრულდეს. სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში ხარვეზის გამოსწორებლობა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველია. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან აპელანტმა სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში არ შეავსო ხარვეზი, ამიტომ მისი სააპელაციო საჩივარი მართებულად იქნა დატოვებული განუხილველად.

საკასაციო სასამართლო ასევე კანონშესაბამისად მიიჩნევს გასაჩივრებული განჩინების მოტივებს იმ ნაწილში, რომლითაც სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა აპელანტის შუამდგომლობა საქმის განმხილველი მოსამართლის აცილების თაობაზე. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ გარემოება, რომელზეც შუამდგომლობის ავტორმა მიუთითა, კერძოდ, ის, რომ მოსამართლემ სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების საკითხის განხილვისას დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლის მოთხოვნა, არ განეკუთვნება მოსამართლის აცილების კანონით გათვალისწინებულ არც ერთ საფუძველს. ამასთან, როგორც ზემოთ განიმარტა, მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ აპელანტისათვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის დაკისრების საკითხი კანონიერად გადაწყვიტა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კერძო საჩივარი დაუსაბუთებელია და დაკმაყოფილებას არ ექვემდებარება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე-420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. უ. დ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 22 ივნისის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სასამართლო ხარჯების გადახდის გადავადება

განჩინება

№ას-1097-1126-2011

30 სექტემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილებით სს «... ბანკის» სარჩელი ზ. დ-ასა და ე. შ-ის მიმართ საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ფულადი ვალდებულების შესრულების, იპოთეკისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის თაობაზე ნაწილობრივ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ზ. დ-ამ და ე. შ-ემ, მოითხოვეს მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა ჯარიმების ნაწილში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 18 მარტის განჩინებით აპელანტებს სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის შესავსებად დაევალით განჩინების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, 1329,56 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის ოდენობით გადახდილი სახელმწიფო ბაჟის დამადასტურებელი დოკუმენტის სასამართლოში წარმოდგენა.

სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში აპელანტებმა შუამდგომლობით მიმართეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს და მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამო მოითხოვეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლის საფუძველზე, სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადება იმ მოტივით, რომ ზ. დ-ა უმუშევარია, ხოლო ე. შ-ე პენსიონერი, რის დასადასტურებლადაც წარადგინეს ე. შ-ის საპენსიო მოწმობა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 20 აპრილის განჩინებით აპელანტების შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების თაობაზე არ დაკმაყოფილდა და მათ ხარვეზის შევსების ვადა გაუგრძელდათ განჩინების ასლის ჩაბარებიდან 7 დღით. ამასთან, აღნიშნული განჩინებითვე განემარტათ ხარვეზის შეუვსებლობის სამართლებრივი შედეგები.

სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში, აპელანტებს ხარვეზი არ გამოუსწორებიათ და არც რაიმე შუამდგომლობით სასამართლოსათვის არ მიუმართავთ, რის გამოც თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 30 მაისის განჩინებით ზ. დ-ასა და ე. შ-ის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის გამო.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრეს ზ. დ-ამ და ე. შ-ემ, მოითხოვეს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღება იმ საფუძველით, რომ ეკონომიკური მდგომარეობის გამო, ვერ შეძლეს სახელმწიფო ბაჟის გადახდა, სასამართლომ კი, მიუხედავად იმისა, რომ საქმეში წარდგენილი იყო მათი სოციალურად მძიმე მდგომარეობის დამადასტურებელი მტკიცებულებები, სააპელაციო საჩივარი სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობის საფუძველით, მაინც დატოვა განუხილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ, საქმის ზეპირი განხილვის გარეშე, შეისწავლა საქმის მასალები, კერძო საჩივრის საფუძველები და მიიჩნევს, რომ ზ. დ-ასა და ე. შ-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი არ უპასუხებს ამ მუხლში ჩამოთვლილ მოთხოვნებს ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი არ მიიღება და, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის შესაბამისად, დარჩება განუხილველად.

დასახელებული ნორმებიდან გამომდინარეობს, რომ სააპელაციო საჩივრის ხარვეზის არსებობისას სასამართლო განსაზღვრავს იმ საპროცესო მოქმედებებს, რომელიც ხარვეზის შესავსებად უნდა განხორციელდეს და საპროცესო ვადას, რომლის განმავლობაშიც აპელანტი ვალდებულია, შეასრულოს განჩინებაში დადგენილი მოქმედებები. ხარვეზის დადგენის საფუძველს წარმოადგენს როგორც ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული გარემოებები, ისე მხარის მიერ სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობა. ხარვეზის გამოსასწორებლად მხარისათვის მიცემული ვადის გასვლის შემდეგ სააპელაციო საჩივარი დარჩება განუხილველად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 18 მარტის განჩინებით აპელანტებს სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის შესავსებად დაევალით განჩინების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, 1329,56 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის ოდენობით გადახდილი სახელმწიფო ბაჟის დამადასტურებელი დოკუმენტის სასამართლოში წარმოდგენა.

საქმის მასალებით ასევე ირკვევა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 20 აპრილის განჩინებით აპელანტების შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების თაობაზე არ დაკმაყოფილდა და მათ ხარვეზის შევსების ვადა გაუგრძელდათ განჩინების ასლის ჩაბარებიდან 7 დღით. ამასთან, აღნიშნული განჩინებითვე განემარტათ ხარვეზის შეუვსებლობის სამართლებრივი შედეგები.

საქმის მასალებით ასევე ირკვევა, რომ ხარვეზის შევსების ვადის გაგრძელების შესახებ სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 20 აპრილის განჩინება აპელანტებს პირადად ჩაჰბარდათ, 2011 წლის 16 მაისს, რაც დასტურდება საფოსტო გზავნილის ჩაბარების შესახებ შეტყობინების ბარათზე მათი ხელმოწერებით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 და 61-ე მუხლების თანახმად, ხარვეზის შესავსებად, სასამართლოს მიერ დანიშნული 7-დღიანი ვადის დენა დაიწყო 2011 წლის 17 მაისს და ამოიწურა ამავე წლის 23 მაისს. სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში აპელანტებს ხარვეზი არ გამოუწერებიათ და არც ხარვეზის გამოსწორების ვადის გაგრძელების თაობაზე რაიმე შუამდგომლობით მიუმართავთ სასამართლოსათვის.

კერძო საჩივრის ავტორები გასაჩივრებული განჩინების გაუქმებასა და სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღებას ითხოვენ იმ საფუძველით, რომ ეკონომიკური მდგომარეობის გამო, ვერ შეძლეს სახელმწიფო ბაჟის გადახდა, სასამართლომ კი, მიუხედავად იმისა, რომ საქმეში წარდგენილი იყო მათი სოციალურად მძიმე მდგომარეობის დამადასტურებელი მტკიცებულებები, სააპელაციო საჩივარი სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობის საფუძველით, მაინც დატოვეს განუხილველად. აღნიშნულ მოსაზრებას საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს და ვერ მიიჩნევს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველად, ვინაიდან მარტოოდენ მხარის მითითება მძიმე ფინანსურ მდგომარეობაზე მათი მოთხოვნის დაკმაყოფილების საკმარის საფუძველს არ წარმოადგენს, კერძოდ:

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე და 48-ე მუხლებით გათვალისწინებული სასამართლო ხარჯების ოდენობის შემცირებისა თუ გადახდისაგან გათავისუფლების შესაძლებლობა გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოს მხარის მიერ წარდგენილი უტყუარი მტკიცებულებების შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე შეექმნება შინაგანი რწმენა მხარის მძიმე ქონებრივი მდგომარეობის შესახებ, კერძოდ, რომ მას არ შეუძლია სახელმწიფო ბაჟის გადახდა.

მოცემულ შემთხვევაში აპელანტებმა სახელმწიფო ბაჟის ოდენობის შემცირების ან მისი გადახდისაგან გათავისუფლების საფუძველის არსებობა სარწმუნოდ ვერ დაასაბუთეს, კერძოდ, სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულება – ე. შ-ის საპენსიო მოწმობა, გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი ვერ გახდება, მით უფრო, რომ მათ სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში არც ხარვეზი გამოუწერებიათ და არც ხარვეზის გამოსწორების ვადის გაგრძელების თაობაზე რაიმე შუამდგომლობით მიუმართავთ სასამართლოსათვის.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედება სრულდება კანონით დადგენილ ან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში. ამავე კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება.

ზემოაღნიშნული ნორმებიდან გამომდინარეობს, რომ მხარე ვალდებულია, სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში შეასრულოს ის საპროცესო მოქმედებები, რაც მას სასამართლომ დაავალა, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი კარგავს ამ საპროცესო მოქმედებათა შესრულების უფლებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობით, ზ. დ-ამ და ე. შ-ემ დაკარგეს მათთვის მინიჭებული საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება, შესაბამისად, თბილისის სააპელაციო სასამართლომ სააპელაციო საჩივარი სწორად დატოვა განუხილველად და არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

ზ. დ-სა და ე. შ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 30 მაისის განჩინება;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სასამართლო ხარჯების განაწილება მხარეთა შორის

განჩინება

№ას-795-849-2011

18 ივლისი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. სულხანიშვილი,
ბ. ალავეძე

დავის საგანი: წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეული ხარჯების ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2010 წლის 27 ივლისის ბოლნისის რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართა ... ცენტრალურმა კავშირმა – ...მა მოპასუხე სს «კ-ის» მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა სს «კ-ის» 196.556 ცალი აქციის (საწესდებო კაპიტალის 39%) მესაკუთრედ ცნობა და აქციათა რეესტრში შესაბამისი ცვლილების შეტანა.

ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილებით ... ცენტრალური კავშირის – ...ს სარჩელი არ დაკმაყოფილდა, მოსარჩელეს მოპასუხის სასარგებლოდ დაეკისრა სასამართლოს გარეშე, ადვოკატის მომსახურებისათვის გაწეული ხარჯის, 17000 ლარის გადახდა.

რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველი სარჩელი მიეკუთვნებოდა აღიარებით სარჩელეთა კატეგორიას. მოსარჩელე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, ვალდებული იყო ემტკიცებინა გარემოებები, რომლებზედაც იგი ამყარებდა თავის მოთხოვნას. მას უნდა დაემტკიცებინა, რომ ნამდვილად ჰქონდა რაიმე უფლება იმ აქციებზე, რომლის საკუთრების უფლების აღიარებასაც იგი ითხოვდა.

სასამართლოს შეფასებით, მხარემ ვერ დაასაბუთა თავისი მოთხოვნა. საქმეში არ იყო წარდგენილი აქციებზე საკუთრების უფლების დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება. წარდგენილი წესდების თანახმად, მოსარჩელის საკუთრებაში იყო მხოლოდ სააქციო საზოგადოების აქციათა 51%, რომელიც მან გაასხვისა სახელმწიფოზე. აღნიშნული დასტურდებოდა გასხვისების განკარგულებითა და მხარეთა ახსნა-განმარტებით. რაც შეეხებოდა მოსარჩელის მიერ მოთხოვნილ აქციათა 39%-ს, როგორც წესდებიდან ჩანდა, იგი წარმომადგენდა სააქციო საზოგადოების საკუთრებას და მისი გასხვისება უნდა მომხდარიყო წესდებითვე გათვალისწინებული წესით. იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელე საზოგადოების დაფუძნების მომენტში ფლობდა ამ საზოგადოების აქციების 51%-ს, რომელიც მან გაასხვისა სახელმწიფოზე, ხოლო გასასხვისებელი აქციების 39% მას არ შეუძენია, რაიონულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ მოსარჩელეს არ წარმოშობია საკუთრების უფლება ამ აქციებზე, რაც წარმომადგენდა აღიარებით სარჩელზე უარის თქმის საფუძველს.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ...ცენტრალურმა კავშირმა – ...მა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოში დაბრუნება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 12 აპრილის განჩინებით ... ცენტრალური კავშირის – ...ს შუამდგომლობა დაკმაყოფილდა, აპელანტ ... ცენტრალური კავშირის – ...ს სარჩელზე უარის თქმის გამო მოცემულ საქმეზე შეწყდა წარმოება; გაუქმდა ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილება; აპელანტს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაუბრუნდა სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 3500 ლარის ოდენობით; სს «კ-ის» წარმომადგენლის ნ. ბის შუამდგომლობა საადვოკატო მომსახურების ხარჯების ანაზღაურების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში ...ცენტრალურმა კავშირმა – ...მა უარი თქვა სარჩელზე, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის, 272-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «გ» ქვეპუნქტისა და 273-ე მუხლის თანახმად, არ საჭიროებს მოპასუხის თანხმობას. სარჩელზე წარმოების შეწყვეტის საპროცესო სამართლებრივ შედეგს წარმომადგენს ყველა იმ სამართლებრივი შედეგის გაუქმება, რომელიც სარჩელზე დადგა. შესაბამისად, სარჩელზე უარის თქმა ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში იწვევს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების, განჩინების სრულად გაუქმებას.

სარჩელზე წარმოების შეწყვეტისას ადვოკატის ხარჯების ანაზღაურების საკითხთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსი წარმოების შეწყვეტის დროს არეგულირებს მხოლოდ ბაჟის განაწილების საკითხს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში,

მაგრამ არაუმეტეს ამ კოდექსის 47-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ოდენობისა. ამდენად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსი მხოლოდ იმ შემთხვევაში ითვალისწინებს მეორე მხარის ადვოკატისათვის გაწეული ხარჯების ანაზღაურებას, როდესაც მხარის სასარგებლოდ იქნა გადაწყვეტილება გამოტანილი. მოცემულ შემთხვევაში, იგულისხმება ის სამართლებრივი შედეგი, რომელიც საქმეზე არსებითად მსჯელობის შედეგად დადგა. ამდენად, წარმოების შეწყვეტა ეს ის შემთხვევა არ არის, რომელსაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილი ითვალისწინებს. იგივე შეიძლება ითქვას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 54-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე, რომლის მიხედვითაც, თუ მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე, მის მიერ გაწეულ ხარჯებს მოპასუხე არ აანაზღაურებს, მაგრამ თუ მოსარჩელემ მხარი არ დაუჭირა თავის მოთხოვნას იმის გამო, რომ მოპასუხემ ნებაყოფლობით დააკმაყოფილა იგი სარჩელის აღძვრის შემდეგ, მაშინ მოსარჩელის თხოვნით სასამართლოს მოპასუხეს დააკისრებს მოსარჩელის ხარჯების ანაზღაურებას.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელზე უარის თქმის შემთხვევაში, მოპასუხისათვის ადვოკატის ხარჯის ანაზღაურებას საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს. უფრო მეტიც, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი შეიცავს თვით იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების ანაზღაურების შესაძლებლობას, რომელმაც უარი თქვა სარჩელზე, თუ დადასტურდება, რომ სარჩელზე უარის თქმა მოპასუხის ქმედებით არის განპირობებული. რაც შეეხება საპროცესო ხარჯების მომწესრიგებელი ნორმების ანალოგიით გამოყენებას, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული დაუშვებელია მითითებული ნორმების სპეციალური დანიშნულებიდან გამომდინარე.

სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, კიდევ რომ არსებულიყო სარჩელზე უარის თქმისას მოპასუხისათვის ადვოკატის ხარჯების ანაზღაურების საპროცესო სამართლებრივი შესაძლებლობა, სააპელაციო სასამართლო მოწინააღმდეგე მხარეს მაინც უარს ეტყოდა ადვოკატისათვის გაწეული 61000 ლარის ანაზღაურებაზე, რადგან ადვოკატისათვის მომსახურების გაწევის ხელშეკრულებაში იმთავითვე მითითებული იყო, რომ სს «კ-ი» იმ შემთხვევაში გადაუხდოდა ადვოკატებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანხას, თუ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდებოდა, ანუ, თუ მოწინააღმდეგე მხარის სასარგებლო შედეგი დადგებოდა. წინასწარ, ხელშეკრულებით გათვალისწინებული დანაწესის მიუხედავად, ხარჯების გაწევა, სამოქალაქო სამართალურთიერთობაში იმ რისკების კატეგორიას განეკუთვნება, რომლის ანაზღაურების მეორე მხარისათვის დაკისრების შესაძლებლობას სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს.

სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 12 აპრილის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა სს «კ-მა», რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოში დაბრუნება.

კერძო საჩივარი ეფუძნება შემდეგს:

მოწინააღმდეგე მხარის – სს «კ-ის» მიერ წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეული ხარჯების ანაზღაურებაზე უარი უკანონოა, რადგან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს. მოცემულ შემთხვევაში უდავოა, რომ ...ცენტრალური კავშირის – ...ს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. მართალია, ეს მოხდა იმის გამო, რომ აპელანტმა უარი თქვა სარჩელზე (მას შემდეგ რაც მიიღო სააპელაციო შესაგებელი და დარწმუნდა, რომ სააპელაციო სასამართლო მის საჩივარს ვერ დააკმაყოფილებდა), მაგრამ ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია შედეგი – სააპელაციო საჩივრის დაუკმაყოფილებლობა. სს «კ-ს» სააპელაციო სასამართლოში დასჭირდა ადვოკატის მომსახურება. აღნიშნული მომსახურება მან მიიღო, რაშიც გადაიხადა 61000 ლარი. სს «კ-სა» და ადვოკატს შორის დადებული ხელშეკრულების მიხედვით, სს «კ-ი» ადვოკატს ამ თანხას გადაუხდოდა იმ შემთხვევაში, თუ სააპელაციო სასამართლო მიიღებდა განჩინებას, რომლითაც არ დაკმაყოფილდებოდა ...ს სააპელაციო საჩივარი. მოცემულ შემთხვევაში აპელანტმა სარჩელზე უარი განაცხადა. აღნიშნულის გამო, სააპელაციო სასამართლომ მიიღო განჩინება, რომლითაც შეწყვიტა საქმის წარმოება. საქმეზე დამდგარი ასეთი შედეგი სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებას გამორიცხავს. სწორედ ამის შემდეგ, სს «კ-მა» ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა, 61000 ლარი გადაურიცხა საადვოკატო მომსახურების გამწვე ფირმას. ზემოხსენებულ ვითარებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლიდან გამომდინარე, არსებობდა იმის საფუძველი, რომ დაკმაყოფილებულიყო მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობა საადვოკატო მომსახურების ხარჯების ანაზღაურების თაობაზე.

მოსარჩელის წარმომადგენელს არ ჰქონდა სარჩელზე უარის თქმის უფლებამოსილება, ამიტომ მას არ შეეძლო ეშუამდგომლა საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე.

სასამართლოს განმარტება იმის თაობაზე, რომ სარჩელზე წარმოების შეწყვეტის საპროცესო-სამართლებრივ შედეგს წარმოადგენს ყველა იმ სამართლებრივი შედეგის გაუქმება, რომელიც სარჩელზე დადგა, არ შეეხება მოცემულ შემთხვევას, ვინაიდან სარჩელზე არანაირი სამართლებრივი შედეგი არ დამდგარა. საადვოკატო ხარჯის გადახდა მოსარჩელეს დაეკისრა არ სარჩელზე დამდგარი სამართლებრივი შედეგის გამო, არამედ – სარჩელის დაუკმაყოფილებლობის გამო.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სს «კ-ის» კერძო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია შემდეგი:

ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილებით ...ცენტრალური კავშირის – ...ს სარჩელი არ დაკმაყოფილდა, მოსარჩელეს მოპასუხის სასარგებლოდ დაეკისრა ამ უკანასკნელის მიერ ადვოკატის მომსახურებისათვის გაწეული ხარჯის – 17000 ლარის გადახდა;

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა ...ცენტრალურმა კავშირმა – ...მა და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის;

სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე და მოითხოვა საქმის წარმოების შეწყვეტა;

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 12 აპრილის განჩინებით ...ცენტრალური კავშირის – ...ს შუამდგომლობა დაკმაყოფილდა – მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის გამო საქმის წარმოება შეწყდა; გაუქმდა ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილება; აპელანტს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაუბრუნდა სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 3500 ლარი; მოწინააღმდეგე მხარის – სს «კ-ის» წარმომადგენლის შუამდგომლობა საადვოკატო მომსახურების ხარჯების ანაზღაურების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

განსახილველ შემთხვევაში სადავო საკითხი იმის შესახებ, უნდა აუნაზღაურდეს თუ არა მოწინააღმდეგე მხარეს წარმომადგენლის დახმარებისათვის მის მიერ გაწეული ხარჯი მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის დროს.

მოწინააღმდეგე მხარე (მოპასუხე) სს «კ-ი» თავისი მოთხოვნის დასასაბუთებლად უთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე, რომლის თანახმად, იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს ამ კოდექსის 47-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ოდენობისა.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მხარის სასარგებლოდ გამოტანილ გადაწყვეტილებაში, რომელზედაც საუბარია ზემოხსენებულ ნორმაში, იგულისხმება ის სამართლებრივი შედეგი, რომელიც საქმეზე არსებითად მსჯელობის შედეგად დადგა. რაც შეეხება სარჩელზე უარის თქმის გამო საქმის წარმოების შეწყვეტას, ამ დროს მოწინააღმდეგე მხარის (მოპასუხის) მიერ წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეული ხარჯის მოსარჩელის მიერ ანაზღაურების შესაძლებლობას კანონი არ ითვალისწინებს.

საკასაციო სასამართლო არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნულ მსჯელობას, ვინაიდან იგი ეფუძნება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის არასწორ განმარტებას.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, მხარის სასარგებლოდ გამოტანილ გადაწყვეტილებაში იგულისხმება დავის გადაწყვეტის არა მხოლოდ პროცესუალურ-სამართლებრივი, არამედ უპირველესად – მატერიალურ-სამართლებრივი შედეგი. ეს პირდაპირ გამომდინარეობს სარჩელის ცნებიდან, კერძოდ, სარჩელი, როგორც სამოქალაქო-საპროცესო სამართლის ინსტიტუტი, არის უფლების დაცვის შესახებ პირის შუამდგომლობა სასამართლოსადმი, რათა მან განიხილოს სარჩელში მოპასუხის წინააღმდეგ წაყენებული მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნა და გამოიტანოს ამის თაობაზე გადაწყვეტილება. ამდენად, სარჩელი, მართალია, საპროცესო სამართლის ინსტიტუტია, მაგრამ იგი არ არსებობს იმ უფლებაზე მითითების გარეშე, რომლის დაცვასაც მოსარჩელე მოითხოვს, ე.ი. მოპასუხისადმი წაყენებული მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნის გარეშე. სარჩელის დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემთხვევაში სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას სწორედ მოპასუხისადმი წაყენებული მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნის მიმართ და, შესაბამისად, ან აკმაყოფილებს სარჩელს ან უარს ამბობს მის დაკმაყოფილებაზე. ამასთან, თუ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში მოგებული მხარეა მოსარჩელე, ხოლო წაგებული – მოპასუხე, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის დროს პირიქითაა – მოგებულია მოპასუხე, ხოლო, წაგებული – მოსარჩელე. საქმის მოგება-წაგება კი პირდაპირ უკავშირდება მოსარჩელის მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნის დაკმაყოფილება-არდაკმაყოფილებას. კერძოდ, თუ მოსარჩელის მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნის დაკმაყოფილების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი არსებობს, მაშინ სარჩელი დაკმაყოფილდება, წინააღმდეგ შემთხვევაში კი არა. აქედან გამომდინარე, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის დროს მოპასუხის სასარგებლო გადაწყვეტილებაა გამოტანილი იმიტომ, რომ მოსარჩელეს უარი ეთქმევა მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. შესაბამისად, მოპასუხის სარგებელი ისაა, რომ მას მომავალში მოსარჩელე ვეღარ შეედავება იმ უფლების შესახებ, რომლის დაცვასაც ეს უკანასკნელი სარჩელით ცდილობდა. ანალოგიური ვითარებაა სარჩელეზე უარის თქმის გამო საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაშიც. კერძოდ, მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის გამო საქმეზე დამდგარი საპროცესო შედეგი – სარჩელზე საქმის წარმოების შეწყვეტა – უშუალო გავლენას ახდენს მოპასუხისადმი წაყენებულ მატერიალურ-სამართლებრივ მოთხოვნებზე, ვინაიდან ამ შემთხვევაში მოსარჩელე კარგავს უფლე-

ბას, შეედავოს მოპასუხეს იგივე სარჩელით (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «გ» ქვეპუნქტი, ამავე კოდექსის 273-ე მუხლი). შესაბამისად, სარჩელზე უარის თქმის გამო საქმეზე დამდგარი საპროცესო შედეგი – სარჩელზე საქმის წარმოების შეწყვეტა – მოპასუხის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილებაა.

ზემოაღნიშნული მსჯელობის საწინააღმდეგოდ ვერ გამოდგება სააპელაციო სასამართლოს მითითება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 54-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე. ამ ნორმის მიხედვით, თუ მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე, მის მიერ გაწეულ ხარჯებს მოპასუხე არ ანაზღაურებს, მაგრამ, თუ მოსარჩელემ მხარი არ დაუჭირა თავის მოთხოვნას იმის გამო, რომ მოპასუხემ ნებაყოფლობით დააკმაყოფილა იგი სარჩელის აღძვრის შემდეგ, მაშინ მოსარჩელის თხოვნით სასამართლო მოპასუხეს დააკისრებს მოსარჩელის ხარჯების ანაზღაურებას. ეს ნორმა არ გამორიცხვას მოპასუხის მიერ წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეული ხარჯის ანაზღაურების შესაძლებლობას, ვინაიდან იგი ეხება მხოლოდ იმ შემთხვევას, როდესაც მოსარჩელე უარს ამბობს თავის სარჩელზე იმის გამო, რომ მოპასუხემ ნებაყოფლობით დააკმაყოფილა მისი მოთხოვნა სარჩელის აღძვრის შემდეგ. განსახილველ შემთხვევაში ასეთი ვითარება არ არსებობს.

დაუსაბუთებელია ასევე სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ თითქოს მოპასუხის მიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულების შინაარსი არ იძლევა წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეული ხარჯის ანაზღაურების შესაძლებლობას. მითითებული ხელშეკრულების მიხედვით, სს «კ-ი» ადვოკატს ანაზღაურებას გადაუხდიდა იმ შემთხვევაში, თუ სააპელაციო სასამართლო მიიღებდა განჩინებას, რომლითაც არ დაკმაყოფილებოდა ...ს სააპელაციო საჩივარი მოპასუხის მიმართ. საკასაციო სასამართლო იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას, რომ საქმეზე დამდგარმა საპროცესო შედეგმა გამორიცხა ...ს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების შესაძლებლობა, რაც მოწინააღმდეგე მხარის სურვილიც იყო. ამასთან, სწორედ ამ შედეგის გამო, სს «კ-მა» მის მომსახურე საადვოკატო ფირმას გადაურიცხა ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა – 61000 ლარი.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მოსარჩელის წარმომადგენელს არ ჰქონდა სარჩელზე უარის თქმის უფლებამოსილება, ვინაიდან საქმეში წარმოდგენილია 2011 წლის 10 აპრილის №09-05/03 რწმუნებულება, რომლითაც ...ცენტრალური კავშირის – ...ს გამგეობის თავმჯდომარემ სარჩელზე უარის თქმის უფლებამოსილება მიანიჭა თავის წარმომადგენელ ა. კ. ეს.

დაუსაბუთებელია ასევე კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრება იმის შესახებ, რომ გასაჩივრებული განჩინებით სასამართლოს არ ჰქონდა უფლება, გაეუქმებინა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს აღნიშნულ მოსაზრებას და მიიჩნევს, რომ ძალაში დატოვებას ადარ ექვემდებარებოდა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც საქმის არსებითი განხილვის შედეგად იყო მიღებული, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის გამო წარმოება შეწყდა სარჩელზე და საქმის წარმოება დამთავრდა გადაწყვეტილების გამოტანის გარეშე. კერძო საჩივრის ავტორის ლოგიკით, იმ შემთხვევაში, თუ სააპელაციო ან საკასაციო წარმოების დროს მოგებული მოსარჩელე (აპელანტის, კასატორის მოწინააღმდეგე მხარე) უარს იტყვის სარჩელზე და საქმის წარმოება შეწყდება, ძალაში უნდა დარჩეს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ მოსარჩელის სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილებები. პროცესუალურად ეს დაუშვებელია, ვინაიდან სარჩელზე საქმის წარმოების შეწყვეტით მოცემულ საქმეზე მთავრდება წარმოება დავის არსებითი განხილვის გარეშე. აღნიშნულ მოსაზრებას ამყარებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83¹ მუხლის დანაწესი, რომლის თანახმად, სააპელაციო ან საკასაციო წესით საქმის განხილვისას, სარჩელის გამოხმობის შემთხვევაში, სასამართლო აუქმებს ქვედა ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებებს. მართალია, ზემოხსენებული ნორმა ეხება სარჩელის გამოხმობის ინსტიტუტს, მაგრამ ამ შემთხვევაში, ისევე, როგორც სარჩელზე უარის თქმის გამო საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში, საქმის წარმოება მთავრდება გადაწყვეტილების გამოტანის გარეშე. ამასთან, საქმის წარმოების შეწყვეტის ინსტიტუტი არ შეიცავს ნორმას, რომელიც დაარეგულირებდა სადავო საპროცესო ურთიერთობას. აქედან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7 მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, მოცემულ შემთხვევაში კანონის ანალოგიით შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83¹ მუხლის ზემოხსენებული დანაწესი, ვინაიდან იგი აწესრიგებს მსგავს ურთიერთობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დაუსაბუთებელია და გაუქმებას ექვემდებარება მხოლოდ იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა სს «კ-ის» წარმომადგენლის შუამდგომლობა საადვოკატო მომსახურების ხარჯების ანაზღაურების თაობაზე. ამასთან, ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლი). საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება განაპირობებულია იმ გარემოებით, რომ სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია სს «კ-ის» მიერ წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეული ხარჯების გონივრულობის თაობაზე, რომელიც მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელეს უნდა დაეკისროს. ამ თვალსაზრისით საჭიროა იმ ფაქტების დადგენა, რომელთა მიხედვითაც უნდა განისაზღვროს წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეული ხარჯების ოდენობის გონივრული ფარგლები.

საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე, რომლის თანახმად, იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს ამ კოდექსის 47-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ოდენობისა. 47.2 მუხლის თანახმად, ადვოკატი მიიღებს ანაზღაურებას დავის საგნის ღირებულების 4%-მდე ოდენობით. მითითებული ნორმა განსაზღვრავს მხარის მიერ წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეული ხარჯების იმ ოდენობის მაქსიმუმს, რომელიც შეიძლება დაეკისროს მეორე მხარეს. ამ მაქსიმუმის ფარგლებში სასამართლოს შეუძლია, თავისი შეხედულებით, გონივრულ ფარგლებში განსაზღვროს წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეული ხარჯების ოდენობა, რომელიც მეორე მხარეს უნდა დაეკისროს. ასეთი წესი ქმნის წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეული ხარჯების ოდენობის ხელოვნურად გაზრდის დაბრკოლებას, რაც იცავს იმ მხარის ინტერესებს, რომელსაც ამ ხარჯის ანაზღაურება უნდა დაეკისროს. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეული ხარჯების ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული საქმის მოცულობა, მისი ფაქტობრივ-სამართლებრივი სირთულე, აგრეთვე, მხარეთა ქონებრივი მდგომარეობა, მათი შემოსავალი და სხვა ისეთი გარემოებები, რომლებიც განაპირობებს წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეული ხარჯების ოდენობის გონივრულ ფარგლებს. მოცემულ შემთხვევაში, ასევე გათვალისწინებულ უნდა იქნეს ის გარემოებაც, რომ სააპელაციო სასამართლოში საქმის არსებითი განხილვა არ შედგა აპელანტის მიერ სარჩელზე უარის თქმის გამო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას უნდა შეაფასოს საქმის ყველა გარემოება და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. სს «კ-ის» კერძო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 12 აპრილის განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა სს «კ-ის» წარმომადგენლის შუამდგომლობა საადვოკატო მომსახურების ხარჯების ანაზღაურების თაობაზე და საქმე ამ ნაწილში ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

წარმომადგენლობა სასამართლოში

წარმომადგენლობის უფლებამოსილება

განჩინება

№ას-449-424-2011

10 მაისი, 2011 წ., თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. კვანტალიანი,

ბ. ალავეძე

დავის საგანი: სამკვიდრო მოწმობის ბათილად ცნობა, სამკვიდროდან წილის მიკუთვნება

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 15 დეკემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართეს ე. პ-იანმა, ვ. გ., მ., ა. პ-იანებმა, ვ. მ-იანმა მოპასუხეების – ვ. და რ. პ-იანების მიმართ. მოსარჩელეებმა მოითხოვეს ნოტარიუს ნ. ბ-ის მიერ რ. და ვ. პ-იანებზე გაცემული სამკვიდრო მოწმობის ბათილად ცნობა, რომლითაც მოპასუხეებს, როგორც ს. პ-იანის მემკვიდრეებს საკუთრებაში გადაეცათ ქ.თბილისში, ... ქ.№70-72-ში მდებარე ქონების 1/2 წილი. მოსარჩელეებმა მოითხოვეს ასევე აღნიშნული ქონების 1/7 წილზე თითოეული მათგანის, როგორც პირველი რიგის მემკვიდრის, მესაკუთრედ ცნობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 31 დეკემბრის გადაწყვეტილებით ვ. პ-იანისა და ა. პ-იანის სარჩელი დაკმაყოფილდა; ე. პ-იანის, გ. პ-იანის, მ. პ-იანის, ვ. პ-იანის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. ამ გადაწყვეტილებით ვ. პ-იანი და ა. პ-იანი ცნობილ იქნენ ქ.თბილისში, ... და-

სახლებში, ... ქ.№70-72-ში მდებარე ქონების მესაკუთრედ თითოეული 1/7 ნაწილზე, ამასთან, დადგინდა, რომ შესაბამისი ცვლილება შესულიყო ნოტარიუს ნ. ბ-ძის მიერ 2009 წლის 11 თებერვალს რ. და ვ. პ-იანების სახელზე გაცემულ №2-87 კანონისმიერ სამკვიდრო მოწმობაში.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ვ., გ. და მ. პ-იანებმა, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 21 თებერვლის განჩინებით ვ. პ-იანის, გ. პ-იანისა და მ. პ-იანის სააპელაციო საჩივარი დატოვებულ იქნა განუხილველად.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა შეადგენს 14 დღეს. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისთვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 31 დეკემბრის გადაწყვეტილება 2011 წლის 18 იანვარს ჩაჰბარდა ვ., გ. და მ. პ-იანების წარმომადგენელ დ. გ-შვილს. ეს უკანასკნელი პირველი ინსტანციის სასამართლოში წარმომადგენდა როგორც ვ. პ-იანს, ასევე ე. პ-იანს, ხოლო ე. პ-იანი, თავის მხრივ – გ. და მ. პ-იანებს. იმის გათვალისწინებით, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება ვ., გ. და მ. პ-იანების წარმომადგენელ დ. გ-შვილს ჩაჰბარდა 2011 წლის 18 იანვარს, სააპელაციო სასამართლომ აპელანტებისათვის გასაჩივრების 14-დღიანი ვადის ათვლა დაიწყო 2011 წლის 19 იანვრიდან, რომელიც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე ამოიწურა 2011 წლის 1 თებერვალს. მოცემულ შემთხვევაში, აპელანტებმა სააპელაციო საჩივარი შეიტანეს 7 თებერვალს. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აპელანტებმა დაარღვიეს კანონით დადგენილი გასაჩივრების 14-დღიანი ვადა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე და 63-ე მუხლებზე და მიიჩნია, რომ ვ., გ. და მ. პ-იანების სააპელაციო საჩივარი განუხილველად დატოვებას ექვემდებარებოდა.

სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 21 თებერვლის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრეს ვ., გ. და მ. პ-იანებმა, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სააპელაციო საჩივრის განსახილველად იმავე სასამართლოში დაბრუნება.

კერძო საჩივრის ავტორები არ იზიარებენ სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ კონკრეტულ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა უნდა დაიწყო 2011 წლის 19 იანვრიდან იმის გამო, რომ 2011 წლის 18 იანვარს სააპელაციო წესით გასაჩივრებული გადაწყვეტილების ასლი ჩაიბარა ვ. პ-იანის წარმომადგენელმა დ. გ-შვილმა, რომელიც ასევე იყო ე. პ-იანის წარმომადგენელი, ხოლო ე. პ-იანისათვის გადაწყვეტილების ჩაბარებულად მიჩნევის პირობებში გადაწყვეტილება ჩაბარებულად ითვლებოდა მ. და გ. პ-იანებისთვისაც.

კერძო საჩივარში ყურადღება გამახვილებულია იმ გარემოებაზე, რომ ვ. პ-იანის წარმომადგენელმა დ. გ-შვილმა სააპელაციო წესით გასაჩივრებული გადაწყვეტილება ჩაიბარა როგორც ვ. პ-იანის წარმომადგენელმა, გადაწყვეტილება მას არ ჩაუბარებია სხვა მოსარჩელების სახელით. დ. გ-შვილი არასდროს ყოფილა ე. პ-იანის წარმომადგენელი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 96-ე მუხლის შესაბამისად, წარმომადგენლის უფლებამოსილება უნდა ჩამოყალიბდეს კანონის შესაბამისად გაცემულ და გაფორმებულ მინდობილობაში, რომელიც უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით. ასეთი მინდობილობა პ-იანს არ გაუცია. იგი აპელანტების სახელით მინდობილობას ვერც გასცემდა, რადგან მათ მიერ მის სახელზე გაცემული მინდობილობა არ აძლევდა გადანდობის უფლებას.

კერძო საჩივრის ავტორთა განმარტებით, ადვოკატის ორდერი ვერ ჩაითვლება პირისათვის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭებად. ამ შემთხვევაში დ. გ-შვილს ორდერი არ ანიჭებს სასამართლო გადაწყვეტილების ჩაბარების უფლებას. ამდენად, არასწორია სასამართლოს მსჯელობა იმის თაობაზე, რომ დ. გ-შვილის მიერ გადაწყვეტილების ჩაბარება ითვლება ვ., მ. და გ. პ-იანებისათვის გადაწყვეტილების ჩაბარებად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

გასაჩივრებული განჩინებით მ., ვ. და გ. პ-იანების სააპელაციო საჩივარი განუხილველად იქნა დატოვებული იმ საფუძვლით, რომ საჩივარი არ იყო შეტანილი კანონით დადგენილ 14-დღიან ვადაში. ამ ვადის ათვლის დასაწყისად სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია ადვოკატ დ. გ-შვილისათვის პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების ასლის ჩაბარების მომენტი.

კერძო საჩივრის ავტორი სადავოდ ხდის გასაჩივრების ვადის ათვლის დასაწყისად ადვოკატ დ. გ-შვილისათვის გადაწყვეტილების ასლის ჩაბარების მომენტის მიჩნევას, ვინაიდან ეს უკანასკნელი საქმეში გამოდიოდა ადვოკატის ორდერის საფუძველზე, რომელიც მას არ ანიჭებდა გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებას.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის ზემოაღნიშნულ მოსაზრებას და მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე, რომლის თანახმად, უფლებამოსილება სასამართლოში საქმის წარმოების შესახებ უფლებას აძლევს წარმომადგენელს, მარწმუნებლის სახელით შეასრულოს ყველა საპროცესო მოქმედება, გარდა სარჩელის აღძვრისა, არბიტრაჟისათვის საქმის გადაცემისა, სასარჩელო მოთხოვნაზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარის თქმისა, სარჩელის ცნობისა, სარჩელის საგნის შეცვლისა, მორიგებისა, სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრებისა, სააღსრულებო ფურცლის გადასახდევინებლად წარდგენისა, მიკუთვნებული ქონების ან ფულის მიღებისა. წარმომადგენლის უფლებამოსილება ამ მუხლში აღნიშნული თითოეული მოქმედების შესრულებისათვის სპეციალურად უნდა იქნეს აღნიშნული მარწმუნებლის მიერ გაცემულ მინდობილობაში.

აღნიშნული ნორმა ადგენს იმ საპროცესო მოქმედებების ამომწურავ ჩამონათვალს, რომელთა შესრულების უფლებაც არა აქვს წარმომადგენელს სპეციალური მინდობილობის გარეშე. ამ მხრივ საპროცესო კანონმდებლობა არ შეიცავს რაიმე გამონაკლისს იმ ადვოკატის მიმართ, რომელიც საქმის სასამართლოში განხილვისას მხარეს წარმოადგენს ორდერის საფუძველზე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 96-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ადვოკატის უფლებამოსილება დასტურდება შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილი წესით. «ადვოკატთა შესახებ» საქართველოს კანონის მე-19 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ადვოკატი საადვოკატო საქმიანობას ახორციელებს ხელშეკრულების საფუძველზე. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, გამომიების ორგანოებში ან საქმის სასამართლოში განხილვისას ადვოკატი ვალდებულია საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელ მოწმობასთან ერთად წარადგინოს დადგენილი წესით კლიენტის მიერ მასზე გაცემული დოკუმენტი – მინდობილობა ან ორდერი. ამდენად, საქმის სასამართლოში განხილვისას ადვოკატი უფლებამოსილია კლიენტი წარმოადგინოს როგორც მინდობილობის, ასევე ორდერის საფუძველზე. ამასთან, ზემოაღნიშნული ნორმის ანალიზი ცხადყოფს, რომ ორდერი შეიძლება გაიცეს კლიენტთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. იმისდა მიუხედავად, თუ რომელი დოკუმენტის (მინდობილობის თუ ორდერის) საფუძველზე ახორციელებს ადვოკატი წარმომადგენლობას, ყველა შემთხვევაში 98-ე მუხლში მითითებულ მოქმედებათა შესრულება მას შეუძლია მხოლოდ მაშინ, როდესაც მარწმუნებლის მიერ გაცემულ მინდობილობაში სპეციალურადაა აღნიშნული ამ მოქმედებათა შესრულებისათვის უფლებამოსილების მიწჭების შესახებ. მითითებული მსჯელობიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ წარმომადგენლისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის ჩაბარება მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაითვლება 70-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულ ჩაბარებად, თუ წარმომადგენელს მარწმუნებლის მიერ გაცემული მინდობილობით მიწჭებული აქვს გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება. შესაბამისად, მხოლოდ ასეთ შემთხვევაშია დასაშვები გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის ათვლის დასაწყისი დაუკავშირდეს ამ გადაწყვეტილების წარმომადგენლისათვის ჩაბარების მომენტს. აღნიშნული მსჯელობის მართებულობას ასაბუთებს ასევე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე, 397-ე, 416-ე მუხლები, რომლებიც დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოცხადების შემთხვევაში, ამ გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის დენის დაწყებას უკავშირებენ მისი გამოცხადების მომენტს, მაგრამ იმ აუცილებელი პირობით, რომ დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრებოდეს საჩივრის შეტანის უფლების მქონე პირი. დასახელებული ნორმები კიდევ ერთხელ ადასტურებენ იმ გარემოებას, რომ გადაწყვეტილების გასაჩივრების კანონით დადგენილი ვადის ათვლის დასაწყისი ყოველთვის უკავშირდება დასაბუთებული გადაწყვეტილების იმ პირისათვის ჩაბარებას (გამოცხადებას), რომელსაც აქვს საჩივრის შეტანის უფლება.

მოცემულ შემთხვევაში, საქმეში წარმოდგენილია ადვოკატ დ. გ-შვილის სახელზე გაცემული ორდერი, რომელიც მას ანიჭებს უფლებას თბილისის საქალაქო სასამართლოში დაიცვას ვ. პ-იანისა და ე. პ-იანის ინტერსები სამოქალაქო საქმეზე. საკასაციო პალატა აღნიშნავს, გარდა იმისა, რომ მითითებული ორდერი ადვოკატ დ. გ-შვილს ანიჭებს მხოლოდ თბილისის საქალაქო სასამართლოში წარმომადგენლობის უფლებას, იგი არ შეიცავს მითითებას გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებამოსილებაზე. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ორდერი ასეთ მითითებას რომც შეიცავდეს, ეს არ იქნებოდა საკმარისი საფუძველი ადვოკატის მიერ გადაწყვეტილების გასაჩივრებისათვის, ვინაიდან მისთვის ასეთი უფლებამოსილების მიწჭების შესახებ სპეციალურად უნდა იქნეს აღნიშნული მარწმუნებლის მიერ გაცემულ მინდობილობაში და არა ორდერში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ვინაიდან ადვოკატ დ. გ-შვილს არ ჰქონდა გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება, ამიტომ იგი არ იყო უფლებამოსილი მიეღო დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლი. შესაბამისად, აღნიშნული დოკუმენტის მისთვის ჩაბარება სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადის ათვლის საფუძველი ვერ გახდება.

საქმის მასალების მიხედვით, ვ. პ-იანისათვის გადაწყვეტილების ასლის ჩაბარება არ დასტურდება. თავად ვ.პ-იანის განმარტებით, მას გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდა 2011 წლის 25 იანვარს. საქმეში წარმოდგენილი ხელწერილით ირკვევა, რომ გ. და მ. პ-იანების წარმომადგენელს ე. პ-იანს გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდა 2011 წლის 25 იანვარს. ამდენად, ვ., გ. და მ. პ-იანებს სააპელაციო საჩივრის შეტანის უფლება ჰქონდათ 2011 წლის 8 თებერვლის ჩათვლით. მათ მიერ სააპელაციო საჩივარი შეტანილია 2011 წლის 7 თებერვალს, ანუ კანონით დადგენილი ვადის დაცვით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი კერძო საჩივარი საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ხელახლა განსახილველად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ვ., გ. და მ. პ-იანების კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 21 თებერვლის განჩინება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ხელახლა განსახილველად.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

წარმომადგენლობის უფლებამოსილება

განჩინება

№ას-480-454-2011

27 მაისი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

აღწერილობითი ნაწილი:

ე. ს-მემ სარჩელი აღძრა ბათუმის საქალაქო სასამართლოში შპს «ბ. ე. ჯგუფის» მიმართ და მოითხოვა მოპასუხესთან 2007 წლის 20 ივლისსა და 2008 წლის 11 იანვარს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების შეწყვეტა და ქ. ბათუმში, ... ქ. №110-ში მდებარე უძრავი ქონების თავის საკუთრებაში დაბრუნება.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილებით ე. ს-მის სარჩელი დაკმაყოფილდა, შეწყვეტილად იქნა ცნობილი ე. ს-მესა და შპს «ბ. ე. ჯგუფის» შორის 2007 წლის 20 ივლისსა და 2008 წლის 11 იანვარს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულებები და ქ. ბათუმში, ... ქ. №110-ში მდებარე უძრავი ქონება (მახასიათებლები: მიწის სარეგისტრაციო №..., სარეგისტრაციო ზონა – ბათუმი, კოდი-..., სექტორი ..., კოდი ..., კვარტლის №17, ნაკვეთის №016, ფართობი 307 კვ.მ, უფლება საერთო საკუთრება, ნაკვეთის ფუნქცია – არასასოფლო, შენობა-ნაგებობები სასარგებლო ფართობი 18,96 კვ.მ), ე. ს-მეს დაუბრუნდა საკუთრებაში, შპს «ბ. ე. ჯგუფის» მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა ადვოკატის იურიდიული მომსახურებისათვის გაწეული ხარჯის ანაზღაურება 1000 ლარის ოდენობით.

საქალაქო სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს «ბ. ე. ჯგუფის» წარმომადგენელმა ჯ. ქ-შვილმა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 6 იანვრის განჩინებით აპელანტ შპს «ბ. ე. ჯგუფის» (წარმომადგენელი ჯ. ქ-შვილი) სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის შესავსებად განესაზღვრა 5-დღიანი ვადა სახელმწიფო ბაჟის (160 ლარის) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტისა და ორგანიზაციის ხელმძღვანელის ან სხვა უფლებამოსილი პირის მიერ ჯ. ქ-შვილის სახელზე გაცემული რწმუნებულების (მინდობილობის), სადაც ასახული იქნებოდა, რომ წარმომადგენელ – ჯ. ქ-შვილს მინიჭებული აქვს სასამართლო აქტების გასაჩივრების უფლებამოსილება ან უშუალოდ შპს «ბ. ე. ჯგუფის» ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი სააპელაციო საჩივრის წარმოსადგენად.

2011 წლის 20 იანვარს შპს «ბ. ე. ჯგუფმა» (წარმომადგენელი ჯ. ქ-შვილი) განცხადებით მიმართა სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღება იმ საფუძვლით, რომ მათ მიერ ხარვეზი აღმოფხვრილი იყო, რის დასადასტურებლადაც განცხადებას თან დაურთო 150 ლარის ოდენობით გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ქვითარი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 25 იანვრის განჩინებით აპელანტს 4 დღით გაუგრძელდა ხარვეზის გამოსწორების საპროცესო ვადა და დაევალა ხარვეზის სრულად

შევსების მიზნით დარჩენილი სახელმწიფო ბაჟის – 10 ლარის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტისა და ორგანიზაციის ხელმძღვანელის ან სხვა უფლებამოსილი პირის მიერ ჯ. ქ-შვილის სახელზე გაცემული რწმუნებულების (მინდობილობის), სადაც ასახული იქნებოდა, რომ წარმომადგენელ – ჯ. ქ-შვილს მინიჭებული აქვს სასამართლო აქტების გასაჩივრების უფლებამოსილება ან უშუალოდ შპს «ბ. ე. ჯგუფის» ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი სააპელაციო საჩივრის წარმოდგენა. ამასთან, აღნიშნული განჩინებითვე აპელანტს განემარტა ხარვეზის შეუვსებლობის სამართლებრივი შედეგები, თუმცა, მიუხედავად ამისა, აპელანტმა 2010 წლის 7 თებერვალს მიმართა სასამართლოს განცხადებით, რასაც თან დაურთო ორგანიზაციის ხელმძღვანელის – შ. ბ-ძის მიერ მის სახელზე გაცემული მინდობილობა და მოითხოვა სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 24 თებერვლის განჩინებით შპს «ბ. ე. ჯგუფის» წარმომადგენლის ჯ. ქ-შვილის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად სასამართლოს მიერ დადგენილ საპროცესო ვადაში, ხარვეზის შეუვსებლობის გამო.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრით გასაჩივრა შპს «ბ. ე. ჯგუფის» დირექტორმა შ. ბ-ძემ, მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღება იმ საფუძველზე, რომ საქმეში არსებული და შემდგომში კვლავ წარმოდგენილი რწმუნებულების თანახმად, ჯ. ქ-შვილს მის მიერ მინიჭებული ჰქონდა უფლებამოსილება, დაეცვა შპს «ბ. ე. ჯგუფის» ინტერესები საქართველოში მოქმედ ყველა ინსტანციის სასამართლოში, რაც თავის მხრივ მოიაზრებდა წარმომადგენლის უფლებას, დაეცვა საზოგადოების ინტერესები, კერძოდ, გაესაჩივრებინა ზემდგომ ინსტანციაში პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და, აქედან გამომდინარე, სასამართლოს უნდა გაეგრძელებინა მათთვის ხარვეზის შევსების ვადა სახელმწიფო ბაჟის დარჩენილ – 10 ლარის გადახდის ნაწილში, თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 64-ე მუხლისა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძველების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს «ბ. ე. ჯგუფის» დირექტორ შ. ბ-ძის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად უნდა დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 24 თებერვლის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი არ უპასუხებს ამ მუხლში ჩამოთვლილ მოთხოვნებს ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი არ მიიღება და, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის შესაბამისად, დარჩება განუხილველად.

განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით ირკვევა, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 6 იანვრის განჩინებით აპელანტ შპს «ბ. ე. ჯგუფის» (წარმომადგენელი ჯ. ქ-შვილი) სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის შესავსებად განესაზღვრა 5-დღიანი ვადა სახელმწიფო ბაჟის (160 ლარის) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტისა და ორგანიზაციის ხელმძღვანელის ან სხვა უფლებამოსილი პირის მიერ ჯ. ქ-შვილის სახელზე გაცემული რწმუნებულების (მინდობილობის), სადაც ასახული იქნებოდა, რომ წარმომადგენელ – ჯ. ქ-შვილს მინიჭებული აქვს სასამართლო აქტების გასაჩივრების უფლებამოსილება ან უშუალოდ შპს «ბ. ე. ჯგუფის» ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი სააპელაციო საჩივრის წარმოსადგენად.

ასევე დადგენილია, რომ სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 25 იანვრის განჩინებით ჯ. ქ-შვილის განცხადება არ დაკმაყოფილდა და აპელანტს 4 დღით გაუგრძელა ხარვეზის გამოსწორების საპროცესო ვადა. ამასთან, განემარტა ხარვეზის შეუვსებლობის სამართლებრივი შედეგები, თუმცა, მიუხედავად ამისა, აპელანტმა 2010 წლის 7 თებერვალს მიმართა სასამართლოს განცხადებით, რასაც თან დაურთო, საქმეში უკვე არსებული, ორგანიზაციის ხელმძღვანელის – შ. ბ-ძის მიერ მის სახელზე გაცემული მინდობილობა და მოითხოვა სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღება. ამდენად, ვინაიდან სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში, აპელანტმა არ წარმოადგინა მინდობილობა, სადაც სათანადოდ იქნებოდა მითითებული სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების წარმომადგენლისათვის მინიჭების თაობაზე და ასევე, დარჩენილი სახელმწიფო ბაჟის – 10 ლარის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, ზემოთ დასახელებულ ნორმათა შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ შპს «ბ. ე. ჯგუფის» სააპელაციო საჩივარი განუხილველად დატოვა.

კერძო საჩივრის ავტორი გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველად უთითებს იმ გარემოებაზე, რომ საქმეში არსებული და შემდგომში კვლავ წარმოდგენილი რწმუნებულების თანახმად, ჯ. ქ-შვილს მის მიერ მინიჭებული ჰქონდა უფლებამოსილება, დაეცვა შპს «ბ. ე. ჯგუფის» ინტერესები საქართველოში მოქმედ ყველა ინსტანციის სასამართლოში, რაც თავის მხრივ მოიაზრებდა წარმომადგენლის უფლებას, დაეცვა საზოგადოების ინტერესები, კერძოდ, გაესაჩივრებინა ზემდგომ ინსტანციაში პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება. აღნიშნულ მოსაზრებას საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს, რადგანაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლის 1-ლი ნაწილი იმპერატიულად მიუთითებს, რომ წარმომადგენ-

ლის მიერ მარწმუნებლის უფლების ჯეროვნად დაცვის მიზნით რწმუნებულებაში არა ზოგადად, არამედ კონკრეტულად უნდა აღნიშნოს სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების მინიჭების შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში რწმუნებულები არ იქნება უფლებამოსილი მარწმუნებლის სახელით განახორციელოს აღნიშნული უფლებამოსილება. განსახილველ შემთხვევაში კი, საქმეში არსებული და შემდგომ ხარვეზის შევსების მიზნით სააპელაციო სასამართლოში წარმოდგენილი შპს «ბ. ე. ჯგუფის» დირექტორის მიერ გაცემული მინდობილობით ჯ. ქ-შვილს მიენიჭა უფლება, შპს «ბ. ე. ჯგუფის» სახელით «აწარმოოს სამოქალაქო, ადმინისტრაციული, სისხლის სამართლის საქმეები ყველა ინსტანციის სასამართლოში, სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, სახელმწიფო დაწესებულებებში. აღნიშნული რწმუნებულების განსახორციელებლად რწმუნებულები უფლებამოსილია ორგანიზაციის სახელით შეასრულოს ყველა ის მოქმედება და პროცედურა, რაც დადგენილია კანონმდებლობით, მათ შორის: შეიტანოს განცხადება ან სარჩელი სასამართლოში, გაეცნოს საქმის მასალებს, გააკეთოს ამონაწერები ამ მასალებიდან, განაცხადოს აცილება და ა. შ. დასახელებული მინდობილობის დებულებათა შესწავლის შედეგად საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მარწმუნებელს ჯ. ქ-შვილისათვის პირდაპირ არ მიუნიჭებია უფლება სასამართლოს აქტების ზემოდგომ ინსტანციებში გასაჩივრებისა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედება სრულდება კანონით დადგენილ ან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში. ამავე კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება. ამ ნორმებიდან გამომდინარეობს, რომ მხარე ვალდებულია სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში შეასრულოს მისთვის დავალებული საპროცესო მოქმედება, წინააღმდეგ შემთხვევაში კი კარგავს შესაბამის საპროცესო მოქმედების შესრულების უფლებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ვინაიდან, კერძო საჩივრის ავტორმა დადგენილი ხარვეზის გამოსწორება ვერ უზრუნველყო სასამართლოს მიერ დადგენილ საპროცესო ვადაში, ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ შპს «ბ. ე. ჯგუფის» სააპელაციო საჩივარი სწორად დატოვა განუხილველად და, შესაბამისად, არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. შპს «ბ. ე. ჯგუფის» დირექტორ შ. ბ-ძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 24 თებერვლის განჩინება.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

წარმომადგენლის საქმიანობის შეზღუდვა

განჩინება

№ას-20-19-2010

9 მარტი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 10 მარტს ბათუმის საქალაქო სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა რ. შ-ოვმა მოპასუხე ლ. ა-ოლის მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით.

სასარჩელო განცხადებაში აღნიშნულია, რომ 2008 წლის 15 მარტის შეთანხმების თანახმად, მოსარჩელის მარწმუნებელ რ. შ-ოვს, რომელიც მუშაობდა ადვოკატად, რუსეთის ფედერაციის ქ. მოსკოვის საქალაქო სასამართლოში უნდა ეწარმოებინა მოპასუხე ლ. ა-ოლის საქმე. თავის მხრივ, ლ. ა-ოლს გაწეული იურიდიული მომსახურებისათვის უნდა გადაეხადა ამონაგები თანხის 20%. აღნიშნული საქმე დასრულდა მოპასუხის სასარგებლოდ და რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს ლ. ა-ოლის სასარგებლოდ დაეკისრა

40 000 აშშ დოლარის გადახდა. მოსარჩელის მითითებით, ლ. ა-ოლს მისთვის არ გადაუხდია შეთანხმებით გათვალისწინებული გასამრჯელო, რაც შეადგენს 8000 აშშ დოლარს.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილებით რ. შ-ოვის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმეზე წარმოდგენილი მოსკოვის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 27 მაისის განჩინებით დასტურდებოდა, რომ 2008 წლის 27 მაისს მოსკოვის საქალაქო სასამართლომ განიხილა რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 26 ნოემბრის განაჩენის იძულებით აღსრულებათან დაკავშირებული, რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე უცხო სახელმწიფოს გადაწყვეტილების დამტკიცების საკითხი, რომლითაც ლ. ა-ოლის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს მოპასუხის სასარგებლოდ დაეკისრა 40 000 აშშ დოლარის გადახდა. აღნიშნული საქმის განხილვაში ლ. ა-ოლის ინტერესებს წარმოადგენდა რ. შ-ოვი. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელემ მოპასუხის ინტერესები მოსკოვის საქალაქო სასამართლოში დაიცვა ლ. ა-ოლის მიერ რ. შ-ოვის სახელზე 2008 წლის 10 აპრილს გაცემული და არა 2008 წლის 15 მარტის სანოტარო რწმუნებულებით, სადაც იურიდიული მომსახურებისათვის გასამრჯელოს ოდენობა არ იყო მითითებული. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელეს არ წარმოუდგენია გაწეული იურიდიული მომსახურებისათვის მიკუთვნებული თანხის 20%-ის გადახდის შეთანხმების თაობაზე რაიმე მტკიცებულება.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა რ. შ-ოვმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება. აპელანტი მიუთითებდა, რომ ლ. ა-ოლმა დაარღვია შეთანხმების პირობები და რწმუნებულს არ გადაუხადა გაწეული იურიდიული მომსახურებისათვის დათქმული საფასური ამონაგები თანხის 20%-ის ოდენობით. აპელანტის მოსაზრებით, სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 2 ივლისის განჩინებით რ. შ-ოვის სააპელაციო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი, კერძოდ, დაევალა განჩინების ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში 320 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 21 აგვისტოს განჩინებით რ. შ-ოვის სააპელაციო საჩივარი დატოვებულ იქნა განუხილველად. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ რ. შ-ოვის წარმომადგენელ ბ. ხ-ოვისათვის გაგზავნილი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 2 ივლისის განჩინების ასლი ჩაჰბარდა მის მეუღლეს 2009 წლის 7 ივლისს. სააპელაციო სასამართლომ აპელანტის წარმომადგენლისათვის განჩინება ჩაბარებულად მიიჩნია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის შესაბამისად, ხოლო აპელანტის მიერ ხარვეზი არ იქნა შევსებული.

სააპელაციო სასამართლოს აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა რ. შ-ოვმა (წარმომადგენელი დ. გ-შვილი), რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება. კერძო საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ 2009 წლის 2 ივლისის განჩინება ვერ ჩაითვლება აპელანტისათვის ჩაბარებულად, ვინაიდან იგი ჩაჰბარდა ბ. ხ-ოვს, რომელიც პირველი ინსტანციის სასამართლოში იცავდა რ. შ-ოვის ინტერესებს, მაგრამ არ აქვს ჩაბარებული ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა და შესაბამისად, არ არის ადვოკატთა ასოციაციის წევრი. კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, რ. შ-ოვმა პირადად მიმართა სააპელაციო სასამართლოს სააპელაციო საჩივრით, რის შემდეგაც მისთვის ცნობილი არ ყოფილა სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის დადგენის შესახებ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 21 აგვისტოს განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას რ. შ-ოვის სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობის შესახებ.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილებაზე შეტანილ სააპელაციო საჩივარს ხელს აწერს პირადად რ. შ-ოვი. ასევე დადგენილია, რომ სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის დადგენის შესახებ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 2 ივლისის განჩინება რ. შ-ოვს არ გაგზავნია. აღნიშნული განჩინება გაეგზავნა მხოლოდ ბ. ხ-ოვს, რომელიც რ. შ-ოვის ინტერესებს იცავდა პირველი ინსტანციის სასამართლოში. ბორის ხაჩატუროვს არ ჰქონდა ჩაბარებული ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა, შესაბამისად, არ იყო გაწევრიანებული საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 440-ე მუხლი ითვალისწინებს წარმომადგენლის საქმიანობის შეზღუდვას სამოქალაქო პროცესში, აღნიშნული მუხლის მიხედვით, პირებს, რომლებსაც არ გაუვლიათ ადვოკატთა ტესტირება და არ არიან გაწევრიანებული საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში, ეკრძალებათ წარ-

მომადგენლის უფლებამოსილების განხორციელება სააპელაციო და საკასაციო ინსტანციების სასამართლო-ებში.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ხარვეზის დადგენის შესახებ განჩინება უნდა გაგზავნოდა რ. შ-ოვს და არა ბ. ხ-ოვს, რამდენადაც ამ უკანასკნელს არ ჰქონდა უფლებამოსილება, მარწმუნებლის ინტერესები დაეცვა სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში და არც სააპელაციო საჩივარი ჰქონდა შეტანილი მარწმუნებლის სახელით. შესაბამისად, მისთვის განჩინების ჩაბარება არ წარმოშობდა იმ სამართლებრივ შედეგებს, რაც სააპელაციო სასამართლომ დაადგინა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 21 აგვისტოს განჩინება და რ. შ-ოვის სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების ეტაპიდან საქმე განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლით, 419-ე-420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

რ. შ-ოვის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 21 აგვისტოს განჩინება და რ. შ-ოვის სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების ეტაპიდან საქმე განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეწყვეტა მარწმუნებლის მიერ

განჩინება

№ას-223-209-2011

14 მარტი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ბ. ალაგბე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

ლ. მ-შვილმა სარჩელი აღძრა სასამართლოში ე., ლ., ი. ტ-იეგების, ლ. ჩ-შვილისა და გ. ლ-ძის მიმართ თანხის დაკისრების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: 1990 წლის 4 ივნისს №1 ოქმით ჩამოყალიბდა ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა «კ. 53». 1991 წელს აღნიშნულ ამხანაგობაში გაწევრიანდა ლ. მ-შვილი. მოსარჩელემ ამხანაგობის ანგარიშზე გადაიხადა 111 749 რუსული რუბლი, ხოლო 115 500 რუსული რუბლი ამხანაგობის თავმჯდომარეს გადასცა ხელწერილის საფუძველზე. მშენებლობის დასრულების შემდგომ მოსარჩელეს უნდა მიეღო 5-ოთახიანი, 220 კვ.მ. ფართობის ბინა მეშვიდე სართულზე.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 21 მაისის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ლ. მ-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნულ დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივარი შეიტანა ლ. მ-შვილმა. საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 3 სექტემბრის განჩინებით ლ. მ-შვილის საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ძალაში დარჩა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 28 იანვრის განჩინებით ლ. მ-შვილის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად, ხარვეზის შეუვსებლობის გამო.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ლ. მ-შვილმა და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძვლებით:

ავადმყოფობის გამო მან ადვოკატს სთხოვა საქმის წარმოება, თუმცა არ მიუწოდებია ინფორმაცია პროცესის მიმდინარეობის შესახებ. სასამართლომ თავისი მოვალეობა არ შეასრულა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის მიხედვით. კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, მიუხედავად ავადმყოფობისა, სასამართლოს უნდა გაეგზავნა საპროცესო დოკუმენტი, თანხის გადახდა მის და არა ადვოკატის მოვალეობას

წარმოადგენდა. ასევე განმარტა – მართალია, უწყება შეიძლება წარმომადგენელსაც ჩაჰზარდეს, მაგრამ კონკრეტული საპროცესო მოქმედება მხოლოდ მოსარჩელის შესასრულებელი იყო და მასაც უნდა ჩაჰზარებოდა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ლ. მ-შვილის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად; მხარეს ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყებით ეცნობება სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაზარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაჰზარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს, წარმომადგენელი ვალდებულია, უწყების ჩაზარების შესახებ აცნობოს მხარეს. აღნიშნული მუხლის თანახმად, უწყება ჩაზარებულად ითვლება, თუ უწყება გაეგზავნა მხარეს ან მის წარმომადგენელს და ეს უწყება ერთ-ერთ მათგანს ჩაჰზარდა.

საპეალაციო სასამართლოს მიერ გაგზავნილი უწყება ჩაჰზარდა ლ. მ-შვილის წარმომადგენელ ნ. ხ-ძეს. მარწმუნებელს უფლება აქვს, აწარმოოს საქმე სასამართლოში წარმომადგენლის მეშვეობით. წარმომადგენელი ასრულებს მეტად მნიშვნელოვან ფუნქციას, რომელზეც ბევრადაა დამოკიდებული ყველა იმ საპროცესო საშუალებების ამოქმედება, რომლებიც მარწმუნებლის ინტერესების დაცვას უზრუნველყოფენ. წარმომადგენლის მიერ ამ საპროცესო საშუალებების გამოუყენებლობა ან კიდევ მის მიერ ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობა თუ არასათანადოდ შესრულება, გავლენას ვერ მოახდენს საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული შედეგების დადგომაზე, ვინაიდან მარწმუნებელსა და რწმუნებულს შორის არსებული ხელშეკრულება კერძო სამართლებრივი ურთიერთობაა. მარწმუნებელს შეუძლია რწმუნებელს შეუწყვიტოს წარმომადგენლობა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 99-ე მუხლის თანახმად, მარწმუნებელს უფლება აქვს, საქმის წარმოების ყველა სტადიაზე გააუქმოს თავის მიერ გაცემული მინდობილობა და შეწყვიტოს წარმომადგენლის უფლებამოსილება, რის შესახებაც იგი წერილობით აცნობებს სასამართლოსა და წარმომადგენელს. ამდენად, წარმომადგენლის უფლებამოსილება შეწყვეტილად ითვლება, როცა მხარე წერილობით მიმართავს სასამართლოს, რაც მარწმუნებელ – ლ. მ-შვილს კერძო საჩივრის შემოტანამდე არ განუხორციელებია.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს ლ. მ-შვილის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ საპროცესო დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც მოსარჩელეს ეკისრებოდა ვალდებულება თანხის გადახდის შესახებ პირადად მას უნდა ჩაზარებოდა, ვინაიდან ეს საპროცესო მოქმედება სწორედ მისი შესასრულებელი იყო. როგორც ზემოთ აღინიშნა, უწყება უნდა ჩაჰზარდეს ან მხარეს (მოსარჩელე, მოპასუხე) ან მხარის წარმომადგენელს. ერთ-ერთი მათგანისათვის უწყების ჩაზარება კანონის შესაბამისად უწყების ჩაზარებულად მიჩნევის საფუძველია. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ ადგენს რომელიმე კონკრეტულ შემთხვევაში პირადად მხარისათვის შეტყობინების ჩაზარების აუცილებლობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ლ. მ-შვილის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს უსაფუძვლობის გამო.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე, 99-ე, 414-ე-420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

ლ. მ-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის საპეალაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 28 იანვრის განჩინება დარჩეს უცვლელად.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საპროცესო უფლებამონაცვლეობა

განჩინება

№ას-924-1131-08

8 აპრილი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),
რ. ნადირიანი (მომხსენებელი),
თ. თოდრია

დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2006 წლის 26 სექტემბრის განჩინებით შეწყდა საქმის წარმოება მხარეთა, ტ. ა-დისა და ვ. ჯ-დის, მორიგების გამო. ტ. ა-დემ მორიგების აქტით ნაკისრი ვალდებულება შეასრულა და ვ. ჯ-დეს 2006 წლის 14 ნოემბერს გადასცა 10 000 აშშ დოლარი. ვ. ჯ-დემ კვლავ აღძრა სარჩელი ტ. ჯ-დის მიმართ და მოითხოვა თანხის დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 2 ივნისის გადაწყვეტილებით ვ. ჯ-დის სარჩელი ტ. ა-დის მიმართ დანაშაულით მიყენებული ანაცდენი ზიანის ასანაზღაურებლად მოპასუხისათვის მის სასარგებლოდ 12600 აშშ დოლარის დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 25 მაისის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და ყადაღა მოეხსნა თბილისში, ... 15ა კორპუსის №14-ში მდებარე ტ. ა-დის კუთვნილ ბინას.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ვ. ჯ-დემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 16 სექტემბრის განჩინებით ვ. ჯ-დის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად დაუშვებლობის გამო.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ვ. ჯ-დემ და მოითხოვა მისი გაუქმება.

2008 წლის 12 ნოემბერს ვ. ჯ-დემ შუამდგომლობით მომართა საკასაციო სასამართლოს, წარმოადგინა ტ. ა-დის გარდაცვალების მოწმობა და მოითხოვა საქმის წარმოების შეჩერება უფლებამონაცვლის დადგენამდე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 15 იანვრის განჩინებით სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის «ა» ქვეპუნქტის საფუძველზე, ვ. ჯ-დის კერძო საჩივრის განხილვა შეჩერდა ტ. ა-დის უფლებამონაცვლის დადგენამდე.

2009 წლის 25 დეკემბერს საკასაციო სასამართლოში დანიშნულ იქნა სასამართლო სხდომა, რომელზეც განხილულ იქნა ვ. ჯ-დის კერძო საჩივარზე საქმის წარმოების განახლების საკითხი. აღნიშნულ სხდომაზე გამოცხადდა კერძო საჩივრის ავტორი, რომელსაც მიეცა ვადა 2010 წლის 15 იანვრამდე ტ. ა-დის უფლებამონაცვლის ვინაობის დასადგენად და სასამართლოსათვის შესაბამისი მტკიცებულების წარმოსადგენად, მაგრამ სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში კერძო საჩივრის ავტორს არ წარმოუდგენია თავისი მოსაზრება და არც რაიმე დოკუმენტი უფლებამონაცვლის ვინაობის თაობაზე. 2010 წლის 22 იანვარს კვლავ ჩაინიშნა სხდომა, რომლის შესახებაც ვ. ჯ-დეს ეცნობა კანონით დადგენილი წესით, მაგრამ იგი არ გამოცხადდა.

სსსკ-ის 281-ე მუხლის «ა» ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქმის წარმოების შეჩერების ვადა ამოიწურა, ვ. ჯ-დის კერძო საჩივარზე საქმის წარმოება განახლდა და კერძო საჩივრის ავტორს დაევალა განჩინების ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში ეცნობებინა სასამართლოსათვის ტ. ა-დის უფლებამონაცვლის ვინაობა და წარმოედგინა აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტი.

2010 წლის 15 თებერვალს ვ. ჯ-დემ განცხადებით მომართა უზენაეს სასამართლოს, სადაც აღნიშნა, რომ ტ. ა-დეს არ ჰყავდა პირველი რიგის მემკვიდრეები, ტ. ა-დეს ჰყავდა და-ძმა, რომელთანაც გარდაცვალების დროს ცხოვრობდა. ვ. ჯ-დის განცხადებით მისთვის უცნობია მოპასუხეს შედგენილი ჰქონდა თუ არა ანდერძი და შეუდგა თუ არა ვინმე სამკვიდროს ფლობას.

უფლებამონაცვლის დადგენის მიზნით უზენაეს სასამართლოში 2010 წლის 5 მარტს დაინიშნა სასამართლო სხდომა. უწყებები კანონით დადგენილი წესით გაეგზავნა ვ. ჯ-დეს, ასევე მოპასუხის და-ძმას ვ. ჯ-დის მიერ მითითებულ მისამართებზე, მაგრამ მათ უწყებები ვერ ჩაბარდა, რადგან მითითებულ მისამართებზე ისინი არ ცხოვრობენ. ხოლო ვ. ჯ-დეს უწყება ჩაბარდა კანონით დადგენილი წესით, მაგრამ სასამართლოს სხდომაზე არ გამოცხადდა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები და თვლის, რომ მოცემულ საქმეზე უნდა შეწყდეს საქმის წარმოება შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სადავო ან სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი ურთიერთობიდან ერთ-ერთი მხარის გასვლის შემთხვევაში (მოქალაქის გარდაცვალება, იურიდიული პირის რეორგანიზაცია, მოთხოვნის დათმობა და სხვა) სასამართლო დაუშვებს ამ მხარის შეცვლას მისი უფლებამონაცვლით.

საპროცესო უფლებამონაცვლეობა – ესაა მხარეების და მესამე პირების შეცვლა იმ პირებით, რომლებზეც მათი უფლებები და მოვალეობები გადავიდა. საპროცესო უფლებამონაცვლეობა მთლიანად ეფუძნება უფლებამონაცვლეობას მატერიალურ სამართალში. სამოქალაქო კოდექსის 1328-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სამკვიდრო შეიცავს მამკვიდრებლის როგორც ქონებრივი უფლებების, ისე მოვალეობების ერთობლიობას, რომელიც მას ჰქონდა სიკვდილის მომენტისათვის. ამავე კოდექსის 1488-ე მუხლის თანახმად კი მამკვიდრებლის კრედიტორებს ექვსი თვის განმავლობაში შეუძლიათ წარუდგინონ მოთხოვნა იმ მემკვიდრეებს, რომლებმაც მიიღეს სამკვიდრო.

განსახილველ შემთხვევაში, კერძო საჩივრის ავტორმა სასამართლოში ვერ წარმოადგინა რაიმე მტკიცებულება იმის შესახებ, ჰქონდა თუ არა სიკვდილის მომენტისათვის მოპასუხეს ქონებრივი უფლებები და ასევე ვერ დაგვისახელა ის პირები, რომლებზეც გადავიდა ეს უფლებები. აღნიშნული გარემოებების მტკიცების ტვირთი ეკისრება მოსარჩელეს, რადგან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოსარჩელე ვალდებულია დაასახელოს მოპასუხე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „ე“ პუნქტის თანახმად, სასამართლო მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით, შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ საქმის ერთ-ერთ მხარედ მყოფი მოქალაქის გარდაცვალების შემდეგ ან იურიდიული პირის ლიკვიდაციისას, სადავო სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, დაუშვებელია უფლებამონაცვლეობა.

საკასაციო პალატა თვლის, რომ ვინაიდან მოსარჩელე მხარემ ვერ დაადასტურა მოპასუხის ქონებრივი უფლებების არსებობა და ამ უფლებების გადასვლა სხვა პირებზე, მოცემულ საქმეზე საქმის წარმოება უნდა შეწყდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე, 279-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

გაუქმდეს ამ საქმეზე მიღებული ყველა გადაწყვეტილებები და შეწყდეს საქმის წარმოება; საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საპროცესო უფლებამონაცვლეობა

განჩინება

№ას-154-148-2011

4 აპრილი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: მოვალის უფლებამონაცვლის დადგენა და მის წინააღმდეგ სააღსრულებო ფურცლის გაცემა

აღწერილობითი ნაწილი:

2005 წლის 21 თებერვალს ნ. გ-მ სარჩელით მიმართა თბილისის ისანი-სამგორის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე ა. შ-ის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხის ბინაზე მიშენებული აივნის დემონტაჟი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 3 ივლისის გადაწყვეტილებით ნ. გ-ს სარჩელი დაკმაყოფილდა, ა. შ-ს (მცხოვრებს მისამართზე: ქ.თბილისი, ... ქ.№29 «დ» კორპუსის ბინა №29-ში) დაევალა უნებართვოდ მიშენებული აივნის დემონტაჟი და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ა. შ-მ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 19 ივნისის გადაწყვეტილებით ა. შ-ს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 3 ივლისის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ნ. გ-ს სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ნ. გ-მ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 8 აპრილის განჩინებით ნ. გ-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 19 ივნისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 23 ივლისის განჩინებით ა. შ-სა და ნ. გ-ს შორის დამტკიცდა მორიგება შემდეგი პირობებით:

ა) ა. შ-ე იღებს ვალდებულებას, ნ. გ-ს საცხოვრებელი ბინის ქვემოთ მიშენებულ აივანზე ნ. გ-ს საცხოვრებელი ბინის საძინებლისა და სამზარეულოს ფანჯრების მხარეს მოახდინოს აივნის სახურავის, ბომბისა და გისოსების დემონტაჟი, ანუ ნ. გ-ს საძინებლისა და სამზარეულოს ფანჯრების ქვემოთ შეინარჩუნოს აივანი ღია მდგომარეობაში, გადახურული აივანი შეინარჩუნოს მხოლოდ ნ. გ-ს საცხოვრებელი ბინის შემინული ლოჯიის მხარეს, აივნის ქვემოთ. ამასთან, ა. შ-ე იღებს ვალდებულებას, აივნის სახურავი მოიყვანოს დახრილ მდგომარეობაში, აივნის სიმაღლის 35 სმ-ით მოკლების ხარჯზე. მხარეების შეთანხმებით, აივნის სიმაღლე სახურავის დახრილ მდგომარეობაში მოყვანით საბოლოოდ უნდა განისაზღვროს 2.40 მ-ით, ნაცვლად 2.75 მ-ისა. მხარეთა შეთანხმებით, აივნის გადახურვა უნდა შეიცვალოს და ნაცვლად თუნუქისა, გამოყენებულ იქნეს სახურავად ვარგისი და გამოყენებადი პლასტიკატის მასალა;

ბ) ა. შ-ე იღებს ვალდებულებას, წინამდებარე მორიგების «ა» პუნქტით განსაზღვრული ვალდებულებები შესრულოს 2009 წლის 30 სექტემბრამდე;

გ) ნ. გ-ს თანახმაა, ა. შ-მ შეინარჩუნოს აივანი ზემოაღნიშნული პირობების დაცვით;

დ) მორიგების «ა» პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების «ბ» პუნქტით განსაზღვრულ ვადაში შეუსრულებლობის შემთხვევაში განხორციელდეს მორიგების აქტის იძულებით აღსრულება.

მხარეთა მორიგების გამო გაუქმდა მოცემულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 3 ივლისის გადაწყვეტილება და საქმეზე შეწყდა წარმოება.

სააპელაციო სასამართლოს დასახელებულ განჩინებაზე 2009 წლის 14 დეკემბერს გაიცა სააღსრულებო ფურცელი.

2010 წლის 20 ივლისს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას განცხადებით მიმართა ნ. გ-მ. განმცხადებელმა აღნიშნა, რომ 2009 წლის 23 ივლისის განჩინების აღსრულება ვერ ხორციელდებოდა, რადგან განჩინებით გათვალისწინებული უძრავი ქონება, რომელიც მდებარეობდა თბილისში, ... ქ. №29დ-ში და რომელთან დაკავშირებითაც მორიგებით განისაზღვრა სავალდებულო ქმედებათა განხორციელება, იმყოფებოდა არა ა. შ-ს, არამედ მისი მეუღლის – ლ. ჩ-ს საკუთრებაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განმცხადებელმა მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 23 ივლისის განჩინების განმარტება, რაც შემდეგ შეცვალა და მოითხოვა ამ განჩინების აღსრულების მიზნით უფლებამონაცვლეობის დადგენა, აგრეთვე, უფლებამონაცვლის წინააღმდეგ სააღსრულებო ფურცლის გაცემა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 30 დეკემბრის განჩინებით ნ. გ-ს განცხადება დაკმაყოფილდა, ლ. ჩ-ე ცნობილ იქნა ა. შ-ს უფლებამონაცვლედ, დადგინდა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 23 ივლისის განჩინების აღსრულება განხორციელებულიყო ა. შ-ს უფლებამონაცვლის – ლ. ჩ-ს წინააღმდეგ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე.

სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა შემდეგ გარემოებებზე:

2005 წლის 21 თებერვალს ნ. გ-მ სარჩელი აღძრა ა. შ-ს მიმართ უნებართვოდ მიშენებული აივნის დემონტაჟის მოთხოვნით;

სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების შესაბამისად, თბილისში, ... ქ. №29დ-ს ბინა №29-ში, მოსარჩელის მეზობლად მცხოვრებმა ა. შ-მ თავის საცხოვრებელ ბინას უკანონოდ მიაშენა აივანი, რითაც შეილახა მოსარჩელე ნ. გ-ს უფლებები;

საქმეზე მიღებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 23 ივლისის განჩინებით დამტკიცდა მორიგება ა. შ-სა და ნ. გ-ს შორის. მხარეთა მორიგების გამო გაუქმდა მოცემულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 3 ივლისის გადაწყვეტილება და სამოქალაქო საქმეზე შეწყდა წარმოება;

დასახელებული განჩინებით აღებული ვალდებულება ა. შ-ს არ შეუსრულებია ნებაყოფლობით, ხოლო იძულებით აღსრულება ვერ განხორციელდა იმის გამო, რომ ბინა დარეგისტრირდა ა. შ-ს მეუღლის ლ. ჩ-ს საკუთრებად;

სადავო ბინის ლ. ჩ-ს სახელზე საკუთრების უფლებით რეგისტრაცია განხორციელდა 2005 წლის 11 ნოემბერს;

საჯარო რეესტრის ამონაწერით, მესაკუთრე ლ. ჩ-ს უფლების დამადასტურებელ ერთ-ერთ დოკუმენტს წარმოადგენს 1992 წლის 16 ივნისის პრივატიზაციის ხელშეკრულება;

ნოტარიუსთა პალატიდან გამოთხოვილი დოკუმენტაციის საფუძველზე გამოირკვა, რომ 1992 წლის 16 ივნისს დაიდო პრივატიზაციის ხელშეკრულება ლ. ჩ-სა და ადგილობრივი მმართველობის ორგანოს შორის ... ქუჩაზე, «დ» კორპუსში მდებარე №29 ბინის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, სადავო ან სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი ურთიერთობიდან ერთ-ერთი მხარის გასვლის შემთხვევაში (მოქალაქის გარდაცვალება, იურიდიული პირის რეორგანიზაცია, მოთხოვნის დათმობა და ა.შ.) სასამართლო დაუშვებს ამ მხარის შეცვლას მისი უფლებამონაცვლით. უფლებამონაცვლეობა შესაძლებელია პროცესის ყოველ სტადიაზე. ამ ნორმის თანახმად, უფლებამონაცვლეობის საფუძველია სამართლებრივი ურთიერთობიდან ერთ-ერთი მხარის გასვლა. საპროცესო უფლებამონაცვლეობის საფუძველია უფლებამონაცვლეობა მატერიალურ სამართალში. სამართლებრივ ურთიერთობაში დასაშვებია უფლებებისა და მოვალეობების სუბიექტების შეცვლა, როდესაც ახალი სუბიექტი მთლიანად ან ნაწილობრივ იღებს საკუთარ თავზე თავისი წინამორბედის უფლებებსა და მოვალეობებს.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, უძრავი ქონების დარეგისტრირება მის საკუთრებაში მიღებაზე უფლებამოსილ მუდღელთაგან ერთ-ერთის სახელზე განაპირობებს რეგისტრირებულ მესაკუთრეზე ამ ქონებასთან დაკავშირებული ვალდებულებების გადასვლას. შესაბამისად, არსებობს 2009 წლის 23 ივლისის განჩინებით დადგენილი ვალდებულებების სუბიექტის – ა. შ-ს უფლებამონაცვლედ ლ. ჩ-ს ცნობის მატერიალურ-სამართლებრივი საფუძველი, გამომდინარე საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის №107 დადგენილების შინაარსიდან. ამ დადგენილების პირველ პუნქტში მითითებულია, რომ საქართველოს რესპუბლიკაში ბინების პრივატიზაცია წარმოადგენს მოქალაქეთათვის სახელმწიფო და საზოგადოებრივ საბინაო ფონდში მათ მიერ დაკავებული საცხოვრებელი სახლის (ბინის) ნებაყოფლობით შეღავათიანი პირობებით საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემას. დადგენილების მე-5 პუნქტი კი აკონკრეტებს, თუ რა საფუძველით აღიარებულ დამქირავებელს აქვს უფლება, საკუთრებაში გადაეცეს მის მიერ დაკავებული სადგომი, მითითებული ნორმის მიხედვით, საცხოვრებელი სახლი (ბინა) უსასყიდლოდ გადაეცემათ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს, რომლებიც ამ საცხოვრებელი სახლის (ბინის) დამქირავებლები ან დამქირავებლის ოჯახის წევრები არიან.

საქართველოს ნოტარიუსთა პალატიდან გამოთხოვილი დოკუმენტაციის თანახმად, ლ. ჩ-ს ოჯახის წევრს პრივატიზაციის მომენტში წარმოადგენდა მისი მეუღლე ა. შ-ე, რომელმაც თანხმობა განაცხადა ბინის მისი მეუღლის სახელზე აღრიცხვის თაობაზე. სასამართლომ განმარტა, რომ ა. შ-ს მიერ პრივატიზაციის ხელშეკრულების დადებისათვის ლ. ჩ-ს სასარგებლოდ თანხმობის მიცემით, მას უარი არ განუცხადებია თავისი წილის მიღებაზე. აღნიშნული თანხმობა განაპირობებული იყო იმ დროს მოქმედი №107 დადგენილების მე-2 პუნქტში არსებული ვალდებულებით. თანხმობის გამოხატვით სახელმწიფო მხოლოდ ამოწმებდა დამქირავებლისა და მისი ოჯახის სრულწლოვანი წევრების ნებას, მათი მხრიდან საცხოვრებელი სახლის (ბინის) უსასყიდლოდ გადაცემაზე. ამდენად, ა. შ-ს, თანხმობის მიუხედავად შენარჩუნებული ჰქონდა ზემოთითხსნილ ბინაში თავისი წილი. შესაბამისად, ა. შ-ე წარმოადგენდა დასახელებულ ბინასთან დაკავშირებული ვალდებულებების მიღებისათვის უფლებამოსილ სუბიექტს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობდა ლ. ჩ-ს, როგორც ა. შ-ს უფლებამონაცვლის მიმართ სააღსრულებო ფურცლის გაცემის საფუძველი «სააღსრულებო წარმოებათა შესახებ» საქართველოს კანონის 24-ე მუხლის შესაბამისად. ამიტომ, 2009 წლის 23 ივლისის განჩინების აღსრულება უნდა განხორციელებულიყო სააღსრულებო ფურცლის ა. შ-ს უფლებამონაცვლის – ლ. ჩ-ს წინააღმდეგ გაცემის გზით.

სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 30 დეკემბრის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ა. შ-მ (წარმომადგენელი თეა ბენაშვილი), რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ნ. გ-ს განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კერძო საჩივრის ავტორი ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებაზე, რომ ნ. გ-ა განცხადებით ითხოვდა არა უფლებამონაცვლის დადგენას, არამედ განჩინების განმარტებას. საქმეზე არ ყოფილა შედგენილი სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი რაიმე დოკუმენტი ამ უკანასკნელის მიერ მოთხოვნის დაზუსტების თაობაზე. შესაბამისად, მისთვის გაურკვეველია, თუ როგორ მოხდა განცხადების შინაარსის გარდაქმნა.

კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, მოცემული დავის პერიოდში უძრავი ქონების მესაკუთრეს, რომელთან დაკავშირებითაც მორიგებით განისაზღვრა სავალდებულო ქმედებათა განხორციელება, წარმოადგენდა ლ. ჩ-ე და არა ა. შ-ე. სააპელაციო სასამართლომ სრულიად დაუსაბუთებლად გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლი და მოახდინა მისი არასწორი ინტერპრეტაცია. ეს მუხლი საპროცესო უფლებამონაცვლეობას უშვებს იმ შემთხვევაში, თუ სამართლებრივი ურთიერთობიდან ამა თუ იმ მიზეზით გადის ერთ-ერთი მხარე. ამდენად, იმ შემთხვევაში, თუკი სადავო გახდებოდა უძრავ ქონების მესაკუთრეობაზე უფლებამონაცვლეობის საკითხი, უნდა მომხდარიყო ა. შ-ს უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების გა-

დასვლა სხვა პიროვნებაზე და ეს უკანასკნელი უნდა ყოფილიყო სადავო ფართის მესაკუთრე გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ. კონკრეტულ შემთხვევაში ბინის მესაკუთრე არასდროს ყოფილა ა. შ-ე, საქმის წარმოების პერიოდში მისი მესაკუთრე იყო ლ. ჩ-ე. ბინა ლ. ჩ-ს საკუთრება გახდა არა სასამართლო დავის ან სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, არამედ 1992 წლიდან. ამდენად, სასამართლოში სარჩელის აღძვრის დროს ქონების მესაკუთრეს წარმოადგენდა ლ. ჩ-ე, რომელსაც არ მიუღია პროცესში მონაწილეობა, მორიგების აქტით დადგენილი პირობების შესრულება მას არ ევალება. უფრო მეტიც, მორიგების აქტის დამტკიცების დროს სადავო აივანი იყო დაკანონებული ლ. ჩ-ს მიერ და საკუთრების უფლებით ირიცხებოდა მის სახელზე ბინის სრულ ფართთან ერთად. ა. შ-ე არის ლ. ჩ-ს ყოფილი მეუღლე. დღეის მდგომარეობით მას დამატებული ურთიერთობა აქვს ლ. ჩ-სთან, რომელთანაც ვერანაირ შეთანხმებას ვერ მიაღწია. არსებული ვითარების გამო, აღმასრულებელმა ვერ აწარმოა ლ. ჩ-ს წინააღმდეგ აღსრულება. მოცემულ შემთხვევაში სახეზეა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლით გათვალისწინებული ვითარება, ანუ სარჩელი აღძრულია არა იმ პირის წინააღმდეგ, რომელმაც პასუხი უნდა აგოს სარჩელზე.

კერძო საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებულ განჩინებაში გამოიყენა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის №107 დადგენილება, რომლის თანახმადაც, ა. შ-ს ჰქონდა უფლება და არა მოვალეობა, გამხდარიყო უძრავი ქონების თანამესაკუთრე. საამისოდ (იმისათვის რომ იგი ბინის მესაკუთრე გამხდარიყო), ა. შ-ს უნდა ემოქმედა კანონით დადგენილი წესით, რაც მას არ განუხორციელებია. სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული განჩინებით უგულვებელყო სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილი დანაწესი, რომ უძრავი ქონების მესაკუთრედ ითვლება პირი, რომელიც საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია მის მესაკუთრედ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ა. შ-ს კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალების თანახმად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 23 ივლისის განჩინებით მოსარჩელე ნ. გ-ს და მოპასუხე ა. შ-ს შორის დამტკიცდა მორიგება შემდეგი პირობებით:

ა) ა. შ-ე იღებს ვალდებულებას, ნ. გ-ს საცხოვრებელი ბინის ქვემოთ მიშენებულ აივანზე ნ. გ-ს საცხოვრებელი ბინის საძინებლისა და სამზარეულოს ფანჯრების მხარეს მოახდინოს აივნის სახურავის, ზოძებისა და გისოსების დემონტაჟი, ანუ ნ. გ-ს საძინებლისა და სამზარეულოს ფანჯრების ქვემოთ შეინარჩუნოს აივანი ღია მდგომარეობაში, გადახურული აივანი შეინარჩუნოს მხოლოდ ნ. გ-ს საცხოვრებელი ბინის შემინული ლოჯიის მხარეს, აივნის ქვემოთ. ამასთან, ა. შ-ე იღებს ვალდებულებას, აივნის სახურავი მოიყვანოს დახრილ მდგომარეობაში, აივნის სიმაღლის 35 სმ-ით მოკლების ხარჯზე. მხარეების შეთანხმებით, აივნის სიმაღლე სახურავის დახრილ მდგომარეობაში მოყვანით საბოლოოდ უნდა განისაზღვროს 2.40 მ-ით, ნაცვლად 2.75 მ-ისა. მხარეთა შეთანხმებით, აივნის გადახურვა უნდა შეიცვალოს და ნაცვლად თუნუქისა, გამოყენებულ იქნეს სახურავად ვარგისი და გამოყენებადი პლასტიკატის მასალა;

ბ) ა. შ-ე იღებს ვალდებულებას, წინამდებარე მორიგების «ა» პუნქტით განსაზღვრული ვალდებულებები შეასრულოს 2009 წლის 30 სექტემბრამდე;

გ) ნ. გ-ს თანახმაა, ა. შ-მ შეინარჩუნოს აივანი ზემოაღნიშნული პირობების დაცვით;

დ) მორიგების «ა» პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების «ბ» პუნქტით განსაზღვრულ ვადაში შეუსრულებლობის შემთხვევაში განხორციელდეს მორიგების აქტის იძულებით აღსრულება.

მხარეთა მორიგების გამო გაუქმდა მოცემულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 3 ივლისის გადაწყვეტილება და საქმეზე შეწყდა წარმოება.

სააპელაციო სასამართლოს დასახელებულ განჩინებაზე 2009 წლის 14 დეკემბერს გაიცა სააღსრულებო ფურცელი.

2010 წლის 20 ივლისს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას განცხადებით მიმართა ნ. გ-მ. განმცხადებელმა აღნიშნა, რომ 2009 წლის 23 ივლისის განჩინების აღსრულება ვერ ხორციელდებოდა, რადგან განჩინებით გათვალისწინებული უძრავი ქონება, რომელიც მდებარეობდა თბილისში, ... ქ. №29დ-ში და რომელთან დაკავშირებითაც მორიგებით განისაზღვრა სავალდებულო ქმედებათა განხორციელება, იმყოფებოდა არა ა. შ-ს, არამედ მისი მეუღლის – ლ. ჩ-ს საკუთრებაში. აქედან გამომდინარე, განმცხადებელმა მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 23 ივლისის განჩინების განმარტება, ხოლო შემდეგ მოთხოვნა დააზუსტა და მოითხოვა მითითებული განჩინების აღსრულების მიზნით უფლებამონაცვლეობის დადგენა და უფლებამონაცვლის წინააღმდეგ სააღსრულებო ფურცლის გაცემა.

გასაჩივრებული განჩინებით სააპელაციო სასამართლომ ა. შ-ს (მოვალის) უფლებამონაცვლედ მიიჩნია მისი მეუღლე ლ. ჩ-ე. საკასაციო სასამართლო იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას, რომ მოცემულ შემთხვევაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლით გათვალისწინებული საპროცესო უფლებამონაცვლეობის დადგენის წინაპირობები არ არსებობდა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სადავო ან სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი ურთიერთობიდან ერთ-ერთი მხარის გასვლის შემთხვევაში (მოქალაქის გარდაცვალება, იურიდიული პირის რეორგანიზაცია, მოთხოვნის დათმობა, ვალის გადაცემა და სხვა) სასამართლო დაუშვებს ამ მხარის შეცვლას მისი უფლებამონაცვლით. მითითებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ უფლებამონაცვლეობა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ერთ-ერთი მხარე გადის სადავო ან სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი ურთიერთობიდან. უფლებამონაცვლეობის საფუძველია არა საქმიდან ერთ-ერთი მხარის გასვლა (მაგალითად, არასათანადო მხარის სათანადოთი შეცვლა), არამედ სამართლებრივი ურთიერთობიდან ერთ-ერთი მხარის გასვლა. ამიტომ მნიშვნელოვანია საპროცესო უფლებამონაცვლეობა განვასხვაოთ პროცესში არასათანადო მხარის შეცვლისაგან. არასათანადო მხარე – ეს ისეთი პირია, რომელიც არ არის სადავო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე (სუბიექტი), ამიტომ მას არა აქვს მოთხოვნის უფლება, აგრეთვე მან არ უნდა აგოს პასუხი მის მიმართ აღძრულ მოთხოვნაზე. უფლებამონაცვლეობის დროს კი პირიქითაა: თავდაპირველი მხარე სათანადო მხარეა, რადგან იგი არის სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი, მაგრამ იმის გამო, რომ შემდეგში მის ადგილს ამ სამართლებრივ ურთიერთობაში იკავებს (კანონით დადგენილი საფუძვლებითა და წესით) სხვა პირი, ეს უკანასკნელი ხდება თავდაპირველი მხარის უფლებამონაცვლე.

მოცემულ შემთხვევაში ნინა გრიგოლავას სარჩელის დავის საგანი იყო ქ.თბილისში, ... ქ.№29 «დ» კორპუსის №29 ბინაზე მიშენებული აივნის დემონტაჟი. საქმის მასალებით დადგენილია, რომ აღნიშნული ბინის მესაკუთრეს წარმოადგენს ა. შ-ს (მოვალის) მეუღლე ლ. ჩ-ე. ეს უკანასკნელი ბინის მესაკუთრედ დარეგისტრირდა 2005 წლის 11 ნოემბერს, 1992 წლის პრივატიზაციის ხელშეკრულების საფუძველზე. ამდენად, ნ. გ-ს მიერ აღძრულ მოთხოვნაზე პასუხი უნდა ეგო ლ. ჩ-ს, ანუ იგი იყო სათანადო მოპასუხე, ვინაიდან მოსარჩელის მოთხოვნას წარმოადგენდა სწორედ იმ ბინაზე მიშენებული აივნის მოშლა, რომლის მესაკუთრედ ლალი ჩიხლაძე იყო. ამასთან, ვინაიდან საქმის განხილვის პროცესში მოპასუხე ა. შ-ს მიერ წარდგენილი იყო სადავო ბინაზე ლ. ჩ-ს საკუთრების უფლების დამადასტურებელი მტკიცებულებები, სასამართლოს, არასათანადო მხარე, ა. შ-ე უნდა შეეცვალა სათანადოთი – ლ. ჩ-ით. ამის მიუხედავად, სასამართლომ დაამტკიცა მორიგება არასათანადო მოპასუხესთან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული განჩინებით არასათანადო მოპასუხე შეცვალა სათანადო მოპასუხით, რაც უკანონოა, ჯერ ერთი იმიტომ, რომ საქმის წარმოების დასრულების შემდეგ არასათანადო მხარის სათანადოთი შეცვლის შესაძლებლობას საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს და, მეორეც, უფლებამონაცვლეობის საფუძველია არა საქმიდან ერთ-ერთი მხარის გასვლა (მაგალითად, არასათანადო მხარის სათანადოთი შეცვლა), არამედ სამართლებრივი ურთიერთობიდან ერთ-ერთი მხარის გასვლა, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია.

სააპელაციო სასამართლომ ა. შ-ის საპროცესო უფლებამონაცვლით შეცვლას საფუძველად დაუდო საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 01.02.1992 წლის №107 დადგენილება. ამ დადგენილების საფუძველზე ქ.თბილისში, ... ქ.№29 «დ» კორპუსის №29 ბინის თანამესაკუთრედ პალატამ მიიჩნია ა. შ-ე და ჩათვალა, რომ იგი წარმოადგენდა დასახელებულ ბინასთან დაკავშირებული ვალდებულებების მიღებისათვის უფლებამოსილ სუბიექტს.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო პალატის ზემოაღნიშნულ მსჯელობას და, უპირველესად აღნიშნავს, რომ ქ.თბილისში, ... ქ.№29 «დ» კორპუსის №29 ბინაზე ა. შ-ის თანამესაკუთრედ ცნობის საკითხი დავის საგანი არ ყოფილა, ამასთან, აღნიშნული საკითხის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება ბინის მესაკუთრის – ლ. ჩ-ის სავალდებულო მონაწილეობის გარეშე დაუშვებელია. საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს ასევე იმ გარემოებას, რომ ზემოაღნიშნული ბინის თანამესაკუთრედ ა. შ-ის მიჩნევის შემთხვევაშიც, ლ. ჩ-ე რჩება ბინის თანამესაკუთრედ და სათანადო მოპასუხედ. ეს კი გამორიცხავს ა. შ-ის უფლებამონაცვლედ ლ. ჩ-ის ცნობას. ამდენად, უსაფუძველოა ნ. გ-ს განცხადება უფლებამონაცვლეობის დადგენის და სააღსრულებო ფურცლის გაცემის თაობაზე, რის გამოც იგი დაკმაყოფილებას არ ექვემდებარება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინება დაუსაბუთებელია, რის გამოც იგი უნდა გაუქმდეს და ნ. გ-ს განცხადება არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ა. შ-ის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 30 დეკემბრის განჩინება.
3. ნ. გ-ს განცხადება არ დაკმაყოფილდეს.

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საპროცესო უფლებამონაცვლეობა

განჩინება

№ას-635-596-201

19 ივნისი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
თ. თოდრია

დავის საგანი: ვალდებულების შესრულება

აღწერილობითი ნაწილი:

შპს «ა.შ.მ-მა» სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს «ვ-ის» მიმართ საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხის – 385595 ლარის დაკისრების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: 2009 წლის 2 სექტემბერს შპს «ა.შ.მ-ს» და შპს «... 203-ს» შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც შპს «... 203» კისრულობდა მოსარჩელის მიერ საზღაურის წინასწარ გადახდის შემდეგ პროდუქციის მიწოდების ვალდებულებას. ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად გაიცა საბანკო გარანტია შპს სადაზღვევო კომპანია «ვ-ის» მიერ შპს «ა.შ.მ-ის» სასარგებლოდ 230.000 აშშ დოლარზე. მოსარჩელემ პროდუქციის ღირებულება შპს «... 203-ს» გადაურიცხა, თუმცა ამ უკანასკნელს პროდუქცია მოსარჩელისათვის არ მიუწოდებია. ამდენად, მოპასუხე ვალდებულია, შეასრულოს საბანკო გარანტიით განსაზღვრული ვალდებულება.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, შპს «ვ-ს» დაეკისრა შპს «ა.შ.მ-ის» სასარგებლოდ 385 595 ლარისა და სახელმწიფო ბაჟის – 5 000 ლარის ანაზღაურება.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება შპს «ვ-მა» გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება ნაწილობრივ გაუქმდა და შპს «ვ-ს» მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 316683 ლარის გადახდა, დანარჩენ ნაწილში კი გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

ამავე სასამართლოს 2011 წლის 17 თებერვლის განჩინებით შპს «ა.შ.მ-ის» უფლებამონაცვლედ ცნობილ იქნა შპს «ჯ.შ.ვ-ი». სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ, 2011 წლის 7 თებერვალს შპს «ჯ.შ.ვ-ის» მიერ მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) პირების რეესტრის ამონაწერის თანახმად, შპს «ა.შ.მ-ი» შეერწყა შპს «ჯ.შ.ვ-ს». ამდენად, სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლით და ჩათვალა, რომ შპს «ჯ.შ.ვ-ი» წარმოადგენს მოსარჩელე შპს «ა.შ.მ-ის» უფლებამონაცვლეს.

სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 17 თებერვლის განჩინებაზე შპს სადაზღვევო კომპანია «ვ-მა» შეიტანა კერძო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «ე» ქვეპუნქტის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტა შემდეგი საფუძვლებით: სასამართლომ მხარეთა უფლებამონაცვლეობის საკითხი დაადგინა მხოლოდ სამეწარმეო რეესტრის მონაცემთა საფუძველზე და არ გაითვალისწინა, რომ მხარეთა შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე, ბენეფიციარის უფლებების სხვა პირზე გადაცემა დაუშვებელია, თუ გარანტიით სხვა რამ არ არის დადგენილი. სამოქალაქო კოდექსის 883-ე მუხლიდან გამომდინარე, საბანკო გარანტიით აღნიშნული უფლება შპს «ა.შ.მ-ს» მინიჭებული არ ჰქონდა, შესაბამისად, მოცემულ საქმეში შპს «აგარა შუაგრ ვენჩერი» ვერ ჩაებმება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა კერძო საჩივრის საფუძვლები, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთება და მიაჩნია, რომ შპს სადაზღვევო კომპანია «ვ-ის» კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «ე» ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო, მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით, შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ საქმის ერთ-ერთ მხარედ მყოფი მოქალაქის გარდაცვალების შემდეგ ან იურიდიული პირის ლიკვიდაციისას, სადავო სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, დაუშვებელია უფლებამონაცვლეობა.

მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, იურიდიული პირის ლიკვიდაცია საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველი შეიძლება გახდეს იმ შემთხვევაში, როდესაც მოდავე მხარეებს შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, შეუძლებელია სადავო ვალდებულება შესრულდეს ლიკვიდირებული იურიდიული პირის უფლებამონაცვლის მიერ ან ასეთივე პირის მიმართ.

ამავე კოდექსის 92-ე მუხლის 1-ლი ნაწილი ადგენს, რომ სადავო ან სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი ურთიერთობიდან ერთ-ერთი მხარის გასვლის შემთხვევაში (მოქალაქის გარდაცვალება, იურიდიული პირის რეორგანიზაცია, მოთხოვნის დათმობა, ვალის გადაცემა და სხვა) სასამართლო დაუშვებს ამ მხარის შეცვლას მისი უფლებამონაცვლით.

ამდენად, კანონით განსაზღვრული ზემოხსენებული შეზღუდვების არარსებობისას იურიდიული პირის რეორგანიზაციის შემთხვევაში უნდა დადგინდეს მისი უფლებამონაცვლე, რომელიც განსახილველ დავაში მისი სამართალმემკვიდრე მხარის ადგილს დაიკავებს.

მოცემულ შემთხვევაში დადგენილია და მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ ის გარემოება, რომ მოსარჩელე შპს «ა.შ.მ-ი» რეორგანიზაციის შედეგად შეერწყა შპს «ჯ.შ.ვ-ს» და ეს უკანასკნელი წარმოადგენს მის უფლებამონაცვლეს.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას, რომ სადავო უფლებამონაცვლეობის დადგენითა და მოსარჩელედ საქმეში შპს «ჯ.შ.ვ-ის» ჩაბმით მოხდა ბენეფიციარისათვის (შპს «ა.შ.მ-ისათვის») მხარეთა შორის არსებული გარიგებით მინიჭებული უფლებების სხვა პირისათვის გადაცემა, ვინაიდან შპს «ჯ.შ.ვ-ი» არ არის მესამე პირი. საზოგადოებების შერწყმისას შპს «ჯ.შ.ვ-ი» გახდა შპს «ა.შ.მ-ის» ყველა უფლებისა და მოვალეობის მატარებელი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შპს «ჯ.შ.ვ-ი» მოცემულ საქმეში შპს «ა.შ.მ-ის» უფლებამონაცვლედ სავსებით სწორად ჩაება და სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

შპს სადაზღვევო კომპანია «ვ-ის» კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 17 თებერვლის განჩინება დარჩეს უცვლელად.

სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საპროცესო უფლება-მონაცვლეობა

განჩინება

№ას-1125-1152-2011

19 სექტემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავეძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. კვანტალიანი,

პ. ქათამაძე

დავის საგანი: ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, უძრავი ნივთის საკუთრებაში გადაცემა

აღწერილობითი ნაწილი:

ო. წ-მემ სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „ბ-ოს“ მიმართ, ქ.თბილისში, ... ქ№18-ში ბინათმშენებლობის მე-4 ბლოკის პირველ სართულზე მდებარე, მოპასუხის კუთვნილი 220 კვ.მ ბინის მოსარჩელისათვის გადაცემის მოთხოვნით შემდეგ გარემოებათა გამო:

მოსარჩელის განცხადებით, მას მთლიანად გადახდილი აქვს შპს „ბ-ოსთვის“ ბინის ღირებულება – 44000 აშშ დოლარი, რაც დასტურდება შპს „ბ-ოს“ დირექტორის ხელმოწერით გაცემული საგარანტიო წერილით, რომლითაც მოპასუხემ იკისრა ვალდებულება, რომ მოსარჩელეს ჩააბარებდა ამ ბინას მოპირკეთების გარეშე, თუმცა მას ნაკისრი ვალდებულება არ შეუსრულებია.

საქმის განხილვის პროცესში გამოირკვა, რომ სადავო ბინა შპს „ბ-ომ“ გაასხვისა მ. ს-ის სახელზე.

ო. წ-მის განცხადებით, აღნიშნული გარიგება მოჩვენებითია, ვინაიდან მ. ს-ე არის შპს „ბ-ოს“ დირექტორი ჯ. კ-ის სიდედრი და ბინის მის სახელზე გაფორმებით ჯ. კ-ე ცდილობს, აარიდოს საზოგადოებას ქონებრივი

პასუხისმგებლობა. სადავო გარიგების დადებით მხარეებს მიზნად არ ჰქონიათ იურიდიული შედეგების დადგომა, რაც დასტურდება იმითაც, რომ ხელშეკრულებაში ბინის ნასყიდობის ფასად ნაჩვენებია 1000 ლარი, როცა მისი რეალური ღირებულება არის 48400 აშშ დოლარი.

ო.წ-მემ სარჩელით ითხოვა ბინის ნასყიდობის ხელშეკრულების, როგორც მოჩვენებითი გარიგების ბათილად ცნობა და ამ ბინის მის საკუთრებაში გადაცემა.

მოპასუხე შპს „ბ-ოს“ წარმომადგენელმა სარჩელი არ ცნო იმ საფუძველით, რომ საქმის მასალებით არ არის დადასტურებული ბინის ნასყიდობის ხელშეკრულების მოჩვენებითი ხასიათი. გარიგების ფასს განსაზღვრავენ თვითონ მხარეები და ფასის სიმცირე არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც გარიგების მოჩვენებითობის დამადასტურებელი მტკიცებულება, შპს „ბ-ოს“ წარმომადგენლის განცხადებით, ო.წ-მეს შპს „ბ-ოსათვის“ რაიმე თანხა ბინის საფასურად არ გადაუხდია, შესაბამისად, შპს „ბ-ოს“ არ გააჩნია ამ ბინის მის საკუთრებაში გადაცემის ვალდებულება.

საქმეში მოპასუხედ შპს „ბ-ოსთან“ ერთად ჩაბმულ იქნა მ. ს-ე.

თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2004 წლის 4 მარტის გადაწყვეტილებით ო. წ-მის სარჩელი არ დაკმაყოფილდა იმ საფუძველით, რომ ბინა გასხვისებულია მ. ს-ის სახელზე, გარიგების მოჩვენებითობა საქმის მასალებით არ არის დადასტურებული, რის გამოც ამ ბინის შპს „ბ-ოსაგან“ საკუთრებაში გადაცემის მოთხოვნა უსაფუძველოა.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ო. წ-მემ.

მოცემული საქმე არაერთხელ იქნა განხილული ზემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 22 ივნისის განჩინებით ო. წ-მის უფლებამონაცვლედ ცნობილ იქნა ნ. დ-ე შემდეგი საფუძველებით:

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე და განმარტა, რომ, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში მატერიალური სამართლით უფლებამონაცვლეობა დასაშვებია, კერძოდ, მოცემულ საქმეში სამართალურთიერთობა ითვალისწინებს მატერიალური უფლებებისა და მოვალეობების გადასვლას და საქმეში წარმოდგენილია სანოტარო აქტი – სამკვიდრო მოწმობა სასამართლომ დადასტურებულად ჩათვალა, რომ ო. წ-მის სამკვიდრო მიიღო ნ. დ-ემ, პალატამ მიიჩნია, რომ აპელანტ ო. წ-მის უფლებამონაცვლედ ჩამბულ უნდა იქნეს მისი მემკვიდრე ნ. დ-ე.

აღნიშნულ განჩინებაზე შპს „ბ-ოს“ დირექტორმა ჯ. კ-ემ შეიტანა კერძო საჩივარი, მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება შემდეგი საფუძველებით:

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, ო. წ-მის სარჩელი უსაფუძველო და დაუსაბუთებელია, საქმეზე წარმოდგენილი შესაგებლის თანახმად, კერძო საჩივრის ავტორმა განმარტა, რომ სანოტარო წესით დამოწმებული სადავო გარიგება მოჩვენებითია და მას იურიდიული შედეგი არ მოჰყოლია, ო. წ-მეს სარჩელში მითითებული თანხა არ გადაუხდია, რაც მისი მოთხოვნის აბსურდულობას ადასტურებს.

ჯ. კ-ის განმარტებით, არსებობს აუდიოჩანაწერი, სადაც ო. წ-მე აღიარებს ხელწერილში მითითებული თანხის გადაუხდელობას, ამდენად, ვინაიდან სარჩელი უსაფუძველოა, ასევე უსაფუძველოა მისი უფლებამონაცვლის განსახილველ საქმეში მხარედ ჩაბმა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძველების ანალიზის, საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს „ბ-ოს“ დირექტორ ჯ. კ-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 410-ე მუხლის «ა» და «ბ» ქვეპუნქტების თანახმად კი, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძველად არ უდევს კანონის დარღვევა.

განსახილველი საქმის მასალებით დასტურდება, რომ აპელანტი ო. წ-მე გარდაიცვალა 2010 წლის 23 ნოემბერს. ნ. დ-ე ო. წ-მის პირველი რიგის კანონისმიერი მემკვიდრეა – მეუღლე. საქმეში წარმოდგენილი 2011 წლის 25 მაისს გაცემული სამკვიდრო მოწმობით ასევე უტყუარადაა დადგენილი და ამას არც კერძო საჩივრის ავტორი ხდის სადავოდ, რომ ო. წ-მის სამკვიდრო მიიღო მისი პირველი რიგის მემკვიდრე ნ. დ-ემ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილია, რომ სადავო ან სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი ურთიერთობიდან ერთ-ერთი მხარის გასვლის შემთხვევაში (მოქალაქის გარდაცვალება, იურიდიული პირის რეორგანიზაცია, მოთხოვნის დათმობა, ვალის გადაცემა და სხვა) სასამართლო დაუშვებს ამ მხარის შეცვლას მისი უფლებამონაცვლით. უფლებამონაცვლეობა შესაძლებელია პროცესის ყოველ სტადიაზე. საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის 1328-ე მუხლზე, რომლითაც განსაზღვრულია თუ რა წარმოადგენს სამკვიდრო ქონებას და დადგენილია, რომ სამკვიდრო (სამკვიდრო ქონება) შეიცავს მამკვიდრებლის როგორც ქონებრივი უფლებების (სამკვიდრო აქტივი), ისე მოვალეობების (სამკვიდრო პასივი) ერთობლიობას, რომელიც მას ჰქონდა სიკვდილის მომენტისათვის. სამკვიდროში შედის საერთო საკუთრების წილი, რომელიც მამკვიდრებელზე მო-

დიოდა, ხოლო, თუ ქონების გაყოფა ნატურით შეუძლებელია, მაშინ – ამ ქონების ღირებულება. დასახელებული ნორმის დანაწესის, საქმეში წარმოდგენილი სამკვიდრო მოწმობისა (მითითებული მტკიცებულებით ირკვევა, რომ ო. წ-ძის სამკვიდრო მიიღო მხოლოდ ნ.დ-ემ) და მოცემული დავის საგნის გათვალისწინებით, ვინაიდან სადავო ნივთზე სანივთო უფლება – საკუთრება მამკვიდრებელმა გახადა სადავოდ, საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ სავსებით მართებულად მიიჩნია ო. წ-ძის უფლებამონაცვლედ ნ.დ-ე და სწორად ჩააბა იგი დავაში უფლებამონაცვლედ.

რაც შეეხება კერძო საჩივრის ავტორის მითითებას, რომ სასამართლოს უფლებამონაცვლე არ უნდა დაედგინა და საქმის წარმოება შეეწყვიტა, რადგანაც სარჩელის უსაფუძვლობა დასტურდება საქმეში არსებული მტკიცებულებებით, ასევე აუდიოჩანაწერით, საკასაციო პალატა მითითებულ გარემოებას კერძო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძვლად ვერ მიიჩნევს, რადგანაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «ა» ქვეპუნქტით კანონმდებელი სასამართლოს ავალდებულებს, შეაჩეროს საქმის წარმოება მოქალაქის გარდაცვალებისას თუ სადავო სამართალურთიერთობა უფლებამონაცვლეობას დასაშვებად მიიჩნევს, ხოლო ამავე კოდექსის 283-ე მუხლით დადგენილია საქმის წარმოების განახლების წესი, რომელიც მისი შეჩერების გამომწვევი გარემოების აცილების საფუძველზე ხდება.

დასახელებული ნორმების ანალიზით დასტურდება, რომ საპროცესო უფლებამონაცვლეობის საკითხის გადაწყვეტისას სასამართლო ხელმძღვანელობს პროცესუალური თვალსაზრისით არსებული ობიექტური გარემოებით – ურთიერთობა ითვალისწინებს თუ არა უფლებამონაცვლეობას, რათა საბოლოოდ გაირკვეს სარჩელის საფუძველიანობა და არა იმის მიხედვით, სარჩელის მოთხოვნა საფუძველიანია თუ არა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ შპს «ბ-ოს» კერძო საჩივარი უსაფუძველოა და არ ქმნის გასაჩივრებელი განჩინების გაუქმების საფუძველს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. შპს «ბ-ოს» დირექტორ ჯ. კ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 22 ივნისის განჩინება დარჩეს უცვლელად.
3. კერძო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის მქონე პირები

განჩინება

№ას-1235-1085-10

13 იანვარი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

თ. თოდრია

დავის საგანი: სესხის ხელშეკრულების შეწყვეტა, იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაცია

აღწერილობითი ნაწილი:

სს «ბანკმა ...» სარჩელი აღძრა სასამართლოში მ. და ს. ბ-ძეების მიმართ სესხის ხელშეკრულებების ვადამდე შეწყვეტისა და იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების რეალიზაციის მოთხოვნით.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს.

ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 13 მაისის განჩინებით თ. ბ-ძე ჩაება მოცემულ დავაში დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის არმქონე მესამე პირად.

ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, სს «ბანკ ...» და მ. ბ-ძეს შორის გაფორმებული სასესხო ხელშეკრულებები შეწყდა, მ. ბ-ძეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 13008,02 აშშ დოლარის გადახდა, რისი ანაზღაურება დადგინდა ს. ბ-ძის საკუთრებაში არსებული იპოთეკით დატვირთული ზესტაფონის რაიონის სოფელ (კოდი: 32, სექტორი: ქვედა საზანო, კოდი: 05, კვარტალი №06, ნაკვეთი: №830, ფართი: 1470) მდებარე უძრავი ქონებიდან და ასევე ა. ბ-ძის კუთვნილი სავაჭრო ობიექტიდან.

რაიონული სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება თ. ბ-ძემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 24 აგვისტოს განჩინებით თ.ბ-ძის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად.

სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 364-ე მუხლით და მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას თ. ბ-ძისათვის რაიმე სამართლებრივი შედეგი არ მოჰყოლია, შესაბამისად, იურიდიული საფუძველი, რის გამოც თ. ბ-ძე შეიძლება სააპელაციო საჩივრის შეტანაზე უფლებამოსილ პირად ჩაითვალოს, არ იკვეთება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე თ. ბ-ძემ შეიტანა კერძო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და მისი სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღება შემდეგი საფუძველებით:

არასწორია გასაჩივრებული განჩინების მითითება, რომ ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილება თ. ბ-ძის კანონიერ უფლებებს არ შეეხება.

მოცემული დავის დაწყებისთანავე თ. ბ-ძე ჩაება მასში მესამე პირად და განუმარტა სასამართლოს, რომ არის სადავო უძრავი ქონების თანამესაკუთრე, ს.ბ-ძის კომლის წევრი და ამ უკანასკნელს უფლება არ ჰქონდა, მისი თანხმობის გარეშე იპოთეკით დაეტვირთა თ.ბ-ძის წილი ქონებაც. თ.ბ-ძემ იმთავითვე დაიწყო დავა საჯარო რეესტრში სადავო ქონების თანამესაკუთრედ აღრიცხვის მოთხოვნით. მოცემული საქმის განხილვა კიდევ შეჩერდა ამ საფუძველით, თუმცა მოგვიანებით ისევ განახლდა.

ამჟამად თ. ბ-ძე ირიცხება ზესტაფონის რაიონის სოფელ ... მდებარე სადავო ქონების თანამესაკუთრედ, რაც დასტურდება საჯარო რეესტრის ამონაწერით. აღნიშნული ინფორმაციის სააპელაციო პალატისათვის მიწოდება დროულად ვერ მოხერხდა, რადგან ადმინისტრაციული წარმოება რამდენჯერმე შეჩერდა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ თ. ბ-ძის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 364-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს პირველი ინსტანციით გამოტანილი გადაწყვეტილება მხარეებმა და მესამე პირებმა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით შეიძლება კანონით დადგენილ ვადაში გაასაჩივრონ სააპელაციო სასამართლოში.

მითითებული ნორმის სამართლებრივი ანალიზიდან გამომდინარე, კანონმდებელი განსაზღვრავს სააპელაციო საჩივრის შეტანის უფლებამოსილების მქონე პირთა წრეს და აღნიშნულ შესაძლებლობას აძლევს იმ პირებს, რომელთა კანონიერ ინტერესებსაც უშუალოდ ეხება გასაჩივრებული გადაწყვეტილება. ამასთან, თუკი სასამართლოს გადაწყვეტილება შეეხო ისეთი პირის უფლებებს, რომელიც საქმეში არ იყო ჩაბმული მოსარჩელედ, მოპასუხედ ან თანამონაწილედ, მესამე პირად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით და უფლებამონაცვლედ, ასეთ პირსაც უფლება აქვს, გაასაჩივროს გადაწყვეტილება.

მოცემულ შემთხვევაში აპელანტი თ. ბ-ძე პირველი ინსტანციის წესით დავის განხილვისას ჩაება საქმეში მესამე პირად ისე, რომ მას დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით სასამართლოსათვის არ მიუმართავს და არც საქმეში მხარედ ჩაბმა არ მოუთხოვია. ამასთან აღსანიშნავია, რომ თ.ბ-ძის პრეტენზია მოცემულ დავაში მიმართულია არა სს «ბანკი ...», არამედ ს. ბ-ძის მიმართ, რომელმაც, აპელანტის განმარტებით, თ. ბ-ძის წილი საზიარო ქონებაში მესაკუთრის თანხმობის გარეშე იპოთეკით უკანონოდ დატვირთა.

ამდენად, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის მსჯელობას, რომ თ. ბ-ძე ზემოხსენებული ნორმის სუბიექტს არ წარმოადგენს და მას ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრების უფლებამოსილება არ გააჩნია.

გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი ვერ გახდება კერძო საჩივრის ავტორის მითითება, რომ ამჟამად თ.ბ-ძე აღრიცხულია სადავო უძრავი ნივთის თანამესაკუთრედ, ვინაიდან აღნიშნული გარემოების დამადასტურებელი საჯარო რეესტრის ამონაწერი მხარემ წარადგინა არა სააპელაციო, არამედ საკასაციო ინსტანციის სასამართლოში, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დაუშვებელია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

თ. ბ-ძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 24 აგვისტოს განჩინება დარჩეს უცვლელად.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სასამართლო უწყების ჩაბარება

განჩინება

№ას-1245-1095-2010

17 იანვარი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 13 ნოემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა შპს «ყ.-მ» მოპასუხე შპს «ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლინიკური საავადმყოფოს» მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხისათვის თანხის დაკისრება და ამ თანხის გადახდამდე მისთვის იჯარით გადაცემული უძრავი ქონებით სარგებლობის უფლების მინიჭება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 7 მაისის გადაწყვეტილებით შპს «ყ.-ს» სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ საქმეზე დადგინებულ ფაქტებს შიშობაში შემდეგი გარემოებები:

1999 წლის 1 დეკემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შპს «კლინიკურ საავადმყოფოსა» (მეიჯარე) და შპს «ყ.-ს» (მოიჯარე) შორის დაიდო საიჯარო ხელშეკრულება. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა ქ.თბილისში, ... №60-ში მდებარე მეიჯარის კუთვნილებაში არსებული 4000 კვ.მ მიწის ფართი. აღნიშნული მიწის ფართიდან 1000 კვ.მ მოიჯარეს უნდა გამოეყენებინა ავტოსერვისის მოსაწყობად. მხარეები შეთანხმდნენ, რომ ხელშეკრულების დადების მომენტისათვის გადასაცემი ტერიტორია წარმოადგენდა სამშენებლო ნაგავსაყრელს, იყო მოუწყვრები, არ იყო შემოსაზღვრული და იმყოფებოდა ანტისანიტარიულ მდგომარეობაში. მეიჯარემ მოიჯარეს მისცა მისთვის გადაცემულ ტერიტორიაზე შესაბამისი ნებართვის საფუძველზე მისთვის საჭირო შენობა-ნაგებობის აშენების, საჭირო ტექნიკისა და მოწყობილობების დამონტაჟების უფლება, რომელიც შემდგომში იქნებოდა გამოყენებული მოიჯარის (შპს «ყ.») მიერ;

იჯარის ხელშეკრულების 3.1 პუნქტით განისაზღვრა მოიჯარის ვალდებულება: გაწმინდოს ტერიტორია სამშენებლო ნაგავისაგან, აღმოფხვრას იჯარით გაცემულ ტერიტორიაზე ანტისანიტარიული მდგომარეობა, კეთილმოაწყოს იგი; შემოფარგლოს ტერიტორია, გააკეთოს ჭიშკარი და საყარაულო ჯიხური. მეიჯარემ, თავის მხრივ, აიღო ვალდებულება: ხელშეკრულებაზე ხელმოწერის დღიდან ერთი კვირის ვადაში გადასცეს მოიჯარეს ხელშეკრულების საგანი, რაზეც გააფორმოს შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი; ხელი შეუწყოს მოიჯარეს მისთვის საჭირო ყველა საბუთის მიღებაში (ცნობა, ნებართვა და სხვა), რომელიც შეიძლება მოითხოვონ ხელისუფლების ან მაკონტროლებელმა ორგანოებმა;

იჯარის ხელშეკრულების მოქმედების ვადად განისაზღვრა 10 წელი, ხოლო ქირის ოდენობად – 200 ლარი. ამასთან, მხარეები შეთანხმდნენ, რომ ხელშეკრულება ჩაითვლებოდა იმავე ვადითა და პირობებით გარძელებულად, თუ ხელშეკრულების ვადის გასვლამდე მოიჯარე ერთი თვით ადრე წერილობით არ შეატყობინებდა მეიჯარეს ხელშეკრულების გაუქმების შესახებ;

იჯარის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ იქნა, რომ მისი ვადაზე ადრე შეწყვეტის და მოიჯარის დაკავებული ტერიტორიიდან უპირობოდ გასვლის საკითხი მეიჯარემ შეიძლება ცალმხრივად დააყენოს იმ შემთხვევაში, თუ საკითხი ეხება იჯარით გაცემულ ტერიტორიაზე საავადმყოფოს მშენებარე კორპუსის სარეაბილიტაციო სამუშაოების განახლებას და პროექტის დაფინანსება მოხდება ამ მიზნებისთვის გამოყოფილი სახსრებით. ყველა სხვა შემთხვევაში ხელშეკრულება ცალმხრივად შეიძლება შეწყდეს ობიექტის მშენებლობასა და კეთილმოწყობაზე გაწეული ხარჯების კომპენსაციის შემდეგ.

სასამართლომ განმარტა, რომ სამოქალაქო კოდექსის 532.1 და 545.1 მუხლების შინაარსიდან გამომდინარე, რომელიც ამავე კოდექსის 581.2 მუხლის თანახმად ვრცელდება იჯარის ხელშეკრულების მიმართ, დამქირავებელი (მოიჯარე) უფლებამოსილია გასწიოს ხარჯები ქირავნობის საგანზე. ამ ხარჯების გამქირავებლისაგან (მეიჯარისაგან) ანაზღაურების მოთხოვნის უფლება კი მას იმ შემთხვევაში მიენიჭება, თუ ეს გადაუდებელი აუცილებლობით არის გამოწვეული და ნივთის სათანადო მდგომარეობაში შენარჩუნების მიზანს ემსახურება. მართალია, სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლის შესაბამისად ვალდებულებითი სამართლისათვის ნორმათა დისპოზიციურობაა დამახასიათებელი, ანუ ისინი მოქმედებს, თუ მხარეები სხვაზე არ შეთანხმებულან, მაგრამ სადავო შემთხვევაში მხედველობაში იყო მისაღები შემდეგი გარემოება: ის, რომ იჯარით გადასაცემი ტერიტორია ნაგავსაყრელს წარმოადგენდა, იმთავითვე იყო ცნობილი ორივე მხარისათვის.

ამაზე მიეთითა როგორც იჯარის ხელშეკრულებაში, ისე შემდგომ შედგენილ მიღება-ჩაბარების აქტში. ხელშეკრულებითვე, კერძოდ, მისი 3.1 პუნქტით იქნა გათვალისწინებული მოიჯარის ვალდებულება, გაწმინდოს ტერიტორია სამშენებლო ნაგავისაგან, აღმოფხვრას ანტისანიტარიული მდგომარეობა და კეთილმოაწყოს იგი, სანაცვლოდ რაიმე ანაზღაურების გარეშე. სასამართლოს მოსაზრებით, აღნიშნული გამორიცხავდა მოთხოვნას გაწეული ხარჯების ანაზღაურებაზე.

სამოქალაქო კოდექსის 987-ე მუხლთან მიმართებით საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ მითითებული ნორმა ითვალისწინებს ერთი პირის მიერ მეორე პირის ქონებაზე გაწეული ხარჯების ანაზღაურების ვალდებულებას. ეს ნორმა წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსის ერთ-ერთი თავის – უსაფუძვლო გამდიდრების შემადგენელ ნორმას, რომლის მიზანია სამართლებრივი საფუძვლის გარეშე შექმნილი ქონების (შეღავათის, უპირატესობის, უფლების) ამოღება და ამგვარად ქონებრივი მიმოქცევის წონასწორობის აღდგენა. მოცემულ შემთხვევაში, ასეთი ხარჯების გაწევა ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული. შესაბამისად, ისინი უსაფუძვლოდ გაწეულად ვერ მიიჩნეოდა.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, მოსარჩელე ასევე მოითხოვდა მის მიერ აშენებული შენობა-ნაგებობებისათვის კომპენსაციის დაკისრებას. მისი მოსაზრებით, არსებული ურთიერთობა უნდა შეფასებულიყო, როგორც აღნაგობა. საქალაქო სასამართლომ არც აღნიშნული პოზიცია გაიზიარა. მან მიიჩნია, რომ მხარეთა შორის არსებული ურთიერთობა უნდა მოწესრიგებულიყო საიჯარო სამართლის ნორმებისა და ხელშეკრულებაში ასახული მხარეთა შეთანხმების შესაბამისად. ხელშეკრულებაში კი შპს «ყ-სათვის» მის მიერ მშენებლობაზე გაწეული ხარჯების ანაზღაურება მხოლოდ ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაშია გათვალისწინებული, და ისიც მაშინ, თუ ეს იჯარით გაცემულ ტერიტორიაზე საავადმყოფოს მშენებარე კორპუსის სარეაბილიტაციო სამუშაოების განახლებით განპირობებული არ არის (ხელშეკრულების მე-5 პუნქტი). აქედან გამომდინარე, მოთხოვნა შენობა-ნაგებობების მშენებლობაზე გაწეული ხარჯის ანაზღაურების შესახებ უსაფუძვლო იყო და დაკმაყოფილებას არ ექვემდებარებოდა.

რაც შეეხებოდა მოსარჩელის მოთხოვნას მის მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურებამდე მისთვის საიჯარო ქონებით სარგებლობის უფლების მინიჭების თაობაზე, ამასთან დაკავშირებით საქალაქო სასამართლომ აღნიშნა შემდეგი:

იმ გარემოებას, რომ ხელშეკრულების შეწყვეტის, ანუ 2009 წლის 1 დეკემბრის შემდეგ მას საიჯარო ფართის ფლობის უფლება არ აქვს, მოსარჩელე თავად არ ხდიდა სადავოდ. თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილებას იგი ითხოვდა, როგორც არაუფლებამოსილი კეთილსინდისიერი მფლობელი. სამოქალაქო კოდექსის 163-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, კეთილსინდისიერი მფლობელი, რომელსაც თავიდანვე არ ჰქონია ნივთის ფლობის უფლება ან დაკარგა ეს უფლება, ვალდებულია დაუბრუნოს ნივთი უფლებამოსილ პირს. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, კეთილსინდისიერი მფლობელს შეუძლია უფლებამოსილ პირს მოსთხოვოს იმ გაუმჯობესებისა და ხარჯების ანაზღაურება, რაც მან გაიღო ნივთზე კეთილსინდისიერი მფლობელობის დროს და რაც არ არის კომპენსირებული ამ ნივთით სარგებლობითა და მისგან მიღებული ნაყოფით. მფლობელის ბრალით მიუღებელი ნაყოფის ღირებულება უნდა გამოიქვითოს. იგივე წესი ვრცელდება ისეთ გაუმჯობესებებზე, რომელთა შედეგადაც გაიზარდა ნივთის ღირებულება, თუკი გაზრდილი ღირებულება ნივთის დაბრუნების მომენტისათვის ჯერ კიდევ არსებობდა. აღნიშნული მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, კეთილსინდისიერი მფლობელს შეუძლია უარი თქვას ნივთის დაბრუნებაზე, ვიდრე მისი მოთხოვნები არ დაკმაყოფილდება.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, დასახელებულ ნორმაში საუბარია პირზე, რომელიც არ წარმოადგენს მართლზომიერ მფლობელს, ანუ არ გააჩნია ნივთის ფლობის სამართლებრივი საფუძველი ან შემდგომში დაკარგავს მას, მაგრამ კეთილსინდისიერია ამ ფაქტის მიმართ. ანუ, მას საქმიან ურთიერთობაში გულმოდგინე შემოწმების შედეგად არ შეეძლო გაეცნობიერებინა ურთიერთობის არსებული დეფექტები და მიაჩინდა, რომ ჰქონდა ნივთის ფლობის სამართლებრივი საფუძველი. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელეს იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე ჰქონდა მოპასუხის კუთვნილი უძრავი ქონების ფლობის უფლება. ტერიტორიის გასუფთავებითა და შენობა-ნაგებობების აშენებით მან ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება შეასრულა, რის გამოც მას მითითებული სამართლებრივი საფუძველით არც გაწეული ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს, და შესაბამისად, არც მითითებული მუხლის მე-3 ნაწილიდან გამომდინარე ნივთის ფლობის საფუძველი.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრა შპს «ყ-მ», რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 21 ოქტომბრის განჩინებით შპს «ყ-ს» სააპელაციო საჩივარი დატოვებულ იქნა განუხილველად, აპელანტს დაუბრუნდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 1000 ლარი.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსი მხარეს ავალდებულებს ფაქტობრივი მისამართის მითითებას, სადაც ფაქტობრივად ცხოვრობს მხარე და სადაც შესაძლებელია მისთვის სასამართლოს კორესპონდენციების მიწოდება და ჩაბარება.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში შპს «ყ.-ს» მიერ წარდგენილ სააპელაციო საჩივარში ძირითად მისამართად მითითებულია: ქ.თბილისი, ... ქ.№60. ხარვეზის შევსების შესახებ განჩინება შპს «ყ.-ს» კანონით დადგენილი წესით გაეგზავნა დასახელებულ მისამართზე. სასამართლოს გზავნილი დაუბრუნდა უკან, შეტყობინების ბარათზე გზავნილის ჩაბარების შესახებ მითითებულია, რომ ადრესატი აღნიშნულ მისამართზე არ იძებნება.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის 11 პუნქტზე, რომლის თანახმად, თუ პირველად გაგზავნისას სასამართლო უწყების ადრესატისათვის ჩაბარება ვერ ხერხდება, უწყება დასაბარებელ პირს უნდა გაეგზავნოს დამატებით ერთხელ მაინც იმავე ან სასამართლოსათვის ცნობილ სხვა მისამართზე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-2 ნაწილით, თუ მოსარჩელეს მის მიერ მითითებულ მისამართზე უწყება ვერ ჩააბარა ამ კოდექსის 73-ე მუხლის 11 ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით, უწყება ჩაბარებულად ჩაითვლება.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის 11 პუნქტის მოთხოვნის დაცვით აპელანტს ხარვეზის თაობაზე განჩინება კიდევ ორჯერ გაეგზავნა საქმეში მის მიერ მითითებულ მისამართებზე. გზავნილები სააპელაციო სასამართლოს კვლავ უკან დაუბრუნდა, გზავნილის ჩაბარების შესახებ შეტყობინების ბარათებზე მითითა, რომ აღნიშნულ მისამართზე არის ი.ჯავახიშვილის სახელობის კლინიკური საავადმყოფო და შპს «ყ.» ამ მისამართზე არ იძებნება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ხარვეზის შესახებ განჩინება ჩაბარებულად ითვლებოდა შპს «ყ.-სათვის» 2010 წლის 29 სექტემბერს, როდესაც ბოლო გზავნილი ჩაუბარებელი სახით დაუბრუნდა სასამართლოს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ხარვეზის შესავსებად დადგენილი 5-დღიანი ვადის ათვლა მოცემულ შემთხვევაში დაიწყო 2010 წლის 30 სექტემბერს. ეს ვადა ამოიწურა 2010 წლის 4 ოქტომბერს. აპელანტმა სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზი არ გამოასწორა – სახელმწიფო ბაჟი სრულად არ გადაიხადა, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მე-5 ნაწილიდან გამომდინარე სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველს წარმოადგენდა.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, შპს «ყ.-ს» მიერ სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 1000 ლარი ექვემდებარებოდა უკან დაბრუნებას, რამდენადაც ადგილი ჰქონდა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შემთხვევას. სასამართლოს აღნიშნული დასკვნა გამომდინარეობდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის მე-3 ნაწილის შინაარსიდან. კანონის დასახელებული ნორმის მიხედვით, თუ სააპელაციო საჩივარი დაუშვებლად იქნება მიჩნეული, პირს მთლიანად დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა შპს «ყ.-მ», რომელმაც მოითხოვა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ 2010 წლის 21 ოქტომბრის განჩინების გაუქმება, აგრეთვე, სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის დადგენის შესახებ სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 23 ივლისის განჩინების გაუქმება, რომლითაც შპს «ყ.-ს» შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

კერძო საჩივრის ავტორის ზემოაღნიშნული მოთხოვნები ეფუძნება შემდეგ მოტივებს:

შპს «ყ.-მ» სარჩელში თავის მისამართად მიუთითა – ქ.თბილისი, ... №60. იგივე მისამართი მიუთითა მან სააპელაციო საჩივარში. ამ მისამართზე მხარეს (შპს «ყ.») არაერთი უწყება და გზავნილი მიუვიდა, ისე, რომ ჩაბარებასთან დაკავშირებით არანაირი პრობლემა არ შექმნილა. აქედან გამომდინარე, შპს «ყ.» ვერ ივარაუდებდა, რომ სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში საქმის წარმოებისას მისთვის გზავნილის ჩაბარება შეუძლებელი აღმოჩნდებოდა;

გასაჩივრებული განჩინების გამომტან სასამართლოს მხედველობის მიღმა დარჩა ის გარემოება, რომ მოცემულ შემთხვევაში დავის საგანია შპს «ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლინიკურ საავადმყოფოსა» და შპს «ყ.-ს» შორის იჯარის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ურთიერთობა. ამ ხელშეკრულებით შპს «ყ.-ს» იჯარით ჰქონდა აღებული ქ.თბილისში, ... №60-ში მდებარე მიწის ნაკვეთი. ამასთან, დავის საგანს წარმოადგენს აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე მოიჯარის (შპს «ყ.-») მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურება და მიწის ნაკვეთზე სარგებლობის უფლების მინიჭება. საქმიდან დგინდება ის ფაქტი, რომ სამოქალაქო კოდექსის 163-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად შპს «ყ.» აგრძელებს ამ მიწის ნაკვეთის მფლობელობას. კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, ზემოთქმულიდან გამომდინარე სააპელაციო სასამართლოსათვის უდავო უნდა ყოფილიყო ის გარემოება, რომ შპს «ყ.-ს» მისამართი არის სწორი და იგი ამ მისამართზე მართლაც იმყოფება;

სააპელაციო სასამართლომ ყურადღება არ მიაქცია იმ გარემოებას, რომ შპს «ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლინიკური საავადმყოფო», რომელიც გზავნილს უკან აბრუნებდა, პირდაპირ და უშუალოდ იყო დაინტერესებული საქმის შპს «ყ.-ს» საწინააღმდეგოდ დასრულებით, იგი მოცემულ საქმეზე წარმოადგენდა მოწინააღმდეგე მხარეს. შესაბამისად, სასამართლო არ უნდა დაყრდნობოდა გზავნილის ჩაბარების შესახებ შეტყობინების ბარათის შინაარსს, რომელიც მომდინარეობდა შპს «ყ.-ს» მოწინააღმდეგე მხარისაგან. კერძო საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს უნდა გამოეყენებინა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინე-

ბული საპროცესო შესაძლებლობა, კერძოდ, აპელანტისათვის უწყების ჩაბარება უნდა დაევალებინა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურისათვის (უზნის ინსპექტორისათვის), რაც მას არ განუხორციელებია;

კერძო საჩივრის ავტორი სადავოდ ხდის სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის დადგენის შესახებ სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 23 ივლისის განჩინებას, რომლითაც შპს «ყ.-ს» შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების შესახებ არ დაკმაყოფილდა. იგი აღნიშნავს, რომ აპელანტმა სასამართლოს წარუდგინა შესაბამისი მტკიცებულება, რომლითაც დგინდება შპს «ყ.-ს» მიმღე ფინანსური მდგომარეობა. მან გადაიხადა ბაჟი იმ ოდენობით, რისი შესაძლებლობაც გააჩნდა. ასეთ პირობებში დაუშვებელია პირს შეეზღუდოს ან წაერთვას კონსტრუქციით გარანტირებული სასამართლოსათვის მიმართვის უფლება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს «ყ.-ს» კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად უნდა დარჩეს გასაჩივრებული განჩინებები, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ მოსარჩელეს მის მიერ მითითებულ მისამართზე უწყება ვერ ჩაჰბარდა ამ კოდექსის 73-ე მუხლის 11 ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით, უწყება ჩაბარებულად ჩაითვლება. ეს წესი მოპასუხის მიმართ გამოიყენება მის პასუხში (შესაგებელში) მითითებულ მისამართზე უწყების გაგზავნის შემთხვევაშიც. ამავე კოდექსის 73-ე მუხლის 11 ნაწილი ადგენს, რომ, თუ პირველად გაგზავნისას სასამართლო უწყების ადრესატისათვის ჩაბარება ვერ ხერხდება, უწყება დასაბარებელ პირს უნდა გაეგზავნოს დამატებით ერთხელ მაინც იმავე ან სასამართლოსათვის ცნობილ სხვა მისამართზე. ასეთ შემთხვევაში კორექსონდენცია ჩაბარებულად ითვლება.

მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით დადგენილია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 23 ივლისის განჩინებით შპს «ყ.-ს» უარი ეთქვა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადებაზე და მის სააპელაციო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი, კერძოდ, აპელანტს დაევალა სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში სახელმწიფო ბაჟის სახით 6000 ლარის გადახდა, ხოლო ამ თანხის გადახდის კვიტორის დედნის სააპელაციო სასამართლოში წარდგენა. სააპელაციო საჩივარში ხარვეზის შევსების შესახებ 2010 წლის 23 ივლისის განჩინების ასლი აპელანტ შპს «ყ.-ს» სამჯერ გაეგზავნა სააპელაციო საჩივარში მის მიერ მითითებულ მისამართზე: ქ.თბილისი, ... №60. სამივე შემთხვევაში სასამართლო გზავნილები ადრესატისათვის ჩაუბარებელი სახით დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს. საფოსტო გზავნილის ჩაბარების შესახებ შეტყობინების ბარათებში, ასევე სააპელაციო სასამართლოს კურიერის მიერ შედგენილი აქტით, გზავნილის ჩაუბარებლობის მიზეზად მითითებულია იმ გარემოებაზე, რომ ამ მისამართზე არის ი.ჯავახიშვილის სახელობის კლინიკური საავადმყოფო, ადრესატი მოცემულ მისამართზე ვერ იქნა მოძიებული. გარდა ამისა, ხარვეზის შევსების შესახებ განჩინების ასლი გაეგზავნა აპელანტ შპს «ყ.-ს» დირექტორ მურმან ჭიტაძეს საქმეში არსებულ კიდევ ერთ მისამართზე – ქ.თბილისი, ... №4 მ/რ, კორპუსი 35, ბინა 13, თუმცა ფოსტის მუშაკის (კორექსონდენციის დამტარებლის) მიერ შედგენილი აქტით დასტურდება, რომ განჩინება ადრესატს ვერ ჩაბარდა, რადგან ამ მისამართზე სხვა პირები ცხოვრობენ, რომლებმაც ადრესატის შესახებ არაფერი იციან, ამასთან, ადრესატთან ტელეფონით დაკავშირებაც ვერ მოხერხდა.

აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ხარვეზის შევსების შესახებ განჩინება აპელანტისათვის ჩაბარებულად ითვლება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71.2 მუხლისა და 73-ე მუხლის 11 ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით.

კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, შპს «ყ.-სათვის» ხარვეზის განჩინების ჩაუბარებლობა განაპირობა მოწინააღმდეგე მხარის – შპს «ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლინიკური საავადმყოფოს» ქმედებამ, კერძოდ, ეს უკანასკნელი გზავნილს უკან აბრუნებდა, რამდენადაც პირდაპირ და უშუალოდ იყო დაინტერესებული საქმის შპს «ყ.-ს» საწინააღმდეგოდ დასრულებით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. კერძო საჩივრის ავტორს მითითებული გარემოების დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება არ წარმოუდგენია. შესაბამისად, მხარის დასახელებული არგუმენტი გაზიარებას ვერ დაექვემდებარება.

აღნიშნული საკითხის შეფასებისას საკასაციო სასამართლო საგულისხმოდ მიიჩნევს ასევე იმ გარემოებას, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის წარმოებისას, მოსარჩელე შპს «ყ.-ს» სააპელაციო საჩივარში დასახელებულ მისამართზე სასამართლო გზავნილი არაერთხელ ჩაბარდა. ამავე პერიოდში იმავე მისამართზე სასამართლო გზავნილებს იბარებდა მოწინააღმდეგე მხარეც – შპს «ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლინიკური საავადმყოფო». ამდენად, ხსენებულ პერიოდში მოწინააღმდეგე მხარეებს დაუბრკოლებლად ბარდებოდათ სასამართლო გზავნილები (შეტყობინებები) ერთსა და იმავე მისამართზე – ქ.თბილისი, ... №60. აღნიშნული, საკასაციო პალატის მოსაზრებით, იმაზე მიუთითებს, რომ სააპელაციო საჩივრის შეტანის შემდეგ შპს «ყ.» სააპელაციო საჩივარში მითითებულ მისამართზე აღარ იმყოფებოდა.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მსჯელობას მოცემულ შემთხვევაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის მე-7 ნაწილის გამოყენების საფუძვლის არსებობის თაობაზე. აღნიშნული საპროცესო ნორმა, მართალია, ითვალისწინებს შესაძლებლობას, უწყების მხარისათვის ჩაბარება დაევალოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის სამსახურს (უზნის ინსპექტორს), მაგრამ იქვე განსაზღვრავს მისი გამოყენების პირობას: თუ მხარეებს (მათ წარმომადგენლებს) ამ კოდექსით დადგენილი წესით ვერ ეცნობათ სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი, მოსამართლეს შეუძლია აღნიშნული პირებისათვის სასამართლო უწყების ჩაბარება დაავალოს ადგილობრივი თვითმმართველობის ან მმართველობის ორგანოს ანდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების საუბნო სამსახურებს (უზნის ინსპექტორებს). განსახილველ შემთხვევაში მითითებული ნორმით გათვალისწინებული ვითარება სახეზე არ არის, ვინაიდან აპელანტს კანონით დადგენილი წესით (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71.2 მუხლი და 73-ე მუხლის 11 ნაწილი) ჩაბარდა ხარვეზის შევსების შესახებ განჩინება. გარდა ამისა, საყურადღებოა ისიც, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის მე-7 ნაწილის გამოყენება სასამართლოს უფლებაა და არა ვალდებულება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ განსახილველ შემთხვევაში სწორად გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მე-5 ნაწილი, რომლის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი არ უპასუხებს ამ მუხლში ჩამოთვლილ მოთხოვნებს, ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალეს საჩივრის შემტან პირს, შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას უნიშნავს ვადას. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი აღარ მიიღება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60-ე და 61-ე მუხლების შესაბამისად, ხარვეზის შესავსებად დადგენილი 5-დღიანი ვადის ათვლა მოცემულ შემთხვევაში დაიწყო 2010 წლის 29 სექტემბერს და დასრულდა 2010 წლის 4 ოქტომბერს. აღნიშნულ ვადაში აპელანტს ხარვეზი არ შეუვსია და არც რაიმე მუამდგომლობით მიუმართავს სააპელაციო სასამართლოსთვის.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედება სრულდება კანონით დადგენილ ან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში. ამავე კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება. ამ ნორმებიდან გამომდინარეობს, რომ მხარე ვალდებულია სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში შეასრულოს მისთვის დავალეული საპროცესო მოქმედება, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი კარგავს შესაბამისი საპროცესო მოქმედების შესრულების უფლებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სახეზეა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველი, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს, 2010 წლის 21 ოქტომბრის განჩინების გამოტანისას, კანონი არ დაურღვევია, რის გამოც გასაჩივრებული განჩინება უცვლელად დატოვებას ექვემდებარება.

კერძო საჩივრით გასაჩივრებულია ასევე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 23 ივლისის განჩინება სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადებაზე უარის თქმის შესახებ.

კერძო საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ მის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები იძლეოდა შესაძლებლობას, სასამართლოს მისთვის გადაევადებინა სახელმწიფო ბაჟის გადახდა.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სახელმწიფო ბაჟის წინასწარ გადახდა კანონითაა გათვალისწინებული, ასევე კანონი განსაზღვრავს სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების ანდა მისი ოდენობის შემცირების შესაძლებლობას იმ შემთხვევაში, თუ მხარე მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით უტყუარად დაადასტურებს, რომ მძიმე ქონებრივი მდგომარეობა მას არ აძლევს შესაძლებლობას წინასწარ ან სრული ოდენობით გადაიხადოს სახელმწიფო ბაჟი (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლი).

მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალების თანახმად, აპელანტმა შპს «ყ-მ» გადაიხადა სახელმწიფო ბაჟის ნაწილი 1000 ლარი (მთლიანობაში უნდა გადაეხადა 7000 ლარი) და მძიმე ფინანსური მდგომარეობის გამო იმუამდგომლა სახელმწიფო ბაჟის დარჩენილი ნაწილის გადახდის გადავადების შესახებ. აღნიშნულის დასადასტურებლად მან სააპელაციო საჩივარს დაურთო შედარების აქტი, რომლის თანახმად, შპს «ყ-ს» დავალიანება შპს «თეგეტა მოტორსის» მიმართ შეადგენს 5329 ლარს და ქალაქის დასუფთავების დავალიანების ქვითარი. მითითებული მტკიცებულებები სააპელაციო სასამართლომ არ მიიჩნია საკმარისად სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადებისათვის, რასაც იზიარებს საკასაციო სასამართლოც, ვინაიდან ეს მტკიცებულებები სრულყოფილად არ ასახავენ აპელანტის ქონებრივ მდგომარეობას, კერძოდ, შპს «თეგეტა მოტორსისა» და ქალაქის დასუფთავების დავალიანების არსებობა, არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ აპელანტს გააჩნდეს აქტივები სახელმწიფო ბაჟის წინასწარ გადასახდელად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 23 ივლისის განჩინებაც კანონიერია და მისი გაუქმების საფუძველი არ არსებობს.

რი, საპატიო გარემოება. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიო გარემოებათა ნუსხას, აღნიშნული გარემოების წარდგენისა და დადასტურების საპროცესო სამართლებრივ მექანიზმებს ითვალისწინებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილი და 233-ე მუხლი, რაც მოცემულ შემთხვევაში დაცული არ იყო.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი განუხილველად უნდა დარჩენილიყო.

სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 22 მარტის განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ლ. ც-შვილმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის განსახილველად იმავე სასამართლოში დაბრუნება.

კერძო საჩივრის ავტორმა აღნიშნა, რომ სასამართლო სხდომაზე მისი გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით, კერძოდ, მისი ავადმყოფობით, რის დამადასტურებელ მტკიცებულებასაც დამატებით წარმოადგენს. მართალია, აპელანტი სხდომაზე ვერ გამოცხადდა, მაგრამ სასამართლოს შეატყობინა გამოუცხადებლობის მიზეზის შესახებ, ასეთ შემთხვევაში შესაძლებელი იყო სხდომა ერთი დღით გადადებულიყო.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ლ. ც-შვილის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 22 მარტის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის 1-ლი და მე-3 ნაწილების თანახმად, თუ სააპელაციო საჩივრის აღმძვრელი პირი არ გამოცხადდება საქმის ზეპირ განხილვაზე, მოწინააღმდეგე მხარის თხოვნით სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. ყველა სხვა შემთხვევაში გამოიყენება ამ კოდექსში ჩამოყალიბებული ნორმები პირველი ინსტანციის სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 229-ე მუხლის მე-2 ნაწილის 1-ლი წინადადების მიხედვით, თუ მოპასუხე არ მოითხოვს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ.

გასაჩივრებული განჩინებით ლ. ც-შვილის სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების ერთ-ერთ საფუძვლად მითითებულია იმაზე, რომ სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 22 მარტის მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდა აპელანტი.

მოცემულ შემთხვევაში სადავო არაა ის გარემოება, რომ აპელანტ ლ. ც-შვილს კანონით დადგენილი წესით ეცნობა სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 22 მარტის სხდომის დროისა და ადგილის თაობაზე.

კერძო საჩივრის ავტორი გასაჩივრებული განჩინების გაუქმებას მოითხოვს იმ საფუძვლით, რომ სააპელაციო სასამართლოში მისი გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით – ავადმყოფობით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლო სხდომაზე აპელანტის გამოუცხადებლობის გამო სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ განჩინების გადასინჯვა და საქმის განახლება უნდა მოხდეს იმ წესების დაცვით, რაც გათვალისწინებულია დაუსწრებელი გადაწყვეტილების გადასინჯვის მიმართ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, ან თუ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის.

აღნიშნული მუხლი განსაზღვრავს იმ გარემოებათა წრეს, რომელთა არსებობის შემთხვევაში დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს. ეს გარემოებები მითითებულია 233-ე მუხლის 1-ლ ნაწილში, მაგრამ ამ მუხლის ჩამონათვალი არაა ამომწურავი. გამოუცხადებელ მხარეს, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია დაუსწრებელი გადაწყვეტილება, შეუძლია მიუთითოს სხვა გარემოებებზეც, რაც სასამართლო სხდომაზე მისი გამოუცხადებლობის მიზეზი გახდა და რომლის შესახებაც მას არ შეეძლო დროულად ეცნობებინა სასამართლოსათვის. ამასთან, კანონმდებელი ავალდებულებს მხარეს წინასწარ აცნობოს სასამართლოს სხდომაზე მისი გამოცხადების შეუძლებლობის და მიზეზის შესახებ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ასეთი შეტყობინება სხდომამდე შეუძლებელია. იმ გარემოებათა დამტკიცების ტვირთით, რომლებზეც მიუთითებს მხარე თავის საჩივარში, როგორც გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზზე, ეკისრება მომჩივანს, ხოლო ამ გარემოებათა შეფასება იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად საპატიოა მხარის გამოუცხადებლობა – სასამართლოს უფლებამოსილებაა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილი განსაზღვრავს იმ გარემოებათა ჩამონათვალს, რომლებიც შეიძლება მიჩნეულ იქნეს სასამართლო პროცესზე მხარის გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზად. აღნიშნული ნორმის თანახმად, ამ კანონის მიზნებისათვის, საპატიო მიზეზად ჩაითვლება მხარის მიერ შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენის შეუძლებლობა, რაც გამოწვეულია ავადმყოფობით, ახ-

ლო ნათესავის გარდაცვალებით ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებით, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის სასამართლო პროცესზე გამოცხადებას ან/და შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენას. ავადმყოფობა დადასტურებული უნდა იყოს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე.

მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 22 მარტის სხდომის ოქმით ირკვევა, რომ სხდომამდე გარკვეული ხნით ადრე მოსამართლის თანაშემწეს ტელეფონის მეშვეობით დაუკავშირდნენ, რადროსაც მას აცნობეს რომ აპელანტი ლ. ც-შვილი იყო ავად და ვერ ახერხებდა სხდომაზე გამოცხადებას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამავე კოდექსის 103-ე მუხლის მიხედვით, მტკიცებულებებს სასამართლოს წარუდგენენ მხარეები. აღნიშნული საპროცესო ნორმების დანაწესიდან გამომდინარე, კერძო საჩივრის ავტორი ვალდებული იყო შესაბამის მტკიცებულებებზე დაყრდნობით, სასამართლოსათვის დაედსტურებინა საჩივარში მითითებული გარემოება, კერძოდ ის, რომ სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 22 მარტის სხდომაზე იგი ვერ გამოცხადდა ავადმყოფობის გამო. ასეთი მტკიცებულება კერძო საჩივრის ავტორს არ წარმოუდგენია.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი დაუსაბუთებელია, რის გამოც გასაჩივრებული განჩინება გაუქმებას არ ექვემდებარება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე-420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ლ. ც-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 22 მარტის განჩინება.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლები

განჩინება

№ას-687-648-2011

13 ივნისი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. კვანტალიანი,

ბ. ალავეძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება, იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების რეალიზაცია

აღწერილობითი ნაწილი:

2010 წლის 27 ოქტომბერს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართა სს «... ბანკ-მა» მოპასუხეების: ინდმეწარმე დ. ბ-შვილის, ზ. მ-ძის, ლ. მ-ძის, დ. ბ-ძის, ნ. ა-შვილის, გ. გ-ძის, ს. მ-ძის, ე. ზ-ძისა და ა. გ-ძის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა:

ა. სს «... ბანკ-ის» სასარგებლოდ მოპასუხეებს – ინდმეწარმე დ. ბ-შვილს, ზ. მ-ძესა და ლ. მ-ძეს სოლიდარულად დაკისრებოდათ დავალიანების – 40587.01 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა, გადახდის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური კურსის შესაბამისად;

ბ. ზემოაღნიშნული თანხის ამოღება განხორციელებულიყო იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციის გზით.

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილებით სს «... ბანკის» სარჩელი დაკმაყოფილდა: მოპასუხეებს – ინდმეწარმე დ. ბ-შვილს, ზ. მ-ძესა და ლ. მ-ძეს მოსარჩელის სასარგებლოდ სოლიდარულად დაკისრათ დავალიანების – 40587.01 ლარის გადახდა, გადახდის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური კურსის შესაბამისად; დადგინდა, რომ სს «... ბანკის» სასარგებლოდ საკრედიტო დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში თანხის ამოღება განხორციელებულიყო იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციის გზით; გადაწყვეტილება მიექცა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ინდემწარმე დ. ბ-შვილმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 22 მარტის განჩინებით ინდემწარმე დ. ბ-შვილის სააპელაციო საჩივარი დატოვებულ იქნა განუხილველად, ამავე განჩინებით მას დაეკისრა 1623.48 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადახდა.

სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველად სასამართლომ შემდეგ გარემოებებზე მიუთითა:

სააპელაციო სასამართლოს სხდომის შესახებ ინდემწარმე დ. ბ-შვილს ეცნობა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, სასამართლო უწყების მეშვეობით;

2011 წლის 22 მარტს სააპელაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდა აპელანტი, ინდემწარმე დ. ბ-შვილი, გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზების თაობაზე მას სასამართლოსათვის არ უცნობებია;

გამოცხადებული მოწინააღმდეგე მხარის, სს «...ბანკის» წარმომადგენელმა ინდემწარმე დ. ბ-შვილის მიმართ უარი განაცხადა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე, ასევე საქმის განხილვის გადადებაზე და სასამართლოს წინაშე იშუამდგომლა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე;

მოცემულ საქმეზე სასამართლო სხდომა 2011 წლის 22 მარტს დაიწყო 16.55 საათზე და დამთავრდა 17.00 საათზე.

სააპელაციო სასამართლომ მოიხმო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის 1-ლი და მე-3 ნაწილები, 229-ე მუხლის მე-2 ნაწილი და განმარტა, რომ თუ მოწინააღმდეგე მხარე არ მოითხოვს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ.

მოცემულ შემთხვევაში, იმის გამო, რომ აპელანტი ინდემწარმე დ. ბ-შვილი არ გამოცხადდა სასამართლოს მთავარ სხდომაზე და არც გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზების თაობაზე სასამართლოსათვის არ უცნობებია, ამასთან, მოწინააღმდეგე მხარემ არ მოითხოვა 229-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა და უარი განაცხადა საქმის განხილვის გადადებაზე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ იშუამდგომლობა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ინდემწარმე დ. ბ-შვილს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლის შესაბამისად, დავის საბოლოო გადაწყვეტამდე გადავადებული ჰქონდა სახელმწიფო ბაჟის გადახდა. შესაბამისად, მას უნდა დაკისრებოდა გადავადებული სახელმწიფო ბაჟის გადახდა.

სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 22 მარტის განჩინება ინდემწარმე დ. ბ-შვილმა კერძო საჩივრით გაასაჩივრა. იგი მოითხოვს მითითებული განჩინების გაუქმებას იმ ნაწილში, რომლითაც მისი სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად და საქმის განხილვის განახლებას.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, მისთვის ცნობილი იყო სასამართლო სხდომის დღე და დრო – 22 მარტი 16.00 საათი, თუმცა მანამდე რამდენიმე დღით ადრე, 16 მარტს მან მიიღო ტრავმა წელის არეში. ამის გამო მას შეეზღუდა გადაადგილების შესაძლებლობა და 18 მარტს მიმართა ექიმს. ექიმმა მას მისცა დაწინაურება და დაუდგინა წოლითი რეჟიმი 15-20 დღის განმავლობაში. ამავე დღეს მან განცხადებითა და შესაბამისი მტკიცებულებით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს, კერძოდ, გზავნილი ჩააბარა ფოსტას ოზურგეთში და ითხოვა სხდომის სხვა დროისათვის გადანიშვნა. ოზურგეთის ფოსტიდან მიღებული შეტყობინებით აპელანტს ეცნობა, რომ მისი გზავნილი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ჩაჰპარდა სხდომის დღეს, ანუ 22 მარტს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძველების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ინდემწარმე დ. ბ-შვილის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

გასაჩივრებული განჩინებით ინდემწარმე დ. ბ-შვილის სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვებას საფუძველად დაედო სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 22 მარტის მთავარ სხდომაზე აპელანტის გამოუცხადებლობა, რომელიც კანონით დადგენილი წესით მოწვეული იყო საქმის განხილვაში.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის 1-ლი და მე-3 ნაწილების თანახმად, თუ სააპელაციო საჩივრის აღმძვრელი პირი არ გამოცხადდება საქმის ზეპირ განხილვაზე, მოწინააღმდეგე მხარის თხოვნით სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. ყველა სხვა შემთხვევაში გამოიყენება ამ კოდექსში ჩამოყალიბებული ნორმები პირველი ინსტანციის სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 229-ე მუხლის მე-2 ნაწილის 1-ლი წინადადების მიხედვით, თუ მოპასუხე არ მოითხოვს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ.

მოცემულ შემთხვევაში, სადავო არაა ის გარემოება, რომ აპელანტი ინდემწარმე დ. ბ-შვილი კანონით დადგენილი წესით მიწვეული იყო სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვაში. კერძო საჩივრის ავტორი გასაჩივრებული განჩინების გაუქმებას მოითხოვს იმ საფუძველით, რომ ადგილი ჰქონდა სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე აპელანტის საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობას, კერძოდ, სასამართლო სხდომამდე რამდენიმე დღით ადრე მიღებული ტრავმის გამო მას შეზღუდული ჰქონდა გადაადგილების შესაძლებლობა, ექიმის მიერ **18.03.2011წ.** გაცემული ცნობის მიხედვით, აპელანტს ესაჭიროებოდა წოლითი რეჟიმი **15-20** დღის განმავლობაში. აღნიშნულის თაობაზე, დ. ბ-შვილმა **2011 წლის 18** მარტს ფოსტის მეშვეობით, განცხადებითა და შესაბამისი მტკიცებულებით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს, ფოსტიდან მიღებული შეტყობინებით აპელანტს ეცნობა, რომ მისი გზავნილი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ჩაჰბარდა სხდომის დღეს – **2011 წლის 22** მარტს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლო სხდომაზე აპელანტის გამოუცხადებლობის გამო სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ განჩინების გადასინჯვა და საქმის განახლება უნდა მოხდეს იმ წესების დაცვით, რაც გათვალისწინებულია დაუსწრებელი გადაწყვეტილების გადასინჯვის მიმართ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **241-ე** მუხლის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს **233-ე** მუხლით გათვალისწინებული საფუძველები, ან თუ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის.

აღნიშნული მუხლი განსაზღვრავს იმ გარემოებათა წრეს, რომელთა არსებობის შემთხვევაში დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს. ეს გარემოებები მითითებულია **233-ე** მუხლის **1-ლ** ნაწილში, მაგრამ ამ მუხლის ჩამონათვალი არაა ამომწურავი. გამოუცხადებელ მხარეს, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია დაუსწრებელი გადაწყვეტილება, შეუძლია მიუთითოს სხვა გარემოებებზეც, რაც სასამართლო სხდომაზე მისი გამოუცხადებლობის მიზეზი გახდა და რომლის შესახებაც მას არ შეეძლო დროულად ეცნობებინა სასამართლოსათვის. ამასთან, კანონმდებელი ავალდებულებს მხარეს წინასწარ აცნობოს სასამართლოს სხდომაზე მისი გამოცხადების შეუძლებლობის და მიზეზის შესახებ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ასეთი შეტყობინება სხდომამდე შეუძლებელია. იმ გარემოებათა დამტკიცების ტვირთი, რომლებზეც მიუთითებს მხარე თავის საჩივარში, როგორც გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზზე, ეკისრება მომჩივანს, ხოლო ამ გარემოებათა შეფასება იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად საპატიოა მხარის გამოუცხადებლობა – სასამართლოს უფლებამოსილებაა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **215-ე** მუხლის მე-**3** ნაწილი განსაზღვრავს იმ გარემოებათა ჩამონათვალს, რომლებიც შეიძლება მიჩნეულ იქნეს სასამართლო პროცესზე მხარის გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზად. აღნიშნული ნორმის თანახმად, ამ კანონის მიზნებისათვის, საპატიო მიზეზად ჩაითვლება მხარის მიერ შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენის შეუძლებლობა, რაც გამოწვეულია ავადმყოფობით, ახლო ნათესავის გარდაცვალებით ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებით, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის სასამართლო პროცესზე გამოცხადებას ან/და შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენას. ავადმყოფობა დადასტურებული უნდა იყოს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **233-ე** მუხლის **1-ლი** ნაწილის «ბ» ქვეპუნქტი ადგენს, რომ მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია, თუ სასამართლოსათვის ცნობილი გახდა, რომ ადგილი ჰქონდა დაუძლეველ ძალას ან სხვა მოვლენებს, რომელსაც (რომლებსაც) შეეძლო ხელი შეეშალა სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისათვის.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში საქმეში წარმოდგენილია ი/მ დ. ბ-შვილის განცხადება, რომლითაც იგი შუამდგომლობს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს წინაშე **2011 წლის 22** მარტის სხდომის სხვა დროისათვის გადადების თაობაზე. განცხადებას თან ერთვის სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე აპელანტის გამოცხადების შეუძლებლობაზე. ამდენად უდავოა, რომ აპელანტს გააჩნდა სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი, რაც გათვალისწინებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **215.3** მუხლით. ზემოაღნიშნული განცხადება სააპელაციო სასამართლოს ჩაბარდა **2011 წლის 22** მარტს.

საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საკითხის გადაწყვეტისას სააპელაციო სასამართლოს აპელანტის ზემომითითებულ შუამდგომლობასა და მის დასასაბუთებლად წარდგენილ ავადმყოფობის ცნობაზე არ უმსჯელია. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **83-ე** მუხლის **1-ლი** ნაწილის თანახმად, მხარეთა არსებითი საპროცესო უფლებაა სასამართლოს წინაშე განაცხადონ შუამდგომლობები, რაც ასევე გულისხმობს ამ შუამდგომლობების განხილვის, ხოლო დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში – შუამდგომლობაზე უარის თქმის მოტივების ცოდნის უფლებასაც. საქმიდან არ ირკვევა, რომ აპელანტის ავადმყოფობის შესახებ **18.03.2011წ.** ცნობა და განცხადება სხდომის გადადების შესახებ სასამართლოს წარედგინა სადავო განჩინების გამოტანის შემდეგ, კერძოდ, განცხადებაზე დასმული სააპელაციო სასამართლოს მისაღების შტამში არ შეიცავს ინფორმაციას, თუ რომელ საათზე იქნა წარდგენილი განცხადება სასამართლოში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გასაჩივრებული განჩინება დაუსაბუთებელია, რაც მისი გაუქმების საფუძველია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ინდემწარმე დ. ბ-შვილის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 22 მარტის განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც ინდემწარმე დ. ბ-შვილის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად და ამ ნაწილში საქმე განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველები

განჩინება

№ას-907-947-2011

29 ივლისი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 2 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სადაზღვევო კომპანია შპს «...ს» სარჩელი მოპასუხე შპს «...ს» მიმართ დაკმაყოფილდა: შპს «...ს» მოსარჩელის სასარგებლოდ გადასახდელად დაეკისრა 23100 ლარი, მასვე მოსარჩელის სასარგებლოდ დაევალა სახელმწიფო ბაჟის სახით 843 ლარის ანაზღაურება.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს «...მ», რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 19 აპრილის საოქმო განჩინებით შპს «...ს» სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, აპელანტ შპს «...ს» დირექტორი ი. ზ-ე გამოცხადებული იყო 2011 წლის 15 მარტის სასამართლო სხდომაზე. აღნიშნული სხდომა გადაიდო ი. ზ-ის შუამდგომლობის გამო, 2011 წლის 19 აპრილს, 17.00 საათზე. სხდომის გადადების თაობაზე შპს «...ს» დირექტორს ეცნობა ხელწერილით, რომელზეც მითითებულია სხდომაზე გამოცხადების სავალდებულობისა და გამოუცხადებლობის თანმდევნი შედეგების თაობაზე. ი. ზ-ემ ხელწერილის შინაარსის გაცნობა ხელმოწერით დაადასტურა. სააპელაციო სასამართლომ გამოარკვია, რომ აპელანტს სასამართლოსათვის არ მიუწოდებია ინფორმაცია დაუძლეველი ძალის ან სხვა რაიმე ისეთი მოვლენის შესახებ, რომელსაც შეეძლო ხელი შეეშალა აპელანტისათვის სასამართლოში დროულად გამოცხადებაში.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 229-ე მუხლზე, 275-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «გ» ქვეპუნქტზე, რომელთა თანახმად, თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდა მოსარჩელე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, ხოლო მოპასუხე არ შუამდგომლობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე, სასამართლო უფლებამოსილია მიიღოს განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ, რასაც უკავშირდება 276-ე-278-ე მუხლებით გათვალისწინებული შედეგები; სასამართლო, მხარის თხოვნით ან თავისი ინიციატივით, განუხილველად დატოვებს სარჩელს, თუ სასამართლო სხდომაზე მოსარჩელე (განმცხადებელი) არ გამოცხადებულა, ხოლო მოპასუხე თანახმაა, სარჩელი (განცხადება) განუხილველად იქნეს დატოვებული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა სხდომის გადადების კანონისმიერი წინაპირობები. შესაბამისად, სასამართლომ მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე, საფუძველიანად ჩათვალა.

სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 19 აპრილის განჩინება შპს «...მ» კერძო საჩივრით გაასაჩივრა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის არსებითად განხილვა.

კერძო საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება «...ს» წარმომადგენლობითი უფლებამოსილება გააჩნია საზოგადოების დირექტორ ი. ზ-ეს, რომელიც იყო კიდევ ჩართული შპს «...თან» არსებული პრობლემის გადაწყვეტის საქმეში. შესაბამისად, მასვე უნდა განეხორციელებინა აპელანტის წარმომადგენლობა სასამართლოში. სასამართლო სხდომის დღეს, რა დღესაც მიღებულ იქნა გასაჩივრებული განჩინება, ი. ზ-ე იმყოფებოდა საზოგადოებისათვის ძალზედ მნიშვნელოვან, გადაუდებელ შეხვედრაზე, რის გამოც მან ვერ მოახერხა სასამართლო პროცესზე გამოცხადება. დირექტორის მხრიდან ადგილი არ ჰქონია მითითებული სხდომის იგნორირების ფაქტს, დირექტორმა ფიზიკურად ვერ შეძლო სხდომაზე გამოცხადება და მასში მონაწილეობის მიღება დასახელებული მიზეზის გამო. საგულისხმოა, რომ დავის სასამართლოში მიმდინარეობის მთელი პერიოდის განმავლობაში შპს «...ს» მხრიდან ადგილი ჰქონდა პირველ გამოუცხადებლობას. არსებულ ვითარებაში, შესაძლებელი იყო პირველივე შემთხვევაში არ მომხდარიყო სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვება, მით უფრო როდესაც, როგორც თავად მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელმა აღნიშნა, სასამართლოში საქმის განხილვის პარალელურად მხარეებს შორის მიმდინარეობდა მოლაპარაკებები პრობლემის მოგვარების მიზნით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს «...ს» კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად უნდა დარჩეს გასაჩივრებული განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის 1-ლი და მე-3 ნაწილების თანახმად, თუ სააპელაციო საჩივრის აღმძვრელი პირი არ გამოცხადდება საქმის ზეპირ განხილვაზე, მოწინააღმდეგე მხარის თხოვნით სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. ყველა სხვა შემთხვევაში გამოიყენება ამ კოდექსში ჩამოყალიბებული ნორმები პირველი ინსტანციის სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 229-ე მუხლის მე-2 ნაწილის 1-ლი წინადადების მიხედვით, თუ მოპასუხე არ მოითხოვს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ. ამავე კოდექსის 275-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «გ» ქვეპუნქტის მიხედვით, სასამართლო, მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით, განუხილველად დატოვებს სარჩელს, თუ სასამართლო სხდომაზე მოსარჩელე არ გამოცხადებულა, ხოლო მოპასუხე თანხმად, სარჩელი განუხილველად იქნეს დატოვებული.

გასაჩივრებული განჩინებით შპს «...ს» სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვებას საფუძვლად დაედო სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 19 აპრილის მთავარ სხდომაზე აპელანტის გამოუცხადებლობა, რომელიც კანონით დადგენილი წესით მოწვეული იყო საქმის განხილვაში.

მოცემულ შემთხვევაში სადავო არაა ის გარემოება, რომ აპელანტი ორგანიზაციის – შპს «...ს» დირექტორს ი. ზ-ეს კანონით დადგენილი წესით ეცნობა სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 19 აპრილის სხდომის დროისა და ადგილის, აგრეთვე, სხდომაზე გამოუცხადებლობის შედეგების თაობაზე. კერძოდ, საქმის მასალებით დგინდება, რომ ი. ზ-ე ესწრებოდა 2011 წლის 15 მარტის მთავარ სხდომას, რომელიც გადაიდო 2011 წლის 19 აპრილს. სხდომაზე შედგენილი ხელწერილით სააპელაციო სასამართლომ ი. ზ-ეს აცნობა ახალი სხდომის შესახებ და განუმარტა გამოუცხადებლობის შედეგები.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლო სხდომაზე აპელანტის გამოუცხადებლობის გამო სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ განჩინების გადასინჯვა და საქმის განახლება უნდა მოხდეს იმ წესების დაცვით, რაც გათვალისწინებულია დაუსწრებელი გადაწყვეტილების გადასინჯვის მიმართ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, ან თუ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის.

აღნიშნული მუხლი განსაზღვრავს იმ გარემოებათა წრეს, რომელთა არსებობის შემთხვევაში დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს. ეს გარემოებები მითითებულია 233-ე მუხლის 1-ლ ნაწილში, მაგრამ ამ მუხლის ჩამონათვალი არაა ამომწურავი. გამოუცხადებელ მხარეს, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია დაუსწრებელი გადაწყვეტილება, შეუძლია მიუთითოს სხვა გარემოებებზეც, რაც სასამართლო სხდომაზე მისი გამოუცხადებლობის მიზეზი გახდა და რომლის შესახებაც მას არ შეეძლო დროულად ეცნობებინა სასამართლოსათვის. ამასთან, კანონმდებელი ავალდებულებს მხარეს წინასწარ აცნობოს სასამართლოს სხდომაზე მისი გამოცხადების შეუძლებლობის და მიზეზის შესახებ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ასეთი შეტყობინება სხდომამდე შეუძლებელია. იმ გარემოებათა დამტკიცების ტვირთი, რომლებზეც მიუთითებს მხარე თავის საჩივარში, როგორც გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზზე,

ეკისრება მომჩივანს, ხოლო ამ გარემოებათა შეფასება იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად საპატიოა მხარის გამოუცხადებლობა – სასამართლოს უფლებამოსილებაა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილი განსაზღვრავს იმ გარემოებათა ჩამონათვალს, რომლებიც შეიძლება მიჩნეულ იქნეს სასამართლო პროცესზე მხარის გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზად. აღნიშნული ნორმის თანახმად, ამ კანონის მიზნებისათვის, საპატიო მიზეზად ჩაითვლება მხარის მიერ შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენის შეუძლებლობა, რაც გამოწვეულია ავადმყოფობით, ახლო ნათესავის გარდაცვალებით ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებით, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის სასამართლო პროცესზე გამოცხადებას ან/და შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენას. ავადმყოფობა დადასტურებული უნდა იყოს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე.

მოცემულ შემთხვევაში კერძო საჩივრის ავტორი გასაჩივრებული განჩინების გაუქმებას მოითხოვს იმ საფუძველით, რომ სასამართლო ხდომის დღეს შპს «...ს» დირექტორი ი. ზ-ე (რომელსაც გააჩნია საზოგადოების წარმომადგენლობითი უფლებამოსილება და რომელიც უშუალოდ იყო ჩაბმული მოწინააღმდეგე მხარესთან არსებული დავის მოგვარების საქმეში) იმყოფებოდა საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან, გადაუდებელ შეხვედრაზე, რის გამოც მან ვერ მოახერხა სასამართლო პროცესზე გამოცხადება.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის ზემოხსენებულ მსჯელობას. ჯერ ერთი, საჩივრის ავტორი ვერ ადასტურებს მის მიერ მითითებულ გარემოებას, კერძოდ, მას საკასაციო სასამართლოსათვის არ წარმოუდგენია მოცემული გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102.1 და 103-ე მუხლებიდან გამომდინარე, მისი მტკიცების ტვირთში შედის. ამასთან, აპელანტის – შპს «...ს» დირექტორის ყოფნა საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან შეხვედრაზე, არ წარმოადგენს სასამართლო სხდომაზე აპელანტის გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზს, თუ ეს არ არის გამოწვეული განსაკუთრებული ობიექტური გარემოებით. მხარე ვალდებული იყო წინასწარ ეცნობებინა სასამართლოსათვის დანიშნულ დროს სასამართლო სხდომაზე გამოცხადების შეუძლებლობის შესახებ, ამასთან, მოეთხოვა საქმის განხილვის სხვა დროისათვის გადადება, რაც მას არ გაუკეთებია. 2011 წლის 19 აპრილის სხდომის შესახებ აპელანტს ეცნობა ჯერ კიდევ 2011 წლის 15 მარტს. აქედან გამომდინარე, მას საკმარისი დრო ჰქონდა თავიდან აეცილებინა მისთვის არასასურველი პროცესუალური შედეგი – სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვება. რაც მას არ გაუკეთებია. მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ აპელანტს შეეძლო მიეღო ზომები, რომ სასამართლო სხდომაზე მისი უფლებების დაცვა უზრუნველყო წარმომადგენელს, რაც ასევე არ განუხორციელებია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი დაუსაბუთებელია, რის გამოც გასაჩივრებული განჩინება გაუქმებას არ ექვემდებარება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე-420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. შპს «...ს» კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 19 აპრილის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

გადაწყვეტილების განმარტება

განჩინება

№ას-4-4-2012

10 თებერვალი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. სულხანიშვილი,
ვ. როინიშვილი

დავის საგანი: ნივთის პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენა

აღწერილობითი ნაწილი:

ო. ხ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში ო. კ-ის მიმართ პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მოთხოვნით.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო უსაფუძვლობისა და ხანდაზმულობის გამო.

თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა ო. ხ-ის სარჩელი ო. კ-ის მიმართ სარდაფისა და ეზოს პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენის თაობაზე.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ო. ხ-მა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილებით ო. ხ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ამ საქმეზე თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ო. ხ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა და ო. კ-ეს დაევალა დაბა წყნეთში, ... ქუჩა №24-ში მდებარე №... კოტეჯის სარდაფისა და ეზოს პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენა. სააპელაციო პალატის ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 19 სექტემბრის განჩინებით, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ო. კ-ის საკასაციო საჩივარი და გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

სააპელაციო პალატის გადაწყვეტილების განმარტების თხოვნით არაერთხელ მიმართეს სასამართლოს მხარეებმა და, შესაბამისად, სააპელაციო და საკასაციო სასამართლოების მსჯელობის საგანი არაერთხელ გახდა 2007 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილების განმარტების საკითხი. საბოლოოდ, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 28 ივლისის განჩინებით ო. ხ-ის განცხადება დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტი – „ო. ხ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს და ო. კ-ეს დაევალოს დაბა წყნეთში, ... ქ. №24-ში მდებარე №... კოტეჯის სარდაფისა და ეზოს აღდგენა პირვანდელ მდგომარეობაში» – განიმარტა იმგვარად, რომ პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა გამოიხატა შემდეგ მოქმედებებში:

ა) ეზოს გამყოფი ქვის ღობის მონგრევა;

ბ) ტერასის დანგრევა 100 კვ.მ მოზაიკის იატაკითა და კიბით;

გ) ო. კ-ის მიერ მოწყობილი ეზოში დამოუკიდებელი შესასვლელის გაუქმება და საერთო შესასვლელი ჭიშკრის დატოვება;

დ) ეზოს კეთილმოწყობის მოშლა;

ე) სარდაფის ადრე არსებულ დონემდე ამოვსება;

ამავე სასამართლოს 2010 წლის 11 ივნისის განჩინებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლის გიორგი დემეტრაშვილის განცხადება, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 28 ივლისის განჩინების განმარტების შესახებ და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 28 ივლისის განჩინების «დ» და «ე» ქვეპუნქტები განიმარტა იმგვარად, რომ ეზოს კეთილმოწყობის მოშლა და სარდაფის ადრე არსებულ დონემდე ამოვსება უნდა გამოხატულიყო შემდეგ მოქმედებებში:

და. კეთილმოწყობის მოსაშლელად ეზოში უნდა აღებულიყო მონოლითური მოზაიკითა და ბაზალტის კიბით მოპირკეთებული ტერასა დაახლოებით 100 კვ.მ-ზე.

ე.ა. სარდაფის ადრე არსებულ დონემდე მოყვანა უნდა განხორციელებულიყო იმგვარად, რომ შენარჩუნებულიყო მისი ფუნქციური დატვირთვა (შესაძლებელი ყოფილიყო მისი სარდაფის სახით გამოყენება).

აღსრულების ეროვნული ბიუროს აღსრულების პოლიციის სამმართველოს თბილისის განყოფილების უფროსმა შოთა მუმლაძემ განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა 2007 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტის განმარტება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით: დასაშვებია თუ არა, რომ იმ შემთხვევაში, თუ მოვალე ო. კ-ემ, მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ვერ შეძლო გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულება, იგივე ქმედება ასეთ პირობებში განახორციელოს კრედიტორმა საკუთარი ხარჯით მშენებლობის ნებართვის გარეშე ან აღსრულების ეროვნულმა ბიურომ.

განმცხადებელმა მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ, მართალია, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 11 ივნისის განჩინებით განიმარტა იმავე სასამართლოს 2008 წლის 28 ივლისის განჩინება (სასამართლოს 2007 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილების განმარტების შესახებ), მაგრამ იძულებითი აღსრულების პროცესში სააღსრულებო ბიურო წააწყდა გარკვეულ სირთულეებს, რამაც განაპირობა სასამართლოსადმი მიმართვის საჭიროება, რათა კიდევ ერთხელ განიმარტოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება. აღნიშნული განმარტება აუცილებელია გადაწყვეტილების აღსრულების სწორად წარმართვისათვის. აღსრულების პროცესში მოვალე ო. კ-ის მიერ წარდგენილ იქნა ინფორმაცია, რომ დანგრევას დაქვემდებარებული ტერასის დემონტაჟს ესაჭიროება სათანადო ნებართვა თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურიდან. მოვალეს განესაზღვრა ვადა აღნიშნული სახის ნებართვის მოსაპოვებლად, ნებართვის მოპოვებას ართულებს ის გარე-

მოება, რომ მოვალე ო. კ-ე არ არის რეგისტრირებული იმ უძრავი ქონების მესაკუთრედ, რომლის შემადგენელი ნაწილიც არის დემონტაჟს დაქვემდებარებული ზემოაღნიშნული ტერასა. საკუთრების უფლების რეგისტრაციას კი აბრკოლებს ქონებაზე დადებული ყადაღა. იქმნება ვითარება, როდესაც მოვალე აცხადებს თანხმობას გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულებაზე, თუმცა მას არ აქვს სამართლებრივი შესაძლებლობა, განახორციელოს მისი ეს უფლება მართლზომიერად. აღნიშნულს დაემატა ის გარემოებაც, რომ ბიუროს განცხადებით მიმართეს დაბა წყნეთში, ... ქ.№24-ის მიმდებარე ტერიტორიის მცხოვრებლებმა ტერასის მოსალოდნელი დემონტაჟის პროცესში მიმდინარე ავარიული ნაგებობის მდგრადობის მოსალოდნელ გაუარესებასთან დაკავშირებით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 29 ნოემბრის განჩინებით აღსრულების ეროვნული ბიუროს აღსრულების პოლიციის სამმართველოს თბილისის განყოფილების უფროს შ. მ-ძის განცხადება, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მესამე პუნქტის განმარტების შესახებ არ დაკმაყოფილდა შემდეგი დასაბუთებით:

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის 1-ელი ნაწილით და განმარტა, რომ მითითებული ნორმიდან გამომდინარე, დაუშვებელია გადაწყვეტილების განმარტების სახით ახალი გადაწყვეტილების მიღება ან ადრე მიღებული გადაწყვეტილების შეცვლა. სასამართლომ ასევე მიუთითა განსახილველ საქმეზე დადგენილ გარემოებებზე, ამავე სასამართლოს 2008 წლის 28 ივლისისა და 2010 წლის 11 ივნისის განჩინებებზე, რომლებიც კანონიერ ძალაშია შესული, ამ განჩინებებით განმარტებული გარემოებანი გაზიარებულ იქნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ, ასევე იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის პირველი ნაწილით და აღნიშნა, რომ სასამართლოს მსჯელობის საგანი შეიძლება გახდეს ის საკითხი, რომლის განხილვასაც ითვალისწინებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. 2007 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილების მე-3 პუნქტის შინაარსი არ არის ბუნდოვანი, იგი მკაფიოა და არ საჭიროებს განმარტებას, განმცხადებლის მიერ მითითებული საკითხის განმარტება სცდება სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების განმარტების ფარგლებს და არ წარმოადგენს გადაწყვეტილების განმარტების საგანს.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა სსიპ „აღსრულების ეროვნულმა ბიურომ“, მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სააპელაციო პალატის 2007 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტის განმარტება შემდეგი დასაბუთებით:

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, მართალია, სასამართლომ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი რემდენჯერმე განმარტა, თუმცა გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების პროცესში წარმოიშვა გარკვეული სირთულეები, რის გამოც საჭიროა გადაწყვეტილების კვლავ განმარტება, კერძოდ, აღსრულების პროცესში მოვალე ო. კ-ემ წარადგინა დოკუმენტაცია, რომლის თანახმადაც დანგრევას დაქვემდებარებული ტერასის დემონტაჟს ესაჭიროება სათანადო ნებართვა ქ.თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურიდან, ვინაიდან, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, მოვალე უფლებამოსილია, ნებაყოფლობით აღასრულოს სასამართლო გადაწყვეტილება, მოპასუხეს განესაზღვრა ვადა ამ ნებართვის მისაღებად, თუმცა ზემოაღნიშნული აღმოჩნდა შეუძლებელი, რადგანაც ო. კ-ე არ არის რეგისტრირებული იმ ქონების მესაკუთრედ, რომლის ნაწილსაც დემონტაჟს დაქვემდებარებული ტერასა შეადგენს, საკუთრების უფლების რეგისტრაციას კი აფერხებს უძრავ ნივთზე დადებული ყადაღა. მოცემულ შემთხვევაში, სახეზეა მოვალის ნება, ნებაყოფლობით შესრულოს გადაწყვეტილება, თუმცა ამის განხორციელება ობიექტურად შეუძლებელია. აღსრულების ეროვნულ ბიუროს განცხადებით მიმართეს წყნეთში, ... ქ.№24-ში მცხოვრებმა პირებმაც და, ზემოაღნიშნული მისამართის მიმდებარე არსებული ნაგებობების ავარიული მდგომარეობის გამო, გამოთქვეს შემოთება, რადგანაც დემონტაჟის შედეგად მოსალოდნელია ნაგებობების მდგრადობის გაუარესება. აღნიშნული გარემოებები აღსასრულებელი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილს ხდის ბუნდოვანად, რის გამოც კერძო საჩივრის ავტორი, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის საფუძველზე, მოითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილების მე-3 პუნქტის განმარტებას, კერძოდ, იმის დადგენას, ო. კ-ის მიერ მისგან დამოუკიდებელი მიზეზით გადაწყვეტილების ნებაყოფლობით აღსრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, დასაშვებია თუ არა აღნიშნული საკუთარი ხარჯით განახორციელოს კრედიტორმა ან აღსრულების ბიურომ მშენებლობის ნებართვის გარეშე.

სააპელაციო პალატის 2011 წლის 29 ნოემბრის განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ასევე ო. კ-ემ და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება შემდეგი საფუძველებით:

სააპელაციო პალატამ არასწორად ჩათვალა, რომ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი, რომლის განმარტებასაც აღსრულების ეროვნული ბიურო მოითხოვდა, არ არის ბუნდოვანი და არ იმსჯელა განცხადებაში მითითებულ საკითხებზე, რაც არასწორია, რადგანაც სასამართლო გადაწყვეტილებით დაკისრებული ვალდებულების შესრულება მოვალისათვის ობიექტურად შეუძლებელი აღმოჩნდა, გადაწყვეტილებით გაურკვეველი რჩება, შეუძლია თუ არა ო. კ-ეს განახორციელოს დემონტაჟი, რომელსაც საფუძველად სამშენებლო დოკუმენტაცია უნდა დაერთოს. აღნიშნული დოკუმენტაციის გარეშე დემონტაჟის დაწყების შემთხვევაში, მხარეს შესაძლოა, დაეკისროს მატერიალური პასუხისმგებლობა. გადაწყვეტილების აღსრულებ

ბით სადავო ტერიტორიაზე არსებული ნაგებობების შესაძლო დემონტაჟის გამო ო. კ-ეს შეიძლება ასევე დაეკისროს პასუხისმგებლობა, რაც განაპირობებს მხარის სურვილს, დემონტაჟი განხორციელდეს სათანადოდ განსაზღვრული წესით. ამასთანავე, ო. კ-ეს, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სურს საკუთარი ინიციატივით აღასრულოს მისთვის დაკისრებული ვალდებულება და აღნიშნული განპირობებულია ასევე მატერიალური სახსრებით, ხოლო „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ასეთი ქმედება შეიძლება განხორციელოს სხვა პირმაც, მხოლოდ მაშინ, როდესაც მოვალე არ ასრულებს ვალდებულებას და არა მაშინ, როდესაც მოვალე ვერ ასრულებს ვალდებულებას. იმის გათვალისწინებით, რომ ვერც ო. კ-ის და ვერც აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ ვერ იქნა ზუსტად განსაზღვრული აღსრულების მოქმედების შეინაარსი, სასამართლო გადაწყვეტილება ითვლება ბუნდოვნად, ამასთან, თუ პალატა მიიჩნევდა, რომ სადავო საკითხის განხილვა სასამართლოს კომპეტენციას არ წარმოადგენდა, ის ულებამოსილი იყო, ეხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 267¹ მუხლით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრების საფუძვლების ანალიზის, საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროსა და ო. კ-ის კერძო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

საკასაციო პალატა იზიარებს საქმეზე დადგენილ შემდეგ გარემოებებს:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილებით ო. ხ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ამ საქმეზე თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ო. ხ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა და ო. კ-ეს დაევალა დაბა წყნეთში, ... ქუჩა №24-ში მდებარე №... კოტეჯის სარდაფისა და ეზოს პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენა.

სააპელაციო პალატის ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება შესულია კანონიერ მალაში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 28 ივლისის განჩინებით ო. ხ-ის განცხადება დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტი – „ო. ხ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს და ო. კ-ეს დაევალოს დაბა წყნეთში, ... ქ. №24-ში მდებარე №... კოტეჯის სარდაფის და ეზოს აღდგენა პირვანდელ მდგომარეობაში“ – განიმარტა იმგვარად, რომ პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა გამოიხატა შემდეგ მოქმედებებში: ა) ეზოს გამყოფი ქვის ღობის მონგრევა; ბ) ტერასის დანგრევა 100 კვ.მ. მოზაიკის იატაკითა და კიბით; გ) ო. კ-ის მიერ მოწყობილი ეზოში დამოუკიდებელი შესასვლელის გაუქმება და საერთო შესასვლელი ჭიშკრის დატოვება; დ) ეზოს კეთილმოწყობის მოშლა; ე) სარდაფის ადრე არსებულ დონემდე ამოვსება;

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 11 ივნისის განჩინებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებელ გიორგი დემეტრაშვილის განცხადება, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 28 ივლისის განჩინების განმარტების შესახებ და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 28 ივლისის განჩინების «დ» და «ე» ქვეპუნქტები განიმარტა იმგვარად, რომ ეზოს კეთილმოწყობის მოშლა და სარდაფის ადრე არსებულ დონემდე ამოვსება უნდა გამოხატულიყო შემდეგ მოქმედებებში: დ.ა. კეთილმოწყობის მოსაშლელად ეზოში უნდა აღებულიყო მონოლითური მოზაიკითა და ბაზალტის კიბით მოპირკეთებული ტერასა დაახლოებით 100 კვ.მ-ზე; ე.ა. სარდაფის ადრე არსებულ დონემდე მოყვანა უნდა განხორციელებულიყო იმგვარად, რომ შენარჩუნებულიყო მისი ფუნქციური დატვირთვა (შესაძლებელი ყოფილიყო მისი სარდაფის სახით გამოყენება).

საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე, რომლის თანახმადაც, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს უფლება აქვს მხარეთა ან აღმასრულებლის განცხადებით, გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით განმარტოს გადაწყვეტილება სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია. განცხადების შეტანა გადაწყვეტილების განმარტების შესახებ დასაშვებია, თუ გადაწყვეტილება ჯერ არ არის აღსრულებული და თუ არ გასულა ვადა, რომლის განმავლობაშიც გადაწყვეტილება შეიძლება აღსრულდეს. სასამართლო უფლებამოსილია გადაწყვეტილების განმარტების საკითხი გადაწყვეტოს ზეპირი მოსმენის გარეშე. სხდომის ჩატარების შემთხვევაში მხარეებს ეგზავნება შეტყობინება, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს გადაწყვეტილების განმარტების საკითხის განხილვას. დასახე-

ლებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ სასამართლო გადაწყვეტილებას მისი სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად განმარტავს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილება ორაზროვან, ბუნდოვან დებულებებს ემყარება იმგვარად, რომ შეუძლებელია ამ გადაწყვეტილებით აღიარებული უფლების სწორად განმარტება და ილახება მოდავე მხარეთა ინტერესები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილია გადაწყვეტილების ფორმალური (სსკ-ის 264-ე მუხლი) და მატერიალური (სსკ-ის 266-ე მუხლი) კანონიერი ძალა, რომელიც პირველ შემთხვევაში გულისხმობს მიმდინარე პროცესში დავის განხილვის დამთავრებას, ხოლო მატერიალური კანონიერი ძალა უზრუნველყოფს გადაწყვეტილების საბოლოო ხასიათსა და სავალდებულობას არა მარტო კონკრეტული პროცესისათვის, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. გადაწყვეტილების კანონიერი ძალა ვრცელდება საქმის განხილვაში მონაწილე პირთა წრეზე (სუბიექტური ფარგლები) და გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილზე (ობიექტური ფარგლები). გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი, თავისი არსით, წარმოადგენს პირდაპირ და ზუსტ პასუხს სარჩელზე. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი შეიცავს სასამართლოს დასკვნას სარჩელის დაკმაყოფილების ან სარჩელზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარის თქმის შესახებ (სსკ-ის 249-ე მუხლის მე-5 ნაწილი). ამდენად, პირი, სარჩელის შეტანის გზით იცავს რა თავის უფლებას და შელახულ ინტერესებს, სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება იმავდროულად იწვევს მისი პრეტენზიის აღმოფხვრას, ვინაიდან სადავოდ მიჩნეული უფლება მოდავე პირის სასარგებლოდაა დაცული და, შესაბამისად, მხარის იურიდიული ინტერესიც დაკმაყოფილებულია.

ნიშანდობლივია, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებით სამართლებრივი წესრიგის დადგენა შესაძლებელია რა მხოლოდ გადაწყვეტილების აღსრულებით, აღსასრულებლად წარემართება გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი, თუნდაც ეს უკანასკნელი ადგენდეს რაიმე უფლების ან ვალდებულების არსებობას („სააღსრულებო წარმოებათა შესახებ» საქართველოს კანონის 21-ე მუხლი). სასამართლო გადაწყვეტილება მართლმსაჯულების აქტია და მისი სამართლებრივი შედეგები თვით კონსტიტუციითაა რეგლამენტირებული. საქართველოს კონსტიტუციის 82-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, სასამართლოს აქტები სავალდებულოა ყველა სახელმწიფო ორგანოსა და პირისათვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. სასამართლო გადაწყვეტილების სავალდებულობა დღის წესრიგში აყენებს მისი აღსრულებადობის უზრუნველყოფის საკითხს. თუ პირი, რომლის მიმართაცაა სასამართლო აქტი გამოცემული, თავისი ნებით არ შეასრულებს ამ გადაწყვეტილებას, კრედიტორის განცხადების საფუძველზე, საქმეში ერთვება საამისოდ უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო – აღსრულების ეროვნული ბიურო, რომელიც უზრუნველყოფს გადაწყვეტილების აღსრულებას „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ» საქართველოს კანონის შესაბამისად. მითითებული ნორმატიული აქტის პირველი მუხლის მიხედვით, ეს კანონი აწესრიგებს საერთო სასამართლოების, ადმინისტრაციული ორგანოების (თანამდებობის პირების), არბიტრაჟის, რესტიტუციისა და კომპენსაციის კომისიისა და მისი კომიტეტის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიერ მიღებული აქტების და ამ კანონით გათვალისწინებული აღსასრულებელი გადაწყვეტილებების აღსრულების წესსა და პირობებს.

საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებული სასამართლო გადაწყვეტილების სავალდებულო ძალა ასახულია ასევე სამოქალაქო საპროცესო კოდექსში, რომლის მე-10 მუხლის თანახმადაც, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებები (განჩინებები, დადგენილებები), აგრეთვე თავისი უფლებამოსილების განსახორციელებლად სასამართლოს მიერ აღძრული მოთხოვნები და განკარგულებები სავალდებულოა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ყველა სახელმწიფო, საზოგადოებრივი თუ კერძო საწარმოსათვის, დაწესებულებისათვის, ორგანიზაციისათვის, თანამდებობის პირისა თუ მოქალაქისათვის და ისინი უნდა შესრულდეს. მითითებული ნორმიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა უსაფუძვლოდ მიიჩნევს კერძო საჩივრის ავტორთა მოსაზრებას, რომ, სამშენებლო დოკუმენტაციის გაუცემლობის გამო, სააპელაციო პალატის 2007 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილება ბუნდოვანია და უნდა განიმარტოს. ამასთანავე, სასამართლო თვლის, რომ სამშენებლო დოკუმენტაციის გაუცემლობის მოტივით გადაწყვეტილების ბუნდოვანებაზე მითითების უსაფუძვლოდ მიჩნევის საფუძველს ისიც წარმოადგენს, რომ მოვალეს ჰქონდა აბსოლუტური შესაძლებლობა ადმინისტრაციული ორგანოს ქმედების გასაჩივრებისა და სათანადო დოკუმენტაციის ამ წესით მიღებისა, რის თაობაზეც საქმის მასალებში მითითებული არ ყოფილა. თავად აღსრულების ეროვნული ბიუროს მოსაზრება, რომ გადაწყვეტილების განმარტების საგანს უნდა წარმოადგენდეს მოვალის მიერ ობიექტური ფაქტორის გათვალისწინებით გადაწყვეტილების ნებაყოფლობით აღსრულების შეუძლებლობა და ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია თუ არა ეს ქმედება განახორციელოს კრედიტორმა ან სააღსრულებო ბიურომ, არ წარმოადგენს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის განმარტების კანონისმიერ საფუძველს, რადგანაც იძულებითი აღსრულების ფარგლებში სააღსრულებო ორგანო აღჭურვილია ყველა შესაძლებლობით მოახდინოს გადაწყვეტილების აღსრულება შესაბამისი ზომების მიღების გზით. იმ პირობებში, როდესაც გადაწყვეტილება განმარტებულია არაერთხელ და მკაფიოდ და ნათლად დადგენილი პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის წესი, საკასაციო პალატა თვლის, რომ გასაჩივრებული განჩინებით სასამართლომ სწორად უთხრა უარი მხარეს გადაწყვეტილების განმარტებაზე.

ამასთან, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ გადაწყვეტილების აღწერილობითი და სამოტივაციო ნაწილები წარმოადგენს ამ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ფუნდამენტს. მასში აისახება სასა-

მართლოს შემეცნებითი მსჯელობა ფაქტების არსებობა-არარსებობის შესახებ (ფაქტობრივი დასაბუთება) და შეფასებითი მსჯელობა ამ ფაქტების იურიდიული ძალისა და მნიშვნელობის შესახებ (სამართლებრივი დასაბუთება). კანონის იმპერატიული დათქმა გადაწყვეტილების დასაბუთების აუცილებლობაზე, განპირობებულია მართლმსაჯულების ერთ-ერთი ძირითადი მიზნით, დაარწმუნოს მხარეები დავის კანონიერად და სამართლიანად გადაწყვეტაში და ამავდროულად გადაწყვეტილების დასაბუთებით რეალიზებულია გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში მითითებული სამართლებრივი შედეგის სიცხადე. გადაწყვეტილების აღმასრულებელი პირი, იქნება ის მოვალე თუ შესაბამისი ორგანო, ვალდებულია, გადაწყვეტილების აღსრულებისას სარეზოლუციო ნაწილით დადგენილი შედეგის მიმართ გონივრულად იხელმძღვანელოს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილითაც. სწორედ აღნიშნული განაპირობებს მართლმსაჯულების აქტის სწორად და გონივრულად აღსრულების შესაძლებლობას.

საკასაციო სასამართლო იზიარებს გასაჩივრებული განჩინების მითითებას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლზე და თვლის, რომ სასამართლომ სწორად განმარტა დისპოზიციურობის პრინციპი, რომლითაც დადგენილია მხარის უფლება, მისი შეხედულებისამებრ განსაზღვროს მოთხოვნის ოდენობა და ამავდროულად, სამოქალაქო სამართალწარმოება შეზღუდულია ზემოაღნიშნული ნორმით, იმსჯელოს მხოლოდ მხარეთა იმ მოსაზრებებსა თუ მტკიცებულებებზე, რაც მათ კონკრეტულ შემთხვევაში სადავოდ მიაჩნიათ.

რაც შეეხება კერძო საჩივრის ავტორთა მითითებას დემონტაჟის გზით სხვა პირთა უფლების შესაძლო დარღვევის თაობაზე, ასევე შეუძლია თუ არა გადაწყვეტილება აღსრულოს სხვა პირმა ან სააღსრულებო ბიურომ, საკასაციო პალატა თვლის, რომ არც აღნიშნული გარემოებები წარმოადგენს განმარტების საგანს, რადგანაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის მიზნებიდან გამომდინარე, განმარტება შესაძლებელია მხოლოდ გადაწყვეტილების ფარგლებში და არა პროცესის არასუბიექტ სხვა პირთა მიმართ, ამასთანავე სააღსრულებო მოქმედების მაწარმოებელი პირი, გადაწყვეტილების კანონიერი ძალის ობიექტური ფარგლების გათვალისწინებით, ვალდებულია, მიიღოს ყველა გონივრული ზომა გადაწყვეტილების რაც შეიძლება ნაკლები ზიანის გამოწვევის გზით აღსრულების თაობაზე. საკასაციო პალატა ასევე განმარტავს, რომ სააღსრულებო წარმოების განმახორციელებელი სუბიექტები ამომწურავადაა განსაზღვრული საპეციალურ კანონში – „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ« საქართველოს კანონში, ამასთანავე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 254-ე მუხლის 1-ლი ნაწილით განსაზღვრული აღსრულებაზე უაფლებამოსილი პირის ვინაობის მითითება სასამართლოს უფლებას წარმოადგენს საკუთარი შეხედულებით, დავის არსიდან გამომდინარე მიუთითოს აღსრულების სუბიექტები და გადაწყვეტილებაში ამ ნორმით განსაზღვრული საკითხის მიუთითებლობა არც გადაწყვეტილების განმარტების და არც მისი ბუნდოვნად მიჩნევის საფუძველი არ არის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სსიპ „აღსრულების ერვწული ბიუროსა« და ო. კ-ის კერძო საჩივრები უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს, ამასთან გასაჩივრებული განჩინებით სააპელაციო სასამართლომ სწორად განმარტა კანონი, რის გამოც არ არსებობს მისი გაუქმების წინაპირობები.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქმეში წარმოდგენილი საგადახდო დავალების თანახმად, მოცემულ კერძო საჩივარზე სსიპ „აღსრულების ერვწულმა ბიურომ« წარადგინა 150 ლარის ჩარიცხვის ქვითრის დედანი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ« ქვეპუნქტის თანახმად, კერძო საჩივარზე გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის ოდენობა კი განისაზღვრება 50 ლარით, ანუ კანონით გათვალისწინებულ ოდენობაზე მეტი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ არ არსებობს სამოქალაქო საპროცესო ნორმა, რომელიც არეგულირებს სასამართლო წარმოების დროს წარმოშობილ ურთიერთობას, სასამართლო იყენებს საპროცესო სამართლის იმ ნორმას, რომელიც აწესრიგებს მსგავს ურთიერთობას (კანონის ანალოგია), ხოლო თუ ასეთი ნორმაც არ არსებობს, სასამართლო ემყარება სამოქალაქო საპროცესო სამართლის ზოგად პრინციპებს (სამართლის ანალოგია). იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ კანონმდებლობა მსგავს შემთხვევას არ არეგულირებს, საკასაციო პალატა თვლის, რომ ზედმეტად გადახდილი სახელმწიფო ბაჟის დაბრუნების სამართლებრივ საფუძვლად უნდა მიუთითოს ამავე კოდექსის 42-ე მუხლზე, რომლითაც განსაზღვრულია შემდეგი: თუ სარჩელის აღძვრის მომენტში შეუძლებელია დავის საგნის ღირებულების ზუსტად განსაზღვრა, სახელმწიფო ბაჟის ოდენობას წინასწარ განსაზღვრავს მოსამართლე, შემდეგ კი ხდება დამატებით გადახდევინება ან ზედმეტად გადახდილის უკან დაბრუნება საქმის გადაწყვეტისას დადგენილი სარჩელის ფასის შესაბამისად.

რაც შეეხება ო. ხ-ის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს, პალატა აღნიშნულთან მიმართებით მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე, რომლის თანახმადც, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. აღნიშნული ნორმა ადგენს საკასაციო სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებების შეფასების პროცესუალურ ფარგლებს და მისი შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ საკასაციო სასამართლოში ახალ ფაქტებზე მითითება და ახალი მტკიცებულებების წარმოდგენა არ დაიშვება, შესაბამისად, ახალი მტკიცებულებები სასამართლოს მიერ ვერ იქნება მიღებული და გაზიარებული მიუხედავად იმისა, მხარეს ობიექტურად ჰქონდა თუ არა შესაძლებლობა სასამართლოსათვის მანამდე წარმოედგინა

ისინი. ამავე კოდექსის 104-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არ აქვთ. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ო. ხ-ს უნდა დაუბრუნდეს მის მიერ 2012 წლის 20 იანვრის №ა-245-12 განცხადებაზე დართული მტკიცებულებები 35 ფურცლად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიუროს“ კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. ო. კ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 29 ნოემბრის განჩინება დარჩეს უცვლელად.
4. კერძო საჩივრებზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.
5. სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიუროს“ (ს/№...) შემდეგი ანგარიშიდან: თბილისის არასაგადასახადო შემოსულობების №200122900, სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი – №220101222, საბიუჯეტო შემოსულობების სახაზინო კოდი – №300773150, დანიშნულება – „სახელმწიფო ბაჟი საქართველოს უზენაეს სასამართლოში განსახილველ საქმეებზე“ დაუბრუნდეს მის მიერ 2011 წლის 29 დეკემბერს საგადახდო დავალება №01-ით გადახდილი სახელმწიფო ბაჟიდან – 150 ლარიდან ზედმეტად გადახდილი 100 ლარი.
6. ო. ხ-ს დაუბრუნდეს 2012 წლის 20 იანვრის №ა-245-12 განცხადებაზე დართული მტკიცებულებები 35 ფურცლად.
7. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

გადაწყვეტილების განმარტება

განჩინება

№33/887

7 მარტი, 2011 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. სულხანიშვილი,
პ. ქათამაძე**

განიხილა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს აჭარის სააღსრულებო ბიუროს განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2001 წლის 9 თებერვლის გადაწყვეტილების განმარტების შესახებ.

აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2001 წლის 9 თებერვლის გადაწყვეტილებით ე. ჯ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ნ. კ-ძის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს 2000 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება: ე. ჯ-ძის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ნ. კ-ძის სპს «მ-ძე და კომპანიის» ლომბარდის სასარგებლოდ დაეკისრა 184852 აშშ დოლარის გადახდა, სპს «მ-ძე და კომპანიის» ლომბარდის დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის გადახდა 5000 ლარის ოდენობით, საიდანაც 3500 ლარი უნდა გადარიცხულიყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს №000141107 ანგარიშზე, ხოლო 1500 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშზე.

2011 წლის 25 თებერვალს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს აჭარის სააღსრულებო ბიურომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას განცხადებით მომართა და მოითხოვა განმარტება იმავე პალატის პალატის 2001 წლის 9 თებერვლის გადაწყვეტილებით სახელმწიფო ბაჟი სპს «მ-ძე და კომპანიის» დაეკისრა თუ სპს «მ-ძე და კომპანიის» დირექტორ ე. ჯ-ძის.

საკასაციო პალატა წარმოდგენილი განცხადების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს უფლება აქვს მხარეთა ან აღმასრულებლის განცხადებით, გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით, განმარტოს გადაწყვეტილება სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად მხოლოდ

იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია. განცხადების შეტანა გადაწყვეტილების განმარტების შესახებ დასაშვებია, თუ გადაწყვეტილება ჯერ არ არის აღსრულებული და თუ არ გასულა ვადა, რომლის განმავლობაშიც გადაწყვეტილება შეიძლება აღსრულდეს.

მითითებული ნორმიდან გამომდინარე, კანონმდებელი გადაწყვეტილების განმარტების საფუძვლად სარეზოლუციო ნაწილის ბუნდოვანებას მიიჩნევს, ხოლო განმარტების მიზნად კი – მისი აღსრულების უზრუნველყოფას, ამდენად, იმისათვის, რომ არსებობდეს გადაწყვეტილების განმარტების ფაქტობრივ-სამართლებრივი წანამდგრები, განმცხადებელმა სარწმუნოდ უნდა დაადასტუროს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ბუნდოვანება, რაც ამავე გადაწყვეტილების აღსრულების ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს.

განსახილველ შემთხვევაში, განმცხადებელი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ბუნდოვანებაზე არ მიუთითებს და არც აღსრულების დამაბრკოლებელ გარემოებებს ასახელებს. სააღსრულებო ბიუროს მიერ ფორმულირებულია ერთადერთი შეკითხვა – სახელმწიფო ბაჟის გადახდა სპს «მ-ძე და კომპანია» დაეკისრა თუ სპს «მ-ძე და კომპანია» დირექტორ ე. ჯ-ძეს, საკასაციო პალატის 2001 წლის 9 თებერვლის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში კი გარკვევითაა დაფიქსირებული სახელმწიფო ბაჟის გადახდა ვის დაეკისრა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს აჭარის სააღსრულებო ბიუროს განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2001 წლის 9 თებერვლის გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე უსაფუძვლო, დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე, 284-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს აჭარის სააღსრულებო ბიუროს განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2001 წლის 9 თებერვლის გადაწყვეტილების განმარტების შესახებ არ დაკმაყოფილდეს;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

გადაწყვეტილების განმარტება

განჩინება

№ა-1075-გან-5-2011

12 აპრილი, 2011 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. სულხანიშვილი,
ბ. ალავიძე**

განიხილა ზ. გ-ძის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 15 მარტის გადაწყვეტილების განმარტების შესახებ.

აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 15 მარტის გადაწყვეტილებით მ. მ-აძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 5 მაისის გადაწყვეტილება 2006 წლის 29 აგვისტოს იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობის ნაწილში გაუქმდა და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ზ. გ-ძის სარჩელი მ. ბ-ძესა და მ. მ-აძეს შორის 2006 წლის 29 აგვისტოს გაფორმებულ იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ არ დაკმაყოფილდა, ზ. გ-ძეს დაეკისრა მ. მ-აძის სასარგებლოდ ამ უკანასკნელის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 1675,61 ლარის ანაზღაურება, დანარჩენ ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 5 მაისის გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა;

2011 წლის 5 აპრილს ზ. გ-ძემ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას განცხადებით მომართა და მოითხოვა განმარტება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა

პალატის 2011 წლის 15 მარტის გადაწყვეტილებით გაუქმდა თუ არა იმავე სასამართლოს 2010 წლის 24 მაისის გადაწყვეტილება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა წარმოდგენილი განცხადების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს უფლება აქვს მხარეთა ან აღმასრულებლის განცხადებით, გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით, განმარტოს გადაწყვეტილება სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია. განცხადების შეტანა გადაწყვეტილების განმარტების შესახებ დასაშვებია, თუ გადაწყვეტილება ჯერ არ არის აღსრულებული და თუ არ გასულა ვადა, რომლის განმავლობაშიც გადაწყვეტილება შეიძლება აღსრულდეს.

მითითებული ნორმიდან გამომდინარე, კანონმდებელი გადაწყვეტილების განმარტების საფუძვლად სარეზოლუციო ნაწილის ბუნდოვანებას მიიჩნევს, ხოლო განმარტების მიზნად კი – მისი აღსრულების უზრუნველყოფას, ამდენად, იმისათვის, რომ არსებობდეს გადაწყვეტილების განმარტების ფაქტობრივ-სამართლებრივი წანამძღვრები, განმცხადებელმა სარწმუნოდ უნდა დაადასტუროს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ბუნდოვანება, რაც ამავე გადაწყვეტილების აღსრულების ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს.

განსახილველ შემთხვევაში, განმცხადებელი აღსრულების დამაბრკოლებელ რაიმე გარემოებებს არ ასახელებს და ვერც იმას ასაბუთებს, თუ რაში გამოიხატება გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ბუნდოვანება. ზ. გ-მე საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილების განმარტებას იმ საფუძვლით ითხოვს, რომ მისთვის გაუგებარია განსამარტი გადაწყვეტილებით გაუქმდა თუ არა იმავე პალატის 2010 წლის 24 მაისის გადაწყვეტილება, რადგანაც, განმცხადებლის მოსაზრებით, ეს ორი გადაწყვეტილება ერთმანეთს ეწინააღმდეგება. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 15 მარტის განჩინებით მ. მ-აძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, ხოლო იმავე პალატის 2010 წლის 24 მაისის გადაწყვეტილებით – მ ფ-შვილის საკასაციო საჩივარი და შეგებებული სარჩელი, შესაბამისად, გაუგებარია, მითითებული გადაწყვეტილებები ერთმანეთს როგორ უნდა ეწინააღმდეგებოდეს.

გარდა ამისა, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ განმცხადებელის მიერ მითითებული გარემოებები არც გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ბუნდოვანებას უკავშირდება და არც აღნიშნული გადაწყვეტილების აღსრულების შეუძლებლობას, ამასთან, სცილდება გადაწყვეტილების განმარტების კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებს, რადგანაც განცხადებაში მითითებულ მოსაზრებაზე პასუხის გაცემა მთლიანად საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლებრივი არსის, ასევე კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმების საპროცესო სამართლებრივი საფუძვლების განმარტებას გულისხმობს, რაც სრულეობით არ უკავშირდება განსამარტი გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ზ. გ-მის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 15 მარტის გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე უსაფუძვლო, დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე, 284-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

ზ. გ-მის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 15 მარტის გადაწყვეტილების განმარტების შესახებ არ დაკმაყოფილდეს;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

გადაწყვეტილების განმარტება

განჩინება

№ას-1031-966-2010

13 მაისი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: რწმუნებულებისა და ნასყიდობის ხელშეკრულების გაუქმება, საჯარო რეესტრის მონაცემებში ცვლილებების შეტანა

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 30 მაისს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართეს ა. წ-მემ და ზ. ბ-შვილმა მოპასუხეების ნოტარიუს ქ. მ-შვილის, ნ. ვ-ძის (შემდგომში ნ. ა-იანის), ე. კ-იას, მესამე პირების – ნოტარიუს მ. ე-ძისა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოზურგეთის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ და მოითხოვეს, ნოტარიუს ქ. მ-შვილის მიერ 2007 წლის 6 სექტემბერს რეგისტრირებული სანოტარო აქტის (რეგისტრაციის №...) – ა. წ-ძის მიერ ნ. ა-იანის სახელზე გაცემული მინდობილობის 2007 წლის 2 ნოემბრიდან გაუქმებულად გამოცხადება; ამ მინდობილობის საფუძველზე 2007 წლის 5 ნოემბერს ნ. ა-იანსა და ე. კ-იას შორის დადებული ნოტარიუს მ. ე-ძის მიერ დამოწმებული ნასყიდობის ხელშეკრულების გაუქმება; ე. კ-იას სახელზე მიწის ნაკვეთისა და საცხოვრებელი სახლის საკუთრების უფლების შესახებ საჯარო რეესტრის ჩანაწერის გაუქმება, ასევე დ. ოზურგეთის რაიონის სოფელ ...ში მდებარე 10 000 კვ.მ მიწის ნაკვეთსა და საცხოვრებელ სახლზე ა. წ-ძის საკუთრების უფლების აღდგენა.

მოპასუხე ნ. ა-იანმა სარჩელი არ ცნო.

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 7 მაისის გადაწყვეტილებით ა. წ-ძისა და ზ. ბ-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ა. წ-მემ და ზ. ბ-შვილმა, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 8 ოქტომბრის განჩინებით ა. წ-ძისა და ზ. ბ-შვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 7 მაისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ზ. ბ-შვილმა და ა. წ-მემ, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოში დაბრუნება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 27 აპრილის განჩინებით ზ. ბ-შვილისა და ა. წ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 8 ოქტომბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილებით ა. წ-ძისა და ზ. ბ-შვილის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 7 მაისის გადაწყვეტილება. ა. წ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ბათილად იქნა ცნობილი 2007 წლის 6 სექტემბრის მინდობილობა დადებული ა. წ-ძესა და ნ. ა-იანს შორის; ბათილად იქნა ცნობილი ა. წ-ძის მინდობილ მესაკუთრეს ნ. ა-იანსა და ე. კ-იას შორის 2007 წლის 5 ნოემბერს დადებული ოზურგეთის რაიონის სოფელ ...ში მდებარე უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, გაუქმდა საჯარო რეესტრში არსებული ჩანაწერი ოზურგეთის რაიონის სოფელ ...ში მდებარე უძრავი ქონების, სარეგისტრაციო ნომრით 26.19.03.267, ე. კ-იას საკუთრების შესახებ. ოზურგეთის რაიონის სოფელ ...ში მდებარე უძრავი ქონების (სარეგისტრაციო ნომერი 26.19.03.267) მესაკუთრედ საჯარო რეესტრში აღირიცხა ა. წ-მე. ზ. ბ-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ნ. ა-იანმა და ე. კ-იამ და მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი თქმა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 1 მარტის განჩინებით დამტკიცდა მორიგება ზ. ბ-შვილსა და ნ. ა-იანს შორის შემდეგი პირობებით: ზ. ბ-შვილი ნ. ა-იანს 2011 წლის 1 ივლისამდე გადაუხდის 6 600 აშშ დოლარს ეტაპობრივად, შემდეგი თანმიმდევრობით: 1 აპრილამდე – 1000 აშშ დოლარს, 1 მაისამდე – 1000 აშშ დოლარს, 1 ივნისამდე – 2600 აშშ დოლარს, 1 ივლისამდე კი – 2000 აშშ დოლარს. თანხის გადახდა შესაძლებელია მოხდეს ვადაზე ადრეც; თანხის სრულად დაფარვიდან სამი თვის ვადაში ნ. ა-იანი ვალდებულია უპირობოდ გაათავისუფლოს დაკავებული ფართი; თანხის სრულად დაფარვამდე ნ. ა-იანი ფლობს და სარგებლობს დაკავებული ფართით. ამასთან, ვალდებულებას კისრულობს

გაუფრთხილდეს დაკავებულ უძრავ ქონებას, არ დააზიანოს და არ გაასხვისოს იგი მხარესთან შეთანხმების გარეშე; ქონების გადაცემა მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, რომელსაც ხელს აწერენ მხარეები ან მათი წარმომადგენლები. ეს აქტი მორიგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს; ვალდებულების განსაზღვრულ ვადაში შეუსრულებლობის შემთხვევაში მოსარჩელეები ამ ნივთზე კარგავენ დავის უფლებას. ნივთი რჩება ე. კ-იას საკუთრებაში; მორიგების პირობების დარღვევის შემთხვევაში საქმე დაუყოვნებლივ გადაეცემა აღსარულებლად შესაბამის დაწესებულებას; ბ-შვილის მიერ თანხის გადახდისთანავე ე. კ-იას სახელზე რიცხული ოზურგეთის რაიონის სოფელ ...ში მდებარე საცხოვრებელი სახლი აღირიცხოს ზ. ბ-შვილის სახელზე. შეწყდეს საქმის წარმოება ა. წ-ძისა და ზ. ბ-შვილის სარჩელის გამო ნ. ა-იანისა და ე. კ-იას მიმართ რწმუნებულებისა და ნასყიდობის ხელშეკრულების გაუქმების და საჯარო რეესტრის მონაცემებში ცვლილებების შეტანის შესახებ. გაუქმდეს მოცემულ საქმეზე ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები.

საკასაციო პალატას განცხადებით მომართა ზ. ბ-შვილმა და მოითხოვა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 4 აპრილის მორიგების განჩინების მე-7 პუნქტის განმარტება. განმარტებელი აღნიშნავს, რომ მითითებული განჩინების მე-7 პუნქტში ჩამოყალიბებული პირობა «ბ-შვილის მიერ თანხის გადახდისთანავე ე. კ-იას სახელზე რიცხული ოზურგეთის რაიონის სოფელ ...ში მდებარე საცხოვრებელი სახლი აღირიცხოს ზ. ბ-შვილის სახელზე «უნდა განიმარტოს იმგვარად, რომ პირობა «ზ. ბ-შვილის მიერ თანხის გადახდისთანავე ე. კ-იას სახელზე რიცხული ოზურგეთის რაიონის სოფელ ...ში მდებარე საცხოვრებელი სახლი შემდეგი მონაცემებით 10000 კვ.მ მიწის ფართი მასზე განთავსებული შენობა ნაგებობითურთ, მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი №266 და №267 აღირიცხოს ზ. ბ-შვილის სახელზე».

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა ზ. ბ-შვილის განცხადებას სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 1 მარტის განჩინების განმარტების თაობაზე და მიიჩნია, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს უფლება აქვს მხარეთა ან სასამართლოს აღმასრულებლის განცხადებით გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით განმარტოს გადაწყვეტილება სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია.

საკასაციო პალატა ზ. ბ-შვილის მოთხოვნას განჩინების განმარტების თაობაზე საფუძვლიანად მიიჩნევს, ვინაიდან უძრავის ნივთის ზუსტი მონაცემების მიუთითებლობა გააძნელებს მოცემული მორიგების განჩინების პირობის აღსრულებას – საჯარო რეესტრში ზ. ბ-შვილის სახელზე უძრავი ნივთის აღირიცხვას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 1 მარტის განჩინების მე-7 პუნქტი, რომლითაც დადგინდა «ზ. ბ-შვილის მიერ თანხის გადახდისთანავე ე. კ-იას სახელზე რიცხული ოზურგეთის რაიონის სოფელ ...ში მდებარე საცხოვრებელი სახლი აღირიცხოს ზ. ბ-შვილის სახელზე» უნდა განიმარტოს შემდეგი სახით: «ზ. ბ-შვილის მიერ თანხის გადახდისთანავე ე. კ-იას სახელზე რიცხული ოზურგეთის რაიონის სოფელ ...ში მდებარე საცხოვრებელი სახლი შემდეგი მონაცემებით 10000 კვ.მ მიწის ფართი მასზე განთავსებული შენობა ნაგებობითურთ, მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი №266 და №267 აღირიცხოს ზ. ბ-შვილის სახელზე».

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა რა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე და 284-ე მუხლებით

და ა დ გ ი ნ ა:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 1 მარტის განჩინების მე-7 პუნქტი განიმარტოს შემდეგი სახით: «ზ-შვილის მიერ თანხის გადახდისთანავე ე. კ-იას სახელზე რიცხული ოზურგეთის რაიონის სოფელ ...ში მდებარე საცხოვრებელი სახლი შემდეგი მონაცემებით 10000 კვ.მ მიწის ფართი მასზე განთავსებული შენობა ნაგებობითურთ, მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი №266 და №267 აღირიცხოს ზ. ბ-შვილის სახელზე».

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

გადაწყვეტილების განმარტება

განჩინება

№ას-1464-1477-2011

25 ნოემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: გადაწყვეტილების განმარტება

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 9 დეკემბერს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა შპს «ფ-მა» მოპასუხე ჯ. ხ-ის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა ქუთაისში, ... ქ. №19-ში მდებარე მოპასუხის მფლობელობაში არსებული ობიექტის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანა, რაც გულისხმობდა აღნიშნულ ობიექტზე მხოლოდ ერთი კარისა და ფანჯრის მოწყობას, რომელსაც მოპასუხე არ გამოიყენებდა სავაჭროდ, ასევე უნებართვოდ მოწყობილი კაპიტალური გადახურვის (ე.წ. «ქოლგის») დემონტაჟს.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილებით შპს «ფ-ის» სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს «ფ-მა», რომელმაც მოითხოვა გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

აღნიშნული საქმე არაერთხელ იქნა განხილული ზემდგომი ინსტანციების სასამართლოების მიერ და ბოლოს, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილებით შპს «ფ-ის» სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, შპს «ფ-ის» სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ჯ. ხ-ეს დაევალა ქ. ქუთაისში, ... ქ. №19-ში მდებარე, მის საკუთრებაში არსებული არასაცხოვრებელი ფართის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანა, კერძოდ, დაევალა, შპს «ფ-ის» მხარეს მოაწყოს მხოლოდ ერთი კარი, ააგოს 60 სმ სიმაღლის კედელი და მასზე მოაწყოს დარაბა, ჯ. ხ-ეს აეკრძალა სავაჭრო საქმიანობის განხორციელება შპს «ფ-ის» მხარეს დარაბის მხრიდან, მასვე დაეკისრა შპს «ფ-ის» მხარეს არსებული გადახურვის (ქოლგის) დემონტაჟის განხორციელება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქოს საქმეთა პალატის 2010 წლის 20 დეკემბრის განჩინებით ჯ. ხ-ის საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი, შესაბამისად, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში და მიექცა აღსასრულებლად.

2011 წლის პირველ სექტემბერს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებელმა გ. ჭ-მემ განცხადებით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს, 2010 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, მითითებული გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე და მოითხოვა იმის განმარტება, ვალდებული იყო თუ არა ჯ. ხ-ე 60 სმ. კედლის ზემოთ მოეწყო ერთი შემინული დარაბა ზომით 10/10 და არა 4 გადმოსაშლელი დარაბა; ასევე, უნდა ამოექოლა თუ არა მას დარაბასა და კარებისაგან თავისუფალი ადგილები და დარაბა უნდა მოწყობილიყო თუ არა ისე, რომ იგი არ გადასულიყო შპს «ფ-ის» ტერიტორიაზე და ხელი არ შეეშალა შპს «ფ-ისათვის» მიწის საკუთრების გამოყენებაში.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 15 სექტემბრის განჩინებით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლის, გ. ჭ-მის შუამდგომლობა გადაწყვეტილების განმარტების შესახებ დაკმაყოფილდა, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ტექსტი: «დაევალოს ჯ. ხ-ეს მოიყვანოს პირვანდელ მდგომარეობაში ქ. ქუთაისში, ... ქ. №19-ში მდებარე მის საკუთრებაში არსებული არასაცხოვრებელი ფართი, კერძოდ, დაუბრუნოს მას ადრინდელი მდგომარეობა: შპს «ფ-ის» მხარეს მოაწყოს მხოლოდ ერთი კარი, ააგოს 60 სმ სიმაღლის კედელი და მასზე მოაწყოს დარაბა» განმარტა შემდეგი სახით: ჯ. ხ-ემ დარაბა უნდა მოაწყოს ისე, რომ არ დაირღვეს სამეზობლო საზღვარი ჯ. ხ-ისა და შპს «ფ-ის» კუთვნილ მიწის ნაკვეთებს შორის და შპს «ფ-ს» ხელი არ შეეშალოს კუთვნილი მიწის ნაკვეთით სარგებლობაში.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს დასახელებული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ჯ. ხ-ემ და მოითხოვა მისი გაუქმება იმ საფუძველით, რომ სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილების განმარტების შესახებ განცხადების დაკმაყოფილებით დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის მოთხოვნები, ვინაიდან გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი არ იყო ბუნდოვანი, განმარტებით კი, ფაქტობრივად შეიცვალა. ამასთან, კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, მითითებული მუხლის თანახმად,

გადაწყვეტილების განმარტებაზე განცხადების შეტანა დასაშვებია იმ შემთხვევაში თუ გადაწყვეტილება ჯერ არ აღსრულებულა, მოცემულ შემთხვევაში კი, სააღსრულო ბიუროს განცხადებითა და განმარტების განჩინებით დასტურდებოდა, რომ სასამართლო გადაწყვეტილებისა და სააღსრულო ფურცლის მოთხოვნათა შესაბამისად, აღსრულება უკვე განხორციელდა და, შესაბამისად, განმარტება უკვე აღსრულებულ გადაწყვეტილებაზე არ დაიშვებოდა, რაც სასამართლოს განჩინების მიღებისას არ გაუთვალისწინებია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ, საქმის ზეპირი განხილვის გარეშე, შეისწავლა საქმის მასალები, კერძო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ ჯ. ხ-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს უფლება აქვს მხარეთა ან აღმასრულებლის განცხადებით, გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით, განმარტოს გადაწყვეტილება სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია. განცხადების შეტანა გადაწყვეტილების განმარტების შესახებ დასაშვებია, თუ გადაწყვეტილება ჯერ არ არის აღსრულებული და თუ არ გასულა ვადა, რომლის განმავლობაშიც გადაწყვეტილება შეიძლება აღსრულდეს.

მითითებული ნორმის თანახმად, კანონმდებელი გადაწყვეტილების განმარტების საფუძვლად სარეზოლუციო ნაწილის ბუნდოვანებას მიიჩნევს, ხოლო განმარტების მიზნად კი მისი აღსრულების უზრუნველყოფას. ამდენად, იმისათვის, რომ არსებობდეს გადაწყვეტილების განმარტების ფაქტობრივ-სამართლებრივი წანამდგრები, განმცხადებელმა სარწმუნოდ უნდა დაადასტუროს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ბუნდოვანება, რაც ამავე გადაწყვეტილების აღსრულების ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ გადაწყვეტილების განმარტების საჭიროება წარმოიშობა მაშინ, როდესაც გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ბუნდოვანების გამო, ამ გადაწყვეტილების აღსრულება გაძნელებული ან შეუძლებელია. ეს კი ნიშნავს, რომ გადაწყვეტილების განმარტება დასაშვებია ამ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, ვინაიდან კანონიერ ძალაში შესვლამდე გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება (გარდა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემული გადაწყვეტილებებისა), დაუშვებელია და აღსრულების ხელშეწყობის საჭიროებაც არ წარმოიშობა, რაც გადაწყვეტილების განმარტების მიზანს წარმოადგენს.

მოცემულ შემთხვევაში, როგორც საქმის მასალებით ირკვევა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილება, რომლითაც ჯ. ხ-ეს დაევალა ქ. ქუთაისში, ... ქ. №19-ში მდებარე, მის საკუთრებაში არსებული არასაცხოვრებელი ფართის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანა, კერძოდ, დაევალა, შპს «ფ-ის» მხარეს მოაწყოს მხოლოდ ერთი კარი, ააგოს 60 სმ სიმაღლის კედელი და მასზე მოაწყოს დარაბა, ჯ. ხ-ეს აეკრძალა სავაჭრო საქმიანობის განხორციელება შპს «ფ-ის» მხარეს დარაბის მხრიდან, მასვე დაეკისრა შპს «ფ-ის» მხარეს არსებული გადახურვის (ქოლგის) დემონტაჟის განხორციელება, შევიდა კანონიერ ძალაში და მიექცა აღსასრულებად.

გადაწყვეტილებას საფუძვლად დაედო ის გარემოება, რომ ჯ. ხ-ის მოქმედებით ირღვეოდა სამეზობლო საზღვარი მოდავე მხარეთა შორის, კერძოდ, შპს «ფ-ი» ვერ სარგებლობდა კუთვნილი ნაკვეთით და ჯ. ხ-ე უნებართვოდ იყენებდა შპს «ფ-ის» ტერიტორიას, მისთვის ზიანის მიყენების ხარჯზე, რისი აღმოფხვრაც დაევალა ჯ. ხ-ეს.

საქმის მასალების თანახმად, ჯ. ხ-ემ ამოაშენა კედელი და მოაწყო ლითონის კონსტრუქციის დარაბა, თუმცა გადაწყვეტლებით დადგენილ ვალდებულებას აღნიშნული სამუშაოები შეესაბამებოდა თუ არა, მხარეთა შორის დავის საგანს წარმოადგენდა.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას მასზე, რომ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი საჭიროებდა განმარტებას, ვინაიდან არ იყო მითითებული თუ როგორ უნდა მოწყობილიყო დარაბა. აღნიშნული კი, ხელს უშლიდა გადაწყვეტილების აღსრულებას, შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სააღსრულო ბიუროს აღმასრულებელი გ. ჭ-ძის განცხადება გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე საფუძვლიანად დაკმაყოფილდა, ვინაიდან სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება შესაძლებელი გახდებოდა, როდესაც დარაბით სამეზობლო საზღვარი არ დაირღვევა და შპს «ფ-ს» ხელი არ შეეშლება კუთვნილი მიწის ნაკვეთით სარგებლობაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის განმარტებას მასზე, რომ გადაწყვეტილება უკვე აღსრულებულია და, შესაბამისად, სასამართლოს არ უნდა დაემვა გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე განცხადება და ასევე საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ უსაფუძვლოა ჯ. ხ-ის მოსაზრება მასზე, რომ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი არ იყო ბუნდოვანი, განმარტებით კი, ფაქტობრივად შეიცვალა იგი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ჯ. ხ-ის კერძო საჩივარი უსაფუძვლოა, რის გამოც არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

ჯ. ხ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 15 სექტემბრის განჩინება;
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

გადაწყვეტილების განმარტება

განჩინება

№ას-1551-1552-2011

1 დეკემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიჭვილი,
ბ. ალავეძე

დავის საგანი: უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა, საცხოვრებელ სადგომზე საკუთრების უფლების გადაცემა

აღწერილობითი ნაწილი:

მ. ჩ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში ც. ც-ის, გ. და ჯ. ჭ-ების მიმართ უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის, საცხოვრებელ სადგომზე საკუთრების უფლების გადაცემის შესახებ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 27 მარტის გადაწყვეტილებით მ. ჩ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გასაჩივრეს მოპასუხებმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილებით ც. ც-ის, გ. ჭ-ისა და ჯ. ჭ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა მ. ჩ-ის საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობის შესახებ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 19 ივლისის განჩინებით.

2010 წლის 16 დეკემბერს თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებელმა გ. ო-ემ განცხადებით მომართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს, რომლითაც მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის განმარტება. განცხადებაში მითითებულია, რომ თბილისის სააღსრულებო ბიუროს წარმოებაშია თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ 2010 წელს გაცემული სააღსრულებო ფურცელი, რომლის თანახმად, მ. ჩ-ისათვის 12 295 ლარის გადახდის სანაცვლოდ ც. ც-ი ცნობილ იქნა თბილისში, ... მე-2 ჩიხ.№1-ში მდებარე საცხოვრებელი ბინის პირველ სართულზე №3 26,55 კვ.მ ოთახის №4 ოთახის – 18,19 კვ.მ. შესასვლელის – 7.02 კვ.მ და სამზარეულოს – 5.43 კვ.მ. მესაკუთრედ. განმცხადებელმა მოითხოვა „სააღსრულებო წარმოება-თა შესახებ» საქართველოს კანონის 27-ე მუხლისა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით, განმარტება, აღნიშნული ქონება, რომელც საჯარო რეესტრის ჩანაწერის თანახმად რეგისტრირებულია წილობრივი მონაცემებით (1/2), მთლიანად განიკარგა თუ ნაწილი დარჩა მ. ჩ-ის საკუთრებაში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 21 სექტემბრის განჩინებით თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლის განცხადება თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის განმარტების შესახებ დაკმაყოფილდა. პალატამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილებით ც. ც-ი ცნობილ იქნა თბილისში, ... მე-2 ჩიხი №1-ში მდებარე საცხოვრებელი ბინის პირველ სართულზე №3 26,55 კვ.მ. ოთახი №4 ოთახის – 18,19 კვ.მ. შესასვლელის – 7.02 კვ.მ. და სამზარეულოს – 5.43 კვ.მ. მესაკუთრედ. საჯარო რეესტრიდან ამონაწერით დადგენილია, რომ ქ. თბილისში, ... მე-2 ჩიხ.№1-ში მდებარე უძრავი ქონების წილი საკუთრების უფლებით რეგისტრირებულია მ. ჩ-ის საკუთრებაში. მითითებულ მისამართზე მდებარე შენობა-ნაგებობის საერთო ფართი შეადგენს 287.21 კვ.მ.-ს. რეესტრში რეგისტრი-

რებული წილობრივი მონაცემების გათვალისწინებით მ. ჩ-ის საკუთრებას აღნიშნული შენობა-ნაგებობიდან შეადგენს 143.6 კვ.მ. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებით ც. ც-ი ცნობილ იქნა ქ.თბილისში, ... მე-2 ჩიხი, №1-ში მდებარე მ. ჩ-ის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებიდან სულ 57.19 კვ.მ.-ის მესაკუთრედ. აღნიშნულის გათვალისწინებით, მ. ჩ-ის წილი მითითებულ მისამართზე შეადგენს 86.41 კვ.მ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის შესაბამისად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-5 პუნქტი შემდეგნაირად განმარტა: მ. ჩ-ისათვის 12 295 ლარის გადახდის სანაცვლოდ ც. ც-ი ცნობილი იქნა თბილისში, ... მე-2 ჩიხი, №1-ში მდებარე საცხოვრებელი ბინის პირველ სართულზე №3 ოთახის ფართით 26,55 კვმ. №4 ოთახის – 18,19 კვ.მ., შესასვლელის – 7.02 კვ.მ. და სამზარეულოს – 5.43 კვ.მ., სულ 57.19 კვ.მ.-ს მესაკუთრედ. მ. ჩ-ის საკუთრებაში დარჩა ქ.თბილისში, ... მე-2 ჩიხი, №1-ში მდებარე შენობა-ნაგებობა 86.41 კვ.მ. ფართის ოდენობით.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა მ. ჩ-მა შემდეგი დასაბუთებით: სასამართლოს განჩინება არის უკანონო, იგი არ შეესაბამება საპროცესო კანონის მოთხოვნებს, სასამართლო გასცდა გადაწყვეტილების განმარტების სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენლ ფარგლებს და ფაქტობრივად, საკუთარი განჩინებით გამოიტანა ახალი გადაწყვეტილება, კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის თანახმად, გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ სასამართლოს უფლება აქვს, მხარეთა ან აღმასრულებლის განცხადებით, გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით განმარტოს გადაწყვეტილება სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი ბუნდოვანია. ამასთან, განცხადების შეტანა გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე დასაშვებია, თუ გადაწყვეტილება ჯერ არ არის აღსრულებული და თუ არ გასულა ვადა, რომლის განმავლობაშიც გადაწყვეტილება შეიძლება აღსრულდეს. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ სარეზოლუციო ნაწილით დაადგინა: „მ. ჩ-ისათვის 12 295 ლარის გადახდის სანაცვლოდ ც. ც-ი ცნობილ იქნა თბილისში, ... მე-2 ჩიხი, №1-ში მდებარე საცხოვრებელი ბინის პირველ სართულზე №3 ოთახის ფართით 26.55 კვ.მ №3 ოთახის, 18.19 კვ.მ. №4 ოთახის და 7.02 კვ.მ. შესასვლელისა და 5.43 კვ.მ. სამზარეულოს მესაკუთრედ» როგორც ვლინდება, სასამართლო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი მკაფიოდ მიუთითებს ც. ც-ის საკუთრების საგნის ფარგლებსა და იგი რაიმე ბუნდოვანებს არ შეიცავს. ამასთან, მოცემული სასამართლო გადაწყვეტილება თავისი არსით წარმოადგენს აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილებას, რაც იძულებით აღსრულებას არ ექვემდებარება. მასზე არ გამოიწერება სააღსრულებო ფურცელი და მისი აღსრულება შესაძლებელია გადაწყვეტილების უძრავი ქონებით. საქართველოს კანონის „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ« 63-ე მუხლი განსაზღვრავს უძრავ ქონებაზე აღსრულების სახეებს, რაც შეიძლება იყოს: 1) იძულებითი იპოთეკის რეგისტრაცია; 2) იძულებითი აუქციონი; 3) სექვესტრი (ქონების იძულებითი მართვა). არც ერთ დასახელებულ სააღსრულებო მოქმედებათა შინაარსში არ თავსდება ისეთი სააღსრულებო მოქმედება, როგორცაა უძრავი ქონების საჯარო რეესტრის მონაცემებში ცვლილებების შეტანისაკენ მიმართული მოქმედებები. ასეც რომ არ იყოს, გადაწყვეტილებით იძულებითი აღსრულება დასრულდა სააღსრულებო ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე მ. ჩ-ისათვის გადასაცემი თანხის ჩარიცხვის მომენტიდან. ხოლო საჯარო რეესტრის სარეგისტრაციო-ადმინისტრაციულ წარმოებაში სააღსრულებო ბიუროს იძულებითი აღსრულების მოქმედებები ვერ განხორციელდება გამომდინარე იქიდანაც, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურში საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ განცხადება შეიტანა არა სააღსრულებო ბიურომ, არამედ ც. ც-მა, ამასთანავე საჯარო რეესტრი გადაწყვეტილებით დამატებითი მონაცემების წარდგენას მხოლოდ ამ უკანასკნელიდან (და არა აღმასრულებლიდან) ითხოვს. აგრეთვე, ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების განმარტებით რეალურად დადგინდა ახალი ფაქტობრივი გარემოება, რომლის მიხედვით ც. ც-ს საკუთრებაში გადაეცა ფართი, რომელიც მდებარეობს მ. ჩ-ის საკუთრებაში. მაშასადამე, საკითხი იმის შესახებ, თუ რა ფარგლებს მოიცავს ც. ც-ის საკუთრების უფლება, მოითხოვდა დამოუკიდებელ, აღიარებით სარჩელის აღძვრას და მხოლოდ ასეთი სარჩელის არსებობის პირობებში სასამართლოს მიერ დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღებას. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადი ხდება, რომ სააღსრულებო ბიუროს განცხადება სასამართლო გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე არის დაუშვებელი, ვინაიდან გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი არაა ბუნდოვანი, ხოლო სასამართლო გადაწყვეტილება იძულებითი აღსრულების ნაწილში უკვე აღსრულებულია. ამასთან, განცხადება შეტანილ იქნა არაუფლებამოსილი პირის მიერ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთება და მიაჩნია, რომ მ. ჩ-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 21 სექტემბრის განჩინებით თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლის გ. ო-ის განცხადება თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის განმარტების თაობაზე დაკმაყოფილდა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-5 პუნქტი განიმარტა შემ-

დეგნარად: «მ. ჩ-ისათვის 12 295 ლარის გადახდის სანაცვლოდ ც. ც-ი ცნობილ იქნა თბილისში, ... მე-2 ჩიხი, №1-ში მდებარე საცხოვრებელი ბინის პირველ სართულზე №3 ოთახის ფართით 26,55 კვ.მ, №4 ოთახის – 18,19 კვ.მ, შესასვლელის – 7,02 კვ.მ, სულ 57, 19 კვ.მ-ის მესაკუთრედ. მ. ჩ-ის საკუთრებაში დარჩეს ქ. თბილისში, ... მე-2 ჩიხი, №1-ში მდებარე შენობა-ნაგებობა 86,41 კვ.მ ფართის ოდენობით».

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს უფლება აქვს მხარეთა თხოვნით განმარტოს გადაწყვეტილება მისი შინაარსის შეუცვლელად. განცხადების შეტანა გადაწყვეტილების განმარტების შესახებ დასაშვებია, თუ გადაწყვეტილება ჯერ აღსრულებული არ არის და, თუ არ გავიდა დრო, რომლის განმავლობაშიც გადაწყვეტილება შეიძლება აღსრულდეს.

მითითებული ნორმის თანახმად, კანონმდებელი გადაწყვეტილების განმარტების საფუძვლად სარეზოლუციო ნაწილის ბუნდოვანებას მიიჩნევს, ხოლო განმარტების მიზნად კი, მისი აღსრულების უზრუნველყოფას, ამდენად, იმისთვის, რომ არსებობდეს გადაწყვეტილების განმარტების ფაქტობრივ-სამართლებრივი წინამძღვრები, განმცხადებელმა სარწმუნოდ უნდა დაადასტუროს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ბუნდოვანება, რაც ამავე გადაწყვეტილების აღსრულების ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა გასაჩივრებული გადაწყვეტილება. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ც. ც-ის შეგებებული სარჩელი. მ. ჩ-ისათვის 12 295 ლარის გადახდის სანაცვლოდ ც. ც-ი ცნობილ იქნა თბილისში, ... მე-2 ჩიხი №1-ში მდებარე საცხოვრებელი ბინის პირველ სართულზე №3, 26,55 კვ.მ ოთახის, №4, 18,19 კვ.მ ოთახის, 7,02 კვ.მ შესასვლელისა და 5,43 კვ.მ სამზარეულოს მესაკუთრედ. სააპელაციო სასამართლოს განმარტება, რომ ც. ც-ი ცნობილ იქნა აღნიშნულ მისამართზე 57,19 კვ.მ-ის მესაკუთრედ წარმოადგენს მიკუთვნებული ფართების არითმეტიკულ დაჯამებას, რითაც სააპელაციო სასამართლო არ გასცდენია გადაწყვეტილების განმარტების მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებას. ის ფაქტი, რომ ც. ც-ის საკუთრებაში 57,19 კვ.მ ფართი გადავიდა, მ. ჩ-ისათვის ცნობილი იყო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილებითაც. მ. ჩ-ისათვის ასევე ცნობილ იყო, რომ მის საკუთრებაში დარჩა 86,41 კვ.მ ფართი, რადგან აღნიშნულ მისამართზე მდებარე შენობა-ნაგებობის საერთო ფართი შეადგენს 287,21 კვ.მ-ს თანახმად საჯარო რეესტრის ამონაწერისა, ხოლო მ. ჩ-ის საკუთრებაში იყო უძრავი ქონების 1/2 წილი ანუ 143,6 კვ.მ. შესაბამისად, ც. ც-ისათვის 57,19 კვ.მ-ის მიკუთვნებისას მ. ჩ-ის საკუთრებაში დარჩებოდა 143,6 კვ.მ-ს გამოკლებული 57,19 კვ.მ, რაც შეადგენს 86,41 კვ.მ-ს.

მაშასადამე, სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 21 სექტემბრის განჩინებით მხოლოდ დაზუსტდა და აღმოიფხვრა ის ბუნდოვანება, რაც 2009 წლის 16 დეკემბრის სარეზოლუციო ნაწილში იყო. გადაწყვეტილების განმარტებით, სასამართლოს გადაწყვეტილების შინაარსი არ შეუცვლია, არამედ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილით დადგენილი ფაქტი დააზუსტა და შეუსაბამა გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი არ არსებობს, რის გამოც იგი უნდა დარჩეს უცვლელად, ხოლო კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანლა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 419-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

მ. ჩ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 21 სექტემბრის განჩინება დარჩეს უცვლელად.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოო და არ გასაჩივრდება.

გადაწყვეტილების განმარტება

განჩინება

№ას-1594-1590-2011

12 დეკემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ბ. ალაფიძე

დავის საგანი: გადაწყვეტილების განმარტება

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა ნ. გ-მა მოპასუხე მ. მ-ის მიმართ და მოითხოვა: მ. მ-ეს, როგორც აწ გარდაცვლილი თ. მ-ის უფლებამონაცვლეს, მის სასარგებლოდ დაკისრებოდა 7000 აშშ დოლარის გადახდა, სესხის დაბრუნების ვადის გადაცილებით გამოწვეული ზიანის ასანაზღაურებლად მოპასუხეს დაკისრებოდა 8500 აშშ დოლარის (7000 აშშ დოლარის 2% 2004 წლის 4 აპრილიდან, სააღსრულებო ფურცლის გაცემიდან – სასამართლოში სარჩელის შეტანამდე) ანაზღაურება, ვალის ამოღების მიზნით სარეალიზაციოდ მიქცეულიყო თბილისში, მ-ის ქ.№6/1-ში მდებარე ბინაში აწ გარდაცვლილი თ. მ-ის 1/3 წილი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 5 იანვრის საოქმო განჩინებით მოსარჩელის შუამდგომლობის საფუძველზე, საქმეში მესამე პირად (დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე) ჩაება რ. მ-ე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილებით ნ. გ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, გაუქმდა მოცემულ საქმეზე ამავე სასამართლოს 2008 წლის 3 სექტემბრის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. გ-მა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილებით ნ. გ-ის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ნ. გ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მ. მ-ეს ნ. გ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 9592.5 აშშ დოლარის გადახდა, დადგინდა მოპასუხისათვის დაკისრებული თანხის გადახდევინების განხორციელება ქ.თბილისში, მ-ის ქ.№6/1-ში მდებარე, რ. მ-ის სახელზე რეგისტრირებული საცხოვრებელი ბინის 1/5 წილის რეალიზაციით.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მ. მ-ემ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 11 აპრილის განჩინებით, მ. მ-ის საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩა განუხილველად, რითაც გასაჩივრებული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა და შემდგომში გაიცა სააღსრულებო ფურცელი.

2011 წლის 8 სექტემბერს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას განცხადებით მიმართა ნ. გ-მა და მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილების განმარტება შემდეგი საფუძველებით: აღსრულების ეროვნულმა ბიურომ მითითებულ გადაწყვეტილებაზე აღსრულება შეწყვიტა, რადგან მოვალე მ. მ-ე არ წარმოადგენდა სააღსრულებო ფურცელში მითითებული უძრავი ნივთის მესაკუთრეს, მაშინ, როცა რ. მ-ის სახელზე რეგისტრირებული ბინის 1/5 წილი, რომლის რეალიზაციის შესახებაც მიიღო სასამართლო გადაწყვეტილება, არის მ. მ-ის საკუთრება, რაც ბინის ამ ნაწილზე მისი საკუთრების უფლების რეგისტრაციის საფუძველია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 28 ოქტომბრის განჩინებით ნ. გ-ის განცხადება დაკმაყოფილდა:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილება განმარტებულ იქნა იმდაგვარად, რომ ქ. თბილისში, მ-ის ქ. №6/1-ში მდებარე რ. მ-ის სახელზე რეგისტრირებული საცხოვრებელი ბინის 1/5 წილი საკუთრების უფლებით ეკუთვნის მ. მ-ეს, რაც წარმოადგენს საჯარო რეესტრში მ. მ-ის საკუთრების უფლების რეგისტრაციის საფუძველს.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა მ. მ-ემ შემდეგი საფუძველებით: სააპელაციო სასამართლომ 2011 წლის 28 ოქტომბრის განჩინებით განმარტა თავისი 2010 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილება, ისე, რომ შეცვალა თავისივე გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი. სააპელაციო სასამართლომ დაუშვა შემდეგი საპროცესო დარღვევები: თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილება განმარტებულ იქნა იმდაგვარად, რომ ქ.თბილისში, მ-ის ქ.№6/1-ში მდებარე რ. მ-ის სახელზე რეგისტრირებული საცხოვრებელი ბინის 1/5 წილი საკუთრების უფლებით ეკუთვნის მ. მ-ეს, რაც წარმოადგენს საჯარო რეესტრში მისი საკუთრების უფლების რეგისტრაციის საფუძველს,

სასამართლომ ამ განმარტებით შეცვალა თავისი 2010 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი და, ფაქტობრივად, მიიღო ახალი გადაწყვეტილება, რადგან, წინა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-5 პუნქტის თანახმად დადგინდა: „მ. მ-ეზე დაკისრებული თანხის გადახდევინება განხორციელდეს ქ.თბილისში მ-ის ქ.№6/1-ში მდებარე რ. მ-ის სახელზე რეგისტრირებული საცხოვრებელი ბინის 1/5 წილის რეალიზაციით», ხოლო განმარტების მიხედვით, ეს წილი მიეკუთვნა მ. მ-ეს. გარდა ამისა, ამ განმარტებით სასამართლო გასცდა ნ. გ-ის სასარჩელო და სააპელაციო მოთხოვნებს და მოწინააღმდეგე მხარეს დააკისრა ის, რაც ნ. გ-ს არ მოუთხოვია, რითაც დაარღვია მხარეთა დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი, ასევე მნიშვნელოვანია, რომ რ. მ-ის მფლობელობაში არსებული უძრავი ქონება არ არის აღრიცხული საჯარო რეესტრში. როგორ შეიძლება ქონების 1/5 წილი აღრიცხოს დამოუკიდებლად და განხორციელდეს მისი რეალიზაცია, მთლიანი ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის გარეშე, ხოლო თუ მთლიანი ქონება უნდა აღრიცხოს, ამაზე სასამართლო გადაწყვეტილება მაინც უნდა არსებობდეს. სააპელაციო სასამართლომ მ. მ-ეს ნ. გ-ის სასარგებლოდ მიაკუთვნა რ. მ-ის მფლობელობაში არსებული ქონების 1/5 წილი, ისე, რომ რ. მ-ე ამ სასამართლო დავაში საერთოდ არ ყოფილა ჩართული არა თუ მხარედ, მესამე პირადაც კი. ბუნებრივია, დაუშვებელი, მიუღებელი და კანონსაწინააღმდეგოა, სასამართლომ იმსჯელოს და მიიღოს გადაწყვეტილება პირის მიმართ ისე, რომ ამ პირს დადგენილი წესით არ მიანიჭოს პროცესის მონაწილის სტატუსი და არ მისცეს შესაძლებლობა პოზიციის დაფიქსირებით დაიცვას საკუთარი კანონიერი ინტერესები. კონკრეტულ შემთხვევაში, ნ. გ-ის სასარგებლოდ სააპელაციო სასამართლომ მ. მ-ეს მიაკუთვნა რ. მ-ის საკუთრებაში არსებული ქონებიდან 1/5 წილი, ისე, რომ რ. მ-ე საერთოდ არ ყოფილა ამ დავის მონაწილე პირი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მ. მ-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 28 ოქტომბრის განჩინებით ნ. გ-ის განცხადება თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის განმარტების თაობაზე დაკმაყოფილდა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილება განმარტებულ იქნა იმდაგვარად, რომ ქ. თბილისში, მ-ის ქ. №6/1-ში მდებარე, რ. მ-ის სახელზე რეგისტრირებული საცხოვრებელი ბინის 1/5 წილი საკუთრების უფლებით ეკუთვნის მ. მ-ეს, რაც წარმოადგენს საფუძველს საჯარო რეესტრში მ. მ-ის საკუთრების უფლების რეგისტრაციისთვის ქ.თბილისში, მ-ის ქ. №6/1-ში მდებარე ბინის 1/5 წილზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს უფლება აქვს, მხარეთა თხოვნით განმარტოს გადაწყვეტილება მისი შინაარსის შეუცვლელად. განცხადების შეტანა გადაწყვეტილების განმარტების შესახებ დასაშვებია, თუ გადაწყვეტილება ჯერ აღსრულებული არ არის და, თუ არ გავიდა დრო, რომლის განმავლობაშიც გადაწყვეტილება შეიძლება აღსრულდეს.

მითითებული ნორმის თანახმად, კანონმდებელი გადაწყვეტილების განმარტების საფუძველად სარეზოლუციო ნაწილის ბუნდოვანებას მიიჩნევს, ხოლო განმარტების მიზნად კი, მისი აღსრულების უზრუნველყოფას, ამდენად, იმისთვის, რომ არსებობდეს გადაწყვეტილების განმარტების ფაქტობრივსამართლებრივი წინამძღვრები, განმცხადებელმა სარწმუნოდ უნდა დაადასტუროს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ბუნდოვანება, რაც ამავე გადაწყვეტილების აღსრულების ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს.

აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის 2011 წლის №889 ბრძანების თანახმად, განსამარტივებელი გადაწყვეტილების აღსრულება ვერ ხდებოდა, იმის გამო, რომ მოვალე მ. მ-ე არ წარმოდგენდა უძრავი ნივთის საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ მესაკუთრეს. სწორედ აღნიშნული საფუძველით მოითხოვა ნ. გ-მა გადაწყვეტილების განმარტება, რაც დაკმაყოფილდა.

საკასაციო პალატა არ იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ სააპელაციო სასამართლომ განმარტა გადაწყვეტილება, ისე, რომ შეცვალა მისი სარეზოლუციო ნაწილი. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ნ. გ-ის სააპელაციო საჩივარი. მ. მ-ეს ნ. გ-ის სასარგებლოდ გადასახდელად დაეკისრა 9592.5 აშშ დოლარი, დადგინდა მოპასუხისათვის დაკისრებული თანხის გადახდევინების განხორციელება ქ. თბილისში, მ-ის ქ.№6/1-ში მდებარე, რ. მ-ის სახელზე რეგისტრირებული საცხოვრებელი ბინის 1/5 წილის რეალიზაციით. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ ქ. თბილისში, მ-ის ქ. №6/1-ში მდებარე რ. მ-ის სახელზე რეგისტრირებული საცხოვრებელი ბინის 1/5 წილი საკუთრების უფლებით ეკუთვნის მ. მ-ეს, რაც წარმოადგენს საჯარო რეესტრში მ. მ-ის საკუთრების უფლების რეგისტრაციის საფუძველს. აღნიშნულით სასამართლო არ გასცდენია გადაწყვეტილების განმარტების მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებას. განსამარტივებელი გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში დადგენილია, რომ მ. მ-ემ, როგორც თ. მ-ის პირველი რიგის მემკვიდრემ, სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ფაქტობრივი ფლობით მიიღო

მამის სამკვიდრო – სადავო ქონების 1/5 წილზე საკუთრების უფლება, ამასთან ეს სამკვიდრო მის საკუთრებად მიიჩნევა 2006 წლის 11 მაისიდან.

მაშასადამე, სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 28 ოქტომბრის განჩინებით მხოლოდ დაზუსტდა და აღმოიფხვრა ის ბუნდოვანება, რაც 2010 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში იყო. გადაწყვეტილების განმარტებით, სასამართლოს გადაწყვეტილების შინაარსი არ შეუცვლია, არამედ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილით დადგენილი ფაქტი დააზუსტა და შეუსაბამა გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი არ არსებობს, რის გამოც იგი უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანლა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 419-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

მ. მ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 28 ოქტომბრის განჩინება დარჩეს უცვლელად.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოო და არ გასაჩივრდება.

გადაწყვეტილების განმარტება

განჩინება

№ას-36-31-11

18 ივლისი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება, იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაცია

აღწერილობითი ნაწილი:

სს «ბანკი ...-მ» სარჩელი აღძრა სასამართლოში ღ. გ-შვილისა და რ. მ-მის მიმართ თანხის დაკისრებისა და იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციის შესახებ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 15 სექტემბრის გადაწყვეტილებით მოსარჩელე სს «ბანკი ...-ს» სარჩელი დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ღ. და ქ. გ-შვილებმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილებით ქ. და ღ. გ-შვილების სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 15 სექტემბრის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, სს «ბანკი ...-ს» სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ღ. გ-შვილს სს «ბანკი ...-ს» სასარგებლოდ დაეკისრა 90 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა, დავალიანების გადახდვინების მიზნით დადგინდა ღ. გ-შვილის საკუთრებაში არსებული თბილისში, ... №5-ში მდებარე იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების აუქციონზე რეალიზაცია, (საჯარო რეესტრის მონაცემებით – ღ. გ-შვილის კუთვნილი ნაგებობა №1 საერთო ფართით 268,73 კვ.მ აქედან 1/4 ნაწილი და ნაგებობა №3 საერთო ფართით 196,57 კვ.მ აქედან 1/3-დან 1/2), ღ. გ-შვილის შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ქ. გ-შვილის შეგებებული სარჩელი, გაუქმდა სს «ბანკი ...-სა» და რ. მ.მეს შორის 1998 წლის 8 მაისის გაფორმებული იპოთეკის ხელშეკრულება საჯარო რეესტრის მონაცემებში შესაბამისი ცვლილებების შეტანით, ღ. გ-შვილს სს «ბანკი ...-ს» სასარგებლოდ დაეკისრა 4534 ლარის გადახდა, სს «ბანკი ...-ს» ქ. გ-შვილის სასარგებლოდ დაეკისრა 1900 ლარის გადახდა, სს «ბანკი ...-ს» დაეკისრა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის გადახდა 600 ლარის ოდენობით.

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ღ. და ქ. გ-შვილებმა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 11 აპრილის განჩინებით ღ. გ-შვილის საკასაციო საჩივარი, დაუშვებლობის გამო დარჩა განუხილველი.

საკასაციო პალატას განცხადებით მომართა დ. გ-შვილმა და მოითხოვა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 11 აპრილის განჩინების განმარტება. განმცხადებელი აღნიშნავს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა ქ. გ-შვილმა. საკასაციო პალატის 2011 წლის 11 აპრილის განჩინების სარეზოლუციო ნაწილში არაფერია ნათქვამი ქ. გ-შვილის საკასაციო მოთხოვნაზე, სასამართლო პროცესულურად ვალდებული იყო ემსჯელა ამის თაობაზე. საკასაციო საჩივარზე გადახდილ იქნა სახელმწიფო ბაჟი 6000 ლარი. იმ თვალსაზრისით, რომ ქ. და დ. გ-შვილების საკასაციო საჩივრები იყო ერთი სამოქალაქო საქმის შემადგენელი ნაწილი სასამართლოს, ხარვეზის გამოსწორებისა და სახელმწიფო ბაჟის მთლიანად გადახდის გამო უნდა ემსჯელა 2011 წლის 11 აპრილის განჩინების სარეზოლუციო ნაწილში ქ. გ-შვილის საკასაციო მოთხოვნაზეც.

განმცხადებელი ასევე აღნიშნავს, რომ უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 11 აპრილის განჩინების მე-4 გვერდზე ბოლო აბზაცში მითითებულია, რომ დ. გ-შვილის კუთვნილი საკუთრება №3 საერთო ფართობით 19657 კვ.მ. 1/3-ის 1/2 ნაწილი თითქოსდა ეკუთვნის დ. გ-შვილს, მაშინ, როდესაც თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 20 დეკემბრის განჩინებაში აღნიშნული არ არის მითითებული და ამავე დროს საქმის მასალებით და საჯარო რეესტრის 2010 წლის 17 დეკემბრის ამონაწერით დასტურდება, რომ დ. გ-შვილი №3 ნაგებობაში არ ფლობს წილს და იგი წარმოადგენს არა დ. გ-შვილის, არამედ ქ. გ-შვილის საკუთრებას. განმცხადებელი განმარტავს, რომ აღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინებით სარეზოლუციო ნაწილი ეწინააღმდეგება აღწერილობით ნაწილს, იმდენად, რამდენადაც სარეზოლუციო ნაწილით განუხილველად დარჩა საკასაციო საჩივარი და, შესაბამისად ძალაში დარჩა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, აქედან გამომდინარე, უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 11 აპრილის განჩინების სარეზოლუციო ნაწილი ბუნდოვანია და საჭიროებს განმარტებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებისა და წარმოდგენილი განცხადების საფუძვლის შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ დ. გ-შვილის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 11 აპრილის განჩინების განმარტების შესახებ არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს უფლება აქვს მხარეთა ან აღმასრულებლის განცხადებით, გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით, განმარტოს გადაწყვეტილება სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია. განცხადების შეტანა გადაწყვეტილების განმარტების შესახებ დასაშვებია, თუ გადაწყვეტილება ჯერ არ არის აღსრულებული და თუ არ გასულა ვადა, რომლის განმავლობაშიც გადაწყვეტილება შეიძლება აღსრულდეს. სასამართლო უფლებამოსილია გადაწყვეტილების განმარტების საკითხი გადაწყვიტოს ზეპირი მოსმენის გარეშე.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი განცხადება განხილულ უნდა იქნეს ზეპირი მოსმენის გარეშე.

მითითებული ნორმა განსაზღვრავს ორ კუმულატიურ პირობას, რომლის არსებობა აუცილებელია გადაწყვეტილების განმარტებისათვის, კერძოდ, განსამარტი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა იყოს, ერთი მხრივ-ბუნდოვანი, ხოლო, მეორეს მხრივ, უნდა განიმარტოს იმგვარად, რომ სარეზოლუციო ნაწილის შინაარსმა არ განიცადოს მოდიფიცირება. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის განმარტება ობიექტურად საჭირო და დასაშვებია მხოლოდ მაშინ, თუ მხარე ან აღმასრულებელი დაასაბუთებს, რომ სხვაგვარად მისი შინაარსი შესაძლოა არასწორად იქნას გაგებულ და აღსრულებულ

მოცემულ შემთხვევაში საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 11 აპრილის განჩინებით დაუშვებლად იქნა ცნობილი დ. გ-შვილის საკასაციო საჩივარი.

განმცხადებელი განჩინების განმარტების არგუმენტად მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ საკასაციო პალატას განჩინების სარეზოლუციო ნაწილში არ უმსჯელია ქ. გ-შვილის საკასაციო საჩივრის მოთხოვნებზე. აღნიშნული ყოველგვარ დასაბუთებასაა მოკლებული, რადგან საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 18 მარტის განჩინებით ქ. გ-შვილის საკასაციო საჩივარი ხარვეზის შუვსეზობის გამო დარჩა განუხილველი.

რაც შეეხება განმცხადებლის შემდეგ მოთხოვნას, იგი არ წარმოადგენს განჩინების განმარტების მოთხოვნას, კერძოდ:

დ. გ-შვილი განცხადებაში აღნიშნავს, რომ განმარტებას საჭიროებს საკასაციო პალატის 2011 წლის 11 აპრილის განჩინების მე-4 გვერდზე ბოლო აბზაცი, სადაც მითითებულია, რომ დ. გ-შვილის საკუთრება №3 საერთო ფართობით 19657 კვ.მ 1/3-ის 1/2 ნაწილი თითქოსდა ეკუთვნის დ. გ-შვილს, მაშინ, როდესაც თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 20 დეკემბრის განჩინებაში აღნიშნული არ არის მითითებული.

მოცემულთან დაკავშირებით, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ განსამარტი განჩინების მე-4 გვერდზე ჩამოყალიბებულია თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 15 სექ-

ტემბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი, რომელიც შეიცვალა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილებით. საკასაციო სასამართლოს 2011 წლის 11 აპრილის განჩინებით საქმეზე ფაქტობრივი გარემოება არ დაუდგენია და მათზე არც უმსჯელია, ვინაიდან დ. გ-შვილის საკასაციო საჩივარი დაუშვებლობის გამო განუხილველად დარჩა. შესაბამისად, აღწერილობით ნაწილში ჩამოყალიბებული საქმის ფაქტობრივი გარემოებების განმარტება არ შეესაბამება საპროცესო კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს.

ამდენად, სადავო საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 11 აპრილის განჩინების შინაარსის ბუნდოვნად მიჩნევისა თუ მისი აღსრულების გართულების სამართლებრივ საფუძველზე დ. გ-შვილს თავის განცხადებაში არ მიუთითებია, შესაბამისად, იგი არ საჭიროებს განმარტებას და დ. გ-შვილს უარი უნდა ეთქვას განცხადების დაკმაყოფილებაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 262-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

დ. გ-შვილის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 11 აპრილის განჩინების განმარტების შესახებ არ დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქმის წარმოების შეჩერება

განჩინება

№ას-1311-1155-2010

14 თებერვალი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

პ. ქათამაძე

დავის საგანი: უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა

აღწერილობითი ნაწილი:

პ. კ-ევმა სარჩელი აღძრა სასამართლოში ა. კ-ევის მიმართ უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის მოთხოვნით შემდეგი საფუძვლებით: მოსარჩელის პაპამ ფ. კ-ევმა 2010 წლის 27 აპრილს აჩუქა საცხოვრებელი სახლი მარნეულის რაიონის სოფელ ყიზილაჯლოში; ჩუქების ხელშეკრულება გაფორმდა სათანადო წესით 2010 4 მაისს და უძრავი ქონება საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით დარეგისტრირდა მის სახელზე; სადავო ბინაში ყოველგვარი საფუძვლის გარეშე ცხოვრობენ მოპასუხეები – ა. კ-ევი, მეუღლე და მათი სამი შვილი. მიუხედავად არაერთი მოთოვნისა, მოპასუხეები არ ათავისუფლებენ ბინას.

მოპასუხე ა. კ-ევმა სარჩელი არ ცნო იმ საფუძვლით, რომ სადავო უძრავი ქონების ერთი მესამედი წილი, რომელშიც იგი ცხოვრობს თავის ოჯახთან ერთად, ეკუთვნის მას. რ. კ-ევმა კი, საკუთრების უფლება მოიპოვა თვალთმაქცური გარიგების საფუძველზე. ამასთან, მოპასუხეთა მხრიდან პ. და რ. კ-ევების მიმართ რაიმე ხელშეშლა არ განხორციელებულა.

ბოლნისის რაიონული სასამართლო 2010 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილებით პ. კ-ევის კანონიერი წარმომადგენლის – რ. კ-ევის სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხეების: ა. კ-ევის, ო. კ-ევას, ე. კ-ევის, ეკ. კ-ევას და ე. კ-ევას უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვილ იქნა მოსარჩელე პ. კ-ევის სახელზე მარნეულის რაიონის სოფელ ყიზილაჯლოში რიცხული საცხოვრებელი სახლი. მათვე აღეკვეთათ უძრავი ქონების მართლობიერი მფლობელობის ხელშეშლა.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ა. და ი. კ-ევებმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 26 ნოემბრის განჩინებით აპელანტ ა. კ-ევის განცხადება საქმის წარმოების შეჩერების თაობაზე დაკმაყოფილდა: შეჩერდა საქმის წარმოება ა. კ-ევის სააპელაციო საჩივრის გამო, მოწინააღმდეგე პ. კ-ევის კანონიერი წარმომადგენელ რ. კ-ევის მიმართ უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვისა და ხელშეშლის აღკვეთის თაობაზე სამოქალაქო საქმეზე, ა. კ-ევის სარჩელის გამო, მოპასუხეების – პ. კ-ევისა და ფ. კ-ევის მიმართ ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობისა და საერთო თანაზიარი ქონებიდან წილის ნატურით გამოყოფის თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში ა. კ-ევმა აღძრა სარჩელი მოპასუხეების – პ. კ-ევისა და ფ. კ-ევის მიმართ ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობისა და საერთო თანაზიარი ქონებიდან წილის ნატურით გამოყოფის თაობაზე. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ა. კ-ევის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, ა. კ-ევის მიერ პირველი ინსტანციის გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით შეტანილ იქნა სააპელაციო საჩივარი, რომელიც სააპელაციო სასამართლოში შესულია 2010 წლის 22 ნოემბერს და იმყოფება დასაშვებობის ეტაპზე.

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტით და მიიჩნია, რომ ამავე სასამართლოს წარმოებაში არსებული სააპელაციო საჩივრის განხილვას არსებითი მნიშვნელობა აქვს მოცემული დავის განხილვისათვის, რადგან მოცემული საქმის დავის საგანს წარმოადგენს უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა და ხელშეშლის აღკვეთა და აღნიშნული დავა ვერ გადაწყდება, ვიდრე არ დადგინდება ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობისა და საერთო თანაზიარი ქონებიდან წილის ნატურით გამოყოფის საკითხი.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა პ. კ-ევის წარმომადგენელმა ე. ლ-ძემ, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის განსახილველად დაბრუნება შემდეგი საფუძვლებით: განჩინება საქმის წარმოების შეჩერების თაობაზე უკანონო და დაუსაბუთებელია, კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის «დ» პუნქტი და საქმის შეჩერების საფუძვლად მიუთითა ის გარემოება, რომ მისი განხილვა შეუძლებელია იმავე სასამართლოს მოსამართლის წარმოებაში არსებული №25/4136-10 სამოქალაქო საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე, ვინაიდან დავა ეხება უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვასა და ხელშეშლის აღკვეთას. კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, საქმის წარმოების შეჩერება ემსახურება საქმის გაჭიანურებას. სააპელაციო სასამართლოს საქმის სწრაფად და ეფექტურად გადაწყვეტის მიზნით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 182-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ორივე სამოქალაქო საქმე უნდა ერთ წარმოებად, ვინაიდან ოჯახში დამაბული მდგომარეობაა. პირველი ინსტანციის სასამართლომ ისე განიხილა და დაამთავრა ორივე საქმის განხილვა, რომ მხარეს მოთხოვნა აღნიშნული საფუძვლით არ დაუყენებია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ პ. კ-ევის წარმომადგენელ ე. ლ-ძის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 26 ნოემბრის განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტი, რომლის თანახმად, სასამართლო ვალდებულია, საქმის წარმოება შეაჩეროს, თუ საქმის განხილვა შეუძლებელია სხვა საქმის გადაწყვეტამდე, რომელიც განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო, სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციული წესით. მითითებული ნორმის საფუძველზე საქმის წარმოების შეჩერება მხოლოდ მაშინ უნდა მოხდეს, თუ სხვა საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება მოცემულ საქმეზე არსებით გავლენას ახდენს.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას ზემოაღნიშნულ ორ საქმეს შორის მნიშვნელოვანი კავშირის არსებობის თაობაზე და მიიჩნევს, რომ ამ შემთხვევაში არსებობს ა. კ-ევის სააპელაციო საჩივარზე საქმის წარმოების შეჩერების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველი.

საქმის მასალების შემოწმებამ ცხადჰყო, რომ ა. კ-ევის მიერ აღძრულ იქნა სარჩელი მოპასუხეების – პ. კ-ევისა და ფ. კ-ევის მიმართ ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობისა და საერთო თანაზიარი ქონებიდან წილის ნატურით გამოყოფის თაობაზე. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ა. კ-ევის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გასაჩივრდა ა. კ-ევის მიერ. შესაბამისად, ვიდრე არ გაირკვევა სადავო ქონებაზე – ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობისა და საერთო თანაზიარი ქონებიდან წილის ნატურით გამოყოფის საკითხი, ამავე ქონებაზე უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვისა და ხელშეშლის აღკვეთის საკითხის განხილვა არასწორია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეზე წარმოება შეჩერებულია კანონიერი საფუძვლით, რის გამოც კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლით, 419-ე-420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

პ. კ-ევის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 26 ნოემბრის განჩინება.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქმის წარმოების შეჩერების საფუძვლები

განჩინება

№ას-1102-1129-2011

26 სექტემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ბ. ალაფიძე

დავის საგანი: ხელშეკრულების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

ს. და მ. ნ-ებმა სარჩელი აღძრეს სასამართლოში ამხანაგობა «მ-ა 45-ის», შ., თ. და დ. ნ-ების მიმართ ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ შემდეგი დასაბუთებით: თბილისში, ... ქ №47-ში მდებარე სახლთმფლობელობა წარმოადგენდა ს. ნ-ის, მ. ნ-ისა და შ. ნ-ის თანასაკუთრებას შემდეგი პროპორციით და საფუძვლით: 1) ს. ნ-ს 1990 წლის 24 იანვრის ორჯონიკიძის სახალხო დეპუტთა რაიონული საბჭოს გადაწყვეტილებითა და 1992 წლის 13 ნოემბრის პრივატიზაციის ხელშეკრულებით ეკუთვნის 24 კვ.მ საცხოვრებელი ფართი, 64 კვ.მ სასარგებლო ფართი და 13 კვ.მ სარდაფი; 2) შ. ნ-ს 1971 წლის 23 მაისის საჯარო ვაჭრობის აქტით მიეკუთვნა ვ. ნ-ის კუთვნილი სახლის 1/3 წილი; 3) მ. ნ-ს კანონისმიერი მემკვიდრეობის უფლებით ეკუთვნის ვ. ნ-ის დანაშთი ქონება, სახლის 2/3 წილი, რომელიც მიიღო 1985 წელს. შ. ნ-მა 2005 წელს მიმართა სასამართლოს საზიარო უფლების ნატურით გაყოფის მოთხოვნით. ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2005 წლის 14 თებერვლის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა შ. ნ-ის სარჩელი და მას ქ. თბილისში, ... ქ №47-ში მდებარე სახლთმფლობელობიდან საკუთრების უფლებით გამოეყო შენობა-ნაგებობები №1, №2 და 600 კვ.მ მიწის ნაკვეთი, რაც დარეგისტრირდა საჯარო რეესტრში. აღნიშნული მიწის ნაკვეთიდან 300 კვ.მ-ის შეტანა განახორციელა ინდ. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა «მ-ა 45-ში». 2008 წლის 25 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებით ბათილად იქნა ცნობილი 2005 წლის 14 თებერვლის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და განახლდა საქმის წარმოება. საქმის განხილვის დროს შ. ნ-მა გაიხმო სარჩელი, რის გამოც მისი სარჩელი დარჩა განუხილველად. აქედან გამომდინარე, უნდა აღდგენილიყო პირვანდელი მდგომარეობა, რისთვისაც განჩინების აღების შემდეგ მოსარჩელებმა მიმართეს საჯარო რეესტრს. საჯარო რეესტრის 2009 წლის 21 აპრილის წერილით მათ ეცნობათ, რომ 2009 წლის 2 თებერვლის ჩუქების ხელშეკრულებით შ. ნ-მა 300 კვ.მ გადასცა თავის შვილებს: თ. და დ. ნ-ებს, ამიტომ საჯარო რეესტრი მოკლებული იყო შესაძლებლობას, დაეკმაყოფილებინა მათი მოთხოვნა.

მოპასუხე შ. ნ-მა სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: 300 კვ.მ მიწის ნაკვეთის ამხანაგობისათვის გადაცემისა და ჩუქების ხელშეკრულების გაფორმებისას მოპასუხე წარმოადგენდა მესაკუთრეს. ვინაიდან მისი შვილები იმ პერიოდისათვის იყვნენ სრულწლოვანები, მან გადაწყვიტა, ეჩუქებინა მათთვის სახლის მისი კუთვნილი წილი. სწორედ აღნიშნული გარემოება გახდა 300 კვ.მ მიწის ნაკვეთის გადაცემის მიზეზი, ხოლო მესამე შვილს აჩუქა ბინა, რომელიც მას გამოუყო ამხანაგობამ, რადგან 300 კვ.მ მიწის ნაკვეთის ამხანაგობაში შენატანის განხორციელებისას ერთადერთ მესაკუთრეს წარმოადგენდა შ. ნ-ი და არ საჭიროებდა მოსარჩელეთა თანხმობას. მოპასუხეებმა თ. და დ. ნ-ებმა სარჩელი არ ცნეს იმავე საფუძვლებით.

მოპასუხე ინდ. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა «მ-ა 45-მა» სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ შ. ნ-ის მიერ საბინაო ამხანაგობა «მ-ა 45-ში» 300 კვ.მ შენატანის განხორციელებისას მისი საკუთრების უფლება დასტურდებოდა ამონაწერით საჯარო რეესტრიდან, რაც მითითებულია 2005 წლის 30 მარტის ხელშეკრულების პირველი მუხლის მე-4 პუნქტში, შესაბამისად, ამხანაგობა მიწის ნაკვეთის კეთილსინდისიერი შემძენი იყო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილებით ს. ნ-ისა და მ. ნ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი შ. ნ-სა და თ. და დ. ნ-ებს შორის 2009 წლის 2 თებერვლის ჩუქების ხელშეკრულება; ქ. თბილისში, ... ქ. №47-ში მდებარე 300 კვ.მ უძრავი ქონება საჯარო რეესტრში აღირიცხა შ. ნ-ის საკუთრების უფლებით; ს. ნ-ისა და მ. ნ-ის სარჩელი შ. ნ-ისა და ინდ. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა «მ-ა 45-ის» მიმართ ხელშეკრულების ბათილად ცნობის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მოპასუხეებმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 24 მაისის განჩინებით დ. ნ-ის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი შემდეგი საფუძვლებით: თბილისის სააპელაციო სასა-

მართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 14 მარტის განჩინებით აპელანტ დ. ნ-ს სააპელაციო საჩივარზე ხარვეზი დაუდგინა და დაევალა ხარვეზის დადგენის შესახებ განჩინების ასლის გადაცემის მომენტიდან 10 დღის ვადაში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში წარმოედგინა – სააპელაციო საჩივრის ღირებულების დამადასტურებელი დოკუმენტი, სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის დედანი, ასევე დასაბუთებული სააპელაციო საჩივრის ასლები. მითითებული განჩინება საქართველოს საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით 2011 წლის 18 მარტს აპელანტ დ. ნ-ს პირადად ჩაჰბარდა. 2011 წლის 28 მარტს აპელანტის მიერ წარმოდგენილ იქნა განცხადება სასამართლოს მიერ ხარვეზის შესავსებად დადგენილი საპროცესო ვადის 14 დღით გაგრძელების თაობაზე. პალატამ დ. ნ-ის განცხადება განიხილა და 2011 წლის 7 აპრილის განჩინებით ხარვეზის შევსების ვადა 14 დღით გააგრძელა. აღნიშნული განჩინება ხარვეზის შევსების შესახებ დ. ნ-ს 2011 წლის 12 აპრილს ჩაჰბარდა. აპელანტმა 2011 წლის 26 აპრილს პალატას კვლავ მიმართა განცხადებით და ხარვეზის შევსების ვადის 5 დღით გაგრძელება მოითხოვა. აპელანტის მოთხოვნა პალატის 2011 წლის 29 აპრილის განჩინებით დაკმაყოფილდა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 29 აპრილის განჩინება დ. ნ-ს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად გაეგზავნა და 2011 წლის 5 მაისს აპელანტის დედას, ნ. ნ-ს, ჩაჰბარდა, რაც დასტურდება გზავნილის ჩაბარების შეტყობინების ბარათზე აღნიშნული ნ. ნ-ის ხელმოწერითა და პირადი ნომრით. აღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 29 აპრილის განჩინება ხარვეზის ვადის გაგრძელების შესახებ აპელანტისათვის 2011 წლის 5 მაისს ჩაბარებულად ჩაითვალა.

პალატამ განმარტა, რომ, ვინაიდან თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 29 აპრილის განჩინება აპელანტისათვის ჩაბარებულად ითვლება 2011 წლის 5 მაისს, მისთვის სააპელაციო საჩივარზე დადგენილი ხარვეზის გამოსწორების 5-დღიანი ვადის დენა დაიწყო გადაწყვეტილების ჩაბარების მომდევნო დღიდან, ე.ი 2011 წლის 6 მაისს და ამოიწურა 2011 წლის 10 მაისს, რომელიც იყო სამუშაო დღე სამშაბათი, ამდენად, აპელანტს ხარვეზი უნდა გამოესწორებინა 2011 წლის 10 მაისის ჩათვლით. აპელანტმა 2011 წლის 10 მაისს ფოსტის საშუალებით განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და საქმის წარმოების შეჩერება მოითხოვა. შუამდგომლობის საფუძველად აპელანტმა მიუთითა იმ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომ აღმოჩენილია მ. და ს. ნ-ების მიერ გაყალბებული მთელი რიგი დოკუმენტები და საქმე პროკურატურის მიერ სასამართლოში გადაგზავნილი. შესაბამისად, აპელანტმა საქმის წარმოების შეჩერება სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლო წარმოების დასრულებამდე მოითხოვა.

პალატამ აღნიშნული შუამდგომლობა არ მიიჩნია ხარვეზის შევსებად და ჩათვალა, რომ არ არსებობდა საქმის წარმოებაში მიღებამდე წარმოდგენილი შუამდგომლობის დაკმაყოფილების ფაქტობრივი და სამართლებრივი წინამძღვრები. ამასთან სასამართლომ განმარტა, რომ სააპელაციო საჩივარზე წარმოება იწყება სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების შემდეგ. საქმის წარმოების შეჩერება სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ეტაპზე შესაძლებელია, თუ საქმის წარმოების შეჩერების ფაქტობრივი საფუძველი იმთავითვე გამორიცხავს ხარვეზის შევსების შესაძლებლობას. მაგალითისათვის, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებში, როდესაც მხარის გარდაცვალება ან ქმედუნარიანობის დაკარგვა გამორიცხავს სასამართლოს მიერ დადგენილი ხარვეზის შევსებას, ეს ის ობიექტური გარემოებებია, როდესაც სასამართლომ აქვს საპროცესო-სამართლებრივი შესაძლებლობა და ამასთან, ვალდებულია იმისა, რომ შეაჩეროს საქმის წარმოება სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ეტაპზე. რაც შეეხება ისეთ ვითარებას, როდესაც მხარე ითხოვს საქმის წარმოების შეჩერებას საქმის წარმოებაში მიღებამდე იმ საფუძველით, რომ აღნიშნული საქმის გადაწყვეტა შეუძლებელია სხვა საქმის გადაწყვეტამდე, ასეთ ვითარებაში, პალატამ მიიჩნია, რომ არ არსებობდა საქმის წარმოების შეჩერების ფაქტობრივი და სამართლებრივი წინამძღვრები, ვინაიდან იმისათვის, რომ სასამართლომ ამ საფუძველით საქმის წარმოება შეაჩეროს, აუცილებელია სახეზე იყოს წარმოებაში მიღებული სააპელაციო საჩივარი. სასამართლომ ასევე განმარტა, რომ აღნიშნული საფუძველი შეიძლება გამორიცხავდეს საქმეზე არსებითად მსჯელობას და არა სააპელაციო საჩივარზე დადგენილი ხარვეზის გამოსწორებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 13 მაისის განჩინებით დ. ნ-ს ხარვეზის ვადის შესავსებად დადგენილი ვადა კიდევ 3 დღით გაუგრძელდა, რის შესახებაც აპელანტს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, 2011 წლის 14 მაისს, სატელეფონო შეტყობინების გზით ეცნობა. სატელეფონო შეტყობინება აპელანტის მიერ მითითებულ ტელეფონის ნომერზე განხორციელდა. აპელანტ დ. ნ-ს ხარვეზის შესავსებად დადგენილ ვადაში და არც ხარვეზის შესავსებად დადგენილი ვადის გასვლის შემდგომ თბილისის სააპელაციო სასამართლოში ხარვეზის შევსების შესახებ განცხადება არ წარმოუდგენია. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ნ-ის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 24 მაისის განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა დ. ნ-მა იმ დასაბუთებით, რომ სააპელაციო საჩივარი კანონშეუსაბამოდ იქნა დაუშვებლად მიჩნეული, რადგან აპელანტმა არ შეავსო ხარვეზი. პალატამ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ განსახილველი საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე დოკუმენტების გაყალბების ფაქტებზე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, რომელზეც ამჟამად მიმდინარეობს ძიება. აპელანტის შუამდგომლობას, სისხლის სამართლის საქმის დამ-

თავრებამდე შეჩერებულიყო სამოქალაქო საქმის წარმოება, პალატის მხრიდან უარი ეთქვა. აპელანტის განმარტებით კი, სააპელაციო პალატა ვალდებული იყო შეეჩერებინა საქმის წარმოება, რადგანაც ზემოთ აღნიშნული დოკუმენტების გაყალბების ფაქტებს არსებითი მნიშვნელობა გააჩნია განსახილველი სამოქალაქო საქმის გადაწყვეტისათვის.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლოს კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიაჩნია, რომ დ. ნ-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მე-5 ნაწილიდან გამომდინარე, სააპელაციო საჩივრის ხარვეზის არსებობისას სასამართლო განსაზღვრავს იმ საპროცესო მოქმედებებს, რომელიც ხარვეზის შესავსებად უნდა განხორციელდეს და საპროცესო ვადას, რომლის განმავლობაშიც აპელანტი ვალდებულია, შეასრულოს განჩინებაში დადგენილი მოქმედებები. სასამართლოს მიერ მითითებული ვადის გასვლის შემდეგ კი სააპელაციო საჩივარი დარჩება განუხილველად.

მოცემულ შემთხვევაში აპელანტს 2011 წლის 14 მარტის განჩინებით დაუდგინდა ხარვეზი და მიეცა 10 დღე მის გამოსასწორებლად, რომელიც შემდგომ, მხარის ინიციატივით, ორჯერ გაგრძელდა. ამასთანავე, საქმის მასალებში წარმოდგენილი საფოსტო შეტყობინებებით დასტურდება, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინებები ხარვეზის დადგენისა და მისი შევსების ვადის გაგრძელების თაობაზე აპელანტ დ. ნ-ს ჩაჰზარდა და შეტყობინების ჩაბარების საკითხი სადავო არ არის.

გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველად კერძო საჩივრის ავტორი უთითებს იმ გარემოებაზე, რომ სასამართლომ კანონშეუსაბამოდ არ გაითვალისწინა მისი შუამდგომლობა საქმის წარმოების შეჩერების შესახებ, იმ საფუძველით, რომ აღმოჩენილია მოპასუხეების, მ. და ს. ნ-ების მიერ გაყალბებული მთელი რიგი დოკუმენტები, საქმე პროკურატურის მიერ სასამართლოშია გადაგზავნილი და არსებული საქმის განხილვის შედეგებს არსებითი მნიშვნელობა აქვს სამოქალაქო-სამართლებრივ დავაზე გადაწყვეტილების მიღებისთვის.

საქმის წარმოების შეჩერებასთან დაკავშირებით სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ სააპელაციო საჩივარზე წარმოება იწყება სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების შემდეგ. საქმის წარმოების შეჩერება სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ეტაპზე დასაშვები და შესაძლებელია, თუ საქმის წარმოების შეჩერების ფაქტობრივი საფუძველი იმთავითვე გამორიცხავს ხარვეზის შევსების შესაძლებლობას. ეს ის ობიექტური გარემოებებია, როდესაც სასამართლომ აქვს საპროცესო-სამართლებრივი შესაძლებლობა და ამასთან, ვალდებულია შეაჩეროს საქმის წარმოება სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ეტაპზე. რაც შეეხება ისეთ ვითარებას, როდესაც მხარე ითხოვს საქმის წარმოების შეჩერებას საქმის წარმოებაში მიღებამდე იმ საფუძველით, რომ აღნიშნული საქმის გადაწყვეტა შეუძლებელია სხვა საქმის გადაწყვეტამდე, ასეთ ვითარებაში, პალატამ მიიჩნია, რომ არ არსებობდა საქმის წარმოების შეჩერების ფაქტობრივი და სამართლებრივი წინამძღვრები, ვინაიდან ამისათვის აუცილებელია სახეზე იყოს წარმოებაში მიღებული სააპელაციო საჩივარი.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო პალატის ზემოაღნიშნულ მოსაზრებას და განმარტავს შემდეგს: სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს საქმის წარმოების შეჩერების სავალდებულო და ფაკულტატურ საფუძველებს, თუ რა წარმოადგენს საქმის წარმოების შეჩერების სავალდებულო საფუძველს, განსაზღვრავს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლი. იმ შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს აღნიშნულ მუხლში ჩამოთვლილ ერთ-ერთ გარემოებას სასამართლო ვალდებულია, შეაჩეროს საქმის წარმოება. ამასთან, აღნიშნული მუხლის «დ» პუნქტის თანახმად, სასამართლო ვალდებულია, შეაჩეროს საქმის წარმოება, თუ საქმის განხილვა შეუძლებელია სხვა საქმის გადაწყვეტამდე, რომელიც განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო სამართლის ან ადმინისტრაციული წესით. ამდენად, კანონი არ ითვალისწინებს დ.ნ-ის მიერ დასახელებული საფუძველით – სისხლის სამართლის საქმეზე წარმოების დამთავრებამდე საქმის წარმოების შეჩერებას.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმის წარმოების შეჩერების ფაქტობრივ საფუძველზე მსჯელობა დასაშვებია საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე, როდესაც მხარე ითხოვს საქმის წარმოების შეჩერებას საქმის წარმოებაში მიღებამდე, სასამართლო წარმოდგენილი შუამდგომლობის თაობაზე მსჯელობისას ითვალისწინებს შეჩერების ფაქტობრივ და სამართლებრივ წინაპირობებს და ობიექტური გარემოებების არსებობისას ვალდებულია, შეაჩეროს საქმის წარმოება. მოცემულ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ დ. ნ-ის სააპელაციო საჩივარი არ იყო მიღებული წარმოებაში, სააპელაციო პალატას უნდა ემსჯელა საქმის წარმოების შეჩერების საფუძველებზე და ასეთის არ არსებობის შემთხვევაში უარი უნდა ეთქვა არა იმ საფუძველით, რომ საქმის წარმოების შეჩერების საკითხის გადაწყვეტა სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ეტაპზე შეუძლებელია, არამედ იმიტომ, რომ შეჩერების ამგვარი საფუძველს კანონი არ ითვალისწინებს.

ამასთან, საკასაციო პალატა მხარეთა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 282-ე მუხლი ადგენს საქმის წარმოების შეჩერების შესახებ განჩინების გასაჩივრების წესს, აღნიშნული მუხლი გამორიცხავს საქმის წარმოების შეჩერებაზე უარის თქმის განჩინების გასაჩივრებას.

რაც შეეხება სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის შევსების ვადას საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებასაც, რომ სასამართლოს მიერ საპროცესო ვადა არაერთხელ იქნა გაგრძელებული, შესაბამისად, აპელანტს საკმარისი დრო ჰქონდა სასამართლოს მიერ დადგენილი ხარვეზის გამოსასწორებლად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე და 63-ე მუხლებიდან გამომდინარე, მხარე ვალდებულია, სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში შეასრულოს ის საპროცესო მოქმედებები, რაც მას სასამართლომ დაავალა, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი კარგავს ამ საპროცესო მოქმედებათა შესრულების უფლებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო საჩივარი სწორად დარჩა განუხილველად, შესაბამისად, არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

დ. ნ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 24 მაისის განჩინება დარჩეს უცვლელად;
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა

განჩინება

№ას-32-32-2012

1 მარტი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
თ. თოდრია

დავის საგანი: შესრულებული სამუშაოს საფასურის დაკისრება, ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ინდივიდუალურმა მეწარმე „ს. ი-მა“ სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „ბ. გ-ის“ მიმართ 2009 წლის 1 ოქტომბრის ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოს საფასურის 21 050 ლარის გადახდისა და ზიანის – 6 921 ლარის დაკისრების მოთხოვნით.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო.

ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 15 აგვისტოს გადაწყვეტილებით მოსარჩელე ინდივიდუალური მეწარმე „ს. ი-ის“ სარჩელი შპს „კომპანია ბ. გ-ის“ მიმართ ზიანის ანაზღაურების შესახებ არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 8 დეკემბრის განჩინებით გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და საქმის წარმოება განახლდა შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ 2009 წლის 4 ივლისს შპს „კომპანია ბ. გ-სა“ და ინდივიდუალურ მეწარმე „ს. ი-ს“ შორის დაიდო ხელშეკრულება ფეკალური ნარჩენების გატანაზე.

2010 წლის 28 მაისს მოსარჩელე ს. ი-მა სარჩელით მიმართა ახალქალაქის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე შპს „კომპანია ბ. გ-ის“ მიმართ 2009 წლის 4 ივლისის ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოსათვის გადაუხდელი თანხის – 21 050 ლარისა და ზიანის – 3 003 ლარის დაკისრების მოთხოვნით. ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 27 ივლისის გადაწყვეტილებით ს. ი-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში.

2011 წლის 23 ივნისს ახალქალაქის რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართა ინდივიდუალურმა მეწარმე „ს. ი-მა“ მოპასუხე შპს „კომპანია ბ. გ-ის“ მიმართ და მოითხოვა 2009 წლის 4 ივლისის ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოს საფასურის – 21 050 ლარის გადახდა და ზიანის – 6921 ლარის ანაზღაურება.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში სარჩელზე საქმის წარმოება უნდა შეწყდეს, რადგან არსებობს ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 27 ივლისის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომელიც გამოტანილია იმავე დავაზე, იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება, რომ ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 27 ივლისის გადაწყვეტილება მიღებულია ფიზიკური პირის – ს. ი-ის მიმართ, ხოლო განსახილველი სარჩელი აღძრულია ინდივიდუალურ მეწარმე „ს. ი-ის“ მიერ, ამიტომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება გამოტანილია სხვა მხარის მიმართ.

აღნიშნული მსჯელობის საწინააღმდეგოდ სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტზე, რომლის თანახმად, ამ კანონით განსაზღვრული ინდივიდუალური მეწარმე არ არის იურიდიული პირი. ინდივიდუალური მეწარმე საქმიან ურთიერთობებში თავის უფლებებს ახორციელებს და მოვალეობას ასრულებს, როგორც ფიზიკური პირი.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე ინდივიდუალურმა მეწარმე „ს. ი-მა“ შეიტანა კერძო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის წარმოების განახლება შემდეგი საფუძველებით:

სასამართლომ არასწორად განმარტა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი, რომლის ძალითაც ინდივიდუალური მეწარმე არ არის იურიდიული პირი. იგი თავის უფლებამოსილებას ახორციელებს, როგორც ფიზიკური პირი.

აღნიშნული განმარტება კონკრეტული ურთიერთობიდან გამომდინარე უკანონოა, ვინაიდან 2009 წელს შპს „კომპანია ბ. გ-სა“ და ინდივიდუალურ მეწარმე „ს. ი-ს“ შორის დაიდო ხელშეკრულება. ორ სამეწარმეო სუბიექტებს შორის შესრულებული სამუშაოს თაობაზე გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტები. შესრულებული სამუშაოს შესაბამისად იმ დროს მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობით განსაზღვრული წესით მეწარმე სუბიექტმა წარადგინა საგადასახადო ორგანოში წლიური დეკლარაცია. შესაბამისად, მხარე სახელშეკრულებო ურთიერთობაში მეწარმე სუბიექტია, რომელიც არ ყოფილა მოსარჩელე 2010 წელს აღძრულ სარჩელეზე.

სასამართლომ შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული უფლების დაკმაყოფილებაზე მხარეს უარი უთხრა იმ ფაქტობრივი გარემოებიდან გამომდინარე, რომ შეუძლებლად ჩათვალა ინდივიდუალურ მეწარმე „ს. ი-ის“ მიერ შრომითი ურთიერთობის შესრულების შესაძლებლობა და ასეთი გარიგება მეწარმე სუბიექტებს შორის ბათილ გარიგებას წარმოადგენდა.

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით ინდივიდუალური მეწარმე აღიარებულია უფლებავალდებულ სუბიექტად იმ დროიდან, როდესაც იგი რეგისტრაციას გაივლის. თუ სააპელაციო სასამართლოს მიერ ფიზიკურ პირთან გაიგივებული მეწარმე პირი რეგისტრაციამდე რაიმე ქმედებას განახორციელებს მეწარმის სახელით, იგი, როგორც ფიზიკური პირი (და არა როგორც მეწარმე) პასუხს აგებს პერსონალურად და არ დაეკისრება ვალდებულება ინდივიდუალურ საწარმოს, შესაბამისად, ფიზიკური პირი ვერ წარადგენს მოთხოვნას საწარმოს სახელით. მითითებული ვალდებულება და უფლებაც, ძალაში რჩება საწარმოს რეგისტრაციის შემდგომაც. აღნიშნულიდან გამომდინარე, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით ინდივიდუალური მეწარმე სამართალურთიერთობის მხარეა. ანუ, მოსარჩელე, როგორც სამართალურთიერთობის მხარე, ინდივიდუალური საწარმო „ს. ი-ია“, რადგან მან დადო ხელშეკრულება შპს „კომპანია ბ. გ-თან“ და არა ფიზიკურ პირ ს. ი-მა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ინდივიდუალურ მეწარმე „ს. ი-ის“ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო, მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით, შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ არსებობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან განჩინება, რომელიც გამოტანილია დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით.

დასახელებული მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, სასამართლო არ განიხილავს საქმეს და შეწყვეტს მის წარმოებას იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით ერთხელ უკვე გადაწყდა დავა იმავე მხარეებს შორის, იმავე დავის საგნითა და იმავე საფუძველით.

მოცემულ შემთხვევაში წარმოდგენილია ინდივიდუალურ მეწარმე „ს. ი-ის“ სარჩელი შპს „ბ. გ-ის“ მიმართ შესრულებული სამუშაოს საფასურისა და ზიანის ანაზღაურების შესახებ.

საქმეში წარმოდგენილია ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 27 ივლისის კანონიერ ძალაში შესული №2/55-10 გადაწყვეტილება, რომლითაც ს. ი-ის სარჩელი მოპასუხე შპს „ბ. გ-ის“ მიმართ ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოსათვის გადაუხდელი თანხის ანაზღაურების თაობაზე არ დაკმაყოფილდა. ამასთან, გადაწყვეტილებით შეუსრულებელი ვალდებულების გამო ყოველი გადაცდენილი დღისათვის თანხის მოთხოვნა ტრანსფორმირდა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის მსჯელობას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ და მიიჩნევს, რომ ზემოხსენებული დავები წარმართა ერთსა და იმავე მხარეებს შორის, იდენტურ საგანზე და იმავე საფუძველებით.

დაუსაბუთებელია კერძო საჩივრის ავტორის არგუმენტი, რომ 2010 წელს განხილულ დავაში მონაწილეობდა ფიზიკური პირი ს. ი-ი, ხოლო მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელეა ინდივიდუალური მეწარმე „ს. ი-ი“, რის გამოც სადავო ორ საქმეზე მოსარჩელები სხვადასხვაა.

სააპელაციო სასამართლომ სავსებით სწორად გამოიყენა და განმარტა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი, რომლის მიხედვით ამ კანონით განსაზღვრული ინდივიდუალური მეწარმე არ არის იურიდიული პირი. ინდივიდუალური მეწარმე საქმიან ურთიერთობებში თავის უფლებებს ახორციელებს და მოვალეობებს ასრულებს, როგორც ფიზიკური პირი. შესაბამისად, ფიზიკურ პირ ს. იგითა-ინი და ინდივიდუალური მეწარმე „ს. ი-ი“ ერთი და იგივე სამართალსუბიექტია.

ამდენად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ გასაჩივრებული განჩინება კანონიერია და მისი გაუქმების საფუძვლის არსებობა მხარემ ვერ დაასაბუთა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

ინდივიდუალურ მეწარმე „ს. ი-ის“ კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 8 დეკემბრის განჩინება დარჩეს უცვლელად.

სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება;

საქმის წარმოების შეწყვეტა

განჩინება

№ას-175-169-2012

2 აპრილი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
თ. თოდრია

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

რ. გ-ამ სარჩელი აღძრა სასამართლოში მ. და თ. ბ-ეების მიმართ და მოითხოვა, მოპასუხეებს სოლიდარულად დაეკისროთ ქ.თბილისში, უ-ის ქ.№113ა-ში მდებარე ბინის დაზიანების გამო სარემონტო სამუშაოების – 5420 ლარის, ავეჯის დაზიანებით მიყენებული ზიანის – 1050 აშშ დოლარისა და 2008 წლის 5 ივლისიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე ბინის ქირის – 2700 ლარის ანაზღაურება.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს.

მ. ბ-ემ შეგებებული სარჩელით მიმართა სასამართლოს რ. გ-ას წინააღმდეგ და მოითხოვა ზიანის – 2160 აშშ დოლარისა და 1400 აშშ დოლარის დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილებით რ. გ-ას სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მ. ბ-ეს რ. გ-ას სასარგებლოდ დაეკისრა 5 420 ლარის ანაზღაურება, დანარჩენ ნაწილში რ. გ-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდა, ხოლო მ. ბ-ის შეგებებულ სარჩელზე საქმის წარმოება შეწყდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში რ. გ-ამ, ხოლო სარჩელის დაკმაყოფილებისა და შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში მ. ბ-ემ გაასაჩივრეს სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 15 დეკემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივრები ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, რ. გ-ას სარჩელზე საქმის წარმოება შეწყდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა რ. გ-ას სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების, მ. ბ-ისათვის 5420 ლარის დაკისრებისა და დანარჩენ ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო პალატამ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2005 წლის 9 ივლისს მ. ბ-ესა და რ. გ-ას შორის სანოტარო ფორმით დაიდო სესხის, იპოთეკისა და ბინით სარგებლობის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, მ. ბ-ემ რ. გ-ას ასესხა 3000 აშშ დოლარი ერთი წლის ვა-

დით. ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაიტვირთა რ. გ-ას საკუთრებაში არსებული ბინის ნაწილი, რომელიც შეადგენს ქ.თბილისში, უ-ის ქ.113ა-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის 43/290 ნაწილიდან 20/290 ნაწილს. ამავე ხელშეკრულებით სესხის სარგებლის სახით განისაზღვრა რ. გ-ას საკუთრებაში არსებული იპოთეკით დატვირთული საცხოვრებელი სახლის 20/290 ნაწილის მ. ბ-ისათვის სარგებლობის უფლებით გადაცემა. ხელშეკრულება ითვალისწინებდა მხარეთა შეთანხმებას დავის არბიტრაჟის ან სასამართლო წესით გადაწყვეტის თაობაზე.

2007 წლის 13 ივლისს რ. გ-ამ საარბიტრაჟო პრეტენზიით მიმართა შპს «ბ-ს». იგი საარბიტრაჟო პრეტენზიაში მიუთითებდა, რომ მ. ბ-ემ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში არ უზრუნველყო ბინის იმავე მდგომარეობაში რ. გ-ასათვის გადაცემა, ამასთან, მნიშვნელოვნად დააზიანა სარგებლობაში გადაცემული საცხოვრებელი სახლის ნაწილი. საარბიტრაჟო პრეტენზიით რ. გ-ამ მოითხოვა მ. ბ-ისათვის, უძრავი ქონების დაზიანების გამო ზიანის ანაზღაურება. რ. გ-ამ მიუთითა, რომ ვინაიდან, სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მას ეკისრებოდა ვალდებულება, გადაეხადა მ. ბ-ისათვის 3000 აშშ დოლარი, შესაბამისად, ვალდებულებები უნდა გაქვითულიყო, გაქვითვის შედეგად დარჩენილი თანხა დაკისრებოდა მ. ბ-ეს, ხოლო იპოთეკის ხელშეკრულება გაუქმებულიყო.

2007 წლის 20 აგვისტოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა რ. გ-ას საარბიტრაჟო პრეტენზია, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა მ. ბ-ის შეგებებული საარბიტრაჟო პრეტენზია და რ. გ-ას მ. ბ-ის სასარგებლოდ დაეკისრა სესხის ძირითადი თანხის – 3000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარისა და ფულადი ვალდებულების ვადის გადაცილებისათვის კანონით განსაზღვრული ყოველთვიურად 2%-ის გადახდა.

2007 წლის 20 აგვისტოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაზე სარჩელი შეიტანა რ. გ-ამ და მოითხოვა მისი გაუქმება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 16 იანვრის გადაწყვეტილებით რ. გ-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 1 დეკემბრის გადაწყვეტილებით რ. გ-ას სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 16 იანვრის გადაწყვეტილება და რ. გ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა, გაუქმდა შპს «ბ-ის» საქართველოს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის 2007 წლის 20 აგვისტოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება და რ. გ-ას საარბიტრაჟო პრეტენზია მ. ბ-ის მიმართ, ასევე, მ. ბ-ის შეგებებული საარბიტრაჟო პრეტენზია რ. გ-ას მიმართ სესხის, იპოთეკისა და ბინის სარგებლობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავაზე განსახილველად დაუბრუნდა საარბიტრაჟო სასამართლოს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 29 დეკემბრის განჩინებით მ. ბ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 1 დეკემბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე პალატას.

საკასაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ არბიტრაჟმა განიხილა ორი საარბიტრაჟო პრეტენზია: რ. გ-ას საარბიტრაჟო პრეტენზია ზიანის ანაზღაურების შესახებ, რომლის განხილვის საარბიტრაჟო წესზე არ იყო წერილობითი შეთანხმება 2005 წლის 9 ივლისს რ. გ-ასა და მ. ბ-ის შორის სანოტარო ფორმით დადებული სესხის, იპოთეკისა და ბინით სარგებლობის ხელშეკრულებაში და მ. ბ-ის საარბიტრაჟო პრეტენზია სესხის დაბრუნებისა და მისი დაუბრუნებლობით ზიანის ანაზღაურების შესახებ, რომლის შესახებ მხარეთა შორის ზემოაღნიშნულ ხელშეკრულებაში იყო შეთანხმება დავის სასამართლო ან არბიტრაჟის მიერ განხილვაზე.

საკასაციო პალატამ ჩათვალა, რომ სააპელაციო სასამართლოს უნდა გამოეყენებინა «კერძო არბიტრაჟის შესახებ» საქართველოს კანონის 28-ე მუხლი, რომლის გათვალისწინებით, 2005 წლის 9 ივლისის ხელშეკრულებით განსაზღვრული საარბიტრაჟო შეთანხმებით არ იყო დაცული რ. გ-ას მიერ საარბიტრაჟო პრეტენზიის სახით წარდგენილი მოთხოვნა, მაგრამ, მხოლოდ ეს ფაქტი არ შეიძლებოდა მიუთითებდეს იმაზე, რომ საარბიტრაჟო სასამართლო არ იყო უფლებამოსილი, განეხილა აღნიშნული პრეტენზია. სასამართლოს მითითებით, იმ შემთხვევაში, თუ მხარემ საარბიტრაჟო განხილვის საგანი გახადა მოთხოვნა, რომელიც არ იყო დაცული საარბიტრაჟო შეთანხმებით, საარბიტრაჟო სასამართლო უფლებამოსილი იყო, განეხილა აღნიშნული მოთხოვნა, თუ მოწინააღმდეგე მხარე დაეთანხმებოდა ამ მოთხოვნის საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ განხილვას.

საკასაციო პალატამ გაითვალისწინა სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოება, რომ რ. გ-ამ საარბიტრაჟო პრეტენზიის წარდგენით და მოწინააღმდეგე მხარე მ. ბ-ემ თავიანთი მოქმედებით გამოხატეს ნება საარბიტრაჟო სასამართლოში საქმის განხილვისა. ამდენად, საკასაციო პალატამ ჩათვალა, რომ აღნიშნული გარემოება წარმოადგენდა საფუძველს საარბიტრაჟო სასამართლოსათვის ქვემდებარე საქმეზე, „კერძო არბიტრაჟის შესახებ» საქართველოს კანონის 28-ე მუხლის თანახმად, განეხილა და მიეღო გადაწყვეტილება.

საქმე არაერთხელ იქნა განხილული ზემდგომი ინსტანციების სასამართლოების მიერ და ბოლოს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 25 თებერვლის განჩინებით რ. გ-ას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 20 იანვრის განჩინებით რ. გ-ას საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი დარჩა განუხილველად.

ამდენად, შპს «ბ-ის» საქართველოს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის 2007 წლის 20 აგვისტოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, რომელიც გამოტანილ იქნა 2005 წლის 9 ივლისის მ. ბ-ესა და რ. გ-ას შორის დადებული სესხის, იპოთეკისა და ბინით სარგებლობის ხელშეკრულების საფუძველზე, შესულია კანონიერ ძალაში. ამასთან, აღნიშნული გადაწყვეტილება აღსრულებულია.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ასევე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2006 წლის 5 ივლისის მ. ბ-ესა და რ. გ-ას შორის გაფორმდა სანოტარო წესით დამოწმებული სესხის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, გამსესხებელმა მ. ბ-ემ მსესხებელ რ. გ-ას სესხის სახით გადასცა 2500 აშშ დოლარი. ხელშეკრულება გაფორმდა 2 წლის ვადით და ხელშეკრულების ვადა განისაზღვრა 2008 წლის 5 ივლისის ჩათვლით. ხელშეკრულება რაიმე დათქმასა და მხარეთა შეთანხმებას დავის არბიტრაჟის ან სასამართლო წესით გადაწყვეტის თაობაზე არ ითვალისწინებდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 15 აპრილის გადაწყვეტილებით მ. ბ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა. რ. გ-ას მ. ბ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 2500 აშშ დოლარის გადახდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 25 ნოემბრის განჩინებით რ. გ-ას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. ძალაში დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 15 აპრილის გადაწყვეტილება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 15 აპრილის გადაწყვეტილება, რომელიც გამოტანილ იქნა 2006 წლის 5 ივლისის მ. ბ-ესა და რ. გ-ას შორის დადებული სესხის ხელშეკრულების საფუძველზე შესულია კანონიერ ძალაში. ამასთან, აღნიშნული გადაწყვეტილება აღსრულებულია.

საქალაქო სასამართლოში აღძრული სარჩელით რ. გ-ას მოთხოვნას წარმოადგენს მ. და თ. ბ-ებს სოლიდარულად დაეკისროთ ბინის დაზიანებით მიყენებული სარემონტო სამუშაოების – 5 420 ლარის, ავეჯის დაზიანებით მიყენებული ზიანის 1 050 აშშ დოლარის (1730 ლარი), მიუღებელი შემოსავლის 2008 წლის 5 ივლისიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე ბინის ქირის ღირებულების – 2 700 ლარის ანაზღაურება, ხოლო მ. ბ-ის შეგებებული სარჩელის მოთხოვნაა, დაეკისროს რ. გ-ას ზიანის სახით 2160 აშშ დოლარის შესაბამისი ლარის ანაზღაურება და რ. გ-ას მიერ ზიანის სახით 1 400 აშშ დოლარის შესაბამისი ლარის ანაზღაურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილებით მოსარჩელე რ. გ-ას სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მ. ბ-ეს რ. გ-ას სასარგებლოდ დაეკისრა 5 420 ლარის ანაზღაურება, დანარჩენ ნაწილში კი რ. გ-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდა. ამავე გადაწყვეტილებით მ. ბ-ის შეგებებულ სარჩელზე შეწყდა საქმის წარმოება.

პირველი ინსტანციის სასამართლომ მ. ბ-ის შეგებებულ სარჩელზე საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველად მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტზე და აღნიშნა, რომ საქმეში არსებული კანონიერ ძალაში შესული საქართველოს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის საარბიტრაჟო გადაწყვეტილების თანახმად, აღნიშნული დავა მხარეებს შორის უკვე განხილული იყო კომპეტენტური ორგანოს მიერ და დამატებითი პრეტენზიის შემთხვევაშიც მათ შეეძლოთ, მიემართათ შესაბამისი ორგანოსათვის.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 29 ივნისის განჩინებაზე მ. ბ-ის შეგებებულ სარჩელზე საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ კერძო საჩივარი შეიტანა მ. ბ-ემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 15 დეკემბრის განჩინებით მ. ბ-ის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 29 ივნისის განჩინება რ. გ-ასათვის ზიანის სახით 1400 აშშ დოლარის შესაბამისი ლარის ანაზღაურების დაკისრების თაობაზე მ. ბ-ის შეგებებულ სარჩელზე წარმოების შეწყვეტის ნაწილში და ამ ნაწილში საქმე არსებითად განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მ. ბ-ის შეგებებულ სარჩელზე იმ ნაწილში, რომლითაც მ. ბ-ე მოითხოვდა რ. გ-ასათვის ზიანის ანაზღაურების სახით 1 400 აშშ დოლარის შესაბამისი ლარის დაკისრებას, არ არსებობდა საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველი გამომდინარე იქიდან, რომ მ. ბ-ესა და რ. გ-ას შორის 2006 წლის 5 ივლისს გაფორმებული სანოტარო წესით დამოწმებული სესხის ხელშეკრულება რაიმე დათქმას – მხარეთა შეთანხმებას დავის არბიტრაჟის ან სასამართლო წესით გადაწყვეტის თაობაზე არ ითვალისწინებდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ნაწილში დავა განეკუთვნებოდა სასამართლოს მიერ განსახილველ კატეგორიას, ხოლო, შეგებებულ სარჩელზე იმ ნაწილში, რომლითაც მ. ბ-ე მოითხოვდა რ. გ-ასათვის ზიანის სახით 2 160 აშშ დოლარის შესაბამისი ლარის ანაზღაურებას, არსებობდა საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველი, ვინაიდან, მოთხოვნა გამომდინარეობდა 2005 წლის 9 ივლისის მ. ბ-ესა და რ. გ-ას შორის დადებული სესხის, იპოთეკისა და ბინით სარგებლობის ხელშეკრულებიდან, რომელიც წარმოადგენდა არბიტრაჟის მიერ განსახილველ საქმეს და, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, ამ ნაწილში საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, პალატამ აღნიშნა, რომ მხარეთა შორის დადებულ შეთანხმებას დავის არბიტრაჟისათვის გადაცემის შესახებ აქვს იურიდიული ძალა როგორც თვითონ მხარეებისათვის, ისე სასამართლოსათვის. ამიტომ ასეთი შეთანხმების (ხელშეკრულების) არსებობისას სასამართლოს უფლება არა აქვს, მიიღოს და განიხილოს სარჩელი, ხოლო თუ სარჩელი მიღებულია წარმოებაში, მაშინ სასამართლომ უნდა შეწყვიტოს საქმის წარმოება.

მოცემულ შემთხვევაში დადგინდა, რომ 2005 წლის 9 ივლისს მ. ბ-ესა და რ. გ-ას შორის დადებული სესხის, იპოთეკისა და ბინით სარგებლობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავა წარმოადგენს არბიტრაჟის მიერ განსახილველ დავას (უზენაესი სასამართლოს ზემოაღნიშნული მითითებით 2005 წლის 9 ივლისს მ. ბ-ესა და რ. გ-ას შორის დადებული სესხის, იპოთეკისა და ბინით სარგებლობის ხელშეკრულებასთან მიმართებაში სასამართლომ მიიჩნია, რომ რ.გ-ამ საარბიტრაჟო პრეტენზიის წარდგენით და მოწინააღმდეგე მხარე მ.ბ-ემ თავიანთი მოქმედებით გამოხატეს ნება საარბიტრაჟო სასამართლოში საქმის განხილვისა), პალატამ ჩათვალა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, არსებობს რ. გ-ას სარჩელზე საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველი.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე რ. გ-ას სარჩელის გამო სამოქალაქო საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე ამ უკანასკნელმა შეიტანა კერძო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოში ხელახლა განსახილველად შემდეგი საფუძველებით:

სააპელაციო პალატის მსჯელობა ეფუძნება საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 29 დეკემბრის განჩინებას, რომლითაც საკასაციო სასამართლომ იმ კონკრეტულ შემთხვევაში ერთჯერადად ცნო საარბიტრაჟო სასამართლოს კომპეტენცია, რადგან მხარეებმა მონაწილეობა მიიღეს საარბიტრაჟო განხილვაში, თუმცა აღნიშნული ფაქტი არ მიუთითებს, რომ საკასაციო პალატამ დააწესა ამ დავასთან დაკავშირებით მრავალჯერადი მოქმედების წესი მხარეთათვის.

ასევე აღსანიშნავია, რომ თავად საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ რ. გ-ას ზოგიერთი მოთხოვნა სასამართლო წესით განსახილველთა კატეგორიას განეკუთვნება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო წარმოდგენილი კერძო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება რ. გ-ას სარჩელზე საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ უკანონოა და უნდა გაუქმდეს, ხოლო რ. გ-ას კერძო საჩივარი უნდა დაკმყოფილდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული განჩინებით საქმის წარმოება რ. გ-ას სამოქალაქო სარჩელზე შეწყვიტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

მითითებული ნორმის თანახმად, სასამართლო, მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით, შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ მხარეებს დადებული აქვთ ხელშეკრულება, ან არსებობს მხარეთა შეთანხმება, რომ მათ შორის დავა გადასაწყვეტად გადაეცეს არბიტრაჟს.

კანონის დასახელებული დანაწესი სასამართლოში შეტანილ სარჩელზე საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველად მიიჩნევს მხარეთა მიერ საარბიტრაჟო შეთანხმების გაფორმებით თავიანთი ნების გამოვლენას მათ შორის არსებული დავის განსახილველად არბიტრაჟისათვის გადაცემის თაობაზე.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ რ. გ-ას განსახილველი სასარჩელო მოთხოვნა გამომდინარეობდა 2005 წლის 9 ივლისს რ. გ-ასა და მ. ბ-ეს შორის დადებული სესხის ხელშეკრულებიდან, რომელიც უზრუნველყოფილ იქნა რ. გ-ას კუთვნილი უძრავი ნივთის კრედიტორ მ. ბ-ისათვის მფლობელობაში გადაცემის გზით.

აღნიშნული ხელშეკრულება, თავის მხრივ, გახდა სასამართლოს მსჯელობის საგანი, რა დროსაც მასში არსებული დათქმა, რომ დავა განხილულიყო ან სასამართლოს ან არბიტრაჟის მიერ არ იქნა მიჩნეული საარბიტრაჟო შეთანხმებად. მიუხედავად ამისა, საკასაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ რ.გ-ამ საარბიტრაჟო პრეტენზიის წარდგენით და მოწინააღმდეგე მხარე მ.ბ-ემ თავიანთი მოქმედებით გამოხატეს საარბიტრაჟო სასამართლოში საქმის განხილვის ნება.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება კერძო საჩივრის ავტორის არგუმენტს, რომ ზემოხსენებული მსჯელობა შეეხება მხოლოდ კონკრეტულ დავას, რომელიც დასრულდა საარბიტრაჟო სასამართლოს 2007 წლის 20 აგვისტოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით და იგივე ვერ გავრცელდება ამავე მხარეებს შორის არსებულ სხვა დავებზე, თუნდაც ეს დავები გარკვეულწილად უკავშირდებოდეს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით შეფასებულ 2005 წლის 9 ივლისის ხელშეკრულებას.

ამასთან, განსახილველი სარჩელით რ. გ-ა ითხოვს, მ. და თ. ბ-ეებს სოლიდარულად დაეკისროთ ქ.თბილისში, უ-ის ქ.№113ა-ში მდებარე ბინის დაზიანების გამო სარემონტო სამუშაოების, ავეჯის დაზიანებით მიყენებული ზიანისა და ბინის ქირის ანაზღაურება. შესაბამისად, მართალია, მხარეთა შორის სამართლებრივი ურთიერთობის ერთ-ერთ საფუძველს მათ შორის 2005 წლის 9 ივლისის ხელშეკრულებაც წარმოად-

გენს, მაგრამ მოცემული დავა უშუალოდ ზემოხსენებული გარიგებიდან არ გამომდინარეობს და დამოუკიდებელი დავის საგანია.

ამდენად, სააპელაციო პალატამ საქმის ხელახლა განხილვისას უნდა შეაფასოს საკასაციო სასამართლოს მიერ მითითებული გარემოებები და მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყვიტოს, არსებობს თუ არა რ. გ-ას სარჩელზე საქმის წარმოების შეწყვეტის სამართლებრივი წინაპირობა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

რ. გ-ას კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 15 დეკემბრის განჩინება რ. გ-ას სარჩელი გამო საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.